

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

17 მარტი 2006

№6



ანი, ბანი, განი...

უნამუნოს ესეი

კართაგენი არ უნდა დაინგრეს

კაზანდაკისი უფლის ნაკვალევზე

ომარ ხაიამი – შერლოკ ჰოლმსი?

შინაარსი

ალიონიდან ალიონამდე	2	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრაინოდ
ეპსკრან-ინტერვიუ	5	ნარმოსახვა სულია (საუბარი ვახუშტი კოტეტიშვილთან)
ჩვენი ყოფა, ნუთისოვანი	7	გიორგი გიგაური ენით, მაგულით, სარწმუნოებით!..
პროზა	11	მაკა ლდოკონენი ზღაპართასხმულა
ქულუარები	16	პოსტმოდერნიზმის, დეკონსტრუქტივიზმისა და სტრუქტურალიზმის ეპოქა დასასრულს უახლოვდება
პოეზია	17	გივი ალხაზიშვილი ციკლიდან: „სუნთქვის სივრცე“
უხსოვარი ისტორიები	20	მიგელ დე უნამუნო მთებში
ფილოზოფი	24	ხალხით სავსე სიმართლებები (ნინო დეკანოიძეს ესაუბრება ლია სტურუა)
დოკუმენტური პროზა	27	შორენა ლებანიძე ქორნილი ძველ უბანში
პარადოქსები	34	ელგუჯა თავბერიძე არ იმედობდა ეს სიმღერა
დრამატული	36	თეოდორ მეიტსონი ომარ ხაიამი – დრამატულის როლი
მომგონებთა სივრდიდან	44	გრიგოლ აბაშიძე ანი, ბანი, ბანი...
გამოსვლარები	48	თეა შურღაია 37 + 17
ქრიტიკა	50	მაკა ჯოხაძე ბენიალური სიჯანსაღე
უხსოვარი სივრდი	54	ოქტავიო პასი ჩემი ცხოვრება ტალღასთან
ნაქვედები	57	მანვილსიტყვაობის ნიმუშები
რეპორტაჟი	59	ნიკოს კაზანდაკისის „აღსარება გრეკოსთან“
მოზაიკა	62	ახლა დასავლეთიდან ამოდის

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბაზოში "ომეგა თეგი"
სააპოთეკო, თბილისი, საჯაროებო 17
ბაქოფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ესმა ონიანი, „იები“

ომარ ხაიამის ძეგლი თეირანში

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 31 მარტს

როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

**ლიტერატურა
ყოფითობაში
რომ აღარ ითქვიფებოდეს**

ასეთ წერილებს მიუჩვენებელია და ძალიანაც მიუჩვენებელი ჩვენი ლიტერატურული საზოგადოება, წერილებს, რომელშიც შეიძლება უშეღავათოდ გააკრიტიკო იმ მწერლის წარუმატებელი თხზულება, განსაკუთრებულ პატივს ვისაც მიაგებ – წრფელსა და არა მოჩვენებითს. მეტიც – თანადროული ეპოქის ერთ უპირველეს მესიტყვედ მიგაჩნდეს და ეს მოსაზრება არაერთხელაც გაგემეორებინოს.

საზოგადოება მიუჩვენებელია და არალიტერატურული ინერციითა თუ ზედაპირული აღქმით იქნებ ვერც ჩანდეს ასეთი ცალკეული ცდების გამორჩეულ მნიშვნელობას ჩვენი სამწერლო ცხოვრების მოსაწესრიგებლად, იმ უკეთესი მომავლისათვის, რომელიც ყველას გვეოცნებება, მაგრამ ბევრს კი არაფერს ვლონობთ საამისოდ.

მიუჩვენებელია და – ნაირა გელაშვილის კრიტიკულ ანალიზს რომ გაცნობა ბესიკ ხარანაულის ვრცელი ლექსისა „მენაპირე ვარსკვლავი“ („ალიტერნატივა“, 2005, №1), მაშინვე მითქმა-მოთქმა ატყდება: როდის ან რის გამო გაიზარა კეთილი ურთიერთობა ამ ორ პიროვნებას შორისო, რაზე ვერ შეთანხმდნენო, რა ვერ გაიყვესო, განა რომელ დაპირისპირებულ პარტიებს უთანაგრძობენ ასე ძალიან, რომ ამდენი წლის გულითადი მეგობრობა ქარს გაატანესო?!

ჯერ დასკვნაც როგორი მწვავეა:

„... როდესაც პოეტმა დატოვა თავისი ნამდვილი არეალი... და გადაინაცვლა ისეთ ზოგად სინამდვილეში, – როგორიცაა თანამედროვე ეპოქა და კაცობრიობა – კერძოდ, დასავლეთი – იგი ჩავარდა ცალმხრივობაში, ზედაპირულობასა და ლოზუნგურ ტრაფარეტულობაში... პოეტი, რომელიც, ჩვეულებრივ, თავისუფალი იყო პოეტთა ტრადიციული ნარცისიზმისაგან, „სხვების“ განსჯის, განკითხვისა და მხილების ვნებისაგან და საკუთარ თავს მხოლოდ ტანჯვის უფრო მეტი უნარის გამო ანიჭებდა „სხვებზე“ უპირატესობას („ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენზე“), აქ – ცალით თვალით მხედი, ცინიკური მოსამართლის მანტიას ისხამს“.

და კიდევ:

„თანამედროვე ეპოქაზე, ცივილიზაციასა და კაცობრიობაზე საუბარს ღრმა ფილოსოფიური და სამოქალაქო განათლება სჭირდება, სჭირდება იმ კრიტიკული ანალიზის ცოდნა, რასაც თავად დასავლეთი ახორციელებს საკუთარი თავის მიმართ, რათა ამერიკა თუ ბრიტანეთი მხოლოდ სიმდიდრის, მომხეტელობისა და გარყვნილების კერად არ დავინახოთ, როგორც გვასწავლიდა საბჭოთა იდეოლოგია...“

მოტივი ამ ანალიტიკური სტატიის შექმნისა პირდაპირაცაა გამჟღავნებული:

ლექსის წარუმატებლობის მიზეზი ისაა, რომ პოეტი გამოსცილდა თავის ნამდვილ არეალს და ველარც გამოსახვის სიზუსტესა და სიღრმეს მიაღწია და ველარც სევდის, ტანჯვის,

ფიქრის, თანაგრძობისა და განუხჯვლობის ტონალობას, რაც ასე ნიშანდობლივია მისი მხატვრული ძიებებისათვის. ამასთან, „მენაპირე ვარსკვლავი“ არის საბაბი და მასალა ზოგადეროვნული და კულტურულ-სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური რეალობის შეუნიღბავი წარმოჩენისა, ყოველ შემთხვევაში იმ გადასახედოდან, საიდანაც ნაირა გელაშვილი გაიზარებს თანადროულ ქართულ სახელმწიფოსა და მის მიმართებას დასავლეთთან. ეს ლექსი ერთ-ერთი ნიმუშია მისთვის, რომ ამგვარი მიმართება დიდხანს დარჩება არა მხოლოდ მასის, არამედ ქართული კულტურის დილემად.

ცხადია, ერთი-ორი მკითხველის გარდა ამ მოტივს არავინ დაიჯერებს და კვლავ თავის ეჭვს უფრო ირწმუნებს – ზოგადლიტერატურული განსჯის საფარველია პირადი ურთიერთობის გაუარესებისა და ანგარიშსწორებისაო.

საამისოდ იქნებ არაერთი ფრაზა თუ პასაჟიც გაიხსენოს სტატიიდან:

„მეტისმეტად დამაბნეველი აზრია“.

„... თვალმისაცემია ის, რომ ლექსის ავტორი „მოქალაქეებად“, „მომხმარებლებად“, „მნიგნობრებად“, „მოხელეებად“ „გაკრეჭილ“ პოეტთა ლეგიონით დასახლებულ დასავლეთში (თუ მთელ დედამიწაზე, ესეც არ ჩანს, კაცმა რომ თქვას) ვერცერთ ბედნიერ გამოჩაქისს ვერ ხედავს – ნამდვილ პოეტს, რომელიც არც „მომხმარებელია“, არც „მნიგნობარი“ და ა.შ. ასე, რომ ასეთ ბედნიერ გამოჩაქისად მხოლოდ თვითონ რჩება...“

„კი მაგრამ, ასე რომ არ ფიქრობენ თავად ბაირონის სამშობლოში?“

„თან სპორტსმენების, სუპერვარსკვლავებისა და მკვლევლების გაიგივება მეტისმეტია და კაცთმოშულებობის სუნიც უდის“.

„პოეტი კი, რომელიც წესით გულთამხილავს უნდა ბაძავდეს, ამასობაში ცინიკური მხილებისა და დაგმობის პათოსს შეუპყრია“.

„აქ მგონი, ის უფრო ჩანს, რომ პოეტს ქალების გონებაგახსნილობა აღიზიანებს, და ასეთი ქალების წინაშე გაუცნობიერებელი დისკომფორტის გამო შურს იძიებს...“

„... ყველა კაცის სახელით ლაპარაკი არ არის მაინც და მაინც მართებული“.

„მაგრამ ჯერ ისევ წყევლა! ამჯერად ბრიტანეთი უნდა დაინყველოს!“

„მოსაწონია, ამერიკის უბედურებაც რომ აღვლევს პოეტს, მაგრამ ის ლატაკი და მათხოვარი ადვილად შევა ნეტავ სასუფეველში, რომელიც დღედაღამ სიმდიდრეზე ოცნებობს და განუწყვეტლივ იღებს მოწყალეობას იმ მდიდრებისაგან, რომლებსაც თან ავინებს და სწყევლის?“

„... ასე წინასწარმეტყველურად ჩანს იმ ადგილიდან, სადაც „ღამე არ იცის“ ანუ სადაც მარადი სიფხიზლეა, ანუ იქ, სადაც კამკამებს „მენაპირე ვარსკვლავი“ ანუ ლექსის ავტორი. სამწუხაროდ, ასეთი ნაპირი ზოგჯერ პროვინციის საზღვარს ემთხვევა“.

ლამის მართლა პირადი მოტივებით ნასაზრდოები მეგონოს.

და მაინც, ეს და ამგვარი პასაჟები ერთი კერძო ლექსის მიერ აღძრული შთაბეჭდილებანია, განზოგადებისაკენ ძალდაუტანებლად რომ გიბიძგებს და არაფერი, სრულიად არაფერი, აქვს საერთო ორი შემოქმედის პირად ურთიერთობასთან.

სკეპტიკოსებმა იქნებ არც იმ გარემოებას გაუწიონ ანგარიში, რომ – ადრეულ წერილებს თავიც რომ დავანებოთ – ნაირა გელაშვილის ეს სტატია ნაწილია ვრცელი ნარკვევისა „თანამედროვედ ყოფნის ნიშნები (ბესიკ ხარანაულის პოე-

ზია)“, რომლის ორი ნაწილიც ამ შემოქმედის აპოლოგიაა და უურნალ „ალტერნატივას“ წინა ნომრებში (2004, №3, 7) გამოქვეყნდა.

აპოლოგიაა მეოთხე სტატია, დაბეჭდილი აქვე – ორი ნომრის შემდგომ და ბესიკ ხარანაულის ლექსი „უსინდისობაა, როდესაც სანთელი უაზროდ იწვის“ შეფასებულია როგორც სახიერი ნიმუში ახალი ჰუმანიზმის მონატრებისა. დიახ, ნაირა გელაშვილისთვის ეს ის მონატრებაა ადამიანობისა, მთელს დედამიწას რომ გადაწვდება.

ეს დითირამბი იმას გამოუწვევია, რომ:

„თუ ჩვენს მოძალადე ყოფას ახალი ადამიანის შობა უნერია, ეს უპირველესად იმ სინდისის მკვდრებით აღდგენასა თუ შობას შეიძლება ნიშნავდეს, რომელიც აღვსილია სამართლიანობითა და პასუხისმგებლობით თვით ყველაზე უბრალო საგნის წინაშე; რომელიც გიკრძალავს იყო ძალმომრე თვით უბრალო ნივთის მიმართაც“.

ამ აპოლოგეტური სტატიის გაცნობა ფილისტერს რას ათქმევინებს?

ფიქრიც არ უნდა:

შერიგებულანო.

მაგრამ ლიტერატურა, ნამდვილი და ამიტომაც ყოფითობაში აუთქვეფავი, თავისი კანონებით ცხოვრობს და ამისთანა მოტივებს ახლოსაც არ იკარებს.

ოთხივე ნაწილი ბუნებრივად თანაარსებობს გვერდიგვერდ.

ეს იმიტომ, რომ ოთხივე წრფელია და მარტოდენ ლიტერატურული ინტერესით ნაკარნახევი, თორემ ამ ციკლის ის სამი სტატია რევერანსულ მიზანს რომ ისახავდეს, მძაფრი კრიტიკული პათოსის ერთგვარ განვლვებს, ცხადია, გულგარეშე და ზედაპირული ქება იქნებოდა და არა ნიუანსობრივი სიღრმითა და ექსპრესიულად წარმოჩენა ბესიკ ხარანაულის პოეზიის მხატვრულ თავისებურებათა და მნიშვნელობისა.

მიუჩვეველია ჩვენი საზოგადოება ასეთ წერილებს?

ხან შესაძლოა სწორედ ამ საერთო განწყობილებამაც დაგაფრთხოს და განზრახვაზე ხელი აგაღებინოს, ვაითუ გულწრფელობა როგორ ჩამომართვან და ჩემს საყვარელ მწერალთან კერძო თემებსა თუ მოტივებზე კამათი პირად ანგარიშსწორებადაც მოეჩვენოთ?

მაგრამ ხომ უნდა დაირღვეს ლიტერატურისათვის სასიკეთოდ ეს კიდევ ერთი ყალბი კლიშე, ეს არალიტერატურული განწყობილება – ფარული მოტივების ძიება, რათა სამწერლო ცხოვრება ადრე თუ გვიან აღარ ითქვიფებოდეს ყოფითობაში.

რასაკვირველია, ზოგადად ვერაფერიც ვერ დაირღვევა და გზა ასეთმა წერილებმა უნდა გაკვალოს, რის ერთ-ერთ სახიერ ნიმუშადაც „მენაპირე ვარსკვლავის“ ანალიტიკური განსჯა წარმოგვიდგება.

ირლანდია, ჩიხი, მხატვრული ექსპერიმენტები

სემუელ ბეკეტს არავინ და არაფერი ავალდებულებდა ფრანგულად წერას, თუ არა პირწმინდად მხატვრული განზრახვა: მხოლოდ ასე დავძლევ მშობლიურ ენაზე ელევანტურად და ვირტუოზულად წერის ცდუნებასო.

მისი პიესების სტილურ მანერას, აბსურდულ, სტერეოტიპულ დიალოგთა და ვითარებათა წარმოსახვას არტისტიზმი არც დამშვენებოდა და შესწავლილ ენაზე ამიტომაც ერჩივნა – უცხო ენა როგორ კარგადაც უნდა იცოდეს, სადღაც რაღაც

მაინც შეგზლუდავს, ყოველ შემთხვევაში, ელევანტური სტილის გამომუშავების იმედი ნაკლებ უნდა გქონდეს, ოღონდ... ბეკეტისათვის მშობლიური არც ინგლისური ყოფილა, თუმც თვითონ სწორედ ასეთად აღიარებდა.

მართლა მშობლიური – გელური – ენა ირლანდიურ მწერლობას მის დაბადებამდეც დაეკარგა და ბეკეტს საშინაო გელურიც ვერ ეხერხებოდა მაინცდამაინც, ჯეიმზ ჯოისისა არ იყოს, ვისთან მეგობრობაც ბევრწლიად განსაზღვრავდა სემუელ ბეკეტის ლიტერატურულსა და პოლიტიკურ არჩევანს – სამუდამოდ მიეტოვებინა ირლანდია. ოღონდ მიეტოვებინა ისე, ნოსტალგიაც არ გამოჰყოლოდა.

აქ უკვე დამორღებოდა ჯოისის იდეურ მრწამსს, უკიდურესობამდე მიიყვანდა ყოველივე ირლანდიურის მიმართ ათვალწუნებას. ის კარჩაკეტილობა, რასაც „ულისეს“ შემოქმედი უკიფინებდა მშობლიურ ქვეყანას, ბეკეტის თვალში ურამატურიოტიზმად და ეკლესიის ბატონობად გამოჩნდებოდა, შემოქმედზე ძალმომრეობის გარემოდ, რაკილა ირლანდიელთა ეროვნული ტკივილებისათვის უცხო მოჩანდა მხატვრული ექსპერიმენტები.

მიაჩნდათ, რომ ის, რაც დამშვენებოდა ინგლისელ, ფრანგ თუ გერმანელ მწერალს, ირლანდიელისათვის თვითმიზნურ ლიტერატურულ ხერხებად იქცეოდა. ირლანდიას ექსპერიმენტებისათვის არ ეცალა და სემუელ ბეკეტს თავის მხრივ არ ენაღვლებოდა ისეთი ირლანდია, რომელიც თავის ტკივილებში გათანაგულიყო და თავისი მწერლებისაგან უპირველესად პატრიოტიზმსა და სულიერ გამხნევენებას მოითხოვდა.

ეს მოტივი – პატრიოტიზმი – ბეკეტს სულაც ნაკლად მიაჩნდა ლიტერატურისათვის, სული მეხუთებაო, ჩიოდა, და ერთადერთ გამოსავალს ამ ჩიხიდან საფრანგეთში დამკვიდრებით იპოვინდა.

ეგაა, იმ ჩიხს რა ეშველებოდა, მისი მხატვრული სივრცე და პერსონაჟები რომ მომწყვედეულიყვნენ და ვეღარც გზა გაეგნოთ და საამისო სურვილიც განვლვობათ?!

არ ეშველებოდა და – კიდევ ჩარჩებოდა იმ სიცარიელეში, რაც ბეკეტის პიესების ერთ-ერთი მთავარი მხატვრულ-ფილოსოფიური ცნებაცაა და ზოგადი მეტაფორაც, რელიეფურად გამოკვეთილი პირველსავე პიესაში („გოდოს მოლოდინში“), რომლის სცენური სიციცხლცეც აბსურდის თეატრის დაბადების დღედ გამოცხადდებოდა – 1953 წლის 5 იანვარს.

მაყურებელთაგან ნახევარზე მეტი დამთავრებამდე მიატოვებდა სპექტაკლს?

ესეც მისი ბიოგრაფიის აუცილებელი და ნიშანდობლივი რგოლია – სხვაგვარად ალბათ არც მოხდებოდა.

ამ პიესის ქართული ორეულით გამოჩნდებოდა სემუელ ბეკეტი ჩვენს სალიტერატურო-კულტურულ სივრცეში – მზია ბაქრაძისა და ალმანახ „ხომლის“ მეგზურობით, იმ ხელოვნებით გადმოტანილი, რამაც გარეგნულად დაღავებული, გაჭიანურებული, მომაბეზრებლად ერთფეროვანი დიალოგები დიდი ტრაგიზმის ექსპრესიულ ნატეხად წარმოგვისახა.

ციტატები თუ ალუზიები ამ პიესისა არაერთხელ განმხიანდებოდა ჩვენს ლიტერატურასა თუ პუბლიცისტიკაში, ვლადიმირისა და ესტრაგონის უმწეო ბორიალი და რაღაც ბუნდოვანი, გაურკვეველი ძალის მოლოდინი მახლობელი შეიქნებოდა ქაოტურ ყოფაში მოქცეული საქართველოსთვისაც და იმ მკაცრ პროტესტსაც მთავაგონებდა, როგორიც, ვთქვათ, მაკა ჯოხაძის პიესა აღმოჩნდებოდა – „ორი ცხოვრება“.

ეს ინტერესი ძალდაუტანებლად ბადებდა მოლოდინს თვითონ ბეკეტის წიგნის გამოჩენისაც, იმ პიესების გაცნობისაც, რომელნიც არანაკლები მხატვრული შთამბეჭდაობით გვიმულავნებდნენ ადამიანის მიუსაფრობას ღმერთდაკარგულ სამ-

ყაროში, ვთქვათ, „ენდშპილი“ როგორცაა, ანდა „ყოველნი დაცემულნი“.

თანაც „გოდოს მოლოდინის“ ექსპრესიული ზემოქმედება ახალი მთარგმნელისგანაც იმ მიღწევის შენარჩუნებას მოითხოვდა. და სასიხარულოა, რომ გია ბერაძის მიერ ქართულად ამეცყველებული ეს ორი პიესაც და კიდევ „კრეპის უკანასკნელი ლენტი“ და „სცენა სიტყვების გარეშე“ წარმატებულ კრებულად გამოჩნდა ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში.

სხვათა შორის, ბეკეტის ამ ნიგნთან ერთად იხილა მზის სინათლე მის მიერვე გადმოტანილმა კიდევ ერთმა კლასიკურმა ნიმუშმა დასავლური მოდერნული ძიებებისა – ჯეიმზ ჯოისის პირველმა რომანმა „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“, ავტობიოგრაფიული ყაიდის ქმნილებამ, რომელიც წარმოგვიჩინეს ჯოისის გამოქცევის მიზეზს ირლანდიიდან და ერთგვარად ეხმაურება ბეკეტის ლტოლვასაც სამშობლოდან.

იქ, ემიგრაციაში ამ პიროვნებათა გზები გადაეჯაჭვებოდა ერთმანეთს, ჩვენს ლიტერატურაში – მათი ნიგნები, თავთავისი სტილური კამერტონი რომ ჰქონდა მოსაძებნი ორივეს, და კიდევ მიეგნო მთარგმნელს. ორივე გამოცემის პროფესიული წინასიტყვაობანიც ერთმანეთს აგრძელებს და მკითხველის წარმოსახვასაც ავსებს.

კომმარო ბეკეტის პიესების მუდმივი ფონია და ის მთავარი თემა, რაც ათასგვარ მოტივად ცალკეედება თუ ნამცეცდება, ერთიერთმანეთზე შემადრწუნებლად, იმის მიუხედავად, შედარებით უფრო რეალისტურია მოქმედება თუ აბსტრაქტული.

იმ ჩიხს რა ეშველებოდა, მისი მხატვრული სივრცე და პერსონაჟები რომ მომწყვედილიყვნენო...

„ენდშპილი“ ჩიხი პლასტიკურ სახესაც იძენს, სათაური პიესისა იმთავითვე მიგვანიშნებს გამოუვალ რეალობას – კვდომის პროცესის თანმიმდევრულსა და შეუფერადებელ აღწერას, და სამყაროს დაშლა-გადაგვარებით შეძრულს აღარც ის გიკვირს, ორი პერსონაჟი სულაც სანაგვე ყუთში რომ აგრძელებს ძალღუმადურ სიცოცხლეს.

მოჩანს რაიმე, თუნდ მბუჭტავი სინათლე მოქმედების მიღმა?

კიდევ უფრო ნაკლებ, ვიდრე „გოდოს მოლოდინში“, რომლის კრიტიკოსებსაც ირონიულად ეკამათებოდა დრამატურგი: რატომ ავიჩემებიათ, რომ გოდო ღმერთს გულისხმობს, მართლა ასე რომ იყოს, ნუთუ ღმერთის ხსენება გამიძნელებოდაო?!

და მაინც, „ყოველნი დაცემულნი“ უფრო მძაფრად შეგვაგრძობინებს უნაყოფობისა და სიკვდილის ძლევა-მოსილებებისაგან მოგვრილ ტრაგიზმს, და ეს ალბათ იმიტომ, რომ აბსტრაქტულ გარემოს აქ სწორედ რეალისტური სურათები ცვლის.

„ოდეხმე ბავშვის მოკვლის სურვილი თუ გქონია?“ – თითქოს სხვათა შორის ამბობს პერსონაჟი, და თითქოს პარადოქსული აზროვნებისაკენ მიდრეკილების გამო დასძენს: ბოროტება ჩანასახშივე უნდა მოსპოსო, – მაგრამ თურმე ეს სულაც არ არის განყენებული, დროის მოსაკლავად გამიზნული ლაპარაკის ფრაგმენტი, ეს ის ბირთვია, რომლის ირგვლივაც ამოხვეულა პიესის კომპოზიციური ქარგა, რადგანაც მისტერ რუნი მოულოდნელად პატარა ბიჭის მკვლეელი უნდა აღმოჩნდეს.

როგორც გამჭვირვალე მინიშნებანი ნათელყოფს, მას უკვრია ხელი ბავშვისათვის და მატარებლის ბორბლებში ჩაუჩხავს. თანაც ეს არათუ ბრმა შემთხვევითობა არ ყოფილა ან



თუნდ უეცარი აფექტის ნაყოფი, არამედ მისი მრწამსია – ბოროტების აღკვეთის ერთადერთი გზა. ბოროტება დასრულდება მხოლოდ მაშინ, როდესაც... აღარ იარსებებს კაცობრიობა, საამისოდ კი მისტერ რუნის-ნაირებმა თავიანთი ვალი იმით უნდა მოიხადონ, რომ ხელიდან არ გაუშვან მარჯვე შემთხვევა ბავშვების მოსპობისა.

მხატვრულ ექსპერიმენტებს არ მანებებენო, – თანამემამულეთ ამუნათებდა ბეკეტი და ვერაფრისდიდებით ვერ იგებდა, ასე რატომ აეთვალნუნებინათ. არადა, იმათაც რა ელონათ – ისედაც უმწეოდ შეიგრძნობდნენ საკუთარ თავს, ისედაც გამხნევება სჭირდებოდათ და ახალი პარანელის გამოჩენას ოცნებობდნენ, რათა ჩაშრეტილი ეროვნული ენერჯია კვლავ ამოქმედებულიყო.

ეს კი, ბეკეტი, რას შთააგონებდათ, რას ურჩევდათ, რისი მოლოდინით მსჭვალავდათ?

უგზობას ხომ თვითონაც ხედავდნენ, ჩიხისი ისედაც მომწყვედილიყვნენ და კიდევ დამატება რაღად უნდადათ – ინგლისის კაბალას თავიც რომ დააღწიოთ, უკეთეს ყოფას ნურც მერე მოელით, ამ ჩიხის იქით კიდევ უფრო დიდი და შემადრწუნებელი ჩიხიაო.

კიდევ მხნეობის წართმევა უნდოდათ?

ყველაფერზე ხელის ჩაქნევის მომწოდებელი აკლდათ?

და ბეკეტი კიდევ ექსპერიმენტებთანაც ერთობოდა.

დაე გართობილიყო, ოღონდ... სადმე სხვაგან, სადაც ლიტერატურას საამისო ფუფუნება ექნებოდა და პოლიტიკური მოტივი სრულიად არ დასჭირდებოდა შინაგანი სიმტკიცისათვის...

„სცენა სიტყვების გარეშე“ თავის მხრივ ლიბრეტოა, ის შიშველი ჩონჩხი, რომლის აღვსებაც დაილოგებით ბეკეტისათვის სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ ამჯერად ამჯობინებდა, სწორედ ეს შიშველი ჩონჩხი დაეტოვებინა, მხოლოდ მოქმედება, თუ როგორ ცდილობს ადამიანი თავის ჩამოხრჩობას. მისი ფიქრები და განცდები კი ისე ხელშესახებად იკითხება სასონარკვეთილი მოქმედების მიღმა, მკითხველს დიდი ძალისხმევა სულაც არა სჭირდება „ცარიელი“ ადგილების ამოსავსებად.

„კრეპის უკანასკნელი ლენტი“ კი ალბათ იმიტომაც ჩაერთო ამ კრებულს, რომ მკითხველს თვითონვე შეემჩნია, არც ლირიზმი ყოფილა მთლად უცხო ბეკეტის მხატვრული ძიებებისათვის. ლირიზმი – მკრთალი, გაცრეცილი, ხელმოცარული კაცის უღონო ფიქრთა მდინარეებში გაჩენილი უეცარი სხივი, და მაინც, ლირიზმი, ხელნაკრავი სიყვარულის ანარეკლი მსჭვალავს პიესის შინაარსს. გვიან, ძალიან გვიან, მაგრამ კრეპის სულში იჭრება ის განცდა, იქნებ მირაჟების გამოდევნებას, რაც შემოქმედებითი წვა და სწრაფვა მეგონა, სიყვარულის გადარჩენა სჯობდაო. აქაც ჩიხია, ხელმოცარული მწერლის ჩიხი, მაგრამ შორეული მოგონება და წრფელი სინანული სულ სხვა გადასახედიდან წარმოგვისახავს ადამიანის სულის მოძრაობასაც და სიცოცხლის აზრის ძიებასაც.

ამათ ხომ ვერაფერს გააგებინებო, – ირლანდიელებს ძრახავდა სემუელ ბეკეტი, და მირაჟებს მისდევდა თავისი პერსონაჟივით.

... ნუთუ ირლანდიელებს გმობა და ნიშნისმოგება აკლდათ, „ყოველთა დაცემულთა“ ავტორიც რომ არ მიმატებოდათ?!

და გრძელდებოდა ქვეყანაში ჩუმი გაუნელებელი სევდა.

ნარმოსასვა სულია

*

საუბარი
ვახუშტი კოტეტიშვილთან

– ბატონო ვახუშტი, თქვენი მხატვრულ-დოკუმენტური რომანის „ჩემი წუთისოფელი“ შუაგულში ვახტანგ კოტეტიშვილი დგას. მისმა სახემ გაიელვა ოთარ ჩხეიძის რომანში „ცხრაწყარო“, ის გვხვდება როსტომ ჩხეიძის ნიგნში „ბედი პავლე ინგოროყვასი“. ძალზე საინტერესო დრამატულ პიროვნებას თავისი ტრაგიკული ბედით, ალბათ, კიდევ მრავალჯერ მიუბრუნდება ჩვენი მწერლობა. მამაზე ახალი დოკუმენტები, ცნობები, მასალა ხომ არ შეგემატათ მას შემდეგ, რაც „ჩემი წუთისოფელი“ უკვე ნიგნად გამოვიდა და ხომ არ აპირებთ მის შევსებას, ან საერთოდ, ვახტანგ კოტეტიშვილზე ცალკე ნიგნის დაწერას?

– „ჩემი წუთისოფლის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი რომ ვახტანგ კოტეტიშვილია, ეს ბუნებრივია და დიდ ახსნა-განმარტებებს არ უნდა საჭიროებდეს. მე ამ შემთხვევაში ცნება „გმირს“ ორივე მნიშვნელობით ვხმარობ, როგორც ლიტერატურული პერსონაჟის, ასევე პერსონული გაგებით, ვინაიდან იგი ალესრულა თავისი მრწამსის უღალატობის გამო, როგორც ჭეშმარიტად ეროვნული გმირი. მაგრამ ყოველსავე ამას, ბუნებრივია, საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ ლენინი -სტალინური ეპოქის ჯალათები და ის ცრუმეცნიერნი, ვინც ვახტანგ კოტეტიშვილის იუდასებრი დაბეზლებით მისი ადგილი დაიკავეს იმდროინდელ სამსახურებრივ იერარქიაში და ყოველმხრივ ეცადნენ ამ პიროვნების დამსახურებისა და კვალის მოსპობას. ეს გრძელდებოდა ათწლეულების მანძილზე და გარკვეული „შედეგით“ გამოიღო. დღევანდელმა თაობებმა ყურმოკვრით თუ იციან ვახტანგ კოტეტიშვილის ღვაწლის შესახებ არა მხოლოდ ლიტერატურისა და ფოლკლორის, არამედ ქართული კულტურის სფეროში.

იქნებ ისიც ნიშანდობლივი იყოს, თუ როგორი აღმოჩნდა ვახტანგ კოტეტიშვილის ზოგიერთი ნახელავის ბედი, მაგ. მის მიერ დარიალის ხეობიდან ჩამოტანილ ქვაში ნაკვეთი ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლისა (რომლის თაბაშირის ასლი დღესაც ჩვენს ოჯახში ინახება). ეს ქანდაკება იდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე ზენარმოხვეული ოციანი წლების იმ დიდდა გახმაურებული დისკუსიის დასკვნით საღამოზე, რომელსაც უნდა გაერკვია, ორ ბიძაშვილ ყაზბეგს შორის ვინ იყო „ელღუჯასა“ თუ „მამის მკვლელის“, „ხევისბერ გოჩასა“ თუ სხვა თხზულებათა ჭეშმარიტი ავტორი – დიმიტრი თუ ალექსანდრე. ამ სადავო საკითხს ვახტანგმა მთელი მონოგრაფიაც უძღვნა და გათენებისას, როდესაც მისმა არგუმენტებმა გაიმარჯვა, ვახტანგმა თეატრალური ჟესტით, მკვეთრი მოძრაობით ჩამოაძრო ზენარი ამ ქანდაკებას და დარბაზი ტაშით დაინგრა.

ამ ქანდაკების ორიგინალი დაიდგა მაშინდელ დენდროლოგიურ პარკში, ხოლო მისი თაბაშირის ასლი თვით ყაზ-

ბეგში, ალექსანდრეს სახლ-მუზეუმში. ყოფილი დენდროლოგიური პარკის ტერიტორიაზე შემდეგ გაშენდა კომუნისტ ბობოლათა სამთავრობო რეზიდენცია და, ბუნებრივია, იქცა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის აკრძალულ ზონად. და ვახტანგ კოტეტიშვილის დახვრეტიდან 20 წლის შემდეგ, როდესაც მისი რეაბილიტაცია მოხდა და ამ ტერიტორიაზე უკვე შეისვლებოდა, ქანდაკება იდგა ცხვირმომტვრეული, თვალბდათხრილი და, საერთოდ, ნიშანწყალიც არ ეტყობოდა ხელოვნების ოდესღაცინდელი ქმნილებისა.

მსგავსი ბედისა აღმოჩნდა ყაზბეგის სახლ-მუზეუმში მდგარი ძეგლიც, რომელიც სადღაც გაქრა, ხოლო რეაბილიტაციის შემდეგ გაჩნდა ალექსანდრეს სრულიად სხვა პორტრეტი, ვილაც უნიჭო ვაი-მოქანდაკის ნათითხნი, რომელიც გვამცნობდა, რომ ვითომ ეს იყო ვახტანგ კოტეტიშვილის ნამუშევარი.

ასეთი დამოკიდებულების ბრალია ის, რომ დღესაც, როდესაც ჩვენს თანამედროვე ე.წ. მასმედიაში ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის საკითზე საუბრობენ ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატორები, იმ კაცის სახელსაც კი არ ახსენებენ, ვისი უშუალო დამსახურებაა, დღეს რომ ალექსანდრე ყაზბეგის სახელი ხსენდება ჩვენს ლიტერატურაში და არა დიმიტრისა.

ადრე ვახტანგ კოტეტიშვილის სახელი იჩქმალებოდა საგანგებოდ. ბოროტების გამო. ამჟამად კი ეს ხდება წარსულისადმი დაუდევარი დამოკიდებულებით, არცოდნის გამო, რაც ერთი ტუტუცური ანდაზის გამო, დღესაც „არცოდვად“ ითვლება.

ან ვიღას ენაღვლება 70 წლის წინათ ბოლშევიკების მიერ ოთხ შავრზოსან რაინდთაგან ერთადერთი წამებული გმირის, ვახტანგ კოტეტიშვილის სოღანლულის სანაგვეებში ჩაყრილი ძვლების ბედი!

ცოტა ხანში „მერანი“ გამოსცემს ნანა კოტეტიშვილის მიერ შედგენილ დიდ კრებულს, რომელშიც შევა ვახტანგ კოტეტიშვილის რჩეული ფოლკლორისტული ნაშრომები. აქვე იქნება წარმოდგენილი მდიდარი დოკუმენტური მასალა, მათ შორის, ახალ მიკვლეულიც.

– „ჩემი წუთისოფელში“ ძალზე კარგად არის დახატული ტრადიციული ოჯახის სახე. ის, რაც თითქოს იკარგება და, მაღლობა ღმერთს, არც იკარგება. ასეთივე სისავსით და ცოცხლად არის ტრადიციული ოჯახი მარინე რჩეულიშვილის ნიგნში, რომელიც გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებას ეძღვნება. მწერალ მაკა ჯოხაძესთან საუბარში ქალბატონმა მანანა გაბაშვილმა „იბერიის“ ლიტერატურულ ტელეგადაცემაში „სილუეტი“ ამავე თემაზე ვრცლად და ძალზე საინტერესოდ ისაუბრა. ამოუწურავი თემაა, მთელი ინსტიტუტია ტრადიციების და ურთიერთობების. ამ ყველაფერს თქვენ „მიგ-



ნიდან“ იცნობთ. ჩვენც ვისაუბროთ ამ თემაზე, კერძოდ, ოჯახისშვილობაზე. . .

– მე, უდემამოდ დარჩენილ თოთო ბაღს, ისეთი ადამიანები მზრდიდნენ (და, დიდდა, მამიდა, ბიძა-ძალოები), რომც არაფერი ეთქვათ, იმათ მაგალითზე ცუდი ვერ გაიზრდებოდა ბავშვი. მაგრამ, აბა, იმათ უთქმელად რა გააჩერებდათ?! სულ იმას ჩამჩიჩინებდნენ: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო“, და მეც მახსოვდა კი არა, ფრიადოსან მოწაფესავით „საზებუროდ“ მქონდა დავალებული. ან ჩიჩინი რად მჭირდებოდა, შინ არა მყავდნენ კედლებზე ხატებად ქცეული დედ-მამის პორტრეტები, რომელთა სულებს ყოველდამ სასოებით ვავედრებდი პაპისეულ ღვთისმშობლის ხატს?!

იოლი არ გახლავთ ოჯახისშვილობის უმძიმესი (მაგრამ უამესი) უღლის ტვირთვა და მთელი ცხოვრების მანძილზე მისი ქედდან ჩამოუხსნელად ტარება. ვინ იცის, ჩემს პატარა ბიჭობაში როგორ მდომნია ქუჩის ბირჟაზე ჩამოჯდომა და მზესუმზირის ნკაპუნი, დიდდას კოპებშეკრული სახე რომ გამხსენებია, ამას რა გამაკეთებინებდა?!

ოჯახისშვილობის ფასი ადრე ყველამ იცოდა. მახსოვს, პურზე გაგზავნილი ბესიკის ქუჩაზე მდებარე სკვერში შეეყვინდი, სადაც ე.წ. „ძველი ბიჭები“ ყომარს აგორებდნენ ბიჭ-ბუჭა მაყურებლებით გარსშემორტყმულნი. მეც, რასაკვირველია, პირდაფრენილი დავაშტერდი. უცებ ცხოვრებულმა ილო მთანმინდელმა ამომხედა და მკაცრად მითხრა: „მამაშენის შვილს აქ არაფერი ესაქმება, ეხლავე შინ წადიო.“ ეს მხოლოდ ჩემი მისამართით იყო ნათქვამი, სხვა ბავშვებს არ ეხებოდა.

ეჰ, რას ვიზამთ?! ღირსეული ოჯახისშვილობის ფასი, რაც ძველად ე.წ. „შავმა სამყარომაც“ კარგად იცოდა, დღევანდელმა ბევრმა ვითომ ინტელიგენტმაც აღარ იცის.

– თარგმანთან დაკავშირებით ათასგვარი თეორია არსებობს. პოეზიის თარგმნას რაც შეეხება, იმასაც ამბობენ, პოეზიის გადმოტანა სხვა ენაზე შეუძლებელიაო. თქვენი „აღმოსავლურ-დასავლური დივანი“ ამ თეორიას მთლიანად აცამტკვერებს.

პოეზიის თარგმანებიდან რომელ ნიგნებს გამოყოფდით და საერთოდ, რას იტყვით ლირიკის თარგმნაზე?

– უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ჩემი პოეტური თარგმანების ასეთი შეფასებისა და დაფასების გამო. რა ვიცი, ამ 70 წლის გადასახედიდან, მგონი, იმას მივალნიე, რომ ჩემი ზოგიერთი თარგმანი ორიგინალივით ჟღერს, რაც კარგი თარგმანის აუცილებელ პირობად მიმაჩნია.

სხვათა პოეტური თარგმანების ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ვაი, თუ მათგან რომელიმე შემთხვევით ვიგულმავინყო და ამით გული დავწყვიტო ჩემს ღირსეულ კოლეგებს...

რაც შეეხება ლირიკის ჟანრს, მისი თარგმნა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ეპოსისა.

– სპარსულ ლიტერატურასთან დაკავშირებით იმგვარი სურათი იხატებოდა, რომ იქ თითქოს მხოლოდ შუა საუკუნეების ლიტერატურა არსებობდა. შემ-

დგომ უკვე, საბჭოთა პერიოდში სათარგმნელად სოციალური კუთხით შეირჩეოდა ნაწარმოებები, რადგან ძალაუნებურად ჩვენც იმ რკალში ვიყავით მოქცეულები. ახლა უკვე გამოჩნდა თარგმანები, რომლითაც ვრწმუნდებით, რომ თანამედროვე სპარსული ლიტერატურა ძალზე საინტერესოა. თქვენ რას იტყოდით თანამედროვე სპარსულ მწერლობაზე საერთოდ და კონკრეტულად ვინმეს ხომ არ გამოარჩევდით?

– ლამის მთელი ჩემი შემოქმედებითი, ახალგაზრდული ენერჯია კლასიკური პერიოდის სპარსული პოეზიის თარგმნას შევალიე. შემდეგ უკვე ევროპისკენ გადმოვიინაცვლე. თანამედროვე სპარსულ ლიტერატურას, ჩემი სტუდენტობის პერიოდში, საზღვრების ჩაკეტილობისა და სრული ინფორმაციული ვაკუუმის გამო თითქმის არ ვიცნობდით. როდესაც საზღვრები ცოტა მოფონდა და იქით გადავიხედე, ვიფიქრე, ჩემს მოწაფეებს, სტუდენტებს, აღმოსავლურად რომ ვთქვათ, შეგირდებსაც ხომ უნდა დავეუტოვო „საკბილო“-მთქი და ასეც მოვიქეცი. ღვთის წყალობით ბევრი ნიჭიერი მთარგმნელის ჩამოყალიბებაში მირევია ოსტატის ხელი და ეს მეამაყება. ისინი ჩემზე უკეთ მიხედავენ თანამედროვე სპარსულ ლიტერატურას. ასე რომ, აქ საქმე საიმედო ლეგიონის ხელშია.

– „ჩემს წუთისოფელში“ სინამდვილეს წარმოსახვასაც მიაშველებთ, რაც ძალიან ბუნებრივად ერთვის თხრობას და უფრო შთამბეჭდავს ხდის, ცოცხალს და სახიერს.

ამერიკულ ლიტერატურაში მთელი აურზაურია ატეხილი იმის თაობაზე, რამდენადაა დასაშვები დოკუმენტურ მასალას შეაშველო წარმოსახვა. აქვს თუ არა მწერალს ამის უფლება. ერთი ამბავია ატეხილი და სხვადასხვა ავტორებს ამის გამო ედავებიან.

თქვენ რას იტყოდით ამ თემაზე. არსებობს საზღვარი წარმოსახვასა და სინამდვილეს შორის, როდესაც მხატვრულ-დოკუმენტური ნიგნი იწერება? ეთანხმებით ასეთ დანაწევრებას?

– მე, ჩემდა სამწუხაროდ, არ ვიცნობ იმ ამერიკულ ლიტერატურულ მასალას, რაზეც თქვენ ბრძანებთ. თუ ეს ასეა, რბილად რომ ვთქვათ, გაგიუბებლან ჩვენი კოლეგა ამერიკელები. მემუარული რომანი საკანცელარიო დავთარი არ გახლავთ, რომელშიც მხოლოდ მშრალი ფაქტები უნდა იყოს აღნუსხული, ყოველგვარი ემოციის გარეშე. ხატოვანი წარმოსახვის ნიჭისა და აზროვნების უნარის უარყოფით ისე გაგიქრებათ ნამდვილი ხელოვნება, როგორც თითებსშუა ჩანრეტილი წყალი. წარმოსახვა სულია. ნაწარმოებს თუ სული არ გააჩნია, მას არც შეიძლება ხელოვნების ქმნილება ერქვას. ეს ისეთივე მკრეხელობაა, რელიგიას რომ დამამტიციებელი მატერიალური დასაბუთებები მოსთხოვო. რწმენის გარეშე არაფერი არსებობს.

დაიხ, ნეტარ არიან და იქნებიან მორწმუნენი, ამინ!

სამშაბათს, 21 მარტს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
წარდგინება
როსტომ ჩხეიძის
მონოგრაფიისა
„ქება სიზარმაცისა“
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის №41

ესაუბრა
თამარ ღონღაძე

გიორგი გიგაური

ენით, გაგულთ, სარწმუნოებით!..

რადგან საქართველოს გადაშენება არ უნერია, რადგან დღეს, ავად თუ კარგად, მაინც ვქართველობთ და უკეთესი დროების იმედიც არ დაგვიკარგავს, ალბათ, საშურია გავი- აზროთ, კიდევ ერთხელ გავისიგრძეგანოთ, რამ გვიშველა, რამ გადაგვარჩინა, რა გვაძლევს მარადისობაში ამალღების უნს. პასუხი არაახალია და არც დიდ ფიც-მტკიცეობას მოით- ხოვს: მამული, ენა, სარწმუნოება. დიდმა ილია მართალმა ეს სამება გვირგვინად დაადგა ყოველთა ქართველთა საზრისს და საკუთარი ცხოვრებით, მოღვაწეობით და სიკვდილითაც კი, ბეჭედი დაუსვა წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში გან- ხილულ-განსახილველს.

„მტრობა ენისა არს მტრობა ქვეყნის“

პირველად იყო სიტყვა...

ოდითგანვე ქართველთა მიერ წარმოთქმული სიტყვა მა- მულსა და რწმენას უკავშირდებოდა. ქართული ენა ერთდრო- ულად იარაღიც იყო, ფარიც და ღვთით აღვლენილი ლოცვის მეგზურ-გზამკვლევიც. შრომობდა, ომობდა, ლექსობდა თუ ლოცულობდა, ქართველი თითო ბავშვივით ელოლიავებოდა მშობლიურ ენას. ქართული ენა იყო მიზანიც, საშუალებაც და შედეგიც ქართველთა მონანილეობისა ზოგადსაკაცობრიო ფერხულში და აბა, ვინ გაბედავს და იტყვის, მაინცდამაინც დიდი ვერაფერი „მოგვიფერხულებია“, რადგან ასეთ დღეში ვართო.

თუ ასეთ მძიმე დღეში ვართ (და რომ მართლაც გვიძიმს, ამას წყალი არ გაუვა), სწორედ იმის გამო (სხვა მიზეზებთან ერთად), რომ მშობლიურ ენას ვუღალატეთ. თითქოს, აღარც გვემშობლიურება, გაურკვეველ მახვილებს ვუმარჯვებთ, უცნაურ გრამატიკულ გისოსებში გამოვკვეტეთ, შეუთავსებელი „კალკებიტა“ და „ინტერნაციონალური“ „ნაგავ-ნუგავით“ (ვაჟას ტერმინია – გ.გ.) „ვამდიდრებთ“ და ღმერთმა უწყის, რას არ ვკადრებთ. მოკლედ, მტერი არ უსურვებს ქართულ ენას, ჩვენვე რომ დავმართეთ.

რა არის ამის მიზეზი? ჩვენი გულარხეინობა თუ მავანთა მიზანმიმართული მტრობა? ალბათ, ორივე! თუმცა, ამჟამად მთავარი ის არის, უკვე მერამდენედ დავიწყეთ ქართული ენის გათავისუფლებისათვის ბრძოლა. ისე, როგორც კალამ- გაუშრობლად იღვწოდნენ ილია, ვაჟა, უამრავი პატრიოტი ახლო თუ შორეულ წარსულში.

ზვიად გამსახურდიამ იოანე-ზოსიმეს „ქეზი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს კვლევისას ფრიად საგულისხმო დას- კვნა გააკეთა.

„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოს- ლვისა მისისა, სანამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“, – ასე იწყებს იოანე-ზოსიმე თავის „ქე- ბაი“-ს.

ვინაიდან „ენა“ ძველ ქართულში, ისევე როგორც სხვა ძველ ენებში მხოლოდ ენას კი არა, არამედ ხალხს, ეროვნე- ბას, მოდგმას ნიშნავდა, ამდენად, ზვიად გამსახურდიას დას- კვნით, იოანე-ზოსიმეს ზემოხსენებული ციტატა დღევანდელ ქართულ ენაზე ასე უნდა ნავიკითხოთ:

„ქართული ეროვნება და მისი ენა (ქართველი ერი) შენარ- ჩუნებულ იქნება მისი (ქრისტეს) მეორედ მოსვლის დღემდე, რათა მან სწამოს (ქრისტესთვის), რათა ყოველი ერი ღმერ- თმა ამხილოს ამ ერის მეშვეობით“.

იოანე-ზოსიმე ქართულ ეროვნებას არ იგულისხმებდა ქართული ენის გარეშე, ვინაიდან ქართული ენისა და კულ- ტურის გარეშე, მხოლოდ ერის მიღწევას მეორედ მოსვლამდე არ ექნებოდა არავითარი მნიშვნელობა (იხ. ზვიად გამსახურ- დია, 1991. „ნერილები და ესსეები“, გვ. 3-6).

ქართული ენის საკრალურ მნიშვნელობასა და დანიშნუ- ლებას გვერდს ვერანაირად აუვლი. თუნდაც იმიტომ, რომ ივერია ღვთისმშობლის წილხედომილი ქვეყანაა და ივერთა ენას რა რა და ქრისტეს მოძღვრების ერთგულება ნამდვილად არ დაეყვედრება.

„რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს...“ – წუხდა გრიგოლ ორბე- ლიანი. უფრო ვრცლად ასახა ეს სატიკვარი ილია ჭავჭავაძემ:

„ენა არის დედა-ბოძი საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა და თუ ეს დედა-ბოძი გამოვაცალეთ, თუნდ არა ბოროტ განზრახვით, არამედ ჩვენი უფიცობით, გულგრი- ლობით, თუ რუსეთუმეების გზას დავადექით, მაშინ ჭერი ჩა- მოგვეგრევა, სახლს ქვეშ მოიტანს, და ჩვენი მშობელი ქვე- ყანა, ჩვენი საქართველო განადგურდება, განიადება დედა- მინის ზურგზე...“

აი, რატომ არის ილიასეული შემორისხებული ზარის ტოლფასი:

„მტრობა ენის არის მტრობა ქვეყნის“.

ჩვენ ვერ მივალთ „აღთქმულ ქვეყანამდე“, ვერ ავაშენებთ ქართულ სახელმწიფოს, თუ დედა-ენას არ მივანიჭეთ სათა- ნადო ადგილი, თუ არ გავწმინდეთ „უცხო მინარეებისგან“ და კეთილშობილი მეტალივით არ მივანიჭეთ მისთვის კუთ- ვნილი ბრწყინვალეობა.

მშობლიური ენის აკვანში მინამლერი „იავნანას“ გარეშე ჩვენი ყმანვილკაცები ვერ დაიზრდებიან, ვითარცა „აღგეთს ლეკები მგლისანი“, ჩვენს ქალწულებზე კი აღარ იტყვიან „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

აბა, სხვანაირად რა აზრი ექნება იმ ქვეყანაში ცხოვრე- ბას, რომელსაც მხოლოდ სახელადღა ერქმება საქართველო, შიგთავსი კი ფულუროსავით ცარიელი იქნება, ციცივისთვის საზამთროდ თხილის შესანახადაც კი გამოუსადეგარი!

ვეჭვობ, ქართველობა ასეთ ბედს შეურიგდეს...

თითქოს, დღესავით ნათელია, მაგრამ მაინც ათასგზის უნდა გავიმეოროთ: ვინც მშობლიურ ენას მტრობს, ის მა- მულს, დედა-სამშობლოს ებრძვის. მნიშვნელობა არა აქვს, ეს ენაგონჯობა ნამხედურობითა და ღარიბი ლექსიკით დამარ- თნია თუ გულში ქართული ენის მიზანმიმართული დამახინ- ჯება გაუვლია.

დღეს „ნამხედურებსაც“ შევხვდებით ყველა ორღობეში და ქართული ენის მოსისხლე „ტერორისტებსაც“; მერე რა, რომ პირველები გაცილებით მეტნი არიან მეორეებზე. ორი- ვენი ერთ საქმეს აკეთებენ... შევ საქმეს ვგულისხმობ. რა კავ-

შირი აქვთ ერთმანეთთან ენას და მამულს? რატომ არ შეიძლება ერთდროულად მშობლიურ ენასაც ამახინჯებდეთ და მამულიც საფიცარ ხატად გაგეხადოს?

„მამულს საყვარელო, უნდა როსლა აყვავდები?“

ვის არ უნახავს ჩიქორთულით, გაურკვეველი სიტყვებითა და გრამატიკული წყობით მოლაპარაკე პოლიტიკოსი, „საზოგადო მოღვაწე“, ყველაფრისმცოდნეობის ფაკულტეტ-დამთავრებული ექსპერტი თუ „ვარსკვლავი“. რა საკითხი, თემა დარჩა ქვეყანაზე, მათი ბრძნული კომენტარ-აზრებით რომ არ „ზომბავდნენ“ მედიასამუშალებად ნოდებულები ჟურნალ-გაზეთები თუ ტელევიზიები გაოგნებულ მოქალაქეებს. და იფრქვევა ობოლი მარგალიტებით სანის სერიოზული გამომეტყველებით წარმოთქმული სისულელები (მიზანმიმართულ მზაკვრობებზე რომ არაფერი ვთქვათ)... ამ ჩვენი ცოდვით სავსეებს საქვეყნო საქმეებსა თუ მარადიულ საკითხებზე მსჯელობა გაუმართავი ქართული იმიტომაც ეჭაშნიკებათ, რომ მწირი ქართული განათლება აქვთ. არც ანაღვლებთ, დღევანდებლობაში ფონს ხომ ისედაც გადიან! საქართველოს პატრიოტები რომ იყვნენ ხომ სიყმანვილიდანვე გაისიგრძელებდნენ იაკობს, ვაჟას, ილიას, შოთას?! ანდა, თუ „მძიმე ბავშვობის“ გამო ვერ ეზიარნენ ეროვნულ საუნჯეს, ვერ მოიმაგრეს ძვლები კურთხეული ქართული „ვიტამინ-მინერალებით“, დანაკლისს, სურვილის შემთხვევაში, ხომ აუცილებლად შეივსებდნენ?!

უბედურება (მათიც და ჩვენიც) სწორედ ის არის, რომ არაფრად დაგიდევინ არც ქართულ ენას, არც უმდიდრეს ქართულ კულტურას და არც ქართულ სახელმწიფოს! ისინი ამ ყველაფერზე „მაღლა დგანან“! რა ქართული, რის პატრიოტიზმი, მოგცლიათ ერთი – მთავარი ფული, ქონება და „ცივილიზებული კაცობრიობის წარმომადგენლებთან“ ერთად კანარის კუნძულებსა თუ ფრანგულ რივიერაზე მიღებული „პრესტიჟული ზაგარია“...

ისინი „მსოფლიოს მოქალაქეები“ არიან და ამდენად, ქართულიც არაფრად ლეგონდებთ. მათ ფრანგებით, ამერიკელებით, იტალიელებით სურთ ცხოვრება და ქართული ენა, მამული და სარწმუნოება მძიმე ტვირთად ქცეულა ამ ხორცეული ტკობით მოკირწყლულ გზაზე. ჯვარი ძლიერ მძიმეა მათთვის, ვინც არ იცის, რა არის პასუხისმგებლობა საკუთარი კულტურის, ისტორიის, სამშობლოს წინაშე. ჩვენი დილემა ის არის, რომ ფრანგებით ცხოვრება კი გვინდა, მაგრამ ფრანგებით საკუთარი სახელმწიფოს სამსხვერპლოზე ყველაფრის გაღება ვერანაირად წარმოგვიდგენია. ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ ფრანგებით ან იტალიელებით, სანამ ქართულ სახელმწიფოს არ ავაშენებთ და ჩვენი სამშობლოს, მამულის თავგადაკლული პატრიოტები არ ვიქნებით.

გაიღე ყველაფერი სამშობლოსთვის და შემდეგ აიღე მისგან იმდენი, რომ კვლავ შეგეძლოს ყველაფრის გაღება!

ძნელი წარმოსადგენია? აქამდე ხომ სწორედ ამან მოგვიყვანა, სწორედ ამან გადაგვარჩინა!

რუსთაველმაც ხომ სამარადისოდ ამოტივტივრა ჩვენს გულში:

„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია!“

კვლავ წარმოუდგენელია? მაშინ ერთ პატარა ლირიკულ გადახვევას გააკეთებ. ერთი ჩვენი მეზობელი ეთნოსის წარ-

მომადგენელი თბილისელი ლიტერატორი რატომღაც რუსთაველის უკვდავ პოემას ჩაჰკირკიტებდა. ეს უკვდავი „რასაცა გასცემ...“ რომ ამოუკითხავს, თავში ხელი შემოუკრავს, მგონი, მწერალთა კავშირშიც დაურეკავს – ბექდვისას შეცდომა გაგპარვიათ, „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ კი არ უნდა ენეროს, არამედ „რასაც არ გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“-ო...

თქვენი კვნესამე, პატრიოტი ქართველისთვის, ისევე როგორც პატრიოტი ფრანგისთვის თუ მონღოლისათვის, ეს არათუ წარმოუდგენელია, არამედ „იავნანასავით“ ბუნებრივია.

მამულის სიყვარული და მისთვის თავგანწირვა, პატრიოტიზმი და სწორედ პატრიოტიზმი არის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათაგან უპირველესი. ჩვენში კი, სამწუხაროდ, კოსმოპოლიტიზმი დღესაც ამ უპირველესი ღირებულების „უფროსი რამ“ ჰგონიათ.

„ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტი. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილ-გონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას... თუ კერძო ადამიანისთვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, – აგრევე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერჯია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საღაროში...“ – ამას უკვდავი ვაჟა ნერდა, 1905 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში – „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.

ზოგიერთმა ჩვენმა თანამემამულემ, რომელსაც ყურმოკვრით გაუგია ამ პუბლიკაციაში ვაჟას ნაზრევზე, ქართველთა შორის ერთ-ერთი უპირველესი მამულიშვილი „კოსმოპოლიტად“ მონათლა. მათი „ლოგიკური დასკვნა“ ასეთია: სწორედ კოსმოპოლიტია მგოსანი, რომელიც შვლის ნუკრის ცრემლს დაჰკანკალებდა, ხმელი ნიფელის ოხვრა-კაეშანს ითავისებდა და მოსისხლე მტრის ღირსების დასაცავად თავგანწირვას ხოტბას ასხამდა! მაგრამ მთავარი ავიწყდებათ (ან არ უნდათ გაიგონ): თუ შენი არ გიყვარს, „სხვას“ პატივს ვერ მიავებ; თუ საკუთარი გულისცემა არ გესმის, მცენარესა თუ ცხოველს ვერ „გააადამიანურებ“.

თუმცა, თავად ვაჟას მოვუსმინოთ:

„ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? – იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერი ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოქლი... ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას ის იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შემუმწეველად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს

თავისთავის პატრონი, თვითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“.

ვაჟას და ილიას „კოსმოპოლიტ-ინტერნაციონალისტმა“ ოპონენტებმა, სამწუხაროდ, არ შეისმივნეს პატრიოტთა შეგონებანი. ამით თავიც წააგეს და სამშობლოც გააუბედურეს. მათი სახელები ისტორიამ მტკრით დაფარა, ვაჟა და ილია კი დღესაც გზას გვინათებენ და გულებს გვიტობენ მარადიული საქართველოსკენ მიმავალ ნარ-ეკლიან, უამრავი სირთულით აღსავსე გზაზე.

აქა ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს!

რასაცა გავცემთ (და არა – რასაც სარფიანად გავყიდით) კვლავაც ჩვენია! ჩვენი პატრიოტიზმი, მამულისადმი მსახურება არასოდეს დაუპირისპირდება ჭეშმარიტ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს, რადგან ქართული სახელმწიფოს მშენებლობა მხოლოდ გავვიადვილებს სხვა ერის შეილებთან ერთად მსოფლიო მასშტაბითაც გავცეთ ყველაფერი და იმდენი მივიღოთ, რომ კვლავ შეგვეძლოს ყველაფრის გაღება!

საქართველოში აზრი არ აქვს მეორე საფრანგეთის ან მეორე შვედეთის შტატების აშენებას. ამგვარი „ქსეროასლები“ კაცობრიობას ვერაფერს შესძენენ. ჩვენ ვაჩუქეთ კაცობრიობას მედიცინა, მეტალურგია, ღვთიური პოლიფონიურობა – მრავალხმიანი სიმღერა; ძლიერი ქართული სახელმწიფო იყო რენესანსის წინაპირობა და ერთგვარი წყარო ევროპული აღორძინებისა; ძლიერი საქართველო იყო ჩაგრული ხალხების თავშესაფარი თუ ევროპის თავზე აღმართული მახვილის წინააღმდეგ კლდესავით ჩამდგარი ჯვარმოსილი ფარი...

ქართული პატრიოტიზმი არ არის სასარგებლო წიაღისეული, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე სავაჭროდ უნდა გავიტანოთ და შევავდროთ კაცობრიობას, იქნებ, ასეთ კარგებს და სასარგებლოებს სახელმწიფოს აშენების უფლება მოგვცეთო.

ჩვენი პატრიოტიზმი არ საზრდოობს ვინმეს საწინააღმდეგოდ შეკრებილი სიძულვილის მუხტით. ქართველობას სიყვარული ამოძრავებს ოდითგანვე! ვინ სძულდა ცოტენ დიანს ან თევდორე მღვდელს გასაოცარი გმირობისა?! სად ამოიკითხავთ სიძულვილს დიდგორის უმაგალითო „ძლევაი საკვირველი“?! ვის წარმოუდგენია მძულვარებით გულდაკოდლი განსაცვიფრებელი არაგველები?! განა სიძულვილისთვის ეწამნენ 9 აპრილის მარადიული გმირები?! რალა შორს წავიდეთ – ღმერთი დალოცავს ათასობით ქართველს, რომლებიც საქართველოს სიყვარულის გამო, გაცნობიერებულად, შიშველი ხელებით ეგებებოდნენ ტყვიების წვიმას თბილისის ქუჩებში 1992 წლის დასაწყისში...

მთელი მსოფლიო რომ ყალყზე დადგეს, მამულისთვის თავგადასხვებულ ქართველებს ვერავინ წაართმევს უმაღლესი პატრიოტული სულისკვეთების გამოვლინების – ქართული სახელმწიფოს, საქართველოს შენების უფლებას!!!

რატომ? იმიტომ, რომ გვიყვარს, თავდავიწყებით, სამარადისოდ!..

საქართველო რომ დღესაც არსებობს, შინაურ თუ გარეშე მტერთა საუკუნოვანი მცდელობის მიუხედავად, მაინც რომ შევინარჩუნეთ ავად თუ კარგად ჩვენი ტრადიციები და მსოფლხედვა, ალბათ, განსაკუთრებული მნიშვნელობის „ძლევაი საკვირველი“-ა. მსოფლიო იმპერიებისა თუ „ადგილობრივი მნიშვნელობის“ დამპყრობთა წისქვილის ქვებ-

ქვეშ მოქცეულებმა მაინც შევძელით ენის, მამულის გადარჩენა. რა ძალამ შეგვადლებინა ეს? რამ შთაბერა უკვდავების სული არაერთგზის თითქოს სასიკვდილოდ განწირულ ქართველობას?

„აჰა, მეომარო ქრისტიანო...“

რა თქმა უნდა, ჩვენი გადარჩენის მიზეზთა შორის არაერთი პროზაული ასპექტის დასახელება შეიძლება – შრომის-მოყვარეობა, ზნეკეთილობა, შემქმნელობა (და არა მომხმარებლობა), სილამაზისადმი ბუნებრივი ლტოლვა და უამრავი, უამრავი რამ. თუმცა, ყველა ამ სიქველეს ერთი გვირგვინი ადგას თავზე – სარწმუნოება!

თუ რამ გადაგვარჩინა და მოგვიყვანა დღემდე, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ უპასუხა წლევიანდელ საშობაო ეპისტოლეში:

„მაღლობას ვწირავთ უფალს იმისთვის, რომ მოგვანიჭა გონება და შინაგანი ხედვა, რათა სული ჩვენი ვყოთ ტაძრად, გული კი სანთლად წინაშე ღვთისა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დავინახოთ „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“.

ბედნიერი ვართ, რომ ჩვენი ერი ოცი საუკუნეა მისდევს მაცხოვრის გზას და დღემდე ერთგული დამცველია იმ რწმენისა, რომელიც იესო ქრისტემ და მისმა მოციქულებმა იქადაგეს.

მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ ჩამოაყალიბა არა მხოლოდ ერთიანი ქართული სახელმწიფო და უნიკალური კულტურა, არამედ განსაზღვრა ქართველი კაცის ცხოვრებისა და აზროვნების წესიც“.

„ან“-იც ეს არის და „ჰოე“-ც!

საქართველო რწმენამ გადაარჩინა, ენისა და მამულისადმი ერთგულება მართლმადიდებლობამ გაასხივოსნა!

„როდესაც ქვეყნად მოვიდა იესო ქრისტე, დადგა ქრისტიანული ერი, აღორძინების სტიმული მიეცათ რასებს, ერებს, ადამიანებს. ყოველივე დამდაბლებულია და დაწუებულია აღდგომისა და ამაღლების საწინდარი გახდა ქრისტეს იმპულსი, იოანე ნათლისმცემლის სიტყვებისამებრ: „ყოველი ხევნები ამოივსოს და ყოველი მთანი და ბორცუნი დამდაბლდნენ“ (ლუკა. IV. 5). ყველაზე მეტად დამდაბლებულ და დაწუნებულ ქართულ მოდგმას, ქართულ ენას მიეცა სტიმული აღდგომისა, ლაზარეს მსგავსად. ისევე როგორც ჯვართან მდგარ ლაზარე-იოანეს ჯვარცმულმა მაცხოვარმა ანიშნა ღვთისმშობელზე და უთხრა: „აჰა, დედაი შენი“, ხოლო ღვთისმშობელს უთხრა: „აჰა, ძე შენი“ (იოანე 19. 26-27), ასევე გახდა საქართველო, იბერია, ღვთისმშობლის წილხვდომილი აღდგომიდან მეერგასისე დღეს, მარტვილიას, ასე რომ ლაზარე-იოანე და საქართველო თითქმის ერთდროულად იშვილა ღვთისმშობელმა მაცხოვრის ნებისამებრ. აი კიდევ რატომ ჰქვია ქართულ ენას ლაზარე სახარებასა შინა!“ – ნერდა ზვიად გამსახურდია (1991 წ. „წერილები და ესკეზები“. გვ. 36-37).

რომელი მოდგმის ხალხები უნდა ჩაითვალოს წამყვანად ქრისტიანობის განვითარებაში? „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს უკვდავი ავტორის, იოანე ზოსიმეს კონცეფციით, ეს ხალხებია ქართველური და ინდოევროპული (ბერძნული) მოდგმის ხალხები, ვინაიდან სემიტურმა ხალხებმა პირველ საუკუნეშივე შეასრულეს თავიანთი როლი ქრისტიან-

ნობის აღმოცენებასა და დაფუძნებაში, მაგრამ შემდგომ საუკუნეებში მათი მისია აღარ გაგრძელებულა ამ მიმართულებით. ქართველური მოდგმის ხალხებმა კი იტვირთეს ძირითადი როლი როგორც ეგზოთერული, ასევე ეზოთერული ქრისტიანობის, როგორც თეოლოგიის, ისე თეოსოფიის განვითარებაში.

ზვიად გამსახურდიას თავის „ესსეებში“ მოხსენიებული ჰყავს წმინდა მამები, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით დაამტკიცეს ქრისტიანულ განვითარებაში ქართული გენის ღვანლი: აღმოსავლეთის ეკლესიის უდიდესი ბურჯები წმინდა გიორგი კაპადოკიელი, წმინდა ნიკოლოზ მირონ-ლუკიელი (ლიკიელი), კაპადოკიელი მამები: ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი და მრავალნი სხვანი.

ქრისტიანული თეოლოგიისა და თეოსოფიის უდიდესი ბურჯი იყო პეტრე იბერი, არეოპაგიტული ტრაქტატების ავტორი. ეს ტრაქტატები საფუძვლად დაედო როგორც აღმოსავლეთის, ისევე დასავლეთის ეკლესიების ღვთისმეტყველებას, მისტიკას, ეზოთერულ ქრისტიანობას.

აღსანიშნავია, რომ მისიონერული მოღვაწეობაც კაპადოკიელ და ქართველ ქრისტიანებს უფრო ახასიათებდათ, ვიდრე ბერძნებს.

ქართული მოდგმის, ქართული ენის კურთხეულობისა და ღვთისმშობლის წილხვდომობის იდეა მარტოდენ ქართული მესიანიზმის შედეგი არ გახლავთ. ამ იდეას იზიარებდნენ ბერძნული და რუსული ეკლესიებიც. ძველბერძნულ ქრისტიანულ ლიტერატურულ ძეგლებში ქება-დიდება არ დაჰკლებიათ წილხვდომილ ივერებს, რუსეთის პატრიარქმა ნიკონმა კი ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში გადაასვენებინა დიდი პატივით ივერიის ღვთისმშობლის ხატის პირი და მას სპეციალური ტაძარი („ნოვაია ივერსკაია ობიტელ“) შეუქმნა. ამჟამად ხატი დასვენებულია მოსკოვში, სოკოლნიკის აღდგომის ტაძარში და აქვს სპეციალური სადღესასწაულო დღე (12 თებერვალი). ამის გამო ივერიის ღვთისმშობლის ხატი ერთ-ერთი უმთავრესი სიმბოლოა რუსული ეკლესიისა, იგი უდიდეს როლს თამაშობდა ოფიციალურ კულტშიც, რაც იქიდან ჩანს, რომ ოფიციალური საკულტო ცენტრის, მოსკოვის კრემლის ერთ-ერთ უმთავრეს კარიბჭეს მის პატივსაცემად ივერიის კარიბჭე („ივერსკიე ვრატა“) ეწოდება.

საქართველოს რუსული აღმნიშვნელი „გრუზიაც“, მკვლევართა აზრით, სწორედ იმ ღვთიური ტვირთის მიმანიშნებელია, რაც უფალმა მიანიჭა ჩვენს სამშობლოს მსოფლიო რელიგიების აკვან-რეგორნში.

ილია ჭავჭავაძე ქრისტიანობას საქართველოს გამაერთიანებელ პოლიტიკურ, მსოფლმხედველობრივ კვითკირს უწოდებდა. ენისა და მამულის განცდასთან ერთად, სწორედ ქრისტიანობა აერთიანებდა ერთ მთლიანად ქართველურ ტომებს, კუთხეებს, რათა შემდგომ მატერიალური და სულიერი ფასეულობების ხელთუპყრელი ძეგლები შექმნილიყო.

„არც ერთ ერს არ შესძლებია ჩვენებრ რელიგიის გაშუქება პოეზიის ოპტიკით. ქართველობა ისე ვიდოდა იესოს სისხლიან კვალზე, რომ ამავე დროს დიონისეს ყვავილოვან შუბლს თვალს არ ამორებდა“ – წერდა კონსტანტინე გამსახურდია.

რუსთაველის მარადიული პოემა სწორედაც რომ დადასტურებდა ქართველთა უპირველესი პოეტის ღვთისმოსაობისა. გმირთა დიდებულებოვნება, სიუხვე, დამარცხებული მტრის დანდობა, გლახაკთა და უპოვართა მიმართ სიბრალული, კეთილშობილი ალტრუიზმი – ჭეშმარიტი ქრისტიანის თვისებებია, რომლებითაც ასე უხვად არიან დაჯილდოვებული „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები.

აკი, რუსთველიც აღიარებს „ჭეშმარიტ ცოდნას“:

არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა, მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა ნყობისა...

საუკუნეების განმავლობაში ისტორიულმა ქართველებმა ქართველი და მართლმადიდებელი სინონიმებად აქცია. სწორედ მართლმადიდებლობამ შეაძლებინა ქართველობას საქართველოს, როგორც ასეთის, შექმნა და გაბრწყინება. ჩვენი ყველა წარმატება და „ჭირსა შიგან გამაგრება“ მაცხოვრის უღალატობითა და სიყვარულით არის აღბეჭდილი. ამიტომ ქართველობისა და მართლმადიდებლობის განცალკევება ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც სხეულიდან ამოგლეჯილი გულის ავტონომიური ცხოველმყოფელობა.

აღამიანის, როგორც „ისტორიული არსების“ დანიშნულება არანაკლებ ამძაფრებს ქართველობის ერთგულებასა და თავგანწირვას ქრისტეს მოძღვრებისათვის. ზუსტად არავის დაუთვლია, მაგრამ ალბათ, მილიონობით ქართველმა შესწირა თავი ქრისტეს სახელით ბაგეზე უთვალავ მტერს, რომელიც გადაშენებას გვიქადა და სარწმუნოებისათვის გვარბევდა.

რა ვუთხრათ წინაპართა სულებს, ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის მკერდშეღწილ გმირთა საფლავებს, რას იკლავდით თავს ქრისტიანობისთვის, იქნებ, უფრო კარგად და მაძლრად გეცხოვრათ, თავს რომ გაფრთხილებოდითო?!

რითი ვიმართლოთ თავი კურთხეული ქართული მიწის ყველა კუთხე-კუნჭულში მიმოფანტული, მტრის მახვილით დაჩეხილი მამა-პაპათა ძვლების წინაშე, იქნებ, მაგ ტაძრების მშენებლობას ქონება გეგროვებინათო?!

თუ მართლმადიდებლური ცხოვრების წესისთვის სისხლდანთხეულთ მტყუან-მართლის გარჩევის ნიჭში შევეჯიბროთ და დავუცაცხანოთ, მტერ-მოყვარეს რად ვერ არჩევდით, სხვის რელიგიურ უფლებებს რატომ არ აღიარებდითო?!

მამ, სულ ტყუილად დაღვრილა ამდენი სისხლი და ოფლი ომსა და მშვიდობაში, თუ ჩვენი სარწმუნოება არ შევინარჩუნეთ! ზიზილ-პიპილოებზე გავყიდოთ ენაც, მამულიც, სარწმუნოებაც?!

თავის სამოზაო ეპისტოლეში, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმინდა ნერილის ერთი ეპიზოდი გაგვასხენა. განსაცდელს უფალი უშვებს, რათა, როგორც ცალკეული აღამიანი, ისე ესა თუ ისერი გამოიცადოს, „ვითარცა ცეცხლში გამოწრობილი ოქრო“.

მართლაც რომ გამოცდაა დღევანდელი; კიდევ ერთი, მორიგი – ილიას მკვლევლობისთვის, კოსმოპოლიტიზმისა და ინტერნაციონალიზმისთვის, ტაძრების ნგრევისთვის, ღვთის მსახურთა რბევისთვის, დასმენებისთვის, კაციჭამია ბოლშევიკებთან თანამშრომლობისთვის, „ბრეჟნევის ხანის“ მუცელმერთობისთვის, ფარისევლობისთვის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვერმოფრთხილებისა და მკვლევლობისთვის, შევარდნაძის მხსნელად აღიარებისთვის, აფხაზეთისთვის, სამაჩაბლოსთვის, ჯავახეთისთვის, ისევე კოსმოპოლიტიზმისა და ინტერნაციონალიზმისთვის, ძმრის ღვინოდ გასაღებისთვის, თურაშაულის პატრონების მიერ ტყეში პანტის ძიებისთვის...

უფალი მოწყალეა, კიდევ ერთხელ გავგინათებს გზას, გონებას. ქართველობაც კიდევ ერთხელ აღდგება ფერფლიდან, ვითარცა ფენიქსი და ცოდვებისგან განწმენდილი ერი ენით, მამულით, სარწმუნოებით ააშენებს საქართველოს, მარადიულ საქართველოს!

აქა ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს...



ფინური წარმოშობის ქართველი ქალბატონი. დაიბადა 1970 წელს და ცხოვრობს თბილისში. დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მუშაობდა სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

თავის დროზე, როცა რუსეთმა ფინეთის ტერიტორია მიიტაცა, მაკას დიდი პაპა ალექსანდრე ლდოკონენი ციმბირში აღმოჩნდა გადასახლებული... კარგახანს გემზეც მუშაობდა. გემზევე დაინტერესდა იგი ჩვენი ქვეყნითა და მისი ხალხით. პროფესიით სამთო-ინჟინერი საქართველოში ჩამოვიდა და ტყიბულში ფერო-მარგანცის გაერთიანებაში დაიწყო მოღვაწეობა. ალექსანდრე ლდოკონენმა იმერეთშივე გაიცნო მომავალი მეუღლე, ექიმი ქალბატონი მარია აბაშიძე-ბარათაშვილი. ასე დამკვიდრდა ფინური გვარი ლდოკონენი საქართველოში.

მაკა ლდოკონენის ლიტერატურული დებიუტი შედგა გაზეთში „ნიგნები“ („24 საათის“ ლიტერატურული დამატება) – ნოველით „დიდი ბავშვებისათვის – საახალწლო საკითხავი“ (2005 წ.).

მაკა გახლავთ თვითნაწავლი მხატვარიც. ჰქონდა პერსონალური გამოფენები: მოსკოვში, საგამოფენო დარბაზ „ტროიანკაში“; პეტერბურგში, შოკოლადის სახლ „დე-კლიეში“; თბილისში: გაეროს სახლის საგამოფენო დარბაზში სახელწოდებით „დაბრუნება ბავშვობაში“; კავკასიის სახლში – „საშობაო მინიატურები“; იყო ერთობლივი გამოფენების მონაწილეც: სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში; გალერეაში „ჰობი“ (სარვა-მარტო ექსპოზიცია); ფორაქიშილეების სასახლეში („ქალები მომავლისათვის“), და სხვ.

დასურათებული აქვს ნიგნები: გრიგოლ კ. რობაქიძის ლექსების კრებული „აერობარი“, ირმა ანდრიაძის საყმანვილო ზღაპარი „ნათე და უნილავი მეგობარი“, მაია დე გრაფი ნადარეიშვილის ესეისტურ-პუბლიცისტური ნაწარმოები „ვოკალიზები“ და ირმა მალაცის ზღაპრების კრებული „ქერამუჭას სკოლა“.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მაკა ლდოკონენი

ზღაპართასხმულა

სანდუა

მომიყვებით ზღაპრები, რათა მეტი გემო ჩავაყოლო ბებიის თბილი ხელებით მომზადებულ ნუგბარს, თამაშით გავაცოცხლო ჩემი დედოფალა, არნახულ ფერთა ენაზე ავატიკტიკო თეთრი აკვარელის ფურცლები და მერე ტკბილად ჩავიძინო მზით გამთბარ ბალიშებზე:

მომიყვებით ზღაპრები, რათა ჩემი სატროფო გავაბრუო, იყოღაარად ვუქციო ბებიას შეკერილი თეთრეულით შემკული ჩვენი ნავსაყუდელი, ათასი და ერთი ღამე ვარსკვლავებზე გადავამრავლოთ და მზის სურნელით გაჯერებულ ბალიშებზე მერელა მოვისვენოთ;

მომიყვებით ზღაპრები, რათა ჩემს სხეულში მცირე ხნით მიკედლებულ პატარას ვუამბო ისინი, სინათლესთან პირველი შეხვედრა რომ დააფრთხოვს – ვანუგემო და მერე ერთ ციციქნა, მზისფერ, ფაფუკ ბალიშზე მივაძინო;

მომიყვებით ზღაპრები, რათა სიბერის ჟამს,

ზღაპართა დედოფალთან შეხვედრის ღირსი გავხდე, ვიხილო მისი ჭაღარაშეპარული ლაილისფერი თმა და ვუამბო, როგორ დამატყვევა მისმა პირველმა ზღაპარმა...

რა ხანი გავიდა მას მერე –

ჩემი ნამზეურევი ბალიშები გახუნდა და გაიცრიცა...

ზღაპრები რომ შემოეღევა, სანდუა ქუჩა-ქუჩა ხეტი-ალს იწყებს. სანდუას სხვა დროს თუ არა, შემოდგომაზე

უსათუოდ ნახავდით ხალხმრავალ ქუჩებში: ზის პატარა სკამზე, ნაბლისფერ თმებგაშლილი, გვერდით წითელ-ყვითელ ფოთლებით სავსე ტომარა უდევს, გამვლელ-გამომვლელ გოგონებს ფოთლებს თმაში უმაგრებს ან თავისი მოწული საშემოდგომო გვირგვინებით ამკობს, მერე ბებიების დანატოვარ სარკეს ამოიღებს თექის ჩანთიდან, შიგ ჩაახედებთ და ბუტბუტებს:

მუცლის თმიდან ჭაღარამდე, თმების შემოდგომა დგას გზაზე...

გოგონები, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულები შესცქერიან სანდუას, თუმცა, ისიც მათსავით გოგონაა – თანამედროვედ აცვია, ქალაქურად საუბრობს და... ჩვეულებრივია!

ზღაპრები პირველად ფეხმძიმობაში შემოაკლდა: თავის სხეულში ცხრა თვით მიკედლებულ პატარას ხუთი თვე უამბო-უკითხა, უკითხა-უამბო, ერთ დილას კი ველარაფერი გაიხსენა.

რა ექნა?

აკი, დარდით ვერაფერს გაანყობდა და გასწია:

ზუსტად არ ვიცი, ბევრი იარა თუ ცოტა, სწორედ იმ დღეს კი წაანყდა „თავის მოხუცებულობას“ და პირველი ზღაპარიც დანერა.

– იმდენი ზღაპარი მოუყოლია, წარსული დავინყნია! ვერ გარკვეულა რომელი ოცნება აუხდა და რომელი ოცნებადვე დაურჩა! ვერ მიმხვდარა ცხადში რა შემთხვა და სიზმარში რა იხილა! – მოუყვა სახლში დაბრუნებული სანდუა მეუღლეს.

მეუღლეს კი ქართულად როდი ესაუბრებოდა – თმების შემლოცველ გოგონას ზღაპრების ქვეყანაში, ანდერსენის სამშობლოში ეპოვა ცხოვრების მეგზური.

– ... მაგრამ მისი თვალებიი? .. მათ ყველაფერი ახსოვთ!

– ხომ არ იგონებ? – დანიურადვე შეეკითხა სანდუას მარსელი.

– აქვე ცხოვრობს, მეიდანზე, ქართველები გულოს ექაბიან – გულო კი დანიურად გულს...ნიშნავს

– გულო! – სახელს ევროპული აქცენტი მოუხდინა მარსელმა.

– მისმა წყლიანმა თვალებმა ზღაპრის მოგონების ხასიათზე დამაყენა, ამიტომ სასწრაფოდ უნდა მივუჯდე ქიბორდს!

მარსელი ვერ გაერკვა, რატომ ჩათვალა სანდუამ „ქალბატონი გული“ თავის მოხუცებულობად, მაგრამ, საყვარელი ცოლის მუცელში ცხრა თვით მიკედლებულ პატარაზე ნაკლებ როდი უყვარდა ზღაპრები, ამიტომ აღარ დანერვილმანდა და უბრალოდ სთხოვა:

– გვერდით მოგიჯდები, რათა მოვისმინო ხანდაზმულ მეზღაპრესთან შენი შეხვედრისა და მერე შენი მოგონილი ზღაპარიც, რომელთაც, მართალია, ქართულად აკრიფავ ვორდის ფაილში, მაგრამ ჩემს მშობლიურ ენაზე მითარგმნი – დარწმუნებული ვარ, თხოვნაზე უარს არ მეტყვი.

სანდუამ და მარსელმა მონიტორის წინ ორი ძველებური, მინიატურული, წითელი ვარდის ხისგან გამოთლილი სავარძელი ერთმანეთის გვერდით დადგეს, ზედ ფარდაგი გადააფარეს და დასხდნენ.

სანდუას დედამ, ქალბატონმა დიანამ ჩუმად გადასწია ფარდა, ოთახში შეიხედა და ესიამოვნა მონიტორის წინ, გვერდიგვერდ ჩამოსხდარი შვილები (ქალიშვილი და სიძე) რომ იხილა, მაგრამ ჩათვალა, რომ სავარძლის სახელურები ხელს უშლიდნენ ბავშვებს სახლოვეში. ამიტომ, მთელი ღამე არ დააძინა მეუღლე – ორი მინიატურული, წითელი ვარდის ხისგან გამოთლილი სავარძელი შეაერთებინა და ახალი ხავერდის გადასაფარებელიც შეკერა.

თუმცა, ეს მერე მოხდა! . . . და რადგან „მერეზე“ ჩამოვარდა სიტყვა, იმასაც მოგახსენებთ, რომ სანდუას შეთხზული პირველი ზღაპრიდან ოთხი თვის შემდეგ საბაკრისტიანი გაჩნდა, რომელსაც დედიკოს ნაამბობი ყველა ზღაპარი ახსოვდა – ამას დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ მისი მშობლები და გულწრფელადაც სჯეროდათ საკუთარი მოსაზრებისა.

გიულჩირა

სანდუამ სტარტის მენიუში ვორდის პროგრამა მოძებნა, გახსნა, შრიფტებიდან აკადნუსხური აარჩია, ფონტის ზომებიდან 10 ოპტიმალურად მიიჩნია და დაიწყო:

გიულჩირა ძველთაძველი, ლითონის უზარმაზარი ურდულით, ანჯამებითა და მრგვალი სახელურებით მორთული ხის ჭიშკრის მიღმა, ლამაზ, სამსართულიან სახლში ცხოვრობს. უყვარს თბილ ამინდებში თავისი ეზოს მიღმა, ქუჩის ჩრდილში ჯდომა და ცივი ხილის დაგემოვნება:

– ხილი იხილეე . . . ჩრდილი იჩრდილეე! . .

დღესაც, ქუჩა მოათვალიერა და ხალისით გადმოაზიჯა პარმალს. უკან გამოჰყვა რძალი, ვენური სკამით ხელში და შვილიშვილი, თეფშზე დალაგებული მსხლებით. ქუჩის განაპირას დადგეს სკამი, კალთაში ჩაუდეს თეფში და დატოვეს.

გიულჩირამ ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო, გაშალა და მსხლის გათლა დაიწყო: წრიულად კი არ მოავლო დანა ქარვისფერ ნაყოფს, წვეროდან ძირისკენ ჩამოჰყვა და თეფშზე წვერილ-წვერილი ნათალი დაყარა. მეც ამ დროს ჩამოვიარე, ფეხმძიმემ. გამიღიმა, მანიშნა – მოდიო, ჩამოაჭრა წვნიან ნაყოფს მოზრდილი ნაჭერი, დანის წვერი ჩაარჭო და გამომინოდა.

რა ტკბილი იყო გიულჩირას მსხალი – იფ, იფ!

რა თბილი იყო გიულჩირას ხმა: – ჰალალ, ჰალალ!

რა სევდიანი იყო გიულჩირას თვალები – ეჰჰჰ!

ჩემი გასაშლელი სკამი მისი ვენური სკამის გვერდით გავეშალე, ჩამოვჯექი და სმენად ვიქეცი – სმენად ქცეული სანდუა კი ასეთი

ვარ: ნაბლისფერ თმებში გახვეული, მუხლებზე იდაყვებით, ნიკაპით კი ხეკლისგულზე დაყრდნობილი, ჩემი განუყრელი ხის საბოები ერთმანეთზე მიმიტყუპებია – გორგალს დავმსგავსებდივარ.

მოგონებებით გაბრუებული გიულჩირა კი თვალბნელიანია, ლალი და მეიდნური ქართულით მოსაუბრე, ვინაიდან როგორც თავად ბრძანებს, “ჩისტი აზერბაიჯანკა არის!”

– რძლად აქ მოველი, აქ სხოვრობდი, ჩემი ქმარი აქ მოქვდა, მეც აქ უნდა მოვქდე! ქარგი სახლი მაქ – შვიდი ოთახი! ხუთი შვილი, თხუთმეტი შვილიშვილი, ოთხი შვილთაშვილი, ორი სიზე და სამი რძალი მაქ.



ილუსტრაცია ავტორისა

საგანძურის დაგროვებამდე, ანუ ნახევარი საუკუნის წინ, კი, აი რა მომხდარა:

ჩამომხდარა თბილისის ირანელი ვაჟკაცი, ბაჰმანივით ძლიერი და შუედრეკელი, ბნელ რიგში დასახლებულა, ათობით რაყიფი მოუგერიებია თხუთმეტი წლის ხარფუხელი გულოს გულის მოსაგებად, მერე კი მოუტაცია და აქ, ამ სახლში მოუბრძანებია.

დადარდიანებულა გიულჩიხრა, ხარფუხზე მიტოვებული ბავშვობა დანანებია, შურით გადმოხედავდა ხოლმე აივნიდან მოთამაშე გოგონებს. ზოგჯერ გული არ მოუთმენდა, კიბზე ჩაირბენდა, ქართულ კლასობანაში ჩაერთვებოდა და ასკინკლით გაიგდებდა წინ რიყედან ამოტანილ ბრტყელ ქვას; თანატოლების წვივებზე გაბმულ რეზინებზე მარდად დახტოდა; აბა ფრანგული საპოშკო! დაიძახებდა და ერთ ტერფს ქუსლით მიწას დააყრდნობდა, მეორე ფეხს მუხლში გამართავდა და ხელის გულებს მიწას შეახებდა – ყველას აოცებდა მოქნილობით.

მარსელმა კიდევ ერთხელ ააღწერინა სანდუას „ფრანგული საპოშკი“ დანიურად, სიტყვებს მოქმედება ააყოლა და გაუსაძლისი ტკივილი იგრძნო წვივის კუნთებში, ხელის გულები კი მაინც ვერ მიანვდინა იატაკს, ამიტომ მკაცრად გააფრთხილა მეუღლე, ფეხმძიმობაში უარი ეთქვა „ფრანგული საპოშკზე!“

ამასობაში კი, რიყეზე მოგროვილი ქვიშით დატვირთული კინტოც ჩამოივლიდა:

– **სამოვარის მიწაა! სამოვარის მიწაა!**

საუცხოოდ აპრიალებდა თურმე ის ქვიშა ჭურჭელს – ძალზე ფასობდა ძველ თბილისში; გიულჩიხრას კი ოჯახის საქმეს ახსენებდა – თამაშს თავს ანებებინებდა.

ღამე განსაკუთრებით გაუსაძლისი ხდებოდა – ბებიის ზღაპრები ენატრებოდა. მეუღლე გულისწადილს უხვდებოდა ალბათ და ლექსებს უყვებოდა. ერთხელაც, ისეთი ლექსი უამბო, თხუთმეტი წლის გოგონას სევდა სამუდამოდ გაუქარწყლა: დილაადრიან, ბნელი რიგიდან ბამბის რიგში გადაირბინა, ბამბით გადათეთრებულ ხელოსნებს ბამბა დააპენტინა, სახლში მიიტანა, ჭრელა-ჭრულა ბალიშები და მუთაქები შეკერა, დაამზეურა, დედამთილის გამოგზავნილ ხალიჩებზე დაყარა, ხილით, ქიშმიშითა და ჩამირით სავეს სინი გვერდით დაიდგა, ერთი წითელი ბალიში მუხლზე დაიდო და ქმრის მობრძანებამდე ზედ მწვანე ძაფით ამოქარგა სასწაულმოქმედი ლექსის სტრიქონები:

**დარდს რომ ცეცხლივით კვამლი სდიოდეს,
ბნელს მიეცემა ქვეყანა მარად***

მას მერე სევდას აღარ იკარებდა და თუ მაინც მოერეოდა, დიდხანს არ დაიგულებდა – თავისი ოჯახის სინათლეს ბნელს არ გაურევდა, მუდამ ილიმოდა, როგორც დღეს, ჩემს გვერდით მჯდარი, მოგონებებით დაქანცული, დახუნძლული ზღაპართასხმულათი ამაყი – თმებსა და მუცელზე ხშირად შემავლებდა თვალს, ქმრის შესახებ მეკითხებოდა და დანანებით აქნევდა თავს აქეთ-იქით:

* თარგმანი მაგალი თოდუასი

– **ჰაფსუსია შენისთანა გოგო საზღვარგარეთ რო გათხოვდი, ჩემი შვილიშვილისთვის, ლამაზ ქართველ გოგოს ვეძებ საცოლედ – ცემი ბიჭი, რამინი დიდი ვაჟკაცია, ექიმია, თავისი კაბინეტი აქ მეიდანში . . .**

მარსელი მაინც ვერ მიხვდა, როგორ უნდა ქცეულიყო მოხუცებულობაში გულოდ სანდუა, მაგრამ კითხვა ველარ მოასწრო, ვინაიდან სწორედ ამ დროს სანდუამ და გიულჩიხრამ ძონძებით შემოსილ, კოჭლობით მიმავალ მგზავრს მოჰკრეს თვალი, რომელსაც ნარინჯისფერი ძაფი უკან მისთრევდა – თითქოს, ჯიბეში ნარინჯისფერი გორგალი ედო.

გიულჩიხრამ, მის დანახვაზე, ისევ დანანებით გადაქნია თავი და მოგონებებს მიეცა, გორგალი-სანდუა კი წელში გაიმართა, თავისი ზღაპართასხმულა თექის ჩანთიდან გამოაძვრინა და ჩაჰყვა:

სანდო ზღაპარი

აიჩემა ერთმა კაცმა:

– **იმ ნაყოფს უნდა მივაგნო, დათესილი სიკეთის ალაგს ამოსულმა ხემ რომ გამოიღო, მოვწყვიტო, მივირთვა, კურკა ჩემი ცოლის მოქარგულ ცხვირსახოცში გადავავხვიო, ჩემს ეზოში მოვიტანო და დავთესო.**

მისი ცოლი გახევდა, დედამთილს თვალებით შეევედრა:

– **არ მისცე შენს შვილს წასვლის უფლება!**

დედამისი გაფითრდა, რძალს ხელზე ხელი მოუჭირა:

– **არსად გაუშვა ჩემი შვილი!**

რძალს გახდებოდნენ – ასე ერთმანეთის იმედზე დარჩნენ.

მეზობელი მოადგა ლობეს:

– **იცი მაინც როგორია ის ხე?**

– **ჯერ არ ნახული ფერის ფოთლებსა და ჯერ არ ნაგემ ნაყოფს ისხამს. ჩამოვიტან, დავთესავ, გაიხარებს და ნახავთ!**

გამოუტანა ცოლმა ნარინჯისფერი ძაფით მოქარგული თეთრი ცხვირსახოცი ქმარს და ჯიბეში ჩაუდო.

– **ამ ცხვირსახოცს რომ ქარგავდი ძაფი თუ მოგრჩა?**

მიართვა ცოლმა ნარინჯისფერი გორგალიც.

ეზოში ახლადამოყრილი ატმის ქვეშ, ცოლის მოქსოვილ ფარდაზე იმ კაცის ახლადმოზილ ვაჟს ეძინა. კაცმა ნარინჯისფერ გორგალს ორი მტკაველი სიგრძის ძაფი შემოაცალა, ატმის ზროს შემოახვია, განასკვა, ნარინჯისფერი გორგალი ჯიბეში ჩაიდო და გზას დაადგა:

– **დავბრუნდები, როგორც კი გორგალზე ძაფი დაილევს!**

– **თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს კუნელს!**

– ლობეს მოსცილდა მეზობელი.

შებინდებისას, დედამთილი და რძალი ერთმანეთს ახლადამოყრილ ატმის ხესთან ნაანყდნენ: ლოგინში ადრინანად შეწოლილებს, ერთმანეთი ღრმა ძილში ეგულებოდათ. ერთს ხელში ჯაყვა ეჭირა, მეორეს მაკრატელი – ისევ მიუხვდნენ ერთმანეთს გულისწადილს და ნარინჯისფერი ძაფი გადაჭრეს.

– **ვაი და ის ნაყოფი ვერ იპოვოს, დარდს გადაყვება.**

– **ხელცარიელს კი დაბრუნებისა შერცხვება.**

– **იფიქროს რომ აქვე, ახლოს, მის გვერდით ვართ.**

– **იფიქროს რომ ჯერ ბევრი დრო აქვს.**

მარსელი ვერაფერს მიუხვდა რძალ-დედამთილს, ამიტომ კიდევ ერთხელ ათარგმნინა სანდუას ატმის ხის ქვეშ გამართული დიალოგი დანიურად.

– ზღაპრის ზღაპრობა იმა-შია მარსელ, რომ ჩვენგან აბსურდულის ჭეშმარიტებად აღიარებას მოითხოვს, – აუხსნა სანდუამ და მარსელი ცოტა არ იყოს დამშვიდდა – სანდუას გულოდ გადაქცევაც აღარ ადარდებდა – აბსურდულობას მიანერა ისიც.

სანდუას კი გულის სიღრმეში ძლიერ აღელვებდა მარსელის დანიაში გამგზავრების დღის მოახლოება ხოლმე – ხოლმე კი არა, ყოველთვის, მაგრამ არ ამხელდა – არ უყვარდა ტრივიალური საუბარი იმის შესახებ, რომ შეყვარებულებს განშორება არ უყვართ, ცოტა ხნითაც კი!

ბევრი იარა, ჯიბეში ნარინჯისფერი გორგალით, – გააგრძელა სანდუამ აკადნუსხურით, – პირველად რომ გამოჩინდა, ამ მიდამოებში მელიქის ქაერვასლა მდგარა, ვარდების გამყიდველს აუხიარდა, ვარდებს რატომ ყიდი, უკეთესს რას შეიძენო. გაიფიქრა, სახლში მივბრუნდები, სამივე კალათა ვარდს ცოლს ვაჩუქებ და მერე უკან დავადგები ჩემს გზასო – ნარინჯისფერ გორგალს აკი ბევრი არ აკლდა, მაგრამ . . .

ხან აქლემებს გადაეყრებოდა, ხანაც ჯორკიდებულებს, ფაეტონშებმული ცხენებით იხიბლებოდა. მერე ერთსართულიანი სახლელი ერთმანეთს შემოასკუბდა, იმათ თავზე კიდევ თითო-თითო აღიმართა – სადღაც უხილავისკენ მიისწრაფოდნენ. ერთ დღეს მათ თავზე მოექცა, სიკეთის ნაყოფს კი მაინც ვერ მიანვდინა მზერა.

მეორედ მელიქის ქაერვასლა და ვარდების გამყიდველი ვედარსად დაიგულა – აქ ათასი ჯურის ხალხი ირეოდა, მათ შორის ორი გამოარჩია: კოხტად ჩაცმული ხუროთმოძღვარი ლაზარი და მდიდრულად შემოსილი ბაქოელი ნავთობმწარმოებელი ალექსანდრე მანთაშევი. ქალბატონები ორთავეს ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ და გამალებით ბუტბუტებდნენ:

– თურმე, მანთაშევი კიდევ ერთ სახლს აშენებს ყლორთალის ზემოთ თავისი საყვარლისათვის, აივნებზე კი იმ ქალის სახეს ატვიფრინებს ევროპიდან ჩამოყვანილ ხელოსნებს!

მერე და მერე ხიბლი გაოცებამ შეცვალა – უცნაურ „მანქანებს“ წაანყდა, კიდევ უფრო უცნაური ადამიანები-

ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად თბილისი ევროპული ტიპის ბურჟუაზიულ ქალაქად ყალიბდებოდა. შენობებს ევროპაში გავრცელებული არქიტექტურული მიმდინარეობების გათვალისწინებით აგებდნენ. ამიტომ, მოდერნიც სწრაფად გავრცელდა და სომხური წარმოშობის თბილისელი არქიტექტორისა და ინჟინრის, ლაზარ სარქისიანის მიერ დაპროექტებული „მანთაშევის რიგები“ ქალაქის არქიტექტორმა დაამტკიცა.

მთავარი შესასვლელი კარიბჭე სიონის ქუჩის მხრიდან განათავსეს, შენობებს შორის ვიწრო გასასვლელის მთელ სიგრძეზე, პირველი სართულის ლიობებში სხვა და სხვა სახის სავაჭრო დახლები დადგეს, საიდანაც მრავალფეროვანი საქონელი იყიდებოდა.

შენობა კი პირველი გილდიის ვაჭარს, სავაჭრო საზოგადოების „ა. ი. მანთაშევი და – K⁰“ დამაარსებელს, ალექსანდრე მანთაშევის ეკუთვნოდა.

P.S. „მანთაშევის რიგები“ ორი შენობისგან შემდგარი არქიტექტურული კომპლექსი გახლდათ. თუმცა, დროთა განმავლობაში განსხვავებული დანიშნულება შეიძინა – ამჟამად ერთი ნაწილი წარმოდგენილია როგორც „ბამბის რიგი“, მეორე ნაგებობა კი მის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს და დამოუკიდებელი მისამართი აქვს – შარდენის ქუჩა გახლავთ.

თა და მონყობილობებით შიგნით: როცა გარეთ ციოდა, ცდილობდნენ იქაურობა გაეთბოთ, თუ ცხელოდა – გაეგრილებინათ, ყველა ბუნებას გაურბოდა, მისი ახირებებისგან ცდილობდნენ საიმედოდ დაეცვათ თავი სახლში თუ გარეთ.

დედამინაზე, მართალია, უამრავი ადამიანი ცხოვრობდა, მაგრამ თითოეულს მხოლოდ საკუთარი არსებობა მიანდა ყურადღების ღირსად – თითქოს, ქუჩაში შემხვედრი ნებისმიერი მოკვდავი მის გარეშე არაფერს წარმოადგენდა. ისტორიაც კი მისი არსებობისდღემდე მოსაღწევად ინერებოდა მხოლოდ. წარსული ფოტოებად აღიქმებოდა – გრძნობები, ემოციები და ოცნებები კი მხოლოდ ანმყოში, მის კონკრეტულ ცხოვრებაში ისხამდა ხორცს. სინამდვილეში კი ყველა ერთ გზას ტკეპნიდა: ყოველ ოცდაათს საათში ერთხელ, წლიდან წლამდე – თითოეული უხილავს, გაუგონარსა და ჯერ არ ნაგემს დაეჭებდა.

ეს ის რიგია, ვნებებით სავსე გიულჩიხრამ ბამბა რომ დააენტა. ამ რიგში, ვალენტინობაზე სანდუა და მარსელი საჩუქრების საყიდლად მოდიან.

ამავე რიგში დაარბენინებენ ნითლებში შემოსილი ჩინელები უზარმაზარ დრაკონს, წინ ჯოხზე წამოცმული ბურთით ხელში, დაბალი კაცი მიუძღვით და თავიანთ ახალ წელს ეგებებიან.

ბამბის რიგის მხარეს პალიასტრებითა და ლიობებით რიტმულად დანანევრებულ რკალისებრ ფასადს მიყვება ნარინჯისფერი გორგალის პატრონიც. ცენტრალური შესასვლელის წინ, ვინ მოთვლის მერამდენედ ჩერდება, მოდერნიტული ელემენტებით გაფორმებულ უნიკალურ რიზალიტს შესცქერის და გრძნობს რომ ავად არის.

ბეების სიტყვები ახსენდება:

– ავადმყოფმა ქიშიმის ცხრაჯერ უნდა უკბიჩოს და მორჩება!

ხელი ჯიბისკენ მიაქვს, ქიშიმის ძებნაში გამხმარი ვარდის ფურცლებს, გაზეთიდან ამოჭრილ სვეტებსა და ნარინჯისფერ გორგალს პოულობს მხოლოდ. თვალებს ხუჭავს, უკან ბრუნდება – სახლი აკი აქვე ეგულება. ერთ ეზოსთან ატმის ყვავილებით გადაპენტილი ხის სილამაზით ინუსხება, ღობეს უახლოვდება და პატარა ბიჭუნას სთხოვს:

– იქნებ შემიკედლოთ, სანამ სიკეთის ხე ნაყოფს მოიხსამს. მერე კურკას ნარინჯისფერი ძაფით მოქარ-

**გულ თეთრ ცხვირსახოცში გა-
ვახვევ და უკან დავადგები
ჩემს გზას.**

ბიჭუნა შეშინებული გარბის, ის კი თვალებს ახელს: წითლებში შემოსილები ისევ დაარბენინებენ უზარმაზარ პირდაღებულ დრაკონს ბნელ რიგში. ჩია კაცი, ჯოხზე წამოცმული ბურთით ხელში დაქანცულა, სადაც არის, წაიბორძიკებს, მაშინ დრაკონი ბურთს კბილებს ჩაავლებს, გადასასლავეს და ბედნიერი წელიც გათენდება.

ფერვერკების გამაყრუებელი ხმა გაისმის – ნარინჯისფერი გორგალის პატრონი ხელის გულებს ყურებზე იფარებს და გზას განაგრძობს: ხან აქეთ, ხან იქით, ჭირისა თუ ლხინის ძიებაში, ვიდრე სიკეთის ნაყოფამდე.

თეზიდები და სუქუნები

... და როცა ჩემს ამბავს ისმენთ, ცალ ფეხსაცმელზე ქუსლმოტეხილსა და იმავ ცალ ფეხით აგურის კედელზე მიყრდნობილს, თავზე თეშდიდები და სუქუნები მანვიმს.

შევეცდებით, მოკლედ მოგიხროთ, როგორ აღმოვჩნდი ამ დღეში:

ჯერ, ოცი წლის წინ, ის ღამე დადგა, პალეონტოლოგი ბეზია მარ(გუს)ი რომ დაბრუნდა (სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთიდან თუ ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთიდან), ჩემი დედიკო კი ჩვილით დაუხვდა (თბილისში). მძინარე პატარას (ანუ მე), ფუმფუსა ხელი ლოყის ქვეშ ამო(მ)ედო.

– **კინკაჟუ!** – აღმოხდა ბებიას და გულში საგანგაშოდ უზარმაზარი სიყვარული ჩაედგარა. ჩემოდანს მივარდა, ამოაპირქევა, კოხტად ჩალაგებული, შეფუთული საჩუქრები მიყარ-მოყარა, იქე-იქოთქოთა და მიაგნო იმას, რაც შეკრულ მუშტში ჩაეტა.

– **აი, კინკაჟუ!** – ხელი გამალა და ქალიშვილს ერთი ციცქნა, ლოყისქვეშ ფუმფულაკუდამოდებული არსება დაანახა, – **ხომ გავს, ძვირფასო?**

არ ვიცი, რამდენად ესაიშოვნა დედას მისი შვილი ენოტების ოჯახის წარმომადგენელს რომ შეადარეს, ღიმილით კი გადმომხედა ჯერ მე, მერე ბებიას და სუვენირი-კინკაჟუ თავის ხელისგულზე გადაიტანა.

ასე ვიქეცი გოგონად, ლემურის თვალებით – ბებია მარ(გუს)ის რჩეულ შვილიშვილად, რომლის თავზე ჯერ მსუბუქად წამოჟინულა თეშდიდ-სუქუნებმა, მერე კი ნამდვილი სეტყვა დაიწყო, რის გამოც: არასდროს დამიბანია ან შემიკვეცავს თმები ორშაბათსა და ოთხშაბათს; არ დამიჭრია ან გამიქილიბავს ფრჩხილები და დამითვლია ფული ღამით; არ დამინყია ახალი საქმე, არ დამიხარჯავს ან გამისესხებია ფული ორშაბათს; მუდამ ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს და ველოდი შედეგებს მარჯვენა თუ მარცხენა ხელის ან ფეხის გულის, ცხვირის წვერის ქავილისას; არ ვაძლევდი ან ვართმევდი ხელიდან ხელში არავის: ცოცხს, საპონსა და ნემსს; არ ვდებდი მაგიდაზე გასაღებს, ხოლო პურს უკულმა; არ

ერთ დროს, სოლოლაკის ორსართულიანი სახლის მანსარდიდან მეიდანს ხელისგულივით გადავცქეროდი. ღამლამობით, ძველთბილისური სახლებიდან გამომკრთალი შუქები ჩემს მეიდანელ ნაცნობებთან მაკავშირებდა – იქ თითოეული ფანჯრის მიღმა ადამიანი-ამბავი მეგულეობდა.

ახლა ჭალარაგარეული უბის წიგნაკიდან ნახევრადამოხეულ ფურცლებზე განაბულან ძველი ქალაქელები, მელიან, როდის შევახვედრებ ერთმანეთს ერთ პატარა ამბავში, მეიდანის თავზე აკიაფებულ ვირტუალურ ქუჩაზე.

თვალებს ვხუჭავ, ალაღბედზე ჯერ მხოლოდ სამ ფურცელს ვაცურებ, ზღაპრის მადლის შენვენას ვითხოვ და გიგზავნით.

ვმლიდი ქოლგას ოთახში და არ ვუსტვენდი; არ ვაბიჯებდი ზღურბლს მარცხენა ფეხით...

ახლა კი გურუს ოთახის შესახებ უნდა გიამბოთ:

... და ცამეტი წლის წინ, ზემოხსენებულ ოთახში, რომელსაც მარ(გუს)ი ეშმაკისეულს ეძახდა, ვინაიდან იქ ყველაფერი მარჯვნიდან მარცხნივ ანუ უკულმა წარმოებდა (ოთახი არაბული წიგნებით გახლდათ სავსე), გურ(უ)ამ ბაბუს მუხლზე დასკუპული, ალტერნატიულად გადაშლილი წიგნის ფურცლებზე ნახატებივით გაბნეულ აღმოსავლურ ასოებს ვაკვირდებოდი:

– **რამდენი შეკრული და გახსნილი ბურთულაა არა აქ, გურუ?**

– **სად, კინკაჟუ?**

– **აი აქ, აი... და აი, კიდევ... და აქაც, ეს ბუთქუშა შეკრულია, ეს ბურთულა თითქოს გაჭრეს და გაშალესო.**

– **ამ შეკრულ ბუთქუშას სუქუნი ჰქვია, თითქოს გახსნილს კი თეშდიდი. არაბები, თუ სიტყვაში ორი თანხმოვანია, პირველს სუქუნს აწერენ თავზე, ხოლო როდესაც ორი ერთნაირი თანხმოვანი გამოითქმის, ერთს თეშდიდს ახატავენ და მეორე თანხმოვანს აღარ წერენ საერთოდ.**

– **დამლელია წერის დროს ამდენი ფიქრი. . . ეს ნიშნები მარგუსის დარიგებებს გავს.**

– **მართლაც!.. როგორ აქამდე ვერ მოვიფიქრე? – აღფრთოვანდა ბაბუ გურ(უ)ამი, – თეშდიდები და სუქუნები!**

და ბარემ, ფეხსაცმლის ქუსლის მოტეხვის მიზეზიც შეიტყვეთ:

ორი კვირის წინ, ჩემმა უახლოესმა დაქალმა (სტ)ელამ დამირეკა, თავისი ქორწილის თარიღი შემატყობინა. მე კი გემოზე მოვკალათდი სავარძელში, მეჯვარის სტატუსის მისაღებად:

– **კინკაჟუ, უშნოდ ვერაფერს გავხდები, უნდა მასწავლო, რა-როგორ მოვიმოქმედო, რა ვარგა და რა არა, მოკლედ, გელი – ქორწილის მრჩევლად დავნიშნე!.. ხომ მაგარია?!**

– **თუ უახლოესი დაქალი საპატარძლოზე ღამაზია, ვერასდროს გავხდება მისი მეჯვარე!** – მანუგემა მარ(გუს)იმ, მარჯვნიდან მარცხნისკენ მზირალმა გურ(უ)ამმა მშვიდად დაუკრა კვერი.

ფანჯარას მივანდე ცრემლიანი თვალები: ყვითელი ფოთლები ნაშვილები ბავშვებივით მოსდებოდნენ აგვისტოს ქუჩას – ასე მენიშნა ქორწილმეისტრის კაბა და გავნივ: ქუსქუსა ქსოვილების გამყიდველს, მეტრანახევრიანი ხის სახაზავი მხარს რომ სცდებოდა, თავბრუ დავახვიე, რა ფაქტურის ყვითელი და მწვანე ქსოვილი არ გადმოვალებინე, დარდიანად გასცქეროდა დახლზე გაშლილ გაზეთზე მიტოვებულ ყველს, პურს და გაკბეჩილ პომიდორს.

ქორწილის დილა წვიმიანი გამოდგა. **ალბათ (სტ)ელას ქვაბების ლოკვა უყვარდაო**, – გამაღვიძა მარგუსის დასკვნამ – ალიონის სუქუნმა და დიადი დღეც გამითენდა: დაქალს კაბის სარჩულზე ქინძისთავი დაეუბნე (ავი თვალისგან დასაცავად); საქმროსთან დავარეკინე, რათა მას მარჯვენა ფეხსაცმელში

პროზა

ხურდა ფული ჩაედო, რომელსაც მერე რელიკვიასავით შეინახავდნენ ოჯახში; ნათესაობაში ბედნიერი ქალი მოვიდით და მისი ნახმარი ცხვირსახოცი პატარძალს ჩანთაში ჩაუდო. წყლით სავსე ვედრო და იატაკის ტილო მოვამზადეთ, (სტ)ელას სახლიდან წასვლის შემდეგ იატაკი რომ მოერეცხათ...

– როცა ბოლო აქესუსარსაც მოირგებ, სარკეში აღარ ჩაიხედო; ჯვრისწერის ბეჭედი არასდროს არავის გაასინჯო; სახლიდან გასვლის წინ ერთი-ორი ცრემლი გადმოაგდე; შენსა და ბა(ლა)თურს შორის არავინ გაატარო; ჯვრისწერის შემდეგ ეცადეთ ერთდროულად ჩააქროთ სანთლები და მერე აი ამ სარკეშიც ერთად ჩაიხედეთ; თაიგული არავის დააჭერინო ქმრის გარდა, მერე სუფრაზე ლარნაკში ჩადებ, ბოლოს კი სახლში წაიღებ და...

– რა სისულელეა! კმარა! – აყვირდა ჩრდილში მოქცეული მეჯვარე.

გოგონებში მღელვარება შეენიშნე, ყურის ბიბილოც ამენვა (ზურგსუკან მჭორავდნენ), მალე კბილებიდან გამოცრილი რეპლიკებიც მომწვდა: **სოფელა, როგორი ქალუკა ყოფილა! ვინ ასწავლა ეს სისულელეები? თან რას ეძახიან, კინკაჟუს? ვაბში არ არის ნაშური კლიჩა! (სტ)ელას რა, ეგეთების ჯერა?!**

ამკარა იყო, გოგონებს პატარძლის ზურგსუკან გადაგდებული თაიგულისათვის ბრძოლა სწყუროდათ (აკი, მეც მქონდა და დაგულეებული ბეჭდის ყუთი – გავაფრთხილე კიდევ ბა(ლა)თური, ჯვრისწერის შემდეგ ცარიელ ყუთს ხელი აღარ ახლოთქო).

არ მსურდა ვინმესთვის გული დამენყვიტა, მითუმეტეს, (სტ)ელაც ორჭოფობდა და ალტერნატიული თაიგულის შექმნის იდეა წამოვაცყენე.

– **ორი თაიგული? მაგარი გოიმობაა! (სტ)ელაშ, პროსტო, მონვი: ბა(ლა)თურ, ეს დამიჭირე, ის მომანოდეთ, უნდა ვივროლო, რა სანახავი იქნები?! და ვაბში-ჩე... მოდუნდი რა!**

ყურის ბიბილო (სტ)ელასაც აენვა, მალე მთელ სახეზე მოედებოდა სინითლე (დაცდილი გვქონდა) და თითქოს ქორნილმეისტრობა ჩემი იდეა ყოფილიყო, ზურგი მაქცია: ქინძისთავი და ბედნიერი ნათესავი ქალის ნახმარი ცხვირსახო-

ცი მოისროლა, გასვლის წინ დემონსტრაციულად ჩაიხედა სარკეში, მეჯვარეს ხელი ჩაჰკიდა და კიბეც სიცილ-კისკისით ჩაიბრინა.

ჯვრისწერაზე უკანა რიგში ვიდექი, ყვითელი ორგანზას ნაკეცებში ვმალავდი ცრემლიან თვალებს. ორი კურცხალი მაინც ჯიუტად მაჩნდა მწვანე ხავერდის კაბაზე, როდესაც სიძემ დამიძახა: კინკაჟუ, რატომ არ მართმევ ბეჭდების ყუთს, ხომ მთხოვეო?! და შავკაბიანი სტუმრის მუჯღუგუნიც მომხვდა, ნავიბორძიკე, ფეხსაცმლის ქუსლი მოვიტეხე (ქსოვილების გამყიდველის გულზე დამდგარმა ლუკმამ მინია), იმან კი ბეჭდების ცარიელი ყუთი ამყად ჩაიჯიბა.

ბევრი ვიხეტივალე წვიმაში კოჭლობით, სანამ აგურის კედელს ქუსლმოტეხილი ფეხსაცმლით მივეყრდნობოდი – ქუჩის ბოლოში, აივნის ქვეშ თავშეფარებული წვრილმანების გამყიდველი დავლანდე. ახლა, ვდგავარ და ველოდები, როდის გადაიღებს წვიმა, ისიც დაიძრება თავისი გორგოლაჭებიანი „ტაჩკით“, უნივერსალურ ნებოს მომყიდის და ფეხსაცმელს გავიმთვლებ.

ასეთ იაფფასიან კონკიად ვიქეცი, ჩემო შეპრეზადავ, და სირცხვილით ვიღას მოვუყევე ამ ამბის დასასრული თუ არა შენ?

და შავი „ვოლქსვაგენ ფაეტონი“ (შესაძლოა, გოგრადაყოფილიც) მიახლოვდება, ფანჯარა ეშვება და რა გქვიაო, მეკითხება ჟღალთმიანი ყმანვილი. ვბასუხობ, რომ კინკაჟუ ვარ. გულიანად იცინის, გავხარო და გადმოდის. ლემურის თვალები გქონიაო, მაკვირდება და ფუმფულა კუდის გარეშე როგორ იძინებო, მეკითხება (სად სმენია კინკაჟუებზე ნეტავ?). ტაქსიდერმისტი ვარო, მისხნის (ფვიქრობ მანქანებთან დაკავშირებული პროფესია უნდა იყოს), ჟღალთმიანი კი, ტაქსიდერმისტები ფიტულებს ამზადებენო, მეუბნება და მე, კინკაჟუს, კანკალი მიტანს! გცივაო, მეკითხება და სახლში ნავიყვანო, მთავაზობს. წვიმს, წვრილმანების გამყიდველი მყარად დგას აივნის ქვეშ, ქუჩის ბოლოში, ამიტომ კოჭლობით ვიძრები „ფაეტონისკენ“, თეშდიდ-სუქუნების წარმოსახვით დავთარში ვიქეჩები და ვიმედოვნებ, რომ ჩემგან ფიტულს არ დაამზადებს ჟღალთმიანი ტაქსიდერმისტი.

კულუარები

„ჩვენი მწერლობის“ 2006 წლის პირველ ნომერში კულუარების რუბრიკით დაბეჭდილ ცნობაში, „რა წიგნებს ეტანებიან ვაშინგტონში“, დამაფიქრებელი შეკითხვაა დასმული: „ჭეშმარიტ ფასეულობას მის მდარე სახეობას ამჯობინებენ?“ – და იქვე ანალიტიკური განსჯის საჭიროებაცაა აღნიშნული.

ამასთან დაკავშირებით ამჟამად ვაშინგტონში მყოფმა ქართველმა ლიტერატორმა და მთარგმნელმა პაატა ჩხეიძემ შეკითხვით მიმართა სანდო ექსპერტს, პროფესორ ვერჯილ ნემოიანუს:

– თქვენი აზრით ლიტერატურა რა მიმართულებით განვითარდება უახლეს მომავალში?

ნემოიანუმ უპასუხა:

— თუ რას დანერგნ დიდი მწერლები, არავინ იცის, თვითონ დიდი მწერლებისა და ღვთის გარდა.

პოსტმოდერნიზმის, დეკონსტრუქცივიზმის და სტრუქტურალიზმის ეპოქა დასასრულს უახლოვდება

საშუალო და პატარა მწერლები კი ისტორიასა და რელიგიაზე წერას გააგრძელებენ; შენ თვითონ ნახე, ფანტასტიკას ორიოდე მწერალი თუ ჰკიდებს ხელს, დეტექტივებიც კი წარსულზე იწერება, ძველ საბერძნეთზე, რომზე, მე-18 საუკუნის ამბებზე და ასე შემდეგ.

რაც შეეხება ლიტერატურულ კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობას, როგორც ჩანს პოსტმოდერნის, დეკონსტრუქცივიზმისა და სტრუქტურალიზმის, ფუკოს, დერიდას და ასე შემდეგ, მბრძანებლობის ეპოქა დასასრულს უახლოვდება.

ლიტერატურული კრიტიკა განვითარდება ლიტერატურა – რელიგიისა და ლიტერატურა – მეცნიერების მიმართულებით. ანუ, ერთი მხრივ, რელიგიური კუთხით შეიქმნება ლიტერატურული მეთოდოლოგია, მეორეს მხრივ კი რელატივისტური, მეცნიერული მეთოდები შემუშავდება.



ერთ-ერთი ყველაზე არსებითი და ნიშანდობლივი თვისება, რაც ამ მრავალმხრივ შემოქმედებით ნატურას ახასიათებს, ზუსტად და ლაკონურად არის გამოთქმული გიორგი ლობჯანიძის სტატიის ამ პასაჟში:

„გივი ალხაზიშვილი კი თავის უმცროს კოლეგებს შეიძლება შემოქმედებითი პასუხისმგებლობის ბრწყინვალე მაგალითად გამოგვადგეს. იგი დღესაც, პოეტური სიმნიფის ასაკშიც, პირველკლასელი მონაფის სიბეჯითით დაეძებს თვითგამოხატვის ახალ ხერხებსა და საშუალებებს. კვლავაც ჭაბუკური ფინით ატანილი დასტრიალებს ლექსის იდუმალ შრეებს და ამ შრეებიდან ამოტანილი ახალი შტრიხებით მთელ ქართულ პოეზიას ამდიდრებს და ასხვაფერებს.“

გივი ალხაზიშვილი

ფერადები

გოგი ნერეთელს

გადაიარა აგვისტომ და კრთის სექტემბერი, ჩვენ, შემოდგომის ფერადებში ერთად გავებით... დღეს აკვარელი, ხვალ გუაში და ზეგ ტემპერა, ან ყველა ერთად, ვინ გაიგოს ფერთა გამების?!

როგორც შეერწყმის უნებლიე ოსანას ბერი, შენც, ამ სასწაულს უერთდები, სადაც ჩერდები იქ, რაღაც ღვივის მოხასხასე სოსანისფერი და ირწვეიან ქარვით სავსე ღრუბლის ჩელტები.

ბროწეულებმა სახეები ჩამოიკანრეს და ბალებს ზამთრის სიახლოვე სულ არ აშინებს, მაგრამ ის მოვა, მოიყოლებს სუსხის სიმკაცრეს და ყოველივეს გახვევს ნისლის სუდარაშივე.

ის დღეც დადგება, რომ შემრჩება სიტყვა ფიტვიით, ხსოვნაში მზერას ჩავიბრუნებ, ვეძებ არჩევანს, ნიშნად იმისა, რომ გარდასულს კი არ მივტირი, ნითელ ფოთოლზე მზის შხეფივით ვნატრობ დარჩენას.

მოლოდინის გათენება

ველარ გავარჩევ რაა ნამდვილი, რაა სიზმარი და მოგონილი... შენ წევხარ ხსოვნაამოქოლილი და უეცარი ჩიტის ჟღერტული სიჩუმის ხმაა; ღამის ურდული უპირველესი ბგერით იღება, გძულს საკალენდრო დათარიღება და წელიწადის დროთა წერილი გაუნყებს: არის გადაცელილი, გადათიბული, გადანახული ძნებად, ზვინებად დღენი ზაფხულის.

ეს თვეც გასულა, შენ კი გეგონა, ვიდრე ამ დღეებს ჟამი შეკონავს, მერე მოისვრის ერთ თაიგულად, ისიც ჩამოვა, ვინც დაიგულა, ვინც შეიგულა მოსვლის თარიღი... ვუცდი და მოჩანს ჩრდილი მკვდარი ხის, რომელიც ქარშიც კი არ ირხევა და მეჩვენება, ის მკვდარი ხე ვარ, ფესვებით ვდგავარ ხსოვნის მიწაში და ამ შეგრძნებას ახლა ვინც ნაშლის, ეს შენ ხარ მხოლოდ, ეგ სამოსელიც ჩვენი შეხვედრის საღამოს ელის.

გულივით მიცემს ყველა უჯრედი და სიყვარული, ასე უშრეტი, გაახელს თვალს და მეტყვის: გათენდა! მე კარგად ვიცი ახლა რა მთენთავს, ისევე დუეტი და უცილობლად ორი ხმა: ნატვრა და უძილობა.

გაახსენდა და შეეშინდა

ვინც დაივინყა გაახსენდა და შეეშინდა, ჩაყლაპა ლუკმა, დადგა ჭიქა, ხელისცეცებით გასწია ფარდა, მერე ზეცის გახსნილ პეშვიდან გადმოღვრილ სხივში ათამაშებდნენ მტვრის ნამცეცები.

აი, რა დარჩა ჩაფერფლილი დღეებისაგან, ხსოვნა, რომელიც ვერ გპასუხობს სად და ვის გაჰყვებ და მათი მტკვერი ეფინება ყველა იმ საგანს, ვინც თავს ანდობდა მაგიდაზე დაყრილ იდაყვებს.

სიღრმეში ჭვრეტა და თვალეები შენისლულები, პეშვი ჩატეულ სივრცეებში თავი ჩარგული, სხივში თამაში მტვრადქეული ხელისგულების და ძილ-ღვიძილის ზღვარი ხილვით ამოქარგული.

არავის ახსოვს ვინ და როგორ უსხდნენ მაგიდას,
მათ ნამცეცხვებსაც ათამაშებს სხივი ასევე,
როგორც წინაპარს, ისეთივე შიში აგიტანს
და ხელისგულზე მთელ სამყაროს ჩამოასვენებ.

ღათოს

თითს უკაკუნებს მტვრიან მაგიდას
და ასე ცდილობს ფიქრის კოდალა
საკუთარ თავის ბნელ წიაღიდან
დარდის გამხელას თუ ამოტანას.

თითების მორზე, ფიქრის კაკუნი,
ხელისგულები, ანდა პეშვები,
სადაც თავს ჩარგავ და მოკაკუნი
საკუთარ ბზარში გადაეშვები.

კარს შავეთისას – სიმწრით შესაღებს
ანგება სივრცე ცრემლით ნაფერი –
„მდინარეთა და ქართა შესახებ“,
„ქალაღის ფრთები“ და არაფერი

* *

ამ ღამეს ჩემთვის რაღაც აკლია,
გაუგებარი განცდა სისრულის,
რადგანაც იგი ანარეკლია
და ვარსკვლავებით ავლენს მზის სურვილს.
ციდან ვარსკვლავი წყდება ხან ერთი,
მეორეც წყდება, მერე მესამე
და მოოჭვილი ღამის ხავერდის
ნარღვევებს შავი ძაფით კემსავენ.

შიშია, რასაც ღამე გადამდებს,
ჩემშია და ვერ ჩამოვიცილე,
ღამის ფრინველი ქვეყნის სადარდელს
ყველას მაგივრად ამოინივლებს.

სალამოს პრელუდია

აფენს და აფენს კაკლის ხე ნეშოს,
შენ რას დააფენ თავო, ხენეშო?!

ხალხს გაეცევი ავენებიანს,
ლანდს აფენ, ლანდი აგდევნებია.

არ ახსოვს ნენგო კაკალს გაკროლილს,
ალარც ბალს ქარის გადანაქროლი.

და სარკმელს ბახის აკორდებიანს
სხვებიც ბავშვურად აკვირდებიანს.

სალამოს ყვავილი

ისევ სურვილებს აყვები და ნალველს ვიმრავლებ
და ვგრძნობ, თანდათან, როგორ ვკვდები, როგორ
ვმინდები,
მიკვირს, რომ ვცოცხლობ, უსწრაფესად არ ჩავინავლე,
თვალთ რად ვეძებ, რასაც მხოლოდ გულით მივწვდები?!

შენელებული მზერით ცისკენ კვამლს რომ წავყვები,
შიში ამოჰყავს უცნობ სიტყვის ბგერებს უნებურს,
რომ გაიღვებ, დაკლაკნილი ელვის ძარღვები
ცის წერილივით თვალთ მიმაქვს შინ მიბრუნებულს.

ვჯდები სარკმელთან, თვალს ვაყოლებ ღრუბლის ამაღას,
ახლა სარკმელი ცით აღსავსე არის ნიჟარა
და დღემ ჩავლილმა, რაც აგროვა და გადაამალა,
იმ ყვავილშია, მზის ჩასვლამდე რომ გაიშალა.

* *

რადგან სიკვდილში ვერ გაგიხსენებ,
მოულოდნელად რომ გავგორდები,
მე ველარ გეტყვი: მოდი, მიხსენი!
გიშველი, თუკი მოგაგონდები.

მე რას გავიგებ, ჯერ ხომ ადრეა,
შუქი ეცემა დალაქულ სარკეს,
შავი ღრუბელი ცის ხომალდია,
მოჰყავს ავდარი ქალაქისაკენ.

უსამანობით და სამანითაც
შემკრთალა ზეცა ორი ხეობის,
ის არ იღლება დასაბამიდან
სადღელამისო მორიგეობით.

* *

ჭეშმარიტება არ დაცდება ცბიერ ბაგეებს
და შენი ხორხი არის მუდამ ღია საფლავი,
ხელოვნურია ეგ სიმღერა, რომ შემაგებე,
როგორც დისკანტი – საჭურისის ხმა დამზაფრავი.

და ცოდვა-მადლი, არა მხოლოდ ყურის მემბრანებს,
პოულობს გულსაც, სიტყვებია გზის გამკაფავი,
ბუნებრივია, უნებლიეთ რომ შემებრალე,
თუმც ხორხი შენი მაინც არის ღია საფლავი.

ჩიტი არა ხარ, რომ გაფრინდე; შინისაკენ კი
მიხვალ მშიერი, შენი ლანდი სად დაეცემა?!
ჰა, შენი საზრდო, სიტყვებია შენი საკენკი,
კალმის ნისკარტით გააგრძელე დანამცეცხვა.

დაგეგმვა

რატომ დამშორდი, შეჭირვებულს თვალს რად მარიდებ, ამ ქვეყანაში მე უშენოდ ვინ დამაფუძნოს?! ისე ვარ, თითქოს საკუთარ თავს ვასამარებდე, ჩემი დღეები ნაჩქარევად რომ გადაფურცლო.

მაგრამ მაფიქრებს შენი რიდი და რაც მაფიქრებს, ბაღებს სინანულს, თანდათან რომ დამეფუფლება. დაგეგმვები, უნუგეგმოდ ხელს არ დავიკრეფ, იქნებ გავიგო, სინანული რას მეუბნება.

გადაფრენამდე

ნუ მიმატოვებ, მომავალი გამახსენე მე: ცოდვას კაცი, ფიქრში ჰპოვა ანდა ეძება თავშესაფარი, რადგან აქაც არ ასვენებენ, რომ იგრძნოს, გული სიტყვას როგორ გადაეცემა.

გავიმეორებ შენს სიყვარულს, როგორც სარკე – ცას, დროებით, მაგრამ ჯერჯერობით ისევე აქვე ვარ, როგორც ფრინველი, გადაქანცულ ფრთებს რომ დაკე-ცავს და გაფრენამდე ელოდება ხელის აქნევას.

სუნთქვის სივრცე

გაფრინდი სულო, შეიმაღლე ტყეში ჩიტვით, იქ დუმილს უყვარს უგრძობის სუნთქვის განფენა, შენ ამ სხეულის გალიაში ვერ ჩაეტევი და მუდამ მზად ხარ სხვა სივრცეში გადასაფრენად.

უცხოა ყველა, რიოშია ბრწყინვა დიდების, მძინარე ჩვილის გალიმებას ვერ შეედრება, როდესაც ბავშვის სუნთქვის სივრცეს გრძობენ თითები და სიყვარულის შორი-ახლოს შიშიც ეთრევა.

ჯერ სიტყვებში ხარ. ამღვრეული განცდა რომ წყდება, შენ ვერ მიხვდები, გაცემა რა ხმოვანი შვა, რადგან ავტორმაც კი არ იცის რა წამოცდება და თუ მოასწრებს უცაბედი ხილვის ჩანიშვნას.

* *

არ ვიცი როდის გაგიხსენებ. ხვალ ღამ, იქნებ ზეგ მომიწევს, ალბათ, მივინყებულ აფრის აშვება, ეს ხსოვნის ხმაა, შემთხვევით რომ ამოვიკენესე, ყოველდღიურად მცდის და ვიღაც მეთამაშება.

ფიქრის ფურცლებზე აღბეჭდილა დროის ბნეკარედი, იმ ერთი დროის ბედისწერამ რომ გაასამა, მთელი ცხოვრება წყაროსავით მივწანწკარებდი იქითკენ, სადაც დასასრული ერთვის დასაბამს.

დუმილის განცდა

მე ვნატრობ, მქონდეს სენაკი და წამოსანოლი, რომ მოადგება სარკმელს ღამე და გარინდება, დავხუჭავ თვალს და უნებლიე სიტყვას ავწონი, გულს რომ გაივლის და უგულოდ არ აინთება.

დამავინყდება გართობა და დრო უნდობარი, სახლი, რომელიც დაიღალა კარის შეღებით. დუმილის ძაფზე აისხმება ჩემი ტროპარი და კალმის წვერით არც ერთ სიტყვას არ შევეხები.

დაუნერელი სტრიქონები გაფიქრებიდან ვერ გამოაღწევს, ვერ შეავსებს ფურცლის საფლავეებს, დარჩება განცდა, სიტყვები კი გამიქრებიან, დუმილის განცდას წერა-კითხვით ვერ ჩავაფლავებ.

* *

როცა ავხედე ზეცას – შენი ფიქრით განვრცობილს, ვთქვი: ვარსკვლავები არის შენი მზერის მისხლები, ეგ ჟრუანტელი, ვენახებო, არის ნაცნობი, მოადგება ჟამი და თქვენსავით ჩვენც გავისხლებით.

ბევრჯერ ავცოცდი ლეღვის ხეზე მე ზაქესავით, მოახლოვების მეშინოდა და ხელის ხლები. შენ ხარ ნათელი, სიბნელეში გზის დამგეზავი და, ამავე დროს, უკეთურთა ხარ შემრისხველი.

არ დაიღალა შენკენ ცქერით ჩემი სარკმელი, შენ კი ყველგან ხარ, არსად ხარ და გულში ბინადრობ, მიმოდის დრო და თამაშობენ დროთა სარკენი და მეშინია, უფრო ძლიერ რომ მოგინატრო.

ვინც ჩვენი ღოცულობს

აღარ ავყვები. ფიქრმა ფიქრი გამიასკეცა, გამოვიარე არაერთი ათასწლეული, შევერთვი დუმილს, უსიტყვობას, ანუ ასკეზას, ზედაპირული ხმაურისგან თავდაღწეული.

სადღაც ღრეობენ ბედნიერნი უხვი მოსავლით, შენ, განდგომილო, სადარდელით გარემოცული, იკითხავ შენთვის: – მართლა არის ის ღვთისმოსავი, ბერი სენაკში, ვინც ცოდვილთა ბედზე ღოცულობს?!

აოჯია

გადის ცხოვრება, ყველა იმკის თავის მოსავალს, გადახვენილი შინ ვბრუნდები – შვილი უძღვები, მოვა სადამო განძარცულთა შესამოსავად, თქვენ კი, ზარებო, სინანულსაც შინ მიუძღვებით.

რაც უსიტყვოდ რჩება

იგი, რაც მუდამ უსიტყვოდ რჩება, თანდათან მეც იმ სივრცეში ვრჩები, სადაც ვერავის ვერ ვკითხავ რჩევას და უთქმელობის ღრმავდება ქები.

ისე ჭიკჭიკებს ფრთაჭრელი ჩიტი, საკუთარ ბგერებს ამოჰყვებს ლამის, სიმუნჯისა და გამხელის ჭიდლოს ნაეფარება სიჩუმის შლამი.

ნითელი ვარდის თუ კოკრის მსგავსი მოუჩანს წვერი ფანქარს, ძლივს წათლილს, უთქმელობის ჭას უფალი მავსებს და მე ამომაქვს სიტყვების სათლით.

იგი, რაც მუდამ უსიტყვოდ რჩება, მგონი, იქიდან გადმოდის მადლი, რომელიც სულში, სხვაგან კი არ ჩანს, განათებული უთვალავ სათლით.

უცხოური ესიესტიკა

მიგელ დე უნამუნო

მთეხუი

ავილას პროვინციაში სიერა დე გრედოსის მიუვალი და მკაცრი ადგილები რომ დავლაშქრეთ მე და ჩემმა მეგობრებმა, მერე, ივლისის პირველ რიცხვებში, მშობლიურ სოფელში დავბრუნდი, ვიფიქრე, ცოტა დავისვენებ-მეთქი, მაგრამ სულ რამდენიმე დღეში უკვე სხვა ჯგუფთან ერთად ახლა სანტანდერას მიდამოებისკენ ავიღეთ გეზი; ჯერ კასტრო დე ვალნერას მწვერვალზე ავედით, შემდეგ პასის ხეობისკენ დავეშვიტ, ბოლოს კი განთქმულ სანტალიანა დელ მარში გავჩერდით.

მთებში ადამიანი ისვენებს, მშვიდდება და ბევრსაც სწავლობს, მაგრამ თუ გინდა შენი სამშობლო კარგად გაიცნო და კიდევ უფრო შეიყვარო, ამაზე უკეთეს საშუალებას ვერ მოიფიქრებ. ეტყობა, სწორედ პატრიოტული გრძნობა გვაქვს, როცა საექსკურსიო ბიუროების, ალპინისტური კლუბებისა თუ სხვა ამგვარი საზოგადოებების შექმნისათვის ვიბრძვით ხოლმე.

ესპანელებმა ესპანეთი უნდა გაიცნონ; ამაზე ბევრჯერ გვითქვამს და ბევრიც დაგვიწერია, მაგრამ ეს მარტო ესპანელებს როდი ეხება, არა მგონია, სხვა ქვეყნებში იყოს უკეთესად საქმე. ჩვენთან, ბილბაოშიც, ბარსელონაშიც, მართალი გითხრათ, არცთუ იშვიათად შეხვდებით ადამიანს, საკუთარ ქალაქს რომ გასცდენია, საკუთარ ქვეყანაში უმოგზაურია, კასტილიის, არაგონის, ესტრამადურისა თუ ანდალუსიის ისტორიული ადგილები მოუხახულებია, ანდა მივიწყებული, მაგრამ ლეგენდებით მდიდარი კუთხეები გახსენებია და საფრანგეთის, იტალიისა თუ გერმანიისკენ კი უჭირავს თვალი. ალბათ თქვენთანაც, ოკეანის გადაღმაც იგივე ხდება, ეჭვი არ მეპარება, არგენტინელებს შორისაც საკმაოდ მოიძებნებიან ისეთი ახალგაზრდები, თავიანთი მშობლიური მინანქლის სილამაზის რომ არაფერი გაუგიათ, საკუთარი თვალთ არაფერი უნახავთ და პარიზში, რომსა თუ მადრიდში კი გარბიან კისრისტებით. დარწმუნებული ვარ, ვინმე ბუენოს აირესელი ახალგაზრდა ვერსალის ნახვაზე ოცნებობს

მაშინ, როცა განთქმული იგუასუს ჩანჩქერისა მარტო სახელი თუ გაუგია.


მერედა, როგორ იმართლებენ თავს, – ყოველ შემთხვევაში აქ, ჩვენში, – ეს რკინიგზასთან დაკავშირებული სიძნელებები, კეთილმოუწყობელი სასტუმროებით, მგზავრობის მძიმე პირობებით და სხვა და სხვა, – ცარიელი მიზეზებია, გამოგონილი და გაზვიადებული, თორემ, თუ გული გულობს... უბრალოდ, თავის შეწუხება არ უნდათ. ექსპრეს-მატარებლებმა, ლუქს-ვაგონებმა და მოდურმა სასტუმროებმა მეტისმეტად გაანებივრა ჩვენი ხალხი. განა არ შეგხვედრიათ ვინმე საზიზღარი ფრანტი, სუნამოთი გაჟღენთილ ცხვირსახოცს რომ აფრიალებს, თმადახუჭუჭებული და ნელსაცხებლებით თავპირგაპრიალებული, საპარიკმახელოდან ახლახან გამოსული რომ გეგონებათ, ერთ ნუნუნსა და ბუზლუნს რომ მოჰყვება ხოლმე საქმლის, საძინებლისა თუ მომსახურების გამო; ეს ხომ პრანჭვა-გრეხის მეტი არაფერია, უმეტესობას ეგებ საკუთარ სახლშიც კი არ გააჩნია უკეთესი პირობები.

ასეთ გასეირნება-ლაშქრობებს, რაზეც ესოდენი გზნებით ვკადავებ, არცთუ ცოტა სიკეთე მოაქვს; თუნდაც ისა ვთქვათ, რომ ნებისმიერ ვითარებას ერგევი და ეგუები, პრანჭვა-გრეხას ხომ გადაეჩვევი და გადაეჩვევი, და ესეც დიდი საქმეა! ერთხელ მთებში რესტორნის ერთი ასეთი კოხტაპრუნა აგვეტორღიალა და მართალი გითხრათ, კარგადაც გამართო მისმა ყურებამ; მთელი გზა ხომ ქოშინითა და ბორძიკით იარა, გახვითქული წამდაუნუმ ეცემოდა, მერე ნახევარი გზაც არ გვქონდა გავლილი, რომ ვარცხნილობა დაეშალა, თმა გაენუნა, კოსმეტიკა წაეშალა და სახეზე ჩამოეღვენთა, წყაროს დანახვაზე პირქვე დაემხო და ხარბად დაეწაფა, მაგრამ ამ ტანჯვა-წამების დამავიგრვინებელი ის იყო, რომ მზემ სახე ისე დაუნვა და დაუფუფქა, კანი სულ ნაფლეთებად ჩამოევიდა.

უკვე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ ეს გასეირნება-ლაშქრობა საკუთარ ქვეყანაში სხვა სიკეთესთან ერთად შიშის გრძნობასაც გვიქრობს, ხოლო ყველაზე მთავარი და უმთავრესი მაინც ისაა, რომ სამშობლოს სიყვარულს გვასწავლის. როდესაც თვალწინ გადაგვშლება შენი მიწის თვალწარმტაცი სანახაობა, უცხო გრძნობა დაგეუფლება, ისეთი, თითქოს ეს მთებიც, ხეებიც, მდინარეებიც შენი სხეულის ნაწილებია, შენი ხორცია, თითქოს ეს უსულო საგნებიც შენს

ირგვლივ — შენია, მშობლიურია და ეგებ ადამიანებზეც კი ახლობელი. შარშან იუსტეს მონასტერში რომ ვიყავი და იქიდან გვადალუპეში გადავუხვიე, მაშინ მეტად უცნაური, მონინებული — ფილოსოფიური სევდა შემომანვა იმ დროების გახსენებაზე, კარლოს I იმპერიის მზე რომ ჩაესვენა; სწორედ იქ და მაშინ ჩავწვი იმ ჟინისა თუ ახირების სიღრმესა და ძალას, რამაც წააქეზა იმდენი თავგამეტებული თავგადასავლების მაძიებელი, რომ ვიდრე სულ ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილი ახალი სამყაროსკენ მიმავალ გემზე დასხდებოდნენ, ესტრამადურიდან ჯერ გვადალუპეში გაცვივდნენ, წმინდა ქალწულის წინაშე მუხლი მოიყარეს და მერე დაემშვიდობნენ სამშობლოს.

კასტელარის მგზნებარე და მოკრძალებულ პატრიოტიზმზე, ესპანეთისადმი მის ერთგულებაზე, სამშობლოს მისეულ კულტზე თუ იტყვიან ხოლმე (ეგებ ამიტომაც დარჩა უცლოშვილოდ, ერთ სიყვარულს რომ შესწირა თავი), კარგად მესმის, რომ ეს კაცი, ეს დიდი ესპანელი ერთი იმათგანია, ვინც სამშობლოს ყოველი კუთხე ფეხდაფეხ შემოიარა, მთელი ქვეყანა გარდი-გარდმო გადასერა; მართლაც, ნებისმიერ სოფელში, სადაც კი ისტორიული ძეგლები თუ ლეგენდები მოიძვება, გეტყვიან, აქ კასტელარი იყო. ვერსად ნახავთ შთაბეჭდილების წიგნსა თუ ცნობარს, მუზეუმსა თუ სხვა რომელიმე ღირსშესანიშნავ ადგილს, სადაც კასტელარს თავისი ავტოგრაფი არ დაეტოვებინოს.



მიგელ დე უნამუნო

ესპანეთში კიდევ ერთი ადამიანი იწვოდა სამშობლოს სიყვარულით და ეს გახლდათ კანოვასი. ერთხელ სან პედრო დე ლა ნავეს ეკლესიის სანახავად ვიყავი, სამორადან ოციოდე კილომეტრის დაშორებით, მდინარე ესლის ხეობაში, მიყრუებული ადგილიცაა და არცთუ კარგად ცნობილი, იქაც კი მითხრეს, აქ კანოვასი იყო.

თუ გინდა შეიცნო და შეისწავლო შენი მხარე, შენი მშობლიური ქალაქი თუ სოფელი, სულაც არა კმარა მარტო მის ადამიანებს, ან სულს იცნობდე, მისი სხეულიც უნდა შეიცნო, მისი ხორცი — მისი მინა. დამიჯერეთ, ევროპაში არც იმდენია ისეთი ქვეყანა, სადაც შეიძლება თვალთვალ და გულითაც დატკეპ ბუნების ასეთი მრავალფეროვნებით, როგორც ესპანეთში — დამრეცი ფლატეები გინდათ, ხეობები თუ ღელეები, მოტივტელები მინდვრები თუ მწვანედ აბიზინებული გორაკები, მკაცრი, მიუვალი ფრიალოები და რომელი ერთი ვთქვა, ერთი სიტყვით, რასაც ინატრებთ; მაგრამ მოგზაურობის დროს რაც შეიძლება შორიდან უნდა შემოუარო ცენტრალურ მაგისტრალებს, რადგან ასეთ ადგილებში უწყვეტ ნაკადად მიდი-მოდიან ცნობარებით აღჭურვილი ეგრეთნოდებული ტურისტები, სარკინიგზო სპორტის ვითომ დიდი მოყვარულები, რომლებიც ღამეს მხოლოდ სასტუმ-

როს ნომრებში ათევენ, — საბრალონი! — სადილად აუცილებლად მინერალურ წყალს გეახლებიან, სულერთია როგორს, თუნდაც კუჭი გაულიზიანოს! — ყველგან რესტორნის ერთნაირ, გულისამრევ კერძებს მიირთმევენ; ამ ბეჩავების ყველაზე დიდი სატანჯველი კარეტებით ანდა ცხენითა თუ ვირით გადაადგილებათ, თუნდაც რამდენიმე საათი, ფეხით სიარულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. აბა, ასე შენი ქვეყნის გაცნობას რა მადლი აქვს!

სიკვდილამდე არ დამავინყდება სიერა დე გრედოსის მთებსა და კანტაბრიაში მოგზაურობა; მოჯადოებულებით დავდიოდი. გახვალ თუ არა ბესარადან, შენ თვალწინ აღიმართება ბესედადის კოშკი, რომლის ძირშიც მდინარე ტორესი მიედინება, — მეც ამ ხეობაში ვცხოვრობ, — მთიდან ერთი დგაფუნით ეშვება წყალი და მიემართება ხიდისკენ, რომელსაც ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები დარაჯობს; და

იქვეა ბარკო დე ავილა! ბარკო, ეს პატარა, ნათელი ქალაქი, თითქოს გეპატიუება, აქ დარჩი, დამკვიდრდი, თუ გინდა შენმა ცხოვრებამაც მდინარესავით წყნარად და უშფოთველად იდინოსო. ამის შემდეგ კიდევ ერთი საოცრება გველოდა — პიედრაიტა და ალბაც, ჰერცოგთა დიდებული სასახლის ნანგრევები; ფრანგული სტილის არქიტექტურის ეს ბრწყინვალე ნიმუში, რომელიც შეიძლება მართლა პატარა ვერსალიც კი გამხდარიყო, გასულ საუკუნეში ადგილობრივმა მოსახლეობამ დაანგრია, თურმე ეგონათ, ჰერცოგი ფრანგებს მიეყიდაო. მე-

რე გზიდან რომ გადაუხვიე, პაკოს ვინრო ხეობას გაჰყვები, გადაივლი ბარანკოს სამოთხის მსგავს მინდვრებს და სიერა დე გრედოსის ქედზე დაემგები, აქ უკვე შეიძლება ღამის გასათევად არენას დე სან პედროშიც გაჩერდე. იქიდან ავილაში ნავედით, ამ მშვენიერ ქალაქში, რაინდებისა და წმინდანთა ქალაქში, ასე ლამაზად რომ მოგვითხრობს ენრიკე ლარეტა რომანში „დონ რამიროს დიდება“.

ამდენ სისულელეთა კითხვით დაღლილ ჩემს თვალებს განუზომელ სიამოვნებას ჰგვრის სან პედროს ეკლესიის დახვეწილი ხაზები, სან ვისენტეს ბაზილიკის, განთქმული ტაძრის, ნითელ სვეტებს შორის აფსიდებისა და თითქოს იმიერი, იდუმალი ტევრის ჭვრეტა, იმ ტევრისა, სადაც წმინდა ტერასას უვლია.

ავილადან სეგოვიაში მივდივართ, ულამაზეს სეგოვიაში, სალამანკის ამ ცოცხალი ასლის სანახავად. მართლაც ამ დაუვინყარი ლაშქრობიდან რამდენიმე დღის შემდეგ აქ, ჩემი მშობლიური ბასკეთის მინაზე დავდგი თუ არა ფეხი, გადაწყვიტე, ცოტა შვება მიმეცა სხეულისთვის და ბავშვობის მოგონებებით გამეხალისებინა სული, მერე კი ისევ ახალი ლაშქრობა მელიოდა, ამჯერად მონტანას მინებზე. ლალად გაშლილი უმშვენიერესი, კრისტალივით გამჭვირვალე მენას ხეობა

რომ გავიარეთ, მივუახლოვდით ქალაქ ესპინოსა დე ლოს მონტეროს, რომელიც ივლისის მინურულის ამ ლამაზ დღეს, შებინდების ჟამს მარადიულობისა და დუმილის მხარედ მეჩვენა. იქიდან ღრუბლებს შორის გავიკვლიეთ გზა ტრუეფას ხეობისკენ და ბოლოს შევედექით კასტრო დე ვალნერას ათასშვიდასი მეტრის სიმაღლეს. ყოველ წელიწადს ავდივარ რომელიმე მწვერვალზე და რაკი ორი ათას ექვსასი მეტრი დაძლევა ამჯერად არ გამომივიდა, – როგორც ჩაფიქრებული მქონდა, – სიერა გრედოსზე, ახლა ამითაც უნდა დავეკმაყოფილებულიყავი. ყოველ ნაბიჯზე უფრო და უფრო ღრმად სუნთქავს ფილტვები, ჯან-ღონე და მხნეობა ემატება სხეულს, კაბინეტის სული ოფლად გამოდის და ორთქლდება. დროდადრო მდელიზე მცირე ხნით ვისვენებთ და ნება-ნება, წყნარად ვსაუბრობთ. საამო ოფლით დაცვარული სხეული თითქოს ბალახსა და წყაროსთან ერთად სუნთქავს და მეც თავისუფალი ბუნების შვილად ვგრძნობ თავს. ხანდახან ზევით ვიყურები, მწვერვალისკენ... ჯერ კიდევ შორსაა... და უეცრად, ჩვენთვისვე მოულოდნელად, თურმე ავსულვართ კიდევ! ირგვლივ ღრუბლების ზღვაში მთის მწვერვალები ამოზიდულან, ცხრა ესპანეთის პროვინციისა და სამიჯ ბასკეთისა და ესპანეთის მზეს ეფიცებებიან. ქვემოთ, კლდეკარის ვინოებში, ფრიალო კლდეებს მიღმა სანტანდერას მთას ვხედავ, პასის ხეობის ბინადართა მიწას, ცოცხა მოშორებით, წყლის ზედაპირზე ჩამონოლილ ბურუსში პლაჟი თეთრ ზოლად გაჭიმულა. ასე გეგონება, შენს ფერხითი რუკაა გამოლილიო, აიღებ ხელში და ყოველი სახელი ნაცნობია, რაც კი ნებისმიერი მიწის ნაკვეცისთვის უწოდებია ხალხს. გაიძრობ ტანსაცმელს და მზე ამრობს სხეულსაც და სამოსსაც. მთელი მეკრდით ჩაისუნთქავ მთის ჰაერს და კიდევ უფრო მძაფრად გრძნობ, რომ შენც მიწიერი არსება ხარ, ამ მიწის შვილი. და აჰა, უკან დაგვრჩა ჩაფიქრებული, სევდიანად გაყურებული პასის ხეობაც, ზურმუხტოვანი მინდორ-ველები, წარაფები, აქა-იქ მწყემსების შიფერით გადახურული ქონხახები, შორიდან საფლავები რომ გეგონება, მოსახვევებში აბალახებული ბლიკები მოქუფრული და გარინდებული პასის მთების ძირში მიიკლაკნება, მდინარე პასის უშფოთველ ფშვინვას ალაგ ჩანჩქერები თუ ახალისებს. ეს პეიზაჟი მუსიკალურია, მუსიკა ლიტურგიული, გრიგორიანული, მასში ბევრი ბგერები კი არაა, მაგრამ რაც არის, ყველა ორგანის ბგერაა. და მახსენდება „ობერმანი“, დიდებული „ობერმანი“, შორს ხეობის მიდამოებში კაცები და ქალები ბალახს თიბავენ. მერე ტორანსოს ხეობა იწყება. ამ ღამეს კასტანიედაში გავათენებთ. იქ პატარა ეკლესია დგას, იქაური მიწის მარილი, სულ პატარა, რომანული სტილის ეკლესია, სიძველეთა მღუმარე მცველი. ესეც პეიზაჟის ნაწილია, ეს პანანინა ეკლესიები ნაბლის ხეობით აღმოცენდებიან ხოლმე მშობლიურ მიწაზე. შიგნით, საკურთხეველში ძველი, ესპანელი ქრისტეს გამოსახულებაა, ჩვენი ბერბერული ქრისტეს ხატი და იგი მღუმარედ, მაგრამ ფხიზლად იცავს ჩვენს მამა-პაპათა რწმენას.

კასტანიედიდან სანტილიანად დელ მარისკენ მივემართებით, რომელზეც ბევრია დაწერილი და კარგადაცა ცნობილი პერედას ნიგნებისა და რიკარდო ლეონის რომანის „ახნართა მოდგმის“ წყალობით, იდალგოთა ქალაქი, ნახევრად დანგრეული, სევდიანად გარინდებული, ძველი, პატარა ეკლესიის ფერხითი და იქვე რომანული სტილის დახურული გალერეა, რომლის წყვილ-წყვილი კაპიტელები გვაგონებენ გულუბრყვილო ბარბაროსობის დროს, როცა ომში ისე მიდიოდნენ, გეგონებოდათ სანადიროდ მიიქპარიანო. ოჰ, ეს ძველთაძველი გალერეები, ბავშვობის ბედნიერ ხანაში რომ გადავყავართ!

ტორელავეგაში ერთ მადრიდელ ჟურნალისტს გადავყარეთ, რომელმაც მაშინვე გავიბა საუბარი და სასწრაფოდ გვაცნობა ბარსელონასა და მელილეს ამბები, – ეს დაუსრულებელი შემთხვევები! ეს დაუცხრომელი ყოველდღიურობა! – მაგრამ სულ ანეკდოტისებური, რალაც ნაგლეჯ-ნაგლეჯი ცნობები, თავსა და ბოლოს რომ ვერ გაუგებ. რამდენად უფრო მეტს გვეუბნება სამშობლოზე, მის სულზე ბინდებულში ჩაკარგული პასის ხეობა და სანტილიანას სამრევლოს პატარა ეკლესია, ან მზიანი და ხალისიანი გალერეების სიმყვაროვე.

და ახლა, როცა უკვე ბილბაოში ვარ, ადამიანთა ამ ჭიანჭველების ბუდეში, გავყურებ ტრამვაებსა და ავტომობილებს, ქუჩაში რომ დაგრუხუნებენ, მორთულ-მოკაზმულ ქალიშვილებს, ამაყად რომ იმზირებიან სველი ასფალტის სარკეში და მაგონდება სიერა დე გრედოსის დიდებული სილამაზე, ბრწყინვალე და გონებამიუწვდომელი კასტრო დე ვალნერა, პასის ხეობის მკაცრი სიჩუმე და საუკუნეთა მონობისგან გათავისუფლების გრძნობა, სანტილიანას გალერეაში რომ დამეუფლა.

აბა, რა გაეგებათ სამშობლოს ავკარგისა მათ, ვინც გამოთავანებად დარბის ქალაქიდან ქალაქში, დაბორიანებს სასტუმროებში, ღამეებს ათენებს იმ საშინელ sleeping car-ებში, დაძრის ბაზრიდან ბაზარში, მიიჩქარის კორიდაზე, იქიდან კომედიაზე; ერთი სიტყვით, ვინც მარტო იმაზე ფიქრობს, როგორმე მოასწროს და როგორც შეუძლია დატყეს ამ ცხოვრებით. არასდროს დამავინყდება ის ღამე, ღია ცისქვეშ რომ გავატარე, შიშველ მიწაზე მეძინა, მერე გათენებისას ჭექა-ქუხილი ატყდა, ელვა საღვთისაგან რომ ევლებოდა გარს სიერა დე გრედოსის პიკებს... და ამ ჭექა-ქუხილსა და ელვის ტკრციალში გამომეცხადა უფალი ღმერთი ჩემი სამშობლოსი, ესპანეთის ღმერთი, გამომეცხადა ისე, ვითარცა ისრაელიანებს იაჰვე სინაის მთაზე... ღმერთი ხალხთან მთიდან დაეშვება ხოლმე.

გვადარამისა და ფუნფრის მწვერვალები, კასტილიის მიწის ბურჯები.

ნათქვამია გარსია ტასარას უკვდავ სონეტში, ჩემი მიწის ბურჯები, ცის თაღედის საყრდენები. თუ ერთხელ მაინც არ შემოგიხვევიათ მათთვის მკლავები, ვერ გაიგებთ, რას ნიშნავს სამშობლო!

და აჰა, უკვე აქა ვარ! მე რომ ქალაქიდან არ გავვარდნილიყავი ხოლმე, როგორც კი დროს ვიხელთებდი, ამდენი რომ არ მეხეტიალა ველ-მინდვრებში, არ გამეზიარებინა მწყემსების მწირი ლუკმა, არ გამეთია ღამეები გლენის ოჯახში, ხანაც ცარიელ მიწაზე, არ ჩამომეფერთხა კაბინეტის მტვერი ტანსაცმლიდან, განა შევძლებდი ისე გამეველო ჩემი ცხოვრების გზა, რომ აზრი არ დამხავსებოდა? მე რომ ნიგნის ჭია ვყოფილიყავი, – როგორც ზოგიერთებს, ჩემთვის სრულიად უცნობებს ჰგონიათ, – ამდენი რომ არ მეხეტიალა ტყე-ღრე, საუბარი რომ არ გამება გზადაგზა ყოველ შემხვედრთან, ათასჯერ მაინც არ გამრუჯოდა სახე მზეზე, ნუთუ გგონიათ, ასე ხელუხლებლად შევინარჩუნებდი ამ მგზნებარე სიყვარულს სამშობლოსადმი, რასაც – როგორც ამბობენ ხოლმე, – სიმშაგემდე მივყავარ? არა, ნიგნებმა კი არ მასწავლა სამშობლოს სიყვარული, მე ჩემი ქვეყანა გარდივარდმო, ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვიარე, მონინებით შევიჭვრიტე მის ყოველ კუთხე-კუნჭულში.

ყოველ ქვეყანაში ხელისუფლება ვალდებულია იმაზე იზრუნოს, რომ მისმა შვილებმა, ხალხმა გაიცნოს თავისი სამშობლო, საკუთარი თვალთა ნახონ და საკუთარი ხელით შეეხო. მე რომ არგენტინელი ვყოფილიყავი და თანაც მდიდარი, გეფიცებით, უნინ ჩემი სამშობლოს მინებს შემოვივლიდი, ანდებს, სელვას, გულს ვიჯერებდი მისი სიყვარულით, დავტკებოდი მისი ბუნების სილამაზით და მხოლოდ ამის მერე ვიფიქრებდი ევროპაში გამგზავრებაზე. მიჭირს გავუგო იმ არგენტინელს, რომელსაც ჯერ მაგელანის სრუტე არ გადაუცურავს და ნორვეგიის ფიორდების ნახვას ესწრაფის. მაგრამ მათზე უკეთესი არც ესპანელები გახლავთ; თუ რომელიმე მათგანი თავისი სამშობლოს ქება-დიდებას მოჰყვება, ლამის

ცოცხლად დაგიხატავთ მის სურათებს, აბა, ერთი ჰკითხეთ, ვიდრე ამერიკაში, ემიგრაციაში წავიდოდა, თავისი საკუთარი სოფლისა თუ ქალაქის მეტი უნახავს რამე? ან კიდევ ვინმე ყმანვილი, თავის სოფელს რომ არ გასცდენია, ესპანეთზე თუ დაგინყებთ ლაპარაკს ისე, რომ არც შერცხვება, იცოდეთ, ყველაფერი მარტო გაზეთებში ექნება ამოკითხული.

და ახლა კი რამდენიმე დღე მართლა უნდა დავისვენო, სადმე მთებში წავიდე, მერე კი, სხვა რა გზაა, ისევე საქმეს შევუდგები.

ესპანურიდან თარგმნა
მერი ტიტვინიძე

ესპანეთის ლიტერატურის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურულ მიმდინარეობას ან-

მთარგმნელისაგან

უნამუნო გამოხატავდა მთელი „თაობის“ აზრს, როცა აცხადებდა, „ესპანეთი აღმოცანა. ჩვენ არც ჩვენს პეი-

და ჯგუფს, რომელსაც ეწოდა „1898 წლის თაობა“, ანდა „კატასტროფის თაობა“. მისი იდეური წინამძღოლი გახლდათ სახელოვანი მწერალი, ფილოსოფოსი, ესეისტი და გამორჩეული საზოგადო და ეროვნული მოღვაწე, რომლის დევიზით „მე მტკივა ესპანეთი!“ წარიმართა „თაობის“ წევრთა და მომხრეთა მოღვაწეობა და შემოქმედება. მათი მთავარი თემა იყო ესპანეთი, მისი ისტორია, ხალხის ყოფაცხოვრება, ტრადიცია, ადათ-წესები, ფოლკლორი, ბუნება. „თაობა“ ერთსულოვნად უარყოფდა ქვეყნის „გარეგან“ ისტორიას, ანუ იმას, რაც აღნუსხულია ოფიციალურ დოკუმენტებში და ერთხმად აცხადებდა, რომ „ესპანეთის პრობლემის“ გადაწყვეტა შეიძლებოდა მხოლოდ მეფის კარის, კორტეზების, მინისტრთა კაბინეტებისა და არისტოკრატიული სალონების მიღმა. სწორედ ამ დროს წამოაყენა და ჩამოაყალიბა უნამუნომ თავისი „ისტორიისა და ინტრასტორიის“ (შიდა-ისტორიის) მოძღვრება, რომლის თანახმად ისტორიული რეალობა შეიცავს ორ ფენას – „გარეგანს“ ანუ საკუთრივ ისტორიას და „შინაგანს“ („შიდა-ისტორიას“ – ილია) – ინტრასტორიას. პირველს განეკუთვნება შემეცნებისათვის მისაწვდომი და თვალსაჩინო, ცხადი, მაგრამ ზედაპირული, რაც არის ოფიციალური, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენათა აღნუსხვა, ხოლო ინტრასტორია არის ჭეშმარიტი ეგზისტენციური არსებობა, შეუცნობელი და შეუმეცნებელი, ასე ვთქვათ, „ნალექი“ „გარეგანი“ ისტორიისა, მისი კვინტესენცია; ხოლო ადამიანებს აერთიანებს სწორედ ინტრასტორიის ელემენტები – ენა, სულიერი წყობა, მსოფლალქმა, კულტურა. ინტრასტორიის შეცნობა შეიძლება მხოლოდ ხალხის წიაღში, მის ტრადიციებში, ადათ-წესებში, ზნე-ჩვეულებებში, ხელოვნებაში, ფოლკლორში, მის გარემოში. ყველაფერში, რაც კი შემოუნახავს ხალხის სულს და რასაც შემოინახავს ხალხის სული. ინტრასტორია არის ხალხის ცხოვრება, რომელიც „დუმს, ლოცულობს, გადასახადებს იხდის და არაფერი გაეგება არც სახელმწიფოებრივი საქმეებისა და არც მათი ინტერესებისა, საუკუნეებიდან საუკუნეებამდე ცხოვრობს თავისი წეს-ჩვეულებებით, ადათებით, საკუთარი შემეცნებითა და ტრადიციებით“... ასე გამოხატავდა უნამუნო თავის ამ მნიშვნელოვან კონცეფციას და ამ იდეას „ესპანეთის საზოგადოების მომავალი თვლემს ჩვენი ისტორიული ხალხის წიაღში, მის ინტრასტორიაში, შეუცნობელ ხალხში“ – ავითარებდა როგორც ესეებში, ისე რომანებში – „წმინდა სისხლისთვის“, „სულის სთიზაჟები“, „მშვიდობა ომის დროს“, „წმინდა მსუფელ კათონი, წამებული“, „დონ კიხოსტეს საფლავი“ და სხვ.

ზაუს ვიცნობთ, არც ჩვენს თანამემამულეებს და არც ჩვენი ხალხის ცხოვრებას“.

უნამუნოს ინტრასტორიის კონცეფცია იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველი იყო, რომ „თაობის წარმომადგენლებიცა და თანამოაზრენიც თავიანთ მოღვაწეობასა და შემოქმედებას მას უკავშირებდნენ, რადგან მასში ხედავდნენ „სულის წყაროს“, ამასთან მათი ნდობაცა და სიყვარულიც ხალხისადმი გულწრფელი იყო. თავად უნამუნო ზედმიწევნით იცნობდა თავისი ქვეყნის ისტორიასაც და ხალხის სულიერ სიმდიდრესაც, მაგრამ ეს არ იყო მისთვის საკმარისი, მას უნდოდა „ჩაეყვინათ“ სწორედ ინტრასტორიაში, რადგან კარგად იცოდა, რომ „... ხალხი უფრო ერთგულია ტრადიციისა, ვიდრე ისინი, ვინც ისტორიაში მოიკიდა ფეხი... რომ მისი ტრადიცია მარადიულია, რადგან მისი იდეალი უფრო ნაგრძობია, ვიდრე ნაფიქრი...“ და რაკი იგი ეძიებდა „შეუცნობელს“, ამიტომ მიზნად დაისახა და ამასვე უკითხინებდა თავის თანამოაზრეებსაც, ძირფესვიანად შეესწავლათ ქვეყნის ცალკეული რეგიონი, მისი ისტორია, ხალხი, ფოლკლორი, ხელოვნება, რწმენა და ამ ცოდნის საფუძველზე გამოემუშავებინათ ესპანეთის „ისტორიის ფილოსოფია, მითუმეტეს, რომ ინტრასტორია ლამის სავალდებულო პროგრამად სახავდა ფოლკლორის ღრმად შესწავლას, ხალხის აზროვნების, ფიქრის ჩანვდომას და კვლევას, მის კავშირს გარემოსთან და საერთოდ ბუნებასთან. „თაობის“ თითქმის ყველა წევრმა მართლაც ლამის ფეხით მოიარა თავისი მშობლიური მხარე; უნამუნო და ბაროხა ბასკები იყვნენ, ასორინი – ლევანტიელი, ვალიე-ინკლანი – გალისიელი, ანტონიო მარადო – ანდალუსიელი... მათ რა თქმა უნდა, კარგად იცოდნენ თავიანთი კუთხის ისტორიაც, ბუნებაცა და თავისებურებებიც, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ გაბედეს ემსჯელათ საერთო ეროვნულ ხასიათსა და თვისებებზე, რაც საფუძვლიანად შეისწავლეს ხალხის ყოფა, ზნე და ადათ-წესები, განსაკუთრებით ჩაულრმავდნენ ფოლკლორს, მივიწყებულ ძეგლებს, ეკლესიებსა და მონასტრებში შემორჩენილ ხელნაწერებს; მათი დიდი დამსახურებაა ესპანური კულტურის ძეგლების ხელახალი აღმოჩენა, მივიწყებული გაცოცხლება – იქნებოდა ეს ხალხური სიმღერა, მხატვრობა, პოეზია, ხალხური ხელთნაკეთობანი და სხვ., რითაც განუზომელი წვლილი შეიტანეს ესპანური კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში, ხოლო მათ მიერ „აღმოჩენილმა პეიზაჟმა“ ერთგვარი კონსერვატორული თუ იდეოლოგიური შინაარსიც კი შეიძინა და დამკვიდრდა არა მარტო მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ ფილოსოფიაში და პუბლიცისტიკაშიც კი. ამ მოგზაურობამ დაანერინა უნამუნო

ნოს წიგნი „მოგზაურობა ესპანეთსა და პორტუგალიაში“, „სულის პეიზაჟები“, რომანები, ესეები, პუბლიცისტური წერილები. ამ „ხეტიალმა“ ათქმევინა – „მე რომ ამდენი არ მეხეტიალა, ყოველ შემხვედრთან გზადაგზა ბაასი არ გამება, ნუთუ გგონიათ, ასე ხელუხლებლად შევიწარჩუნებდი ამ დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი, რომელსაც, როგორც ამბობენ, სიმშაგემდე მივყავარ? არა, წიგნებმა კი არა, მოხზველებმა კი არ მასწავლეს სამშობლოს სიყვარული, მე თავად ფეხდაფეხ შემოვიარე მთელი ქვეყანა, მოკრძალებით შევიჭვრიტე მის ყოველ კუთხე-კუნჭულში... სწორედ ეს გასეირნება – „ლაშქრობა საკუთარ ქვეყანაში გვასწავლის სამშობლოს სიყვარულს!“

ეს სიყვარული ამოვიკითხეთ ოთარ ჩხეიძის ნოველაში „ოდოჟლერი“ („ჩვენი მწერლობა“, 2006, №1), სიყვარული წესისა და ადათისა, სიტყვისა და აზრისა. ამაზეც წერს მიგელ დე უნამუნო; „... აკი არსებობს ბევრი ისეთი სიტყვა, ატროფირებულ ორგანოებს რომ მოგვაგონებს, მაგრამ ატროფირებულ ორგანოებს შეუძლიათ დაკარგული ფუნქციის აღდგენა, თუკი ორგანიზმში ამის მწვავე საჭიროება წარმოიქმნება...“ იქვე იმასაც დასძენს რაკი სიტყვა ქმნის წინადადებას, ხოლო წინადადება აზრს, მაგრამ როცა სიტყვა

მნიშვნელობას კარგავს, აზრიც გამრუდდება. დღეს განსაკუთრებით ამის მწვავე საჭიროება დგას, რადგან აურაცხელი „არახმარებადი“, არამოდური სიტყვა დავიწყების კიდობანში მოისროლეს. ასეთი სიტყვების „გამზეურება“ „ოდოჟლერის“ გარდა, ასობით და ათასობით შეიძლება კიდევ ამოიკრიფოს „ოდოჟლერის“ ავტორის თხზულებებში, რომლებიც დღეს „დაობებისთვისაა“ განწირული. ამ სიტყვებს აზრიც მოჰყვება და ეგებ... სწორედ ამაზედ უთქვამს ილიასაც „სადაც მდაბიო ხალხის შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ საგანს ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლევლად არაფერს სტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, მისი ავი და კარგი, იმის წადილი, საჭიროება. სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყვოთ, – რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი...“

ამ ასოციაციებს იწვევს „ოდოჟლერი“.

ღიალოგი

ხალხით
საჰსა
სიგარტოვეში

*

ნიწო დეკანოიქას
ესაუბრება
ლია სტურუა

– ქ-ნ ლია, საუბრის დასაწყისისათვის თქვენი მშვენიერი წიგნებიდან გამოვარჩევ ერთს – „რძეში ჩავარდნილი ქვა“. ლექსები, სონეტები, შემდეგ პროზაული ნაწარმოებები (მაინც პოუზიასავით წასაკითხი). რატომ აირჩიეთ ეს ჟანრი, თქვენს სათქმელს უკეთ მიესადაგა თუ ბედი აქაც სცადეთ?

– მე ხშირად იატაკზე და მიწაზე კი არ ვდგავარ, არამედ იმპულსებზე. წლების მანძილზე თავისუფალ ლექსს ვწერდი, ვიტანდი ლანძღვას, არდაბეჭდვას და ვაგრძელებდი წერას. როცა ამინდი შეიცვალა, ვერლიბრმა არსებობის უფლება მოიპოვა და მას კეთილი სიტყვაც შეაწიეს, სონეტები დავწერე. „ვდიე მუსიკის კილომეტრებს და დავიზავე“ („სიკვდილის სონეტი“), შევეცადე გავსულიყავი იმ სონეტების ჩარჩოდან, რომლებიც წამიკითხავს, ოღონდ ყოველგვარი კარების მტკვრევისა და სიმეტრიის რღვევის გარეშე, მეთქვა ან, რაც მინდოდა, და სონეტის მკაცრი ფორმის შიგნით მეგრძნო სრული უჩარჩოობა.

ამის მერე პროზის დაწერა მომიწია. როგორც ამბობენ, თავისუფალ ლექსსა და პროზას შორის საზღვარი იმდენად ეფემერულია, რომ თითქმის არც არის. ჩემთვის არის. არასო-

დეს ჩემი თავისუფალი ლექსისთვის პროზის გრაფიკული ფორმა არ მიმიცია. პირიქით, ვცდილობ, დაბეჭდილი, ის უფრო კონვენციურ ლექსს ჰგავდეს და არ იყოს ზრდილობისთვის გამეტაფორებული ფილოსოფიური ტრაქტატი, რა თქმა უნდა, ამ აზრს ვერ განვაზოგადებ, მაგრამ მე ასე მიჩვევია.

თეთრი ლექსიც არ დამინერია, რადგან მეჩვენება, რომ ის ტრაგედიის გმირის მონოლოგს ჰგავს, ცოტათი არქაულს და პათეტიკურს.

– ვფიქრობ, ეს წიგნი არ დაწერილა მხოლოდ პარიზული შთაბეჭდილებების მუხტით. აქ ბევრი სხვა რამეც არის საგულისხმო. წარმოჩნდება უფაქიზესი განცდები – ადამიანური ურთიერთობების დამამშვენებელი სანატრელი სისუფთავით. ამავე დროს იხატება ცხოვრებაც: დაუნდობელი, მომწუსხავი, ამოუცნობი, ტკბილ-მწარე, მაგრამ მაინც რომ ვერ შეეღვევი...

– პარიზზე დაწერილი წიგნი „ბედნიერი სიჩუმე“ ამ კრებულში გავიმეორე, ოღონდ, „რძეში ჩავარდნილი ქვა“ ჩვენი სამოქალაქო ომით დალდასმული შეგრძნებების რომანია. როცა კანი სულ გაგიდნა, გაცვდა ყოფასთან ხახუნით და პირდაპირ სისხლით ეხები სამყაროს, ნერვების დაბოლოებებით, ეპოსს ვერ დაწერ: ფაბულა, სიუჟეტი, გმირების ხასიათები, კონფლიქტები – ამაზე უნდა ილაპარაკო (მოყვე) მშვიდად, მიუკერძოებლად, შენ კი ხავილი გინდა. ყვირილი, ზღაპრი გიზის სასულეში, სისხლს გადენს და „კვილს ქრესტომათიაში ვერ შეიტანენ“ („პიტალო კლდეების გასაგონად“. ლ. სტურუა), მაგრამ ამისთვის ხომ არ წერ. იქნებ ასეთი რამის სათქმელად:

„– იმიტომ იბრძვით, რომ კანის ცოდვა გაიმეოროთ?“



მხატვარი
ელგუჯა ამაშუკელი

თუმცა რას ვეკითხები? კანემა მოკლა აბელი, აბელი მოკლა მზემ, მის ხსოვნად დარჩა უცოდველობა (მსხვერპლი იყო და ვერ მოასწრო ცოდვის ჩადენა), კანის საფლავს ჟანგისფერი ფუფხი მოედო, ჟანგმა შეჭამა ქვა, თუ თოფი – მკვლელობის იარაღი. „ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა“.

ყველაზე ლამაზი და უცოდველი ამ ლექსში – ვენახი – თვითონ კი კვდება, მაგრამ არავის არ კლავს. უხერხულად დგას ტბილი, შაბიამინისფერი, ამ სისხლიანი ტრაპეზის ბოლოში და თავის რიგს ელოდება („რძეში ჩავარდნილი ქვა“).

– **„ქალს, კარგი პოეტი რომ იყოს, ერთი რამ სჭირდება მხოლოდ: არ უნდა დაავინყდეს, ქალი რომაა!“ – ამას ტარიელ ჭანტურია ამბობს და იქვე დასძენს: არ უნდა იმუქრებოდეს, მტერო, დედას გიტყვი, ამას გიზამ, იმას გიზამო... ამ პრინციპით, არც კაცის ლექსები ივარგებს პოეზიად. საერთოდ რა არის პოეზია და რით განსხვავდება ქალისა და კაცის პოეტური სიტყვა, ზოგადად მწერლობა.**

– აბსოლუტურად მართალია ტარიელ ჭანტურია. რაც უნდა ინტელექტუალური იყოს პოეზია, როგორ მისტიფიკაცია-საც უნდა მიმართოს, ქალი და კაცი ისევე იგრძნობა მასში, როგორც ეროვნება.

მაგალითად, ზევსი რომ ოქროს წვიმად მოდიოდა, მიწიერი ქალების საცდუნებლად, შეიძლება კაცს გაახსენდეს ლექსში; ქალი უფრო ორფეოსის მეტაფორისკენ უნდა იყოს მიდრეკილი, ჩემი აზრით, ჰადესში რომ ჩადის, თავისი სიყვარულის მიწაზე დასაბრუნებლად.

შეიძლება სიყვარულზე სულაც არ წერონ, მაგრამ ყველა თემაში ისეთი ნიუანსები, ელფერები, ნახევარტონები ირეკლებოდა, რაც განასხვავებს ქალისა და კაცის პოეზიას. თუმცა ზოგიერთ ლექსში შეიძლება ერთიც და მეორეც მივიდეს ანდროგენის სრულყოფილებამდე, მაგრამ მთელი შემოქმედება ასეთი ვერ იქნება, ეს ბუნების სანინალმდეგოა.

– **„ზნობრივი კანონის გაცილებით მყარი საფუძველი ვარსკვლავიანი ცაა და არა მიწა“... თითქმის მიგიხვდით ნაგულისხმევს, მაგრამ უნდა შეგიბრუნოთ კითხვა, როცა მიწასთანაა მიჯაჭვული ადამიანი, რისგან თავისუფლდება? ან რა არის ეს თავისუფლება, რეალობა თუ ჰორიზონტიური მიუახლოვებელი იდეალი?**

– „ვარსკვლავიანი ცა ჩემს თავზე და ზნობრივი კანონი ჩემში“ – ეს მიწაზე მყარად მდგარმა ფილოსოფოსმა თქვა, თუმცა პოეტის ნათქვამსაც ჰგავს. ცაში რომ ხარ, ცას უკვე ვერ ხედავ. ზნობა მიწაზე გჭირდება, ქრისტეს ათი მცნების შესრულებაც. „და მებრალება მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა“ (გალაკტიონი).

მე მგონი, ვარსკვლავიანი ცის იდეა მაშინ მოქმედებს, როცა შენი ჯვარი მიგაქვს და, ზევით რომ აიხედავ, გაიდვილება ტვირთი, ესთეტიკური სათნოება გეუფლება.

ყველაზე თავისუფალი ადამიანი დროებით ტვირთმოსხნილი სიზიფეა, როცა ლოდი მწვერვალთან დაგორდება და მის ასაღებად მიდის, სიცოცხლის მშვენიერებას გამაფრებულად გრძნობს: ფერადს, მზიან-ვარსკვლავიანს, თანაც თავისუფლების ფაქი მან უფრო კარგად იცის, არამარტო გონებით, არამედ ტანითაც, ვიდრე უტივროთა, მუდამ მსუბუქმა ადამიანმა. ეს ისე, ვარიაციებია ალბერ კამიუს თემაზე, ჩემთვის თავისუფლების ცნების ყველაზე კარგი ახსნა.

– **ცნობილია, რომ პოეზია სიტყვიერი ხელოვნების სხვა ჟანრებთან შედარებით ტრადიციას ემორჩილება. მოღვაწეობის დასაწყისში ბრალს გდებდნენ როგორც ტრადიციის მრღვეველს (და არა მარტო თქვენ). ვერლიბ-**

რზე მოგახსენებ, რასაც გასული საუკუნის 70-იან წლებში რისხვა დაატყვეს და ლამის ანათემას გადასცეს კონვენციური ლექსის დამცველებმა. დრო გავიდა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა.

მართლა ასე ადვილია ვერლიბრის წერა რითმიან ლექსთან შედარებით? თქვენ ხომ ორივე ხელგენივებით.

– ტრადიცია არის აუცილებელი ნიადაგი, რომელზეც შენთვის მოსაწონი შენობა უნდა ააგო. სარდაფში ძველი, საუკუნეების ტოლი ნივთები აწყვია, ზევითკენ შენ იწყებ ზრდას, ნოვაციას, უარყოფას, ღირებულებათა გადაფასებას. შენობის წვერამდე რომ ახვალ, ყველაფერი მონელებული გექნება, ტრადიციის ჯაჭვიც, რომელზეც ადისხარ და არა მინა-ნიადაგი, რომელზეც დადისხარ, ხანდახან აფრენა რომ მოგინდეს, ჯაჭვს წყვეტ, მაგრამ მინას არ სცილდები, სადაც უნდა ჩახვიდე, ბოლოს მაინც ითაკაში დაბრუნდები.

ჩემს თაობაში პირველი ქვები მე მომხვდა კონვენციური ლექსის დარღვევისთვის. „სტურუზიმებით“ გარყვნი ახალგაზრდობაო – მიყვიროდა ერთი პატივცემული „კლასიკოსი“.

სულ ახლახან კი ერთმა პოეტმა მითხრა: შენი თავისუფალი ლექსი უფრო კონვენციურისკენ იხრება გარეგნობით (ალბათ, შედარებით მოკლე სტრიქონებით, ვიდრე მოთხრობა იწერება). არამც თუ სტრიქონები, ლექსიც შევამცირებ ბოლო დროს.

გაფანტული სიტყვები ვერცხლის ბეჭედივით უნდა შეკრა, ალბათ, რომ სრულყოფილებას – ოქროს დუმილს – მიუახლოვდე სიტყვით, განწყობილებით; მხატვრული ხაზით განსახიერებელი დუმილი და არა ეპოსისკენ მიდრეკილება – მე ასეთი ლექსი მომწონს. ისე, თავისუფალი ლექსის ადამტობაც რა ბედენაა? თუ თავისუფალი ხარ შენ თვითონ, საკუთარი თავის უფალი, მკითხველს ძალივით კი არ ელაქუცები, არამედ კატასავით დადისხარ, შენს გუნებაზე, გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა შეგიძლია და ამას ლექსით გამოხატავ, სხვა რაღა გინდა?

ყურადღება არ უნდა მიაქციო ამერიკულ მოვლენას – რეიტინგს. პოეზია ჭიდაობა არ არის, არც ზტომა, სიმალე მასში მეტრებით და სანტიმეტრებით არ იზომება, თუმცა ქართველებს ყოველთვის გვიყვარდა პირველობა, ამერიკელებმა, მხოლოდ ხელი შეგვაშველეს. რა სჯობს აზარტს, შეჯიბრების ჟინს, უაღრესი ხარისხისკენ ლტოლვას, მაგრამ სიდიდე მწერლის განისაზღვრება იმით, „ვინ ახლო ვდგავართ ღმერთთანა“ და არა ნუმერაციით. და მითუმეტეს, ამ ნუმერაციის ავტორებით.

პროვინციიდან ჩამოსული 16 წლის არტურ რემბო პარიზში პოეტების მეფედ აკურთხეს ისე იმ პოეტებმა, რომლებზედაც არც თანამედროვეებს და არც შთამომავლებს არ უთქვამთ: რემბოა პირველი ან ბოლდერი, ან მალარმე – მეორე და მესამეო.

თუმცა ეს ყველაფერი გარეგანი ხმაურია, მანქანების და-მუხრუჭების ხმა რომ ჩაგეხრახნება ყურში, მენის გავარდნასავითაა, მაგრამ მაინც ამწუთიერია.

– **თქვენს პოეტურ კრებულებში დამკვიდრდა რითმიანი და ურითმო ლექსები. გამორჩეული ხმით, რიტმით, სინატივით. თუ შეიძლება ახსნათ, როგორ გენერებათ ლექსი, როგორია თქვენი შემოქმედებითი ლაბორატორია. ერთბაშად მოვარდნილი მუხტი გშველით თუ სიმშვიდეში, ნელ-ნელა იღვრება განწყობა სტრიქონების ჩამოსაქნელად?**

– მე თვითონ არ ვიცი, როდის ვწერ ლექსებს. ალბათ „ჩემს ხალხით სავსე სიმარტოვეში“. როცა გიხარია რაღაც, უნდა ვინმეს გაუზიარო, მაჟორი ისედაც საზეიმო განწყობილებას ქმნის, ხალხს გულისხმობს. როცა ცუდად ხარ,

დარდიანად, ავად, დეპრესიულად, მაშინ უფრო იწერება ბემოლებით მოპირკეთებული ლექსები – ლექსის დედა მინორია ჩემთვის – „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შენუხებული“ – ვაჟა-ფშაველა შემოქმედის ბედნიერებას გულისხმობს ამ სტრიქონში და არა ყოფით გაღაზული ადამიანს.

– ქ-ნო ლია, ბევრგან ცდილობთ მეტყველების ნაწილების – მყარი გრამატიკული კატეგორიების პერსონაჟებით გასულიერებას, უჩვეულო სიახლოვით დასტრიალებთ მათ. რა არის თქვენთვის ენა, ყოვლისმომცველი უკვდავი ფენომენი თუ კალაპოტი, რომელსაც დარღვევის საშიშროება ემუქრება?

– მიყვარს ენა, მასთან ურთიერთობა, ლექსიკონების კითხვა, სიტყვებით თამაში, როგორც მძივებით. ჩემთვის, მართლაც, სულიერები არიან სტატიკური ქვემდებარე და მორბენალი შემასმენელი. რუსებს აქვთ ასეთი გამოთქმა: „ფეხებში სიმართლე არ არის“. ჩემთვის – პირიქით, ზმნა ყველაზე მართალია, განსაკუთრებით ფეხებში, რომლებიც დგანან, ან დადიან. რა თქმა უნდა, მოძრაობის იმპულსები გონებიდან მოდის, ფეხები მას მხოლოდ განახორციელებენ („ვაზროვნებ ე.ი. ვარსებობ“, „მნამს ე.ი. ვარსებობ“, „მტკივა ე.ი. ვარსებობ“ უამრავი ვარიანტი შეიძლება გაკეთდეს ამ ცნობილი გამოთქმისა და ყველგან ზმნა მთავარი, ჩემი ნებით მოქმედი ზმნა).

ჩემი ურთიერთობა სიტყვასთან, ალბათ, ყველაზე კარგად ჩანს „სონეტში სიტყვის შესახებ“.

მე მიყვარს იგი, გაცვეთილი და ხელუხლები, დროებით პირის დაბუჟება, ენაზე ხუნდი, მუსიკას მკვეთრს და აზრს ბუნდოვანს რომ ამბობს გუნდი, ლექსიკონიდან რომ მოუჩანს თეთრი მუხლები.

ის სიტყვა მიყვარს – მოზეიმე, უჟმური, ძველი, კბილს რომ მოგკვეთავს ქალის გულით, ლიმონის სუსხით, ვისთვის აზრია, ვისთვის – ჰანგი, ჩემთვის კი ნუსხა თავისუფალი და თავკერძა, მზაკვარი მგელის,

რომელსაც ელი სიკვდილივით და მაინც ელი, როგორც ყველაზე ჭარბისხლიან და მშვიდ ვნებას გამოფიტული საუბრების დინჯ სამყაროში.

და, უცებ, ვხედავ, ქვემდებარეს გამოჭრეს ყელი და მისი სისხლით გაიტკინენ გამხდარი ზმნები არცერთი ნუთი არ მაცოცხლა ამის გარეშე!

– თქვენი ლექსები ერთი-ორი ნაკითხვით ვერ დაიზებირება, სამაგიეროდ, ადვილად რჩება მეხსიერების ამაღლებული ემოცია, იდუმალება, სინატიფე, მეტისმეტი რაფინირებულებაც.

განცდით ჩემთვის ახლობელი თქვენი არც ერთი ლექსის სტრიქონი საგანგებოდ არ გადმოვიწერე თავის მოსაწონებლად. გავთამამდები და გკითხავთ (თუმცა წლების წინათ, ამნაირი შეკითხვისთვის ქება ვერ დავიმსახურე), გული ხომ არ გწყდებათ, თქვენი ლექსები რომ არ იმღერება?

– ქართული სიმღერის ტექსტი (ტექსტი და არა ლექსი) იმდენად უსუსურია და უაზრო, რომ ნამდვილად გული არ მწყდება. რა თქმა უნდა, არსებობს მშვენიერი გამონაკლისები. მაგალითად, სიმღერა „ვარდები არ არიან“ და სხვ.

ჩემს თავისუფალ ლექსზე სიმღერა ვერ დაინერება. სონეტები კლასიკურად გართმულია, მაგრამ მე მგონი გაუჭირდებათ ყალიბზე („ბალვანკაზე“) მათი მორგება. ჩემი ლექსები ხშირ ნატირლებისკენ უფრო იხრებიან, ალბათ.

– მისტიკას, სიზმარს თქვენი შემოქმედება სარკესავით ირეკლავს. ლექსებში აცოცხლებთ წარსულს, „სანთელს ვუნთებ მოგონებებსო“ დასძენთ კიდეც. უცნაურია, რაც უფრო გშორდება წარსული ადამიანს, მოგონებები ახლოს მოდის, თითქოს იზიდავ. გეხმარება ყოველივე ეს გაუცხოებულ ყოფაში საკუთარი „მე“-ს გადასარჩენად?

– ყველა ახალგაზრდას აქვს მომენტი წარსულის უარყოფის. გავისხენოთ:

პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტი ვაქები შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი! რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთჰოვენი მხოლოდ ყრუ არი...

უარყოფა და ნიჰილიზმი. მეც მქონდა ასეთი მომენტი. რა თქმა უნდა, ნაკლები სიმძაფრის, რადგან ქართველი თუ ფრანგი სიმბოლისტების მაქსიმალიზმი საცეროლი გაცრელი ნისლივით შერბილებული მოვიდა ჩემამდე. ახლა წარსული მიყვარს, რადგან ასაკის მომატებასთან ერთად, რაც უფრო მკაფიოდ გრძნობ ფესვებს, გტკივა კიდეც ისინი, გტკივა გულიც წარსულში დარჩენილი ძვირფასი ადამიანების გამო. ალბათ, სამივე დროში ვცხოვრობ, რადგან დრო ჩემთვის უფრო ერთიანია, ვიდრე დაქუცმაცებული, აწმყოდან წარსულშიც გავრბივარ ხოლმე და მომავალშიც, ორივეგან ჩემი ქვიშაზე მისაბუთი სახლი მაქვს, ზოგჯერ ჰაერზეც, ქარი ანგრევს მას, ისევე ალვადგენ, უფრო ხისტი ხაზებისგან, თუმცა სირბილევ უხდება, ყველა შემთხვევაში ეფემერულია (სპილოს ძვლის კომპს ვერ ავიშენებ, ძვირი დამიჯდება). ჰოდა, ვცხოვრობ ამ ჩემს მისტიკურ სამშობლოში; სანამ რეალური სამშობლო სისხლს და ხორცს არ მომთხოვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და შვილებს – ასეთ დროს მისტიკა უკან იხევს.

– თქვენი პოეტური კრებულებიდან (რომლებზეც ამჯერად ხელი მიმიწვდა) ყველაზე სევდიანი წიგნია „შუქს ნუ ჩამიქრობთ“, „პოეზია უფრო ნათელი უნდა იყოს, ვიდრე ცხოვრებაო“ – თითქოს თავს იმართლებთ და ბოდიშს უხდით მკითხველს. მაინც ვინ არის თქვენთვის მკითხველი, კეთილმოსურნე მოყურადე თუ ავი მხრეკელი? ლექსის წერის დროს თუ გაკრებიან ხომე ისინი?

– მართალია ეს წიგნი „შუქს ნუ ჩამიქრობთ“ დაინერა ჩვენი ცხოვრების ურთულეს პერიოდში და გაუსაძლისმა ყოფამ ისე იმოქმედა, რომ გაყინული ხელეებით მხოლოდ შავი ფერით გამოგონილი სამყარო ველარ განვაახლე. შუქ-ჩრდილი სჭირდება მის გამოკვეთას, ხელის მოძრაობა, პირიდან გამოსული ორთქლის სიტკბო, მაინც სიმწრისგან აღმომხსნა ეს რიტორიკული მიმართვა, მე თვითონ არ ვიცი, ვისი მისამართით...

როცა მოკვდები, დამწვით მხესუმზირების კრემატორიუმში, რომ სინათლედ, მაინც, გამოვადგე თვალბდათხრილ ქალაქს!

მკითხველი ხშირად კორიდის მაყურებელს ჰგავს, შეუბრალებელს, მიუდგომელს, სისხლისმოყვარულს, თუმცა შენი გამარჯვების შემთხვევაში, მოზეიმე და თითქოს მოსიყვარულეც ხდება. ერთი შეცდომა და ხარი რქაზე წამოგაცვამს, ერთი შეცდომა და მაყურებელი (მკითხველი) ქვას გესვრის.

ლექსის სტრიქონებში რომ ცეზურებია გაბნეული, იქ, სადაც ამოსუნთქვა დასჭირდა შემოქმედს, მკითხველისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, ისიც, რომ თანაბრობა ოქროს ბენ-ვზე სიარული და წონასწორობის დაცვა უკვე მიღწეულის ხარჯზე, კი არ ქმნის ნამდვილ მწერალს, არამედ ჩავარდნა და ამოვარდნა ცეცხლივით, ალისფერი, უმკვეთრესი, გამა-ოგნებელი.

ნერ შენთვის, პუბლიკაზე წერა მწერლის მარცხია, რაც უნდა ნიჭიერი იყოს იგი, მაგრამ როცა დანერ, დაბეჭდავ, გა-მოაქვეყნებ, შენივე ნაწერი გაგიუცხოვდება, უკვე თვალს ვე-ლარ მიაღვენებ, ვინ კითხულობს მას, ვის სჭირდება, ან არ სჭირდება, არც არის საჭირო, რადგან ყველაფერს თავიდან იწყებ, მერამდენედ და სულ თავიდან.

- თუ გიყვართ მკითხველებთან შეხვედრა, პრეზენტა-ციების გამართვა. რას გრძნობთ, როცა მკითხველი აღ-ფრთოვანებით გელაპარაკებათ? თქვენი ლექსების გამო სიყვარულს გიხსნი?

- მე არ მიყვარს პრეზენტაცია, სადღეგრძელო. იმ წუთ-ში ვათბობს ქება, ტკბილი სიტყვა. ზოგჯერ ალალი, ზოგ-ჯერ ყალბი, მისი ცეცხლი, ნავთის ლამპაში მომწყვედულს ჰგავს, მოსცილდები და ბნელა. ამ ბნელში ხელისცეცებით

გაკვალი უფრო მნიშვნელოვანია, ზღარბივით ეკ-ლებზე აიკრავ სინათლის წვეთებს და მანათობელ საგანთა რიცხვიც კი შეიძლება აღმოჩნდეს. აი, ამას რომ დაინახავს ადამიანი და გეტყვის, ეს ასე გზის ძვირფასია და მნიშვნელო-ვანი.

- ქ-ნო ლია, თქვენ ბრძანდებით გალაკტიონ ტაბიძისა, და საქართველოს სახელმწიფო და რუსთაველის პრემიე-ბის ლაურეატი. მაინც როგორი გრძნობაა აღიარება და არის თუ არა ამგვარი დაფასება შემდგომ წარმატებათა სანინდარი?

- დაფასება, ჯილდო, პრემია თითქოს ადამიანური სით-ბოს ნაკლებობის საზღაურია. შენც ადამიანი ხარ და გიხარია, რომ გაიმარჯვე ეჭვზე, უძილო ღამეებზე. ჩემთვის ეს ნაქე-ზებაა და არა მუხრუჭი (ასეც ხდება). ყოველთვის უნდა იყო ღირსი იმ დაფასების, არ მოდუნდე, არ გათანაბრდე, წლების მანძილზე შეძენილი ოსტატობის, ტექნიკის ხარჯზე არ გააგ-რძელო წერა, თორემ სისხლი შეგიდებდება და ზოგჯერ გამ-კრთალებულ, გაჩვეულებრივ სიტყვებს არ შეგიღებავს, არ გაგიმკვეთრებს, არ აგაბეჭდებს.

ისევ და ისევ ვაჟა-ფშაველა ვავიხსენოთ: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შენუხებული“.

დოკუმენტური პროზა

შორენა ლებანიძე

ქორნილი
ქველ
უხანავი

*

აქა ამბავი ავლაზრალი
ჩარჩის გადიდაცავის,
ოქროს უხალთუხანავიანი ქისის
და ქარს ბატანავული მილიონებისა...

1876 წელი, ტფილისი.

სოლოლაკში ხმა დაირხა, ვაჭარმა თამამშევემა უფროსი ქალიშვილი „პეტერბურღელ კნიაზს“ მიათხოვა, ანუ, მდიდ-რული მზითვის სანაცვლოდ, ოჯახის მატერიალური საძირ-კველი თავადის ნოდებით გაამყარაო.

მთანმინდა-გოლოვინიდან რიყე-სეიდაბადამდე რუსი წარჩინებულისა და „ავლაბრელი კინტოს“ შვილიშვილის ქორწინებაზე ბჭობდა –

ერევნის მოედნის არისტოკრატია: მეფისნაცვლის კან-ცელარის, სამხედრო შტაბის ჩინოვნიკ-ოფიცრები, აზნაუ-რები;

სომხური ბაზრის „წვრილფეხობა“: ოქრომჭედლები – გასაყიდად გამოტანილი ვარაყიანი აზარფეშებით, მეთუნე-

ები – ქურასთან გამწკრივებული ახალგამომწვარი თიხის ჭურჭლით, მეთულუხჩეები – სახედრის კეხზე დამაგრებუ-ლი წყლიანი ტიკებით, კინტოები – თაბახებზე დაზინული ხილ-ბოსტნეულით;

მნაცაკანოვის ხიდთან, ვილა-ნისქვილის აივნებსა თუ მტკვარში გაბნეულ კუნძულებზე მოქეიფე ყარაჩოხელები; შარდენის ქუჩის ხელოსნები და ვინ აღარ...

ტფილისის საზოგადოება ორთაჭალის ტერასებზე სარ-თულ-სართულ მინცობილი ბანიანი სახლებივით ჭრელი იყო, თუმცა გუშინდელი „ნუგორიშის“ გადიდაცავისადმი ყველას ცალსახა დამოკიდებულება ჰქონდა: სმირნოვ-თა-მამშევის მეზალიანსი, ანუ სოციალურად უთანასწორო პირთა შეუღლება სარფიან გარიგებას ეფუძნებოდა. რუსი არისტოკრატი საკურთხეველთან მზითვის საერთო ღირე-ბულებამ – ასი ათასმა მანეთმა – მიიყვანა, მშვენიერი ელი-ზავეტა კი – მდიდარი, მაგრამ უგვარო მამის ვაჭრულ-მერ-კანტილურმა ანგარიშმა:

იმპერატორის კარზე მიღებული ალექსანდრა ოსიპოვნა როსეტისა და პეტერბურგის სამოქალაქო გუბერნატორის ნიკოლაი სმირნოვის ერთადერთი ვაჟი, 29 წლის მიხეილი სასურველი სასიძო იყო. არც თვალად დაინუნებოდა – აღ-ნაგს, წარმოსადგეს, ფერმკრთალი სახე, მუქი თმა და შავი, გრძელი უღვაშები ჰქონდა. არც ღარიბი ეთქმოდა – მართა-ლია, ნამემკვიდრევი ქონება (6 ათასი კომლი, 22 ათასი დე-სეტინა მინა, 8 ადგილ-მამული) უკვალოდ გაქრა, მაგრამ პე-ტერბურგის ძველ მისამართზე საგვარეულო საგანძურის ნაშთი ეგულებოდა. არც წარმომავლობის შესაფერისი აღ-ზრდა-განათლება და მიზანწრაფულობა აკლდა – ჩინოვ-ნიკობას აპირებდა, თუმცა მოგვიანებით სახელმწიფო-დიპ-ლომატიურ კარიერას სამეცნიერო მოღვაწეობა ამჯობინა. ბოტანიკოსი გახდა. ოდესის უნივერსიტეტის საბუნების-მეტყველო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კვლევის ადგილად რუსეთის იმპერიის „სამხრეთ ციმბირად“ წოდე-

ბული პროვინცია, მეცნიერთაგან ჯერაც აუთვისებელი „ყამირი“ – კავკასია აირჩია. აქეთკენ მას წმინდა პროფესიული ინტერესების გარდა ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებებიც იზიდავდა.

გიმნაზიაში შესვლამდე გუვერნიორად იაკობ პოლონსკი მიუჩინეს. ცნობილი მწერალი, პოეტი, დრამატურგი ტფილისში გატარებულ წლებზე, ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებსა და კავკასიელთა ცხოვრების ამსახველ პიესებზე მოუთხრობდა. საქართველოსთან დედის ბებია – ვახტანგ მეექვსის უახლოესი გარემოცვის წევრის, თავად იასე (ევსეი) ციციშვილის ქალიშვილი, ეკატერინაც აკავშირებდა. კავკასიის ფლორის, ზოგადად, მცენარეთა სამყაროს შესწავლის სურვილს კი ალექსანდრა როსეტი უღრმავებდა. ზაფხულობით მინდვრად თუ ტყეში, ტრამალებსა თუ გორაკებზე ფეხით ხეტიალისას, ველურ ყვავილებს, სხვადასხვა ჯიშის ბალახ-ბულახს აგროვებინებდა; უჭკნობი თაიგულების შეკვრასა და ჰერბარიუმების მოწესრიგებაში ეხმარებოდა...

მოგვიანებით მწვანე საფარის „ეგზოტიკით ტკობა“ და სამოყვარულო ძიებები პროფესიულმა ინტერესმა შეცვალა, რის შედეგად გარესამყარო მხატვრის თვალთ დაინახული პეიზაჟიდან სამეცნიერო კვლევის ასპარეზად გადაიქცა. მიხეილ სმირნოვისთვის, ვთქვათ, ჩვეულებრივი მინდვრის ყაყაჩო მწვანე ფონზე შავ-ნითელი ფერების კონტრასტით გამორჩეული ლამაზი ყვავილი კი არა, სამკურნალო თესლის, ოპიუმის, კულინარიაში გამოსადეგი ზეთის შემცველი ბალახოვანი მცენარე იყო. თეთრფურცელა და „მზისგულა“ გვირილის ფუნქცია კი ჯვარედინი დამტვერვის მომწესრიგებელი და ბუტკოს გადამრჩენი მწერების მიზიდვით შემოიფარგლებოდა.

პროფესიული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები დამწყებ მეცნიერს წლების განმავლობაში შესწავლილი სახეობების მრავალფეროვან, მაგრამ არასრულ ნუსხას სთავაზობდა. ირგვლივ ჯერაც ბევრი იშვიათი, მოუძიებელი, ოჯახთუ გვარდაუდგენელი ხე, ბუჩქი, ბალახი იზრდებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან გეობოტანიკურ პირველადმოჩენებს კავკასიის მთისწინეთისა და ალპური სარტყლის ფლორა საჭიროებდა. მიხეილ ნიკოლაევიჩმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისთვის 3 ათასით განსაზღვრულ ენდემურ სახეობათა მიახლოებითი ჩამონათვალის შევსება განიზრახა.

მამ ასე: საქართველოსკენ გეზი უკვე აღებული იყო. ოდესის უნივერსიტეტდამთავრებულ მიხეილ სმირნოვს პეტერბურგში აღარავინ და აღარაფერი აკავებდა. დები გათხოვდნენ. ერთი ინგლისელ სორენს გაჰყვა ცოლად, მეორე – რუს კნიაზ ტრუბეცკოს. მამა გარდაიცვალა. დედა, უფროს ქალიშვილთან, ოლგასთან ერთად, პარიზის მყოფდრო და მოკრძალებულ ბინაში გადაბარდა. ნევის პროსპექტზე, ლურჯ ხიდან მდგარი სახლი კი ჯერ დაცარიელდა, შემდეგ ალექსანდრა ოსიპოვნას ყოველდღიურ საჭიროებებს, ფრეილინას საკადრისი კომფორტის შენარჩუნებას შეეწირა – გაიყიდა. მსგავსი ბედი ეწია სმირნოვების ადგილ-მამულებს, კარ-მიდამოებს, სპასკოეს ორსართულიან, რასტრელის პროექტით ნაგებ სასახლეს...

ხელუხლებელი დარჩა მხოლოდ საოჯახო ნივთების ნაწილი: ბიბლიოთეკა, პირადი ბარათები, ავტოგრაფებიანი ალბომები, ფერწერული ტილოები, ფაიფურისა და ვერცხლის ჭურჭელი, ავეჯი, სამკაული, ძვირფასეულობა, მათ

შორის, ნიკოლოზ პირველის მიერ ალექსანდრასათვის ნაჩუქარი ოქროს ხუთი, ზურმუხტებითა და ბრილიანტებით მოჭედილი სათუთუნე...

დაახლოებით ასეთი იყო როსეტის სიცოცხლეშივე ახალგაზრდა ბოტანიკოსის კვალზე – ლურჯი ხიდიდან სოლოლაკში გადმოზიდული სადავო, მეტიც, ოჯახური განხეთქილების გამომწვევი ქონების ნუსხა. „მიშამ გაგვქურდა“, – ცხარობდნენ დები. თუმცა, სმირნოვი თავს დამნაშავედ სულაც არ გრძნობდა: მან დედისა და ვაჟის ერთობლივ მფლობელობაში ნოტარიულად დამტკიცებული საგვარეულო საგანძური ახალ მისამართზე დაბინავებით უქვეყელი განიავებისაგან იხსნა.

მატერიალური გარანტიები, რომელსაც მიხეილ ნიკოლაევიჩის ტფილისური ცხოვრება დაეფუძნა, არამყარო იყო. ახლო სანათესაო წრესთან კავშირის განწყვეტის საფასურად მოპოვებული მემკვიდრეობა შემოსავლის მუდმივ წყაროდ არ კმაროდა. მას ვერც დამწყები სახელმწიფო მოხელის მოკრძალებული გასამრჯელო შეავსებდა – მიხეილ მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო დავალებათა ჩინოვნიკად მსახურობდა. უცხო პროვინციაში დამკვიდრებასა და სამეცნიერო იდეების განხორციელებას გაცილებით მეტი რამ სჭირდებოდა... და სულ მალე მამისეულ, ცოტა არ იყოს, მჩატე ქისაში ოქროს უზალთუნები ჩაჩხრიალდა: სმირნოვმა ელიზავეტა თამამშევაზე იქორწინა.

საფიქრებელია, რუსმა კნიაზმა და ტფილისელმა ლამაზმანმა ერთმანეთი „ინგლისურ კლუბში“ გაიცნეს. კლუბი ელიზავეტას მამამ, მიხეილ ეგოროვიჩმა ველიამინოვის (ახლანდელი შალვა დადიანის) ქუჩაზე მდგარ ორსართულიან სახლში გახსნა და მის ზღურბლზე გადაბიჯების პატივი მხოლოდ ქალაქის არისტოკრატის დასდო. შესაბამისად, თამამშევებთან ყოველი სამუშაო დღის მიწურულს იკრიბებოდნენ, ბანქოს თამაშობდნენ, სიგარებს აბოლებდნენ და ჩაის მიირთმევდნენ, ქვეყნის ბედზე ბჭობდნენ ერისთოვ-ციციანოვები, ბარათოვები, თავადი ილია ჭავჭავაძე... არაფორმალურ ვითარებაში პოლიტიკისა და საბანკო-საფინანსო სისტემის კურსს განსაზღვრავდნენ კანცელარიის ჩინოსნები. სავაჭრო გარიგებებისა და ოპერაციების ნიუანსებს ათანხმებდნენ მაგნატები. კულტურულ ღონისძიებებსა და საქველმოქმედო აქციებს გეგმავდნენ საზოგადო მოღვაწეები. უგვარტომო, უაზნო, უფულო „ბოგანოებთან“ ინტელექტუალურ საუბრებში გართულ მოაზროვნეებს არაფერი ესაქმებოდათ. კლუბის კარი დაკეტილი აღმოჩნდა თვით მილიონერი მანთაშოვისთვის, რომელსაც მიხეილ ეგოროვიჩმა მოურიდებლად შეუთვალა:

„აქ ნუგოროშების ადგილი არ არის“.

„ჰმ!“ – მწარედ გადაიქნია თავი ვაჭარმა მანთაშოვმა, – „ექსობა, საკუთარი წარმომავლობა დაავიწყდა“, – და აღარასოდეს გაუხედავს ველიამინოვის №15-ში მდგარი სახლისკენ, რომლის გაჩახჩახებულ დარბაზში ფეხის შედგმა, უბრალოდ, კლუბის წევრობას კი არა, ნოდებრივი ბარიერის გადალახვას, მაღალ საზოგადოებაში დამკვიდრებას ნიშნავდა. ფრაკიან ჯენტლმენტა საზოგადოებაზე კი ეგოროვიჩის გულითადი მასპინძლობა თანაბრად და უსაცვედუროდ ნაწილდებოდა.

ფაქტი: 1868 წლის შემოდგომის ერთ წვიმიან საღამოს თამამშევების სადარბაზო შესასვლელთან ხელბარგით დატვირ-



ელისავეტა სმირნოვა



მიხეილ სმირნოვი



ეკატერინე ერისთავი

თული ეტლი შეჩერდა. ღამის ფარანი აინთო და ღია კარში მაუდის ლურჯმოსასხამიანი უცნობი გამოჩნდა. მეორე დილას სოლოლაკელებმა ქუჩისკენ გაჭრილ სარკმელთან, მოლბერტის წინ, ფუნჯმომარჯვებული მხატვარი დაინახეს. თამამშევეების სტუმარი ივან კონსტანტინოვიჩ აივაზოვსკი იყო. ის საქართველოს ორიოდ თვით ეწვია. მიხეილ ეგოროვიჩმა რამდენიმე ოთახი დაუთმო. აივაზოვსკი გარეთ თითქმის არ გადიოდა. იდგა მოლბერტთან და თავაუღებლად ხატავდა: ნარიყალადან დანახული ტფილისის მოოქროვილ ხედს, ზღვას, ზღვას, კიდევ ზღვას – ორ-სამ საათში თითოს. ქალაქის ვინროქუნაბანდებიანი უბნებისკენ მხოლოდ ახალი ფერწერული ტილოს თემატიკის, პეიზაჟის შესარჩევად, ესკიზების მოსახაზად მიემართებოდა. აჩრებდა ფაეტონს, რომლის კოფოზე მოკალათებული მეეტლე დღის გმირი ხდებოდა.

„რაზე გესაუბრა აივაზოვსკი?“

„როგორ გამოიყურებოდა?“

„სად წაიყვანე, რა ნახა?“ – აინტერესებდათ გამვლელ-გამომვლელებს.

აივაზოვსკიმ ნახა რიყე, მეიდანის, მთანმინდა, მაგრამ სოლოლაკში შექმნილი თხუთმეტამდე ფერწერული ნამუშევრის უმრავლესობა რატომღაც ზღვას, მხოლოდ ზღვას მიუძღვნა. ორი მათგანი დღემდე ინახება „კავკასიურ სახლში“. მესამე სოტბის აუქციონზე გაიყიდა. რამდენიმე ივან კონსტანტინოვიჩის სახლ-მუზეუმში, ფეოდოსიაშია. ერთ-ერთი წლების წინ გააქრეს ხელოვნების მუზეუმიდან და მისი ბედი უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ნოემბრის ბოლოს თამამშევეები მხატვარს ქარვასლაში გამართული მისივე ტფილისური ტილოების გამოფენით, სადღესასწაულო სუფრით, ძვირფასი საჩუქრებით დაემშვიდობნენ. გამოფენასა და სუფრაზე შეგროვებული სოლიდური თანხა – 5 ათასი მანეთი, ივან კონსტანტინოვიჩის სურვილით, ბავშვთა პირველ ინტერნატს გადასცეს.

ქალაქს სხვა მიღება-გაცილებებიც დაამახსოვრდა. მაგალითად, ეგოროვიჩის ორთაქალის „რეზიდენციაში“ ჩაი-

კოვსკის პატივსაცემად გამთენიამდე გაჩაღებული ლხენა, ანდრონიკაშვილის კონცერტი და არაერთ ფოტოზე აღბეჭდილი ფაეტონები, რომლებითაც კომპოზიტორი მასპინძელთა მთელმა ამაღამ დიდი ზარ-ზეიმით გაისტუმრა.

ორთაქალის „რეზიდენცია“ მნაცაკანოვის ხიდთან (ბაგრატიონის ძეგლის მახლობლად) იყო გაშლილი. ცენტრში აივნებიანი სახლი იდგა, მოშორებით – თუჯის ჩამომსხმელი პატარა ქარხანა, ხოლო მტკვრის პირას – ე.წ. ვილა-ნისქვილი, რომელიც ქალაქის ცნობილ საპატიმროს ფქვილით უფასოდ ამარაგებდა.

თამამშევეების უძრავი ქონება, ვილა-ნისქვილის გარდა, კოჯრის, კისლოვოდსკის აგარაკებს, დიღმის, ნავთლულის, ორთაქალის მიწებს, რამდენიმე საცხოვრებელ სახლს მოიცავდა. ერთი უკვე ვახსენეთ. მეორე განოვის №20-ში (სადაც დღეს „კავკასიური სახლია“) აშენდა.

60-იან წლებამდე აქ, სალალაკად წოდებულ გარეუბანში, ხილის ბაღები, აუთვისებელი ნაკვეთები იყო, ხოლო კანტი-კუნტად გაბნეულ კარ-მიდამოთაგან ყველაზე მდიდრული – დღევანდელი მწერალთა კავშირის ნაგებობა – ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს ეკუთვნოდა. მომიჯნავე ფლიგელში ლერმონტოვის შორეული ნათესავი, გრიბოედოვის მეგობარი ქალბატონი ახვერდოვა ცხოვრობდა. ნინო ჭავჭავაძემ გრიბოედოვი სწორედ ახვერდოვას ბინაში გაიცნო.

სალალაკის განაშენიანებას სომხური ბაზრის (ახლანდელი ლესელიძის ქუჩის) ტერიტორიაზე სეიდაბად-ავლაბრიდან სავაჭრო ცენტრის გადმოტანამ და ადმინისტრაციულ კორპუსთან სიახლოვემ შეუწყო ხელი. კავკასიის არმიის მთავარსარდლისა და მეფისნაცვლის რეზიდენციები გოლოვინის პროსპექტზე განლაგდა. ქვევით, რიყესა და მეიდანზე ხელოსნური მეურნეობის გვერდით მსხვილი მაგნატური ბიზნესის სწრაფ ზრდას შინამრეწველობა შეენირა. წვრილმანი დუქნების ადგილას სამსართულიანი ქარვასლები წამოიჭიმა (პირველი სართული საქონლის შესანახ სა-

თავსოებს დაეთმო, მეორე – მალაზიებს, მესამე – სასტუმროს უცხოელი ვაჭრებისთვის, რომლებიც დაბინავების საფასურად ბაჟს – საქონლის ღირებულების მეოთხედს იხდიდნენ).

სამეურნეო ცხოვრების განვითარება, სამხრეთ პროვინციის მიმართ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების ზრდა ტფილისის ახლებურ დაგეგმარებაზეც აისახა. არქიტექტურაში ევროპული ელემენტები შემოიჭრა. კოლონიებიან-თალიანი კლასიკური ფასადისთვის დამახასიათებელი სიმეტრია, მარმარილოსა და რკინის კონსტრუქციები ტფილისურ ხუროთმოძღვრებას, ხის მორჩქურთმებულ კიბეებსა და აივნებს შეერწყა. ორნამენტებიანი ჰოლის ნაწილობრივ შემინული ქერი ბრტყელ გადახურვას შეენაცვლა.

ტერასებზე შეფენილი ბანიანი სახლები, რომელთაგან ქვედა „სართული“ ზედასთვის ეზო იყო, ყველაზე დიდხანს ავლაბარმა შეინარჩუნა. ეზოები ვიწრო, მოკირწყლულ ქუჩებში გადიოდა. ქუჩებზე გადმოკიდებულ ჭრელაჭრულა აივნებს საღამოობით ქალაღიაიმოსხმული „ხათუნები“ ალამაზებდნენ. დილაობით კი უბანს კოჯრიდან და ოქროყანიდან ჩამოსული მემანვნების შეძახილები აღვიძებდა.

ახლებური დაგეგმარება ქალაქს იერ-სახის შეცვლითა და ტრადიციების დაკარგვით ემუქრებოდა. ალბათ, ამიტომ სპეციალისტები არქიტექტურაში ორმაგი ელემენტების (ძველქალაქურისა და თანამედროვე კლასიკურის) გამოყენებას ამჯობინებდნენ.

გარეუბნების განაშენიანება პარალელურ-პერპენდიკულარული გზების დაგებით დაიწყო. სალაღაკის ხილის ბალები და ნაკვეთები გაიყიდა. მიხეილის მამამ, ეგორ (იაგორ) ივანოვიჩი თამამშევმა ოტო სიმონსონის პროექტის მიხედვით ორსართულიანი სახლის მშენებლობა გადანყვიტა.

მშენებლობა რამდენიმე თვეში დასრულდა. პროექტმა გაამართლა. სულ მალე ახალდაგებულ გზებზე ე.წ. „სიმონსეული სახლების“ რიგი გამკრეივდა. მათი მთავარი ღირსება ფასადის სისადავით არ შემოიფარგლებოდა. ნაგებობას საძირკველი არ ჰქონდა. საძირკვლის როლს მიწის სიღრმიდან რომბისებურად ამოყვანილი აგურის კედლები ასრულებდა. კედლები თანდათან ვიწროვდებოდა და სარდაფებში აგუზგუზებული „ფიჩების“ სიმხურვალე აგურებს შორის დატოვებული სივრციდან ორივე სართულამდე აღწევდა.

სარდაფების საცავები სავაჭრო საქონლის შესანახად გამოიყენებოდა. საქონელს ზოგჯერ შიდა ეზოში აბინავებდნენ. ეზომ ხის რიკულები შეინარჩუნა. სადარბაზო შესასვლელს კი რკინის აივანი გადაჰყურებდა. შესასვლელს მიღმა გეომეტრიული ფიგურებით მოხატული ჰოლი იწყებოდა.



თამამშევების სახლის ინტერიერი

ფიგურების ცისფერ-მწვანე ხვეულები მთელ ინტერიერს ფარავდა. ნიშებში მარმარილოს ქანდაკებები მოეთავსებინათ. მრავალსაბინიანი ბროლის ქაღს სახურავის შემინული მონაკვეთი ცვლიდა, საიდანაც უსაყრდენო, თითქოს ჰაერში გამოკიდებულ, ხვეულ, ჩუქურთმიან კიბეზე დილაობით სინათლის ზოლი ეშვებოდა. კიბე ანფილადეს პრინციპით განლაგებული (ერთმანეთში გამავალი) მაღალჭერიანი, ვრცელი დარბაზებისკენ მიემართებოდა...

მოგვიანებით თამამშევმა „უსაძირკველი მშენებლობა“ განოვის (ახლანდელი გალაკტიონის) №22-შიც წამოიწყო.

მისი ქონება თვალდათვალ გაიზარდა. მილიონერი ეგორ ივანოვიჩი მაღალ საზოგადოებაში მიღებულ, გავლენიან ფიგურად იქცა. უკვე აღარავინ ახსენებდა მის წარმომავლობას, დროს, როცა საკინძეჩაახსნილ, დანიწკლულ ჩითის პერანგში, მოკლე ახალუხსა და უბეგანიერ, ნაოჭებიან შარვალში გამონყობილი ავლაბრელი კინტო თავზე შემოდგმული სინით (თაბახით) ხილ-ბოსტნეულს ქუჩა-ქუჩა დაატარებდა. როცა უფულო, მაგრამ მიზანსწრაფულ და ალღობიან თამამშევს ხსნად 20-

30-იანი წლების სამხედრო-პოლიტიკური ბატალიები მოეველინა. ეგორ ივანოვიჩმა იმპერიის ცენტრალური პროვინციებიდან ცხენების ჩამოყვანა დაიწყო. ცხენებს რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-სპარსეთის ფრონტებზე მიმავალი ჯარისკაცები ყიდულობდნენ. ვაჭარი გამდიდრდა. თანხის ნაწილი ბავშვთა ფონდში შეიტანა, ხოლო სანაცვლოდ ორდენი, მოქალაქეობა და პირადი აზნაურობა დაიმსახურა. ასე, გუშინდელი ჩარჩის წინაშე თვით ყველაზე თავკერძა წარჩინებულების სასახლეების კარიც კი ფართოდ გაიღო.

ეგორისა და მისი ძმის, გაბრიელის ბიზნესით მიხეილ სიმონიჩ ვორონცოვი დაინტერესდა. მეფისნაცვალმა თამამშევებს ერევნის (ახლანდელი თავისუფლების) მოედნის შუაგულში თეატრის აშენება სთხოვა.

მაშინ ტფილისში რუსი ოფიცრების სამოყვარულო დადგმები – ქართველ თავად-აზნაურთა სახლებში, უკრანელი იაცენკოს მიერ ჩამოყვანილი პროფესიული დასის სპექტაკლები კი სამხედრო-საინჟინრო უწყების მანქანებში იმართებოდა. ეს საკმარისი არ იყო. და ვორონცოვმა საკუთარ რეზიდენციაში საგანგებოდ თავმოყრილ ტფილისელ საქმოსნებს, ერთი შესხედვით, მომგებიანი პირობები შესთავაზა: მშენებლობისთვის გაღებული თანხა თეატრ-ქარვასლაში განთავსებული 200-მდე მალაზიის შემოსავალს უნდა დაეფარა. საქმოსნებმა უარი თქვეს:

„მერედა, ახალმა ქარვასლამ სომხურ ბაზარს კონკურენცია რომ ვერ გაუწიოს?“

„რიყე-მეიდნის მუდმივი კლიენტურა რომ ვერ მოვიზიდოთ?“

„მოგება რომ ვერ ვნახოთ?“

მეფისნაცვალმა უკანასკნელი იმედი თამამშევევებზე დაამყარა. კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ გაბრიელი დათანხმდა.

თამამშევევების ქარავან-სარაიდ ნოდებულები თეატრის საძირკველი 1847 წლის 15 აპრილს ჩაიყარა. პარალელურად, გოლოვინის პროსპექტზე, დღევანდელი მთავრობის სახლის ადგილას, ეკლესიის მშენებლობა დაიწყო. ვორონცოვმა არქიტექტორად მშრალი ხიდის დამპროექტებელი სკუდიერი მიიწვია. ტფილისელები მას ერთთავად თეატრისა და ეკლესიის ხარაჩოებზე შედავდნენ.

პირველი სართულის კედლების ამოყვანისას, ქარვასლის სარდაფში ჭერი ჩამოინგრა. ეკლესიის ფასადიც დაიზარა. მიზეზად ერეგნის მოედნის ტერიტორიაზე მიწით, ქვა-ლორღითა და ხრემით ამოვსებული ხევი დასახელდა, რომლის გავლითაც, თავის დროზე, ქალაქისკენ კლდეებიდან ჩამონაჟონი ნაწრეტი წყალი მიედინებოდა. სახელდახელოდ მიყრილმა ქვა-ლორღმა აგურის კედლების სიმძიმეს ვერ გაუძლო.

საძირკველად გამოსადეგი მყარი კლდოვანი მასის ძიებაში მუშები ხევის ფსკერამდე ჩავიდნენ. შედეგად – პროექტით გათვალისწინებულ სამ სართულს მეოთხე დაემატა, ორი – მიწის ქვევით, ორი – ზევით. გასამაგრებელი სამუშაოები გოლოვინის პროსპექტზეც მიმდინარეობდა. სკუდიერი ხარაჩოებს არ შორდებოდა. ერთხელ კოლონებიდან ჩამოცვნილ აგურებქვეშ აღმოჩნდა. იტალიელი არქიტექტორი გარდაიცვალა.

ოთხი წლის შემდეგ თეატრი სადღესასწაულო ბალმასკარადით გაიხსნა. ფოიე სამეჯლისოდ მორთულ ფარჩა-ატლასიან ბანოვანებს დაეთმო. თალსმიღმა გაშლილ ოვალურ დარბაზს გაჩაჩახებული გუმბათი დაჰყურებდა. თეთრ-ცისფერ-ვერცხლისფრად მოხატული, ალაგ მოოქროვილი ინტერიერი სპარსულ-ბიზანტიური სტილისთვის დამახასიათებელი ორნამენტებისა და ჩუქურთმების სიუხვით გამოირჩეოდა. ლოჟებს – ხის რიკულები, კედლებს – არაბესკები და „სტალაქტიდ-სტალაგმიტიები“, ხოლო ჭერს თაბაშირის მედალიონები ამშვენებდა. მედალიონებზე მსოფლიოს ცხრა უდიდესი დრამატურგის გვარები ამოეტივრა. „ჯადოქრების სასახლე“, – ასეთი იყო საქართველოში სამომავლოდ ჩამოსული ალექსანდრ დიუმას შეფასება.

დარბაზის აღმოსავლური ბრწყინვალეობა და, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული ზიზილ-პიპილები სადა, კლასიკურ ფასადთან მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა. მთაწმინდის კალთებზე დაქანებული ნიაღვრებისგან დასაცავად, ქარავან-სარაის დაბალი ზღუდე შემოავლეს. ზღუდეს მოედანსა და შენობის ცენტრალურ თუ დამხმარე შესასვლელებს შორის გადებული 15 პატარა და 2 მოზრდილი ხიდი კვეთდა. პატარები – ფეხით მოსიარულეთათვის, ხოლო დიდები სავაჭრო საქონლით სავსე ფურგონების, ცხენებისა და ეტლებისთვის იყო განკუთვნილი.

სავაჭრო საქონელი ჯერ მიწისქვეშა საცავებში ბინავდებოდა, მერე, მესამეს გარდა, მეოთხე სართულზეც, თეატრალური დარბაზის, ფოიესა და ბუფეტის ირგვლივ განლაგებულ მაღაზიებში ნაწილდებოდა.

თამამშევევების ქარვასლა, სადაც ამქრებში გაერთიანებული ათასი კაცი მუშაობდა, ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ და მომგებიან კულტურულ-კომერციულ ცენტრად გადაიქცა. აქ ძვირადღირებული სპარსული ხალიჩების გვერდით ვენეციური სარკეები და ჩეხური ბროლი იყიდებოდა. აქ საკანცელარიო ნივთებიდან ანტიკვარიატამდე ნებისმიერი წვრილმანის შეძენა შეიძლებოდა. აქ, ბიბლიოთეკასთან ერთად, წიგნების პირველი მაღაზია გაიხსნა. და თანაც, აქ იყო ის, რასაც ტფილისის ვერცერთ სხვა უბანსა და დაწესებულებაში ვერ ნახავდით – თეატრი, ქართულ-რუსული პროფესიული დასები და იტალიური ოპერა, ყოველდღიურად გამართული კონცერტები და წარმოდგენები, გადაჭედილი პარტერი, ლოჟები, გალიორკა...

ოპერამ ტფილისელებს „ნორმით“ დაამახსოვრა თავი. პრემიერის შემდეგ მთელ ქალაქში, თურმე, იტალიური მუსიკის მოტივები ისმოდა. სწორედ „ნორმის“ მსვლელობისას, 1874 წელს, ქარვასლის თეატრალური ცხოვრების 23-ე სეზონზე, შენობაში ხანძარი გაჩნდა. ხის სკამებს, მოაჯირებს, დეკორაციებს, სცენასა და იატაკს ცეცხლი ელვისებურად მოედო. „ჯადოქრების სასახლე“ ასანთის კოლოფივით ჩაიფურფლა.

არსებობს ვერსია, რომ ხანძრის კერად ორ კომპანიაში დაზღვეული და შემდგომ შენობის სარდაფში შენახული საქონელი იქცა. მის პატრონს, ბუნებრივია, ქარვასლის გადაწვა კი არა, მცირე დანაკარგის ხარჯზე გამდიდრება სურდა.

წლების შემდეგ თამამშევევების ქარავან-სარაი „პასაჟის“ ტიპის მაღაზიათა ქსელის სახით აღადგინეს და საბჭოთა პერიოდში ისევ დაანგრის – ცენტრალურ მოედანზე გამართულ აღლუმებსა და დემონსტრაციებს დიდი სივრცე სჭირდებოდა.

ქალაქის უმსხვილესი კომერციული ცენტრის განადგურებამ თამამშევევების ზღაპრულ სიმდიდრეს გარკვეული დალი კი დაასვა, მაგრამ სომეხ დიდვაჭრებს ნელში გამართვა და სარფიან კაპიტალდაბანდებათა ახალი წყაროების მოძიება არ გასჭირვებიათ. მათ ჰქონდათ: ფული, გავლენა, კავშირები, მოქალაქის ნოდება, აზნაურის ტიტული... ყველაფერი, ევროპული განათლების გარდა. და ეგორის ვაჟმა, მიხეილმა ოთხივე შვილი პეტერბურგის გზას გაუყენა.

ელიზავეტამ და ეკატერინამ ქალთა კერძო პანსიონი დაამთავრეს.

გიორგიმ დიპლომატიური კარიერის გზა აირჩია, ერთხანს მეფისნაცვლის კანცელარიაში იმსახურა და სრულიად ახალგაზრდა, 1902 წელს გარდაიცვალა.

ვასილიმ სამხედრო განათლება მიიღო, გენერალ-მაიორის ჩინს მიაღწია, საქართველოში დაბრუნებული, სახაზინო (დღევანდელი ოპერის) თეატრის დირექტორი გახდა, ცნობილ სოლისტ ელიზავეტა ზუბალაშვილზე იქორწინა, გასაბჭოების შემდეგ, ოჯახთან ერთად, ევროპაში გადაიხვეწა, 30-იანი წლების ბოლომდე დასთან, ეკატერინასთან, მიმონერა არ შეუწყვეტია.

ეკატერინა ტატო ბარათაშვილის დისშვილს, ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავს მისთხოვდა და, დედის, ვარვარა ვასილევანს მსგავსად, ცნობილი ქველმოქმედი გახდა.

ვარვარა ვასილევამ ქალაქს 100 ათასი მანეთი აჩუქა. ბანკში შენახული თანხის პროცენტები უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების ორ ქართველ სტუდენტს, სტიპენდიების სახით, ეძლეოდა.

ეკატერინას კი ქალთა გიმნაზიის მონაფეები უფასო სადილს უმადლოდნენ; ხელმოკლე პატარძლები – მზითევს; მარტოხელა მასწავლებლები – ორსართულიან საერთო საცხოვრებელს; ტფილისის პირველი დრამატული საზოგადოება – 500 მანეთის ოდენობის შესანიშნავი; დღევანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი – მშენებლობისთვის გაღებულ 3 ათას მანეთს; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება – 10 ათასს. აქედან 500 მანეთი საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს, პრემიების სახით, უნდა გადასცემოდა, ხოლო 2 ათასით ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი აკადემიური კრებული დაბეჭდილიყო.

ნიგნი საზოგადოებამ, ერთი მიზეზის გამო, 1916-ის ნაცვლად 1922 წელს მიიღო: მსოფლიო ომს, რუსეთის რევოლუციას და საქართველოს გასაბჭოებას ინფლაცია, ქალაქის დეფიციტი მოჰყვა... და უკვე დაქვრივებული კნენი-ნა თამამშევა-ერისთავი იძულებული გახდა, გამოცემისთვის გამიზნული 2 ათასი მანეთი მამის ნამზითვი სამსართულიანი სახლის გაყიდვის ხარჯზე შეეცო.

უმცროსი დისგან განსხვავებით, ელიზავეტა საზოგადოებასთან კონტაქტის კი არა, მისგან გაქცევის გზებს ეძებდა. მომზიბლავს, ჭკვიანს, ფრიად განსწავლულს, „ევროპიული ენების“ ზედმინევიტით მცოდნესა და „მაღალი შტილით მეტყველს“, რჩეულ ბანოვანთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ, მაგრამ განსჯასაც არ აკლებდნენ. ტფილისელის ეჭვიან, ჩასაფრებულ მზერასა და მუდმივ ქილიკს საფუძველი ჰქონდა: სომეხი ვაჭრის ქალიშვილს დიდი კნიაზის, ნიკოლაი ნიკოლაევიჩ რომანოვისადმი სიყვარულის დამალვა არ შეეძლო.

მოგვიანებით დრამაში გადაზრდილი ეს სამიჯნურო ინტრიგა ყველას თვალწინ ვითარდებოდა. დაწყებით კი, საფიქრებელია, პეტერბურგის კერძო პანსიონში გამართულ საახალწლო კარნავალებსა და სადღესასწაულო წარმოდგენებზე, ბალ-მასკარადებსა და მეფლისებზე, მსუბუქი ფლირტით, ვალსის ცეკვით დაიწყო.

სამხედრო წრთობამიღებულ, უზადოდ აღნაგვი ორმეტრიანი ათლეტი ლამაზი, მოკრძალებული გოგონას წინაშე შეჩერდა.

„თქვენო უდიდებულესობავ,“ – მდაბლად დაუკრა თავი საპატიო სტუმრის რანგში მიწვეულ დიდ კნიაზს შემცბარმა და დაბნეულმა ელიზავეტამ.

„თქვენო უდიდებულესობავ,“ – მსგავსი სცენა გამეორდა წლების შემდეგ, სოლოლაკის

„ინგლისურ კლუბში“, რომელსაც ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, მოულოდნელად ესტუმრა. ელიზავეტა ძალიან გალამაზებულიყო, დაქალებულიყო. კნიაზის თავდაჭერილობის მიღმა გულწრფელი აღტაცება იკითხებოდა. დიდვაჭრის ქალიშვილმა თავგზა დაკარგა.

ელიზავეტასა და ნიკოლაი ნიკოლაევიჩის სასიყვარულო ისტორია მალე გახმაურდა. ქალაქში ათას ჭორსა და მართალს ამბობდნენ. ესაო, „უსიტყვებელი ლიზას“ ოჯახი პეტერბურგში გახიზვნას უპირებსო. ისაო, გოგო ბავშვს ელოდებოდა...

თამამშევებმა გამოსავლის ძიება დაიწყეს. გამოსავალი მალე გამოჩნდა – მიხეილ ნიკოლაევიჩ სმირნოვმა ელიზავეტას ხელი ითხოვა. ქალი დედ-მამის მკაცრსა და შეუვალ განაჩენს დამორჩილდა. საქორწინო გარიგების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ოჯახური სკანდალის თავიდან აცილება იყო. გათხოვებიდან რამდენიმე თვეში ლიზას ვაჟი – გიორგი შეეძინა.

* * *

„ეს მეზალიანსია, სამარცხვინო, დამამცირებელი ქორწინება. სად პეტერბურგელი არისტოკრატი და სად ავლაბრელი კინტოს ნაშიერი?“ – მიშას ნაცვლად უფროს ქალიშვილს, ოლგას სთხოვდა პასუხს ვაჟის არჩევანით შეურაცხყოფილი ალექსანდრა ოსიპოვნა.

როგორ? მთელი ცხოვრება საზოგადოებრივი მდგომარეობის შექმნას შეაღია. ნიკოლოზ პირველის ფაგორიტი, იმპერატრიცას ფრეილინა იყო. უმდიდრესი და უწარჩინებულესი ოჯახის მემკვიდრეს მისთხოვდა. კალუგისა და პეტერბურგის გუბერნატორმა გახდა. ახლა სენატორის, საიდუმლო მრჩევლის ქვრივი ჰქვია. მიშამ კი მთელი ეს რუდუნებით ნაგები და ყბადაღებული „მდგომარეობა“ ხუხულასავით დაუნგრია, გაძარცვა, თითზე გადასახვევი ძაფი აღარ დაუტოვა. თუკი რამე ღირებული მოეძებებოდა, ტფილისში ჩაზიდა, რომ ალექსანდრას პორტრეტების ცქერით სოლოლაკელი ჩარჩი დაეტკობო, ხოლო იმპერატრიცას ნაჩუქარი ანტიკვარული ფინჯნიდან „იმ გომბიოს“ ჩაი ეხვრიბა.

„თვალთაც არ დამენახოთ,“ – კატეგორიულად შეუთვალა ვაჟს, მაგრამ როცა მიხეილმა ფაქტის წინაშე დააყენა და პატარძალი პარიზულ სახლში მიჰგვარა, მოახლეს სტუმრების შემეგების ნება დართო. თვითონ კაბინეტიდან ფეხი არ მოუცვლია. სმირნოვმა კარი ფრთხილად შეაღო. ელიზავეტაც მიჰყვა.

„ეს ლიზაა, დედა.“

ალექსანდრა ფანჯარასთან იდგა. არ შემობრუნებულა. ერთხელაც არ შეუხედავს, ხმა არ გაუცია რძლისთვის. მხოლოდ ამბორის პატივი დასდო – ხელი ზურგიდან გაუნოდა.



„კავკასიური სახლი“
პროგრამით
„კულტურის კალენდარი“

განიხილავს ლევან ბრეგაძისა
და ამირან გომართელის
ნიგნს

**სასკოლო „წარმოდგენის“
შინაარსს სახელმძღვანელო
განსაზღვრავს
განიხილავთ
სასკოლო სახელმძღვანელოებს**

მომხსენებელი
მაია ჯალიაშვილი

21 მარტი, 16 საათზე
გალაკტიონის №20

სმირნოვების ცოლ-ქმრული ცხოვრება დუნედ, უფერულად მიედინებოდა. მიხეილ ნიკოლაევიჩი მეცნიერებას მიუბრუნდა. კავკასიურ მუზეუმში მუშაობდა. ბოტანიკურ ბაღში ფენოლოგიურ დაკვირვებებს აწარმოებდა. საქართველოს ფლორას გულდასმით სწავლობდა. ძირითადად, ფეხით მოგზაურობდა. ცნობილ მეცნიერებთან თანამშრომლობდა. დროის უდიდეს ნაწილს უცნობი მეცნიერების მოძიებას, აღწერასა და კლასიფიკაციას უთმობდა (ზოგიერთს სმირნოვის სახელი ეწოდა). ჰერბარიუმებს საზღვარგარეთაც გზავნიდა, კერძო კოლექციებშიც იტოვებდა. მთებისა და მთისწინეთის ფლორის ირგვლივ მოკვლევული უმდიდრესი მასალა, სახეობებდა და ოჯახებდა კლასიფიკირებული მეცნიერების 370-გვერდიანი ჩამონათვალითურთ, ფუნდამენტური ნაშრომისთვის გაამზადა. კავკასიის ზონალური განყოფის ახლებური სქემა ჩამოაყალიბა. პარალელურად, საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრი გახდა. სამთავროს სამაროვანის გათხრებში ჩაერთო. მინის უღრმეს შრეებში აღმოჩენილი თავის ქალების ზომებსა და პროპორციებს სპეციალური ხელსაწყოებით ადგენდა. მისი სამუშაო კაბინეტი, რომლის ურიცხვი თარო დანომრილი ძვლებით იყო სავსე, ანთროპოლოგიურ მუზეუმს დაემსგავსა. ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, ლინგვისტიკა შეისწავლა. დატოვა: ადგილობრივ და უცხოურ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები, უიშვიათესი ჰერბარიუმები, მდიდარი ბიბლიოთეკა და სმირნოვ-კავკასიელის სახელი.

ელიზავეტა მეუღლის საქმიანობით არ ინტერესდებოდა. არ შეეძლო, გულმგებდად ეყურებინა ხელისგულისოდენა მეცნიარის ძაფისმაგვარ, გაღვარჭნილ ფესვებს ჩაჩერებული, მტვრიანებისა და ბუტკოს მოკირკიტე, წიგნის ჭია მეცნიერისთვის, აეტანა მისი სკრუპულოზური მაძიებლობა და პედანტური თანმიმდევრულობა. სურვილიც არ გასჩენია, ერთხელ მაინც შეეღო ადამიანთა დანომრილი ძვლებითა და გამხმარი ბალახ-ბულახით გამოტენილი კაბინეტის კარი, რომლის გამოსხნისთანავე მთელი სახლი თითქოს ნეშომპალის სუნით იჟღინთებოდა. სძულდა მიხეილ ნიკოლაევიჩის სამყაროც, ნაძალადევი თანაცხოვრებაც, სიყალბით სავსე ყოველდღიურობაც...

ზღვარს გადაცილებული ზიზღის შემოტევები და ისტერიკამდე მისული ნერვული სტრესი ხანგრძლივი კარჩაკეტილობით მთავრდებოდა. ელიზავეტას სიახლოვეს გაჭაჭანებას თვით უსათნოესი ეკატერინაც ვერ ბედავდა.

„საბრალო ლიზა,“ – წერდა დღიურებში თვალზე ცრემლმოდგარი ქველმოქმედი.

„ნუ ესარჩლები,“ – სიმწრისგან ჭარხლდებოდა ვარვარა ვასილევნა.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩის სახელს ტაბუ ედო. თუმცა, „საბრალო ლიზას“ შინაგანი დისკომფორტისა და ქვეყნიერებისადმი გულაცრუების მიზეზად ყველა მხოლოდ მას მიიჩნევდა. ქალს უკონტროლო გრძნობებისგან ვერც მყიფე ცოლ-ქმრული მოვალეობები და ვერც მოშლის პირამდე მისული ნათესაური კავშირები იცავდა.

დიდი კნიაზისა და თამამშევეების ურჩი ასულის ღია ურთიერთობის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. მიხეილ ნიკოლაევიჩმა ბარგი შეკრა და ოჯახს შუა აზიაში გამგზავრების გადაწყვეტილება ამცნო. ეს უსიამოვნებებით აღსავსე და

ტფილისური ჭორებით დამძიმებული ცოლ-ქმრული თანაცხოვრების დასასრული იყო. თამამშევეებს სმირნოვი აღარ უნახავთ. „სიმონსეულ სახლში“, რომელიც 1882 წელს დაქვერვებულმა ვარვარა ვასილევნამ, ქონების გაყოფისას, უკვე ყველასგან გარიყულ „საბრალო ლიზას“ უმემკვიდრეა, მიხეილ ნიკოლაევიჩის ოთახი დაცარიელდა, ჰერბარიუმებმა – მუზეუმებში, ხოლო ბიბლიოთეკამ სამეცნიერო დანესებულებებისა და ბოტანიკური ბაღის წიგნსაცავებში გადაინაცვლა.

გარკვეული ხნის შემდეგ თამამშევეებს შუა აზიაში მიემდ დაავადებული და ოდესაში სამკურნალოდ გადაყვანილი 42 წლის სმირნოვის გარდაცვალების ამბავი ამცნეს.

ელიზავეტა კიდევ ერთხელ და ამჯერად უკვე სამუდამოდ გადაბარგდა პეტერბურგში, ხოლო მის კვალზე, ლურჯი ხიდის ნაცვლად ვასილევსკის კუნძულისკენ გაბრუნდნენ „სმირნოვების საგანძურით დატვირთული ვაგონები.“ ახალ მისამართზე დაბინავებული, წლების შემდეგ შვილმა, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა გიორგი სმირნოვმა ინახულა. მას სასტუმრო ოთახში უცნობი მამაკაცი დახვდა. მამაკაცი წამოდგა. თვალშისაცემად მაღალი იყო. სახეზე დახვეწილი არისტოკრატის იერი და ხაზგასმული თავდაჭერილობა აღბეჭდვოდა. მსუბუქი ნაბიჯებით მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

„იმედია, იცით, ვისი შვილი ხართ,“ – თქვა და გამომცდელად შეხედა.

გიორგი განითლდა. მის წინ ნიკოლაი ნიკოლაევიჩი რომანოვი იდგა.

„რა თქმა უნდა, ვიცი. მამაჩემის შვილი ვარ.“

შეხვედრა აღარ გამეორებულა. ბიჭს დიდი კნიაზისთვის თვალი აღარასოდეს მოუკრავს. მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო, რომ პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას, ფრონტს სარდლობდა, რევოლუციის შემდეგ კი, ცოლ-შვილთან ერთად, საზღვარგარეთ გადაიხვეწა.

ელიზავეტა ვასილევსკის კუნძულზე დარჩა. 1917-ში, კონფისკებული და ქუჩაში გაძევებული, ჭუჭყიანი, მშვიერი, ჩამოძონძილი, ჭკუიდან შეშლილი ქალაქის გარეუბანში დასახლებულმა ტფილისელმა სომხებმა იპოვეს. შეიკედლეს, უპატრონეს, ბოლოს სულით ავადმყოფთა თავშესაფარს მიაბარეს, სადაც 1919-ში, 60-ს გადაცილებული გარდაიცვალა (მაშინ, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სმოლენსკის საერთო სასაფლაოზე დაკრძალული „საბრალო ლიზას“ სურათები თითქმის საუკუნის შემდეგ იტალიაში გამართულ გამოფენაზე, ქართველ ლამაზმანთა ფოტოების შორის მოხვედებოდა და აღბომშიც დაიბეჭდებოდა).

ოდესლაც და-ძმის განხეთქილების მიზეზად ქველმოქმედას კი ამაოდ ელოდნენ „სიმონსეული სახლის“ ბინადარნი. ქარს გატანებული მილიონები უკან აღარ დაბრუნებულა...

სამაგიეროდ, განოვის ქუჩაზე დარჩა დღევანდელი პუშკინის მემორიალის უნიკალური სამუზეუმო ექსპონატები, სმირნოვ-თამამშევეთა წარსული დიდების არცთუ უმნიშვნელო ნაშთი.

ავტორი მასალების მოწოდებისათვის დიდ მადლობას უხდის პუშკინის მემორიალის მთავარ მცველს ალექსანდრე სვატიკოვს.

ელგუჯა თავბერიძე

არ იმღერება ეს სიმღერა

ელენე თარხნიშვილთან ყოფილა აკაკი სტუმრად. მილანოს კონსერვატორიადამთავრებულ თარხნიშვილის ქალბატონს მშვენიერი ხმით, გამორჩეული ოსტატობით შეუსრულებია „მხოლოდ შენ ერთს“. უმღერია საოცრად, მომხიბლავად, უპირველეს განუმეორებელი ტემბრის ხმით უთქვამს სიმღერა იმ ერთზე, ერთადერთზე, სამშობლოც რომ ეგონათ, სატრფოც, აქ, სანუთროში, და, იქ საიქიოშიც რომ ერთგულედნენ, უფრო სწორად, აქაურ-იქაური ყოფიერება მისთვის რომ მიეძღვნათ. უმღერია გამორჩეულად. აკაკის ადრე „ტრავიატაში“ ჰყავდა ელენე ნანახი, მაშინაც მოიხიბლა, ახლაც... მაშინ საგანგებოდ ჩავიდა თბილისში მის მოსასმენად, ჩავიდა, მოისმინა, განცვიფრდა, ტყუილად არ აქედნენ თურმეო – დარწმუნდა. იყო ასეთი, სხვის ნათქვამს იშვიათად ენდობოდა, გაგონილ ქებას ნაკლებ ან სულაც არ ირწმუნებდა, არც ძაგებას სხვათაშორის, ერთ-ორ კაცს კი თვალდახუჭულ-ყურდახუჭობილი ენდობოდა, უმეტესს არა, ბუნებრივია, თვითონ სხვაგვარად, განსხვავებულად ფიქრობდა, სჯიდა, ამიტომაც იყო უნდო, ეჭვით მზირალი.

„ტრავიატაში“ ელენე თარხნიშვილი მოეწონა, „მხოლოდ შენ ერთს“ ხომ დიდებულად იმღერა და იმღერა, ამანაც აღაფრთოვანა, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, თარხნიშვილის ქალს განუმეორებელი ხმა რომ ჰქონდა, გამორჩეული, მისეული, ქართული, ქართველი ქალის შესადაო-შესაფერი. სიმღერა მოეწონა, ტექსტმა გააღიზიანა, უფრო აღაშფოთა, ეს რა ლექსიაო, – დაუფარავად, მიკიბ-მოკიბვის გარეშე მიახალა მომღერალს.

უკეთესი თქვენ დაგვიწერეთო – შეჰბედა ელენეს დედამ. ცოტა ჩანყნარდა, ჩაშოშმინდა, გაღიზიანება გაუკრთა, გასაკილად შემართული დამშვიდდა. კარგიითო – დაყაბულდა.

დანერა, მეორე დღესვე მიუტანა მომღერალს, შეთხზა, მისი, აზრით სასიმღერო ლექსი, სამღერლად რომ გამოადგებოდა არა მარტო ელენე თარხნიშვილს, სხვებსაც, ყველა რომ იმღერებდა, ილიღინებდა, „მხოლოდ შენ ერთს“ დაჩრდილავდა, დაავინყებდა ხალხს.

ყოველივე აკაკის თხუთმეტომეულის მესამე ტომშია მითითებული: დიდებულ მგოსანს „მხოლოდ შენ ერთს“ ტექსტი არ მოეწონა, არც ადრე მოწონდა, უფრო სწორად, სადაც კი მასზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, გაკილვას არ ახანებდა, ღიზინდებოდა კიდევ – ამას რა ამღერებთო.

თავისი შეთხზული გაზეთ „თემში“ გამოაქვეყნა, სადაც ლექსის დანერის საბაზზეც იყო ნათქვამი: „მხოლოდ შენ ერთს“ არ ვარგა, სჯობს ეს იმღეროთო – ურჩევდა. ლექსსაც „სიმღერა“ დაარქვა, ელენე თარხნიშვილს მიუძღვნა და ამითაც არაორაზროვნად გაამხილა გულისნადები. გაამხილა, მაგრამ არც მაშინ, არც შემდეგ არავის უმღერია, არავის აუფლერებია ეს პოეტური თხზულება სასიმღეროდ, არავის მოწონებია ისე, რომ სიმღერად ექცია, ერთი სიტყვით, არავის დაუნახავს მასში სიმღერისათვის საჭირო და აუცილებელი მუხტი. „მხოლოდ შენ ერთს“ კი შეიქმნა თუ არა, სიმღერად იქცა, აკაკის „სიმღერის“ დანერამდეც მღეროდნენ, მერეც, ახლაც სიამოვნებით ასრულებენ.

„სიმღერა“ არავის უმღერია, არც სურვილი გასჩენია, არც პოეტის სურვილს დამორჩილება ვინმე, აქაოდა, დიდ მგოსანს ასე სურდა და ვცადოთ, რა გამოვავო, არა! აკაკიმ თქვა, დანერა, დანერეს, ნათქვამი ნათქვამად, დანერილი დანერილად დარჩა. არ უმღერიათ... აი, პირველი-ორი სტროფი ამ ლექსისა:

**ნეტავი მას,
ვინც შენ ტკბილ ხმას
ერთხელ კიდევ გაიგონებს!
გულის ვნებას
და გონებას
ათაყვანებს,
დაუმონებს!
მაგ სიტყვაში, გამოთქმაში
მომხიბლავი ისმის ძალა,
სასურველი, სანყურველი,
უკვდავების ვით ფიალა.**

ასეთი განწყობილება გრძელდება ბოლომდე. ვერ იტყვი, ამ ტექსტის სიმღერად ამღერება შეუძლებელი იყოს, ურიგოც არ გამოვიდეს იქნებ, მაგრამ საეჭვოა აჯობოს „მხოლოდ შენ ერთს“, მისდაგვარი გახდეს, მისებურად მოხიბლოს და აღანთოს მსმენელი. „მხოლოდ შენ ერთს“ რამდენიმე ფრაზა, მოხდენილად, ზეალმტაცი ინტონაციით ნათქვამი წინადადებებია. „სიმღერა“ კი ლექსია დასრულებული, სრულყოფილი.

იმას მღეროდნენ, ამის სიმღერად ქცევა, აკაკის სურვილის მიუხედავად, არავის უფიქრია. რატომ ხდება ასე, რად უგულვებელყვეს ხელალებით ეს პოეტური თხზულება? თუ სასიმღეროდ საუკეთესო ტექსტი არ იყო, ან კიდევ „მხოლოდ შენ ერთს“ ვერ აჯობებდა, ეცადათ, ემღერათ და ამით ხომ აკაკის გაამტყუნებდნენ: კი ბატონო, შეთხზე სანაცვლო ლექსი, „სიმღერა“ დაარქვი, თარხნიშვილს მიუძღვენი, მაგრამ სიმღერად არ გამოდგა, შენგან დახუნებული ვერ დაჩრდილა შენგანვე შექმნილ-მოწონებულმა. მაინც რა ანდამატი ჰქონდა და აქვს „მხოლოდ შენ ერთს“ ისეთი, ასე რომ ამღერდა, სულაც სიმღერად იქცა, ლექსად არ გამოდგა, ლექსად ჩაფიქრებული სიმღერად დაიბადა და მღეროდნენ, მღერიან, ადრეც, ახლაც.

შალვა დადიანმა მოგონებებში გულწრფელად გაამჟღავნა: ჩემი „მხოლოდ შენ ერთს“ აკაკის აღიზიანება, მართალია, პირში არასდროს მოუხალეობია საყვედური, მაგრამ ყველა მეუბნებოდა, არ მოწონს, აკილავს, ტექსტი კი არა, სამი სიტყვის უხეირო დაკავშირებაა და მეტი არაფერიო. ამის გამო სამაგიერო ლექსიც კი დანერა, რომელიც სიმღერად არავის უქცევია. იქნებ ახლა მაინც გაითვალისწინონ პოეტის სურვილი და ამღერონო.

არც შალვა დადიანის თხოვნა აღუქვამს ვინმეს თხოვნად, არც იმ დროს, არც მერე, უფრო მეტიც, ეს ამბავი ლიტერატურის ისტორიკოსებს თუ ახსოვთ მხოლოდ, აკაკის „სიმღერა“ მისავე შედეგებში ჩაიკარგა, „მხოლოდ შენ ერთს“ კი სიმღერა-შედეგად გადაიქცა. არადა, სულაც შემთხვევით, სახელდახელოდ შეთხზული ლექსია. ისევ შალვა დადიანის მოგონებები გავიხსენოთ: ალექსი მესხიშვილმა წინო ჩხეიძის საბუნეფისოდ კარევის პიესის „Роковой Шар“-ის დადგმა გადაწყვიტა და ტექსტის თარგმნა მე მომანდო. ვთარგმნე, მაგრამ როგორ?! „Роковой Шар“ უბედურ ნაბიჯად გამდგოქართულე. პიესაში იყო ერთი ლექსი „Одно стобой“, რომელიც ტექსტისათვის აუცილებელი იყო და მისი განწყობილების მიხედვით დავნერე „მხოლოდ შენ ერთს“.

სათაური ვერ თარგმნა, ლექსს როგორღა თარგმნიდა, მაგრამ სათქმელი გაიგო, განწყობილება დაიჭირა, დედააზრს ჩან-

გდა და აქედან მომდინარე შეთხზა საკუთარი, მას მისადა-
გებული, მაგრამ თავისი. რომ ეთარგმნა, იქნებ სულაც
უხერხემლო ტექსტი შეგვრჩენოდა ხელთ. არ თარგმნა (უფრო
სწორად, ვერ თარგმნა) და საკუთარით გავიდა ფონს. გავიდა
და მშვენიერი სიმღერა გამოუვიდა.

1914 წელია, გაგანია ომი. ქუთაისში ნაკლებად აღწევს
ბრძოლების ექო, ომის ციებ-ცხელება. ხალხი რესტორანში ქე-
იფობს, ღრეობს. შალვა დადიანიც იქაა, ერთ-ერთ სუფრაზე
თანამეინახებთან ლაღობს, ხამუშ-ხამუშ პოლიტიკაზეც ჩა-
მოაგდებენ სიტყვას, იტყვიან, განსჯიან, სამომავლო პერიპე-
ტიებს განსაზღვრავენ იმაზე ფიქრით შეპყრობილი, თუ ვის
მხარეს გადაიხრება სასწორი, ვინ გაიმარჯვებს პირველ მსოფ-
ლიო ომში, ვინ ვის დაამარცხებს, ვინ ვის აჯობებს და ა.შ. შალ-
ვა დადიანიც იქაა, რესტორანში, სხვებიც, სუფრებს ათასნაირი
ჯუფისის, პროფესიის, განწყობილების ხალხი შემოსხდომია. ქეი-
ფობენ... მუსიკა უკრავს, ესენი სვამენ და ამით კლავენ დროს,
თუ ეკვლევიან თვითონაც. ვილაცამ რუსეთის ჰიმნი შეუკ-
ვეთა მომღერლებს და მათაც გამორჩეულად დააგუგუნეს
„Боже, Царя Храни“, ეს თქვეს და ატყდა ის გენერალი, ანტან-
ტის ყველა სახელმწიფოს ჰიმნის შესრულება მოითხოვა, შეას-
რულეს, იმღერეს ინგლისის, საფრანგეთის ჰიმნები. იმღერეს
და რომ ჰგონიათ ამოისუნთქეს, გამოჩნდა ქართველი, ქართუ-
ლი განწყობილებით სულგაჟღენთილი და, აბა, საქართველოს
ჰიმნიო – შეუძახა შემსრულებლებს, შეუძახა და გაისუსა
დარბაზი, ჩანყნარდა, იმის მომლოდინე, რა მოხდებოდა, ზოგს
ურუანტელმა დაუარა და სისხლი აურქროლდა, ზოგი შურით
ალივსო, აქაოდა, ჩვენი ჰიმნიც ხომ იგივეა, რაც რუსეთისა, გა-
ნა ჩვენ რუსეთში არ შევდივართ, ეს რაებს რომავს, ძლივს ამო-
ვისუნთქეთ, ძლიერ სახელმწიფოს შევეფარეთ და ვილაც
ოხერია, საკუთარი ჰიმნი მოუნდა, საქართველოს ჰიმნი სად
აქვს, განა შეიძლება ჩვენი ჰიმნი იგივე არ იყოს – ასეც ფიქ-
რობდნენ, ისეც, უფრო მეტად, ქართულად მოფიქრალი
მოძალებოდა იქ შეკრებილი. მომღერლებიც ასეთი აღმოჩ-
ნდნენ, წუთით შეყოვნდნენ, ჩაისუნთქეს, შეისვენეს, დირიჟორ-
მა კვერთხი შემართა და „მხოლოდ შენ ერთს“ დაიწყეს, დაიწყეს
და დააგუგუნეს სიმღერა იმ ერთადერთზე, ვისთვისაც სი-
ცოცხლეს არ ენახებოდათ.

დარბაზი გაისუსა, უფრო გაიტრუნა, მღერიან „მხოლოდ
შენ ერთს“, შალვა დადიანი მეგობრებთან მისხდომია სუფრას,
მის ტექსტზე მსახიობ სარჯველაძის შექმნილ სიმღერას ასრუ-
ლებს ორკესტრი, ერთ-ერთი ავტორი იქაა, სუფრასთან, მე-
გობრებთან ქეიფობს, მისი ლექსი საქართველოს ჰიმნად ჟღერ-
დება.

არავინ იცის, შალვა დადიანის რომაა ეს სიტყვები, ვერც
თვითონ ამხელს, ზის, უხარია, სიხარულს ვერ უმყდვენებს
სხვას, საკუთარ განცდაში, ფიქრებში ჩაყურსულს ამ დროს
არც აკაკი ახსოვს, არც მისი ქირდევა, ზის და უხარია, მისი ლექ-
სი საქართველოს ჰიმნად ჟღერდება.

ეს იყო ალბათ ერთ-ერთი შემთხვევა (თუ ერთადერთი არა)
რუსეთის ბატონობის პერიოდში ქართული ჰიმნი რომ შეს-
რულდა და ასეთად შალვა დადიანის „მხოლოდ შენ ერთს“ დაა-
გუგუნეს.

ამ დროს აკაკი ცოცხალია, არც ენა დაუთაფლავს, არც ის
დავიწყებია, ყოველწამს „მხოლოდ შენ ერთს“ რომ მღეროდნენ,
მისი აზრით უხეირო, არაფრისმოქმელ ტექსტს. არაა აქ, ამ
რესტორანში, თორემ იქნებ შალვა დადიანსაც არ მორი-
დებოდა, პირში მიეხალბებინა გულისნადები.

არადა, „მხოლოდ შენ ერთს“ საქართველოს ჰიმნად იმღე-
რეს.

ზემოთ კი ვთქვი, მაგრამ უფრო ის მგონია მართალი – აკაკი
რომ იქ ყოფილიყო, შეუძლებელია გული არ შეძვროდა, ამ

ფაქტს არ აღენთო და აღეფრთოვანებინა, სულ გადავიწ-
ყებოდა, როგორი ტექსტი იყო, მთავარია, დიდი ქვეყნების მერე
მისი სამშობლოს ჰიმნიც აუღერდა, დამოუკიდებელი სახელ-
მწიფოს ერთი ატრიბუტი სუფრაზე, რესტორანში დაიბადა,
დაიბადა და გახშიანდა – „მხოლოდ შენ ერთს“ საქართველოს
ჰიმნად მოინათლა.

მიზეზებს რომ ვეძებთ, თუ რატომ აიტაცა და გაითავისა
ხალხმა ეს სიმღერა, ერთერთად ესეც უნდა მივიჩნიოთ:
„მხოლოდ შენ ერთში“ იმთავითვე სამშობლო ამოიცივნეს, მისი
ხატი დაიგულეს და ამიტომაც მღეროდნენ ასე ხშირად და
აღტაცებით, მერე იმდენად გაეტოლებინათ ამ სტრიქონების
საფიქრალი თავიანთ ტკივილთან, მამულისადმი საკუთარ გან-
წყობილებასთან რომ ჰიმნადაც ამას ფიქრობდნენ, ასეთი ერთი
იყო თუ ათი, მნიშვნელობა არ გააჩნია, ქართველობის რალაც
ნაწილი ასე განწყობილიყო.

„მხოლოდ შენ ერთს“ შექმნისთანავე განზოგადდა, კონკრე-
ტულობა ჩამოცილდა და მისი სტრიქონები მშობელ ქვეყანას
დაუკავშირდა. რუსულად ითარგმნა, წესით რალად უნდა და-
ჭირებოდა, შალვა დადიანს რომ გადმოელო სწორად ორიგინა-
ლიდან, მაგრამ ხომ აღვნიშნეთ, კი არ თარგმნა, საკუთარი
შეთხზა-მეთქი და ამიტომაც გახდა რუსულად გადაღება საჭი-
რო. გადაარუსულეს და ავტორი აღარ მიუთითეს – ქართულ
ხალხურ სიმღერად მონათლეს. ესეც საგულისხმო ფაქტია –
„მხოლოდ შენ ერთს“ იმდენად მამულისადმი მიძღვნილ ჰიმნად
მიჩნდათ, ავტორს უხერხულობა ააცილეს და, მათი აზრით,
მშვენიერი გამოსავალი მოძებნეს ქართულ ხალხურ სიმღერად
მიჩინეს. ან კიდევ, „მხოლოდ შენ ერთს“ ისე გახალხურებული-
ყო, აღარც კი ახსოვდათ შალვა დადიანი რომ გახლდათ ამ
სტრიქონების ავტორი, სიმართლე ან ერთია ან მეორე, ძნელია
თქვა, რომელი რომელს სჯობს მნიშვნელობით.

უფრო მეტიც, გრიგოლ ვოლსკისაც შეუქმნია ამ ლექსის
თავისუფალი თარგმანი და „ნოვოე აბაზრენიე“ – ში გამოუქ-
ვეყნებია, მაგრამ არც იქ ყოფილა მითითებული ავტორი.
სტრიქონები რომ შეადართო, მიხვდებით საიდანაც მოდისო –
წერს შალვა დადიანი, რომლის მონათხრობსაც ვიყენებთ ძირი-
თადად ამ ესეიში.

ერთი სიტყვით, შალვა დადიანს კარევეის რალაც ლექსმა
შთააგონა, უფრო აიძულა, მერე რუსულად ითარგმნა, ვოლ-
სკიმაც თარგმნა, აკაკიმ სანაცვლო შეთხზა, მაგრამ „მხოლოდ
შენ ერთს“ მაინც იმ ერთ, ერთადერთად დარჩა, ვერც ერთმა
დარწილა, ვერც მეორემ, ვერც მესამემ.

ისევ აკაკის „სიმღერას“ მიუბრუნდეთ. არაერთხელ აღ-
ვნიშნეთ, ელენე თარხნიშვილს რომ ეძღვნება, კონკრეტული
ადრესატი გააჩნია და ზოგადამდე ვერ მალდებდა, სატრფია-
ლო ლექსია და არა მამულის სიყვარულით გაჟღენთილი. პოე-
ტის სასიყვარულო განწყობილებას გამოხატავს, მის დარდ-
წუხილს ამხელს ამასთან დაკავშირებულს. აკაკის არაერთი პო-
ეტური თხზულება განზოგადოებულა, ფართო მასშტაბი
შეუქმნია, ვინრო კალაპოტი გაურღვევია და ვრცელი სათქმე-
ლით გამსჭვალულა, „სიმღერა“ კი ისეთივე დარჩა, როგორც
შეიქმნა, „სიმღერის“ სათქმელი არაა ვრცელი, მართალია, არის
განზოგადოების ცდაც, განსაკუთრებით მეოთხე სტროფში,
მაგრამ ისე ზეაღმტაცია და ლაკონური არაა, როგორც
„მხოლოდ შენ ერთს“. უნდა ვიფიქროთ, ამიტომაც არ ამღერდა,
რომლის საპირისპიროდაც შეიქმნა, ვერც მას გაუტოლდა,
დაჯაბნაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

ერთი სიტყვით, ჯარჯი ფხოველის სულ სხვა მნიშვნე-
ლობის დამტვივ ერთი პოეტური სტრიქონი ზედგამოჭრილია
ასეთ შემთხვევაში.

არ იმღერება ეს სიმღერა.

არ იმღერება და...

თეოდორ მეითსონი

ომარ ხაიამი – დატაქტივის როლში

ჩაფარნი შუალამით ეწვივნენ ომარს და მოსვლა ამცნეს შემპარავი კაკუნით ოზსერვატორიის კოშკის კარზე, ქალაქის განაპირას რომ მდებარეობდა.

– მოძღვარო, იქ სულტნის სამი მეომარი გელოდებოდათ, – მიმართა ომარს ხოჯა ალიმ, ალგებრაისტმა, როცა ვინრო კიბით აფოფხდა ზევით, მეორე სართულზე, რათა გაეღვიძებინა ძილში ჩაძირული პოეტი-ვარსკვლავთმრიცხველი. – მათ სწადიათ, რომ დაუყოვნებლივ გაჰყვეთ სასახლეში!

– ასე გვიან? – წამოიძახა ომარმა. დაბნეულად ახამხამებდა თვალებს თავისი თანაშემწის ქრაქის ყვითელ, დამაბრმავებელ შუქზე. და მერე ნაღდად გამოეღვიძა: თვალეები არნივისა, დაფანჩული წარბების ჩრდილში, ფართოდ ჰქონდა გახელილი და ჩაციებით უმზერდა თანამოსაგრის დანაოჭებულ, შემფოთებულ პირისახეს; მკაცრი ნაკვეთები კიდე უფრო გაუმკაცრდა. ნეტავი რა უნდა მომხდარიყო? მის ბატონსა და მბრძანებელს მალიქ-შაჰს ჭირვეულობა არა სჩვეოდა.

– თქვენი სიმშვიდე რომ დაარღვია, არც უტიფრობად მიიჩნით, არც ქედმაღლობად. მხოლოდ ჭეშმარიტი ერთგულებაა საიდუმლოებისა, – ამშვიდებდა ხოჯა ალი და მთელი თავისი იერით გამოხატავდა მასწავლებლის სიყვარულს. – მაგრამ ისინი გთხოვენ, აჩქარდითო.

ომარმა სწრაფად წამოისხა ხალათი, ფეხი გაჰყო სანდლებში და დოლბანდიც მოირგო თავზე. მესხიერებაში დაჟინებით ჟღერდა ვეზირ ნიზამ ალ-მულქის მეგობრული რჩევა – სიტყვები იმ დრო-ჟამიდან, როდესაც ომარი ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამდა, როგორც ხელმწიფის ვარსკვლავთმრიცხველი: „ასე მგონია, მალიქ-შაჰის კეთილგანწყობა შენდამი ურყევი არის, მაგრამ არ დაგავინყდეს, ძვე იბრაჰიმისა, რომ ეს კეთილგანწყობა – საყრდენია კარვისა, უიმისოდ შენი სახლი ჩამოიქცევა“.

სინდისი ომარს სუფთა ჰქონდა. და მაინც, როცა კიბით ძირს ჩადიოდა მოუთმენელი მოლოდინით შეპყრობილი ჩაფრებისაკენ, ერთ ადგილზე რომ ტოკავდნენ, გაკვირვებით გაახსენდა ბოროტი ჩურჩული, რითაც ზოგიერთი მოლა კილაგდა ახალ კალენდარს, რომელსაც ომარი ახლა ადგენდა. განა არ ალშოთდებოდნენ ისინი, თუკი ომარ ხაიამის დასკვნები ეფუძნებოდა პტოლემეს ცხრილებს – პტოლემე ხომ ურჯულოდ უნდა მიეჩნიათ, რადგანაც ალაჰის მოციქულის დაბადებამდე ცხოვრობდა. ვინ იცის, მოლებმა ეგებ თავისი გაიტანეს და დაარწმუნეს მალიქ-შაჰი, რომ ომარის ჩანაფიქრები, უდავოდ, მკრეხელობას უდრიდა.

ომარს პირზე მიეყინა შეკითხვები, როგორც კი შეხედა ჩაფრებს: თვალეები დახრილი ჰქონდათ, ტუჩები – მოკუ-

მული. მათ არ შეეძლოთ – ანდა არ სურდათ – რაიმე ეთქვათ მისთვის. ომარი თავდაჭერით მიესალმა, აგერ მზადა ვარ, გამოგყვეთო და ხმამოუღებლივ გაჰყვა მთვარით განათებულ გზაზე. გაიარეს ქალაქ ნიშაბურის თექვსე კარიბჭე, მერე ჩაუარეს შადრევანს, რომელიც ესოდენ ღრმა ჩანდა ჭადრების ჩრდილში, ბოლოს აუყვნენ ქვებით მოკირწყლულ აღმართს, მეშვიდე მეჩეთის გორაკზე რომ აიყვანდა მგზავრს.

მალიქ-შაჰი ელოდა ომარს სეფე-დარბაზის მახლობლად განთავსებულ პალატში. ბალიშთა გროვაზე ინახით მჯდომარე უჭვრეტდა ნითელი ფერის აბრეშუმში გამონყობილი, დაღმეჭილი კუზიანის სასაცილო კაურებს – ეს კაცი იყო მისი მასხარა, სახელად ჯაფარაკი. სულტნის ახალგაზრდულ პირისახეს მოღუშული გამომეტყველება და ლამის უაზრო გამოხედვაც კი ჰქონდა, მხოლოდ ომარის გამოჩენაზე გაუნათდა თვალეები. ზეზე წამოხტა და მასხარას ანიშნა, აქედან მოუსვიო.

– ომარ ხაიამ, კეთილი იყოს შენი მობრძანება. შენ რომ გხედავ, სიხარულითა და შვებით მეცხება გული.

ომარმა მდაბლად დაუკრა თავი, სულტანმა კი მცველეები დაითხოვა.

– გიხმე, რამეთუ ჩემი ვეზირის ნიზამ ალ-მულქის მეგობარი ხარ, ჭეშმარიტი მეგობარი, ხომ მართალს ვამბობ?

– მართალი ბრძანდებით, დიდებულო ხელმწიფე, – უყოყმანოდ მიუგო ომარმა. – სწორედ ნიზამის წყალობით მოვიხვეჩე თქვენი კეთილგანწყობა.

– მართალია, რომ შენ და ნიზამს გაკავშირებთ ფიცი ერთმანეთისთვის ხელის გამართვაზე?

– მართალი ბრძანდებით, – თავი დაუქნია ომარმა. – დიდი ხანია, ჯერ კიდევ ყრმობიდან მოდის ეგ ფიცი.

– მიაბე ერთი მაგის თაობაზე, – წარმოთქვა სულტანმა უცნაური დაჟინებით.

– ნიზამსა და მე ერთი მოძღვარი გყავდა – სუფი იმამ მოვაფაკი. მასთან ვსწავლობდი სამნი: ნიზამი, ჰასან იბნ საბაჰი და თქვენი მონა-მორჩილი. ერთხელაც ჰასანმა გვითხრა: „ფიქრობენ, რომ იმამ მოვაფაკის შეგირდებს ცხოვრების გზა ილბლიანი ექნებათ. მაშ მოდი, მივიღოთ ალთქმა: თუკი ბედმა ყოველ ჩვენგანს არ გაუმართლა, იგი, ვისაც წილად ერგება ბედნიერი ხვედრი – დანარჩენებს გაუნანილებს“. შემდგომში ჰასანი ეგვიპტეს გაემგზავრა, მაგრამ იქ მაინცდამაინც ვერაფერს მიანდნია; მე დავეხეტებოდი ხორასანსა და ბაღდადს შორის, ასევე ამაოდ დავშვრი. ნიზამ ალ-მულქი კი დიდად აღზევდა, თქვენს გვერდით ამოჰყო თავი, სამყაროს მბრძანებელი, თქვენი ვეზირი გახდა და ებოძა ქვეყნიერების სადავეთმპყრობელის ნოდება. და როცა მე და ჰასანმა გავიხსენეთ ჩვენი ალთქმა, ვეახელით ნიზამს და შემწეობა ვთხოვეთ. მან კი თქვენგან მფარველობა ითხოვა ჩვენი.

როგორც კი სათქმელი დაამთავრა ხაიამმა, სულტანმა ხელი მოუთათუნა მხარზე.

– მაშ გახსოვდეს, ომარ ხაიამ, რომ ნიზამ ალ-მულქი გასაჭირში შეგენია. ის უული კაცია, ახლობელი არავინა ჰყავს შენსა და ჰასანს გარდა. და ახლა შენი დახმარება სჭირდება.

– დიდებულო ხელმწიფე, მზადა ვარ – სიცოცხლე დავთმო ნიზამის გულისათვის.

– კეთილი, – თქვა სულტანმა. – ამჟამად ნიზამი სიკვდილის შიშმა შეიპყრო, გარეთ ველარ გამოდის. ნავიდეთ, მოვინახულოთ. თანაგრძნობა გამოვუცხადოთ და ნუგეში ვცემთ.

სულტანი აუყვავა ციცაბო და ვინრო მარმარილოს კიბეს – იქით, სადაც კუთხის კოშკურაში ბინადრობდა ვეზირი. რკინით შემოჭედულ კარს ორი გუშაგი იცავდა. ისინი ულაზათოდ ჩამოეცალნენ გზიდან სულტანს და მან ბრახუნი აუტეხა კარის ფიცარს.

– გააღე, ნიზამ! – წამოიძახა სულტანმა. – ეს მე ვარ, მალიქ-შაჰი.

მძიმე ჯახვმა გაიჩხარუნა, ურდული ჭრახუნით გასრიალდა, კარი გაიღო და სულტანი, ომარ ხაიამთან ერთად, შიგნით შევიდა.

პატარა ოთახი ერთადერთი კართა და მის პირდაპირ გამოჭრილი სარკმლით სენაკს ნააგავდა. სარკმელი თითქმის ჭერს აღწევდა, მისი ერთი მესამედი კი გისოსებით იყო დაფარული და იცავდა ვეზირს გაუფრთხილებელი დაშვებისაგან ასიოდე წყრთის სიმაღლიდან ეზოს მაგარ გრუნტზე.

ქვის კედლების წყობა თავისი სიმტკიცით გაოცებას იწვევდა.

ომარს ელდა ეცა ვეზირის დანახვაზე – რაოდენ შეცვლილიყო მათი ბოლო შეხვედრიდან ერთ-ორ კვირაში. მოთეთრო-მოლურჯო სამოსელში გამოწყობილი მაღალი ფიგურა ნიზამისა დამჭლევებული მოგეჩვენებოდა; თმაში, უწინ თავისი სიშავით ყორნის ფრთას რომ სჯახნიდა, ჭალარა შეჰპაროდა. მძიმე ურდულის გაყრამ, ეტყობა, სიქა გააცალა; უღონოდ დაეშვა ჭილოფზე და უსინათლო მზერით ჩხრეკდა გარემოს.

– ჩემთან ლაბარაკი არ ნებავს, – გაისმა მსუყე ბანი და ომარმა გაარჩია სარკმლის წინ ნიშში მდგომი სახელაჟღაჟა ჰასან იბნ საბაჰი, გადასახადთა ამკრეფი. – თავი განწირული ჰგონია, თავისი ხვედრი – გარდუვალი.

ნიზამი მიუბრუნდა ჰასანს:

– ჩემო უძვირფასესო მეგობარო, ჩემს გულში აღარც სიყვარულია შენი და აღარც ნდობა, – თქვა მან და უღიმღამოდ გაიღიმა. – შენ მართალი ხარ, როცა სამყაროს მბრძანებლის, ჩვენი დიდებული ხელმწიფის მსგავსად, გგონია, რომ მე თავი უნდა მივცე სახელმწიფო საქმეებს და არ დავნებდე შიშს, რომელმაც დამთრგუნა. მაგრამ, ვაი რომ, ეს არ ძალმიძს.

ომარმა მუხლი მოიყარა ვეზირის წინაშე.

– ნიზამ, მე შენთანა ვარ, – დაყვავებით მიმართა, – და შენი ერთგული მეგობარი ვარ. მითხარი, რას უფრთხი?

– ომარ, – უპასუხა ვეზირმა, – თუკი ჩემი უწმინდესი ხელმწიფე ნებას დამრთავს, დაგელაპარაკები – ოღონდ პირისპირ. მარტონი უნდა დავრჩეთ.

– ჩინებულება, – ჩამოწოლილ თაღს გრუხუნით დაცვა ხმა სულტანისა. – ვლამობდი, გონს მომეყვანა. ლამობდა ჰასანიც, მაგრამ ორივემ მარცხი ვიგემეთ. ომარ ხაიამ, ახლა შენი ჯერია. მე მჭირდება ვეზირი, თავს რომ დაიჭერს და გრძნობებს არ აჰყვება. ახლა ვაპირებ, ხორასნიდან სომხეთს გავწიო, ვიდრე ახალი მთვარე ამოვა. და ჩემს არყოფნაში ვეზირს მოუწევს თავისი ნიჭისა და გარჯის ყოველმხრივ გამოვლენა. და იცოდე, ომარ ხაიამ, შენ არ უნდა ნაიბორძიკო, თორემ ჩემი კეთილგანწყობა, შენ რომ ვე-

ზირმა მოგიხვეჭა, ისევე გაქრება, როგორც გამქრალა მისი გონი.

ესა თქვა სულტანმა და დატოვა სენაკი. ჩასკვნილი, მაგრად აღნაგი ჰასან იბნ საბაჰი ის-ის იყო უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ უეცრად შეჩერდა და დაძარღვეული მკლავი მხარზე დაადო ომარს:

– ჩემო კეთილო მეგობარო, თავი უნდა გაართვა ამ საქმეს, – უთხრა ჩურჩულით, – თორემ ორივენი დავკარგავთ ჩვენ-ჩვენს სახელოს.

– ნიზამ, გამაგებინე, რისა გეშინია? – ჰკითხა ომარმა და, ვეზირის მოთხოვნისამებრ, ურდულით ჩაკეტა კარი.

– სიკვდილისა მეშინია, ომარ, – მოკლედ მოუჭრა ნიზამმა.

– როდესაც ორმა გავხსენით ფარდა, – ღიმილით წარმოთქვა ომარმა.

– არ გინდა, ომარ, – შეანწყვეტინა ვეზირმა, – შენი რობაიებისთვის ახლა არა მცხელა. შენი ლექსები დღენიდაგ ჩემთან არიან და გასაჭირში მანუგეშებენ, – ტაბლიდან აიღო ტყავგადაკრული წიგნი. – ვიდრე სიკვდილი ზოგადი ცნებაა, ეგებ იფილოსოფოსო მასზე პოეზიის ცის ქვეშ. მაგრამ ეს სიკვდილი ხორციელია, კვალდაკვალ მომდევს და დასარტყმელად ხელსაყრელ წამს ელოდება.

– ვინ არის, რა ჰქვია?

– რაჰიმ საიდი!

ომარს სუნთქვა შეეკრა. ლეგენდების შარავანდით იყო გარემოცული რაჰიმ საიდი – წინამძღოლი კაცისმკვლელთა ფანატიკური ბანდისა, რომელსაც ბურჯად ჰქონდა ალამუთის კლდოვანი ციხე-სიმაგრე შორეულ მთებში, ნიშაბურიდან ჩრდილოეთით, კასპიის ზღვის მახლობლად. რაჰიმის საზარელი და სისხლიანი ამბებით აშინებდნენ ბავშვებს, თავში უტენიდნენ სიკეთისა და ბოროტების ცნებებს, ხოლო მისი საბედისწერო ძალაუფლება უთვალავ სულელებზე აიძულებდა ამირებსა და სულტნებს, ერთიმეორის მიყოლებით, დაეჭვებულყოფნენ თავიანთი პირადი მცველების ერთგულებაში. შუაგულ სენაკში ამ ავაზაკის სახელიც კი მის ავბედით, გულქვა არდილიად გადაიქცა.

– შენ ამტკიცებ, რომ ის აქ არის – აქ, სასახლეში? – ნაჩურჩულა თავზარდაცემულმა ომარმა

– დარწმუნებული ვარ. ის აქ მოვიდა, ანგარიში რომ გამისწოროს.

ნიზამმა ტაბლიდან აიღო ქალაღდის თხელი ფურცელი.

– აი უსტარი, ამ ორი კვირის წინათ ხელში რომ მომარჩე-ჩა აქლემის მეხრემ ნიშაბურის ერთ-ერთ ქუჩაში.

ომარმა ხელი მოჰკიდა ფურცელს და წაიკითხა: „რაჰიმ საიდი მიემართება ნიშაბურს. მან ფიცი დადო, რომ მოკლავს ნიზამ ალ-მულქს, რომელმაც სიკვდილით დასაჯა მისი ორი, ყველაზე ერთგული მსახური და ერთი მათგანი იყო მისი ერთადერთი ვაჟიშვილი“.

– ორი მკვლელი მართლაც შევიპყარით სასახლის გაღვინის ფარგლებში: გაბრუებულნი ძილის წამლით, რალაც უაზრობას ლულულულებდნენ, ამით გასცეს თავი. – ვეზირმა ხმას დაუნია. – მცირეთაგან მე ერთ-ერთი ვარ, ვინც იცის რაჰიმ საიდის საიდუმლო. სახელდობრ, მისი ყველა თანამებრძოლი ეტანება წამალს, რომელსაც ეძახიან ბანგს ანდა ჰაშიშს. და ეს წამალი მარტოდენ მისთვის არის ხელმისაწვდომი.

– აჩვენე ეს ბარათი მალიქ-შაჰს? და ჩასწვდა იგი შენს ნაღველს?

– ის ჩამჩინებებს, რომ მცველები მოუვლიან ჩემს უსაფრთხოებას. მაგრამ რა ფასი აქვს ამ მფარველობას, თუკი რაჰიმ საიდმა მაინც მოახერხა პირველი დარტყმა! – ნიზამმა თავი ანება ბოლთის ცემას და ხელი სტაცა ომარს იდაყვში. – ჩემი ერთგული მსახური აკროენოსი თუ გახსოვს?

– ეგ რომელია, სარდაშტთან სიკვდილს რომ გადაგარჩინა?

– სწორედ ისა! უგზოუკვლოდ დაიკარგა, გაქრა. უკვე ერთი კვირა გავიდა, თვალით აღარ მინახავს. მალიქ-შაჰმა ბრძანა, გაეჩხრიკათ მთელი სასახლე, კოშკთა კენწეროებიდან მინისქვეშა დილეგებამდე. აკროენოსი ვერსად იპოვეს. მაგრამ მე ხომ ვიცი: საიდმა მოუღო ბოლო, რათა უმწეოდ დამტოვოს. და აი ახლა, ვაგლახ, საშინელი რამ შევიცანი, ომარ – თურმე ლაჩარი ვყოფილვარ. ძალზე მემინია სიკვდილისა.

– მაგრამ აქ, ამ ცხრაკლიტულში, სადაც გიცავენ სულტნის გუშაგნი, უსაფრთხოდა ხარ, უშიშრად უნდა იყო.

– ვაი რომ არა, ომარ. მითქმამოთქმას თუ ვერწმუნეთ, ეს რაჰიმ საიდი ჯადოქარია, რომელსაც ძალუძს ერთსა და იმავე დროს ორ ადგილას იმყოფებოდეს და შეაღწიოს ქვის კედლებს მიღმა. მისიანებს სჯერათ, რომ იგი დაჯილდოებულია ღვთაებრივი ძალმოსილებით და ამიტომაც მზად არიან, მისი ბრძანებით განწირონ თავი. ვიცი, სწავლულის გონი – შენი გონი – ვერ შეურიგდება ამგვარ ზღაპრულ მონაგონს, მაგრამ ჩემს ტყავში გახვევა რომ გერგოს...

ომარი უსაზღვრო თანაგრძნობით შეჰყურებდა თავისი მეგობრის ტანჯვით შეშლილ პირისახეს, როცა ანაზადად მისი ყურადღება მიიპყრო სარკმელს მიღმა სიბნელეში აკიაფებულმა ცეცხლმა.

– მსახურ-მოახლენი გართულნი არიან სამზადისით ხვალინდელი დილისათვის, – უპასუხა ნიზამმა ომარის უთქმელ შეკითხვას. – ასტრაბადელი დერვიშები აპირებენ წარმოდგენის გამართვას სულტნისათვის.

– წამოდი, შევხედოთ!

– აქედანაც ვხედავ ყველაფერს... ეგენი ხომ ასტრაბადიდან არიან, – ნიზამმა შეუცნობლად იკბინა ქვედა ტუჩზე. – ასტრაბადი კი ახლოა ალაშუთთან. გესმის? ახლოა იმ ადგილთან, სადაც მდებარეობს ციხე-სიმაგრე რაჰიმ საიდისა!

სულტანმა ტაში შემოჰკრა და ამით ნიშანი მისცა, დაინყეთო. მყისვე გაისმა სალამურის ხმა, მერე – მიყრუებულ-

ლი გრიალი დოლისა და ომარმა, რომელიც ხელმწიფის ხელმარჯვნივ იჯდა, დაინახა, რომ ათიოდე კაცმა, რომელთაც ეცვათ შავი სამოსელი განიერი სახელოებით და თავზე ეხურათ წონოლა ბოხობები აქლემის ბენჯისა, მწკრივად, ერთიმეორის მიყოლებით, ჩაიარა ეზოში და მდაბლად მოუხარა ქედი სულტანს.

თბილი და ნათელი დილა იდგა, მზის სხივები ალერსიანად იფანტებოდნენ, რამეთუ ზაფხული ჯერ არ დამდგარიყო; ვრცელი ეზოს მოპირდაპირე მხარეს საზღვრავდა ქონგურებიანი კედელი, რომლის შუაგულში აღმართულიყო კოშკურა – სავანე ვეზირისა. მაღლა,

სულ მაღლა, თითქმის სახურავის ნაკბილებს ქვეშ, ომარმა გაარჩია სარკმელი, მაგრამ რამდენსაც არ ლამობდა ვარსკვლავთმრიცხველი, რამდენიც არ მიაშტერა იქით თვალები, ნიზამი ფარდის აქეთ არ გამოჩენილა.

ომარმა შენიშნა, რომ დროდადრო სულტანი შემფოთებით გაჰყურებდა კოშკურას. ჰასან იბნ საბაჰს თითქოსდა გადასდებოდა ხელმწიფის ყმუნვა, რამეთუ უეცრად წარმოთქვა:

– ჩემო ხელმწიფე, ეგებ კიდევ ერთხელ ვენვიო ნიზამს, თუკი თქვენი ნება იქნება.

– არა, ჰასან. ეს კაცი ბოლო ხანებში სულ გამოთაყვანდა და საეჭვოა, რომ სამსახური გამოიწიოს, – სულტანი ფიცხლად მიუბრუნდა ომარს. – ცუდად გარჯილხარ გუშინ, ომარ ხაიამ; მაინც ვერ ჩაუნერგე გულადობა.


– ავი ჯადო რაჰიმ საიდისა – აი, რა აშინებს, – მიუგო ომარმა. – ნიზამი ეჭვობს, რომ ეს ავაზაკი, შესაძლოა, აქ იმყოფებოდეს

ამჟამად – აი, ამათ შორის... – და ხელით მიანიშნა დერვიშებს; ისინი სწორედ ამ დროს გვერდი-გვერდ ჩამომსხდარიყვნენ ეზოს ირგვლივ; ამასობაში უეცრად გამოჩნდა შეიხი, მათი წინამძღოლი, და დაიწყო თხრობა ასტრაბადელ დერვიშთა ამბისა; ისინი კი, აქეთ-იქით ქანაობდნენ და ამით გამობატავდნენ ვარსკვლავთა მოძრაობას ცის თაღზე.

– შეიცნობს განა თვალი მისნისა ბოროტ ძალას ამ დერვიშთა შორის? რას იტყვი, ზულაიხო? – მალიქ-შაჰი დაიხარა თეთრწვერა, ლურჯხალათიანი დარბაისელისკენ.

სამეფო კარის ვარსკვლავთმისანი ზულაიხო წინ წამოინია, მოჩვენებითი ყურადღებით აკვირდებოდა დერვიშთა შავ სილუეტებს, მერე ქედი მოიხარა სულტნის წინაშე.

– ბოროტ ძალას ვერ ვხედავ მათში, – თქვა მან და უკეთური ღიმილი უწყალობა ომარს. – თუმცა, ვინ იცის, მან, ვინც თავს არიდებს ვარსკვლავებთან საუბარს მოძავლის შესაცნობად და ანგარიშობს მათ სვლას ურჯულთა



ომარ ხაიამის ძეგლი თეირანში

ცხრილებით, შესაძლოა, თავისი სწავლული მზერით იპოვოს ეს ბოროტი ძალა!

ვიდრე ომარი პასუხს გასცემდა, ჯაფარაკი, დაღმეჭილი კუზიანი მასხარა, ჩამოხტა მარმარილოს შუშაბანდიდან და პრანჭვა-გრეხას მოჰყვა სულტნის წინაშე, თითქოსდა სხვებს ეჯიბრებოდა უზენაესი ყურადღების მოსახვეჭად.

– გეყოფა, ჯაფარაკ! – იყვირა სულტანმა. – გაეთრე შენს ხუხულაში!

ჯაფარაკი ნალვლიანად დაიღრჩია, ეზოდან გავარდა ქონგურებიან კედელში გამოჭრილი გვერდითი კარისაკენ და თვალს მიეფარა.

ამ დროისათვის შეიხმა დაასრულა ლაპარაკი, ხელახლა აჟღერდა მუსიკა, დერვიშები წამოდგნენ, ხელები აღაპყრეს, თავი დაუკრეს, მერე მარჯვნივ მიბრუნდნენ, ზევით ასწიეს ხელები, აუჩქარებლად გაიარეს ეზო და უკიდურესი სიღინჯით დაიწყეს ტრიალი; წარმოიქმნა დიდი, წარწარად მბრუნავი წრე. ახალგაზრდა დერვიშები წარმოუდგენელი სისწრაფით გაიშალნენ, უფროსები წელა დაიძრნენ და ჯაჭვებად ქცეულნი ერთმანეთში იხლართებოდნენ, ხან რგოლის შიგნით ბრუნავდნენ, ხანაც უკულმა ამოატრიალებდნენ მას და გადაიქცეოდნენ უჩვეულო ქსოვილად, რომლის ძაფები ერთმანეთს არ ეხებოდნენ.

დერვიშთა ხელოვნება ყოველთვის აღტაცებას ჰგვრიდა ომარს. მაგრამ ამჯერად ამ როკვის სიჩქარემ სული შეუგუბა და თვალები დაუბნელა. სანახაობამ მიიპყრო მთელი გულისყური და ვერც კი შეამჩნია მოთეთრო-მოლურჯო ფიგურა, წამით რომ გამოჩნდა კოშკის სარკმელში. კიდევ ორჯერ გამოკრთა, თითქოსდა ვილაც უჩინარს ებრძოდა და ომარმა მაშინვე მოწყვიტა თვალი დერვიშთა წარმოდგენას.

– შეხედეთ, ეს ნიზამია! – წამოიძახა ჰასანმა.

– მგონი, ვილაცას იგერიებს! – იყვირა ომარმა და ზეზე წამოხტა.

– რაჰიმ საიდი! – გამკვივანმა ხმამ ჩაახშო მუსიკა და დერვიშთა ფლატუნის, და იმწამს სხეული ვეზირისა გადმოაფრინდა გისოსებს... სასონარკვეთილი ყვირილი, კრუნჩხვითი შესტები, ვარდნის მსტივინავი ბგერა – და აი, სხეული უკვე დაენარცხა ქვებს მოედნის ქვემოთ, გასასვლელში.

ომარი გაიქცა გვერდითი კარისკენ. ესმოდა, რომ მის ზურგსუკან სულტანი რალაც განკარგულებებს გასცემდა; აცნობიერებდა, რომ დერვიშები, ერთიმეორის მიყოლებით, ჩერდებოდნენ და წყვეტდნენ თავიანთ გიჟურ როკვას. ომარმა კარი მაგრად გამოსწია და თავი ამოჰყო ბაღში, სადაც პალმების მწკრივს ალყა შემოეოტყა აშხეფებული შადრევნისათვის. მარცხნივ კიბე მიემართებოდა კოშკურისაკენ. ფართო ნაბიჯებით აიღბინა კიბე და გაოცებული გაშეშდა შესასვლელის წინ მდებარე ბაქანზე: მცველები არსად ჩანდნენ; მომდევნო წამში კი დააბრაახუნა მძიმე, რკინით შემოჭედო კარზე და უკუიქცა. სისხლი გამალეებით უფეთქავდა საფეთქელში: ეს როგორაო – კარი შეუვალად იყო ჩაკეტილი შიგნიდან!

– მკვლელი ჯერ კიდევ იქაა, – იყვირა ომარმა და თითქოსდა პასუხად გაისმა ფხეების ბაკუნი კიბეზე, გამოჩნდა ხუთი თუ ექვსი ჩაფარი სულტნისა.

– შეხედეთ, – ომარმა ანიშნა მარმარილოს მძიმე მერხი.

– ეს გამოგადგებათ კარის შესამტვრევად.

სამმა ჩაფარმა ასწია მერხი, სხვებმა კი მძიმე მარმარილო თხლიშეს კარს. და მაინც, ოცამდე დარტყმა დასჭირდათ, რათა შუაზე გაეპოთ კარი, მაგრამ ანჯამამ და კლიტემ გაუძლო იერიშს.

ომარმა ფრთხილად შეაბიჯა სენაკში, სადაც უწესრიგობა სუფევდა. თვალში მოხვდა გადაბრუნებული მაგიდები, ირგვლივ მიმოფანტული ჭილოფები და წიგნები; სარკმელთან, ქვის იატაკზე სისხლის გუბე იდგა.

ომარმა ფეხაკრეფით გადააბიჯა ამ მენამულ ტბას, მიუახლოვდა სათოფურს, ჩაეჭიდა გისოსს და ქვევით გადაიხედა, იქით, სადაც ქვებზე გართხმულიყო სიკვდილისგან დასახიჩრებული სხეული მისი მეგობრის – ნიზამ ალ-მულქისა. თავჩაქინდრულნი იდგნენ ცხედართან თვით სულტანი, ჰასან იბნ საბაჰი, ვარკვლავთმისანი ზულაიხო და სხვანი.

– არავინ გადმომძვრალა სარკმლიდან? – ხმამალა იკითხა ომარმა და თავისი ხმის ცრუმორწმუნე თრთოლამ გააოცა.

– არავინ, – უპასუხა ჰასანმა.

მერე სულტანმა შეხედა ომარს.

– შენი მეგობარი მკვდარია, – წამოიძახა მან და მოედანმაც თითქოს დაიგუგუნა პასუხად.

ომარ ხაიამი ჩაცუცქელიყო თავისი განსვენებული მეგობრის ცხედართან მიცვალებულთა საფანქში, სასახლის შუაგულში რომ იყო მოთავსებული – დუმილის მეუფებაში. ის არ ლოცულობდა. მწუხარება და შეცბუნება უდრლნიდა გულს. თავდაპირველად ფიქრობდა, რომ ნიზამმა, შესაძლოა, თავი მოიკლა შიშისა და სასონარკვეთის შედეგად. კოშკის სარკმლიდან გადმოხტა და მორჩა, გათავდა. მაგრამ არა! გრძელი ხანჯალი პირდაპირ და ღრმად ჩარჭობოდა ზურგში. ამგვარ დარტყმას ნიზამი თვითონ ვერაფრით ვერ მიიყენებდა. მაშასადამე, ოთახში მკვლელიც იმყოფებოდა.

მაგრამ რანაირად? ომარმა იატაკის, კედლებისა და ჭერის ყოველი მტკაველი თავად გაჩხრიკა და ერთ მონყვლად ადგილსაც კი ვერსად წაანყდა. კედლების სისქე ყველგან ლამის ერთ ნაბიჯს უდრიდა. ცხრაკლიტულ კარს მაგარი ურდული ჰქონდა. არავინ არ ასულა და არც ჩამოსულა კოშკის სარკმელთან. ასე ამბობდნენ თვითმხილველნი.

მართალია, ჩაფრები გაიქცნენ – ისინი დაინახეს ნიზამბურის შემოგარენში რომ მიაჭენებდნენ გაქაფულ ცხენებს, მაგრამ განა ეს გააუქმებდა უდავო ფაქტს: ვილაც იმყოფებოდა ნიზამის სენაკში და, ალბათ, ამ ვილაცამ მოკლა ყეზირი. სხვათა შორის, გადაბრუნებული ტაბლის ქვეშ ომარმა იპოვა ორი აქატის ფიალა, რომლებშიც სულ ცოტა ხნის წინათ ღვინო ესხა.

და იქვე უკულმა იდო ხბოს ტყავის ყდიანი წიგნი მისი რობაიებისა – ერთ-ერთ მათგანზე ნაჩქარევად გადაშლილი. ღვინით დასველებული თითის ანაბეჭდი ახალთახალი იყო. საუცხოო სასმელის ფაქიზი სურნელი ჯერაც შევილიტინებდა ყელში. მაშასადამე, ნიზამმა შეიცნო საფრთხე სიკვდილისა და ამ რობაის მეოხებით მალულად ამცნო ომარს, რომ მკვლელი იქვე იმყოფებოდა.

ომარს საკუთარი რობაი ნიზამის თვალებით რომ წაეკითხა, აქ მომხდარსაც შეიტყობდა. მაგრამ როგორ უნდა წაეკითხა? ომარმა ნება-ნება გაიმეორა ნაცნობი სტრიქონები:

**იყო იქ კარი, კლიტე არ ჰქონდა,
და სქელი ფარჩა ფარდად ეკიდა.
მე და შენ ცოტა ვიშუსაიფეთ
და ფეხაკრეფით გავედით გარეთ.**

ომარმა ქარმა კეფა გაუგრილა ომარს და ამ დროს მის წინ წამოიმართა სულტნის ნორჩი მსახური:

– მალიქ-შაჰი გიხმობთ ბაღში, – ჩურჩულთ თქვა მან. შეშინებული ცერად გაჰყურებდა ვეზირის გაქვავებულ სხეულს.

ომარმა მიაგნო სულტანს ნაკადულის მახლობელ მღვიმეში; ბალიშთა გროვაზე ინახით მჯდომარე ესაუბრებოდა ზულაიხოს, სამეფო კარის ვარსკვლავთმისანს. მას-ხარა ჯაფარაკი მგლოვიარე გამომეტყველებით იჯდა ქვაზე. როცა ომარი მიუახლოვდა სულტანს და თაყვანი სცა, სულტანმა შესამჩნევი უკმაყოფილებით შეხედა მას.

– ომარ ხაიამ, ზულაიხო ამტკიცებს, თითქოსდა რაჰიმ საიდი დაჯილდოებულია გრძნეულების ნიჭით. გჯერა თუ არა შენ, რომ ნიზამი მოკლა ჯადოქრის გრძნეობამ?

- არა მჯერა, – აულელებლად მიუგო ომარმა.
- ეგებ აგვიხსნა, როგორ მოხდა ეს ყველაფერი?
- არ ძალმიძს.

– რას იზამ, – სულტანს აგდებულად მოეღრიცა ტურქები. – მაშინ გიბრძანებ, რომ შენი ამოჩემებული მეცნიერული ხერხებით გაარკვიო, როგორ მისწვდა მკვლეელი ნიზამს, თუკი ოთახში ნიზამს გარდა არავინ ყოფილა. ო, ვარსკვლავთმჭვრეტელო, მე მჭირდება იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ გრძნეულება არაფერ შუაშია. თუკი ხელი მოგეცარა და გამანბილე – ხორასანს დაემშვიდობები!

– თქვენი ბრძანება, ხელმწიფო, საჭეა ჩემი ბედისა, – წარმოთქვა ომარმა. – ოღონდ მითხარით, რით დავიმსახურე თქვენი წყრომა? დიახაც ვერ ავაცდინე სიკვდილი ნიზამს, თუმცა მისი მეგობარი გახლდით. მაგრამ ჰასან იბნ საბაჰიც ხომ მისი მეგობარი იყო და განა თქვენ მას გასახლებას უქადით?

სულტნის თვალეში მუქარამ გაიელვა:

– შენ გულახდილი ხარ, ომარ ხაიამ. ასევე გიპასუხებ. ჩემი მფარველობა წილად გხვდა ნიზამ ალ-მულქის წყალობით, რომელსაც სავესებით ვენდობოდი. მე არა მხიბლავს არც ასტროლოგია, არც წყლის საათი, არც ვარსკვლავთფარანი – ურჯულოთა ხორცშესხმული მკრეხელობა. ზეციურ სასნაულთ შენ მუდამ არაფრად აგდებდი, ისინი კი ბრწყინვალედ წარმართავენ ჩემს ცხოვრებას. ასე რომ, შენი სამსახური არ გამომადგება, ისევე როგორც ნიზამ ალ-მულქს არ გამოადგა შენი მეგობრობა. შენგან ახლა ველი საგრძნობ შედეგებს. დამისაბუთე, რომ ნიზამი ჯადოსნობით არ მოუკლავთ და მე გპირდები, რომ შენს მფარველად დავრჩები. თუკი არ გაგიმართლა, აქედან წასვლა მოგიწევს. ახლა დაბრუნდი შენს კოშკში. სამ დღეს გაძლე და ერთი წამითაც მეტი არ იქნება. სამი დღის შემდეგ პასუხს მომართმევ.

ომარმა მდაბლად დაუკრა თავი.

– ო, სამყაროს მბრძანებელო, ერთადერთი სათხოვარი მაქვს.

- თქვი!
- გაგიგონიათ თუ არა წამალი, რომელსაც ეძახიან ბანგს ანდა ჰაშიმს?

სულტანს სული შეეგუბა, ზეზე წამოხტა და სამოსელის კალთა კალთაზე გადაიგდო. უზომოდ დამფრთხალი სახე არ შეეფერებოდა იმ მეფურ შესტს, რომლითაც გაისტუმრა ზულაიხო და ჯაფარაკი. როცა მარტოდმარტო დარჩა ომართან, ჯიქურ ჰკითხა:

– ო, ვარსკვლავთმრიცხველო, მითხარი ერთი, ამ წამლის ამბავი სად გაიგონე?

- ნიზამ ალ-მულქმა მაუწყა.
- გაფრთხილებ, თუკი სიკვდილი არა გნადია, არ ახსენო ეს სასახლის გარეთ, – მკვახედ წარმოთქვა სულტანმა.
- სპარსეთის მმართველთა ძლიერება შეირყევა, როგორც კი ხელიდან გაუშვებენ ამ წამალს და ბრბოს ჩაუვარდება ხელში. ამბობენ, რომ იგი ნთქავს ადამიანს. დიდება ალაჰს, მისი საიდუმლო იცის მხოლოდ ერთმა კაცმა ჩრდილოეთში, ხოლო მდაბიორთ არაფერი სმენიათ მასზე.

- ჩემო მბრძანებელო, გინახავთ ეს წამალი?
- დიახ, მინახავს. ყავისფერი ფხვნილია. მაზანდარანის ამირამ გამომიგზავნა შუშა, რომელიც მას ერგო უშუალოდ რაჰიმ საიდისგან. შუშა დალუქულია და არც მიცდია გამეხსნა.

– ო, სამყაროს მბრძანებელო, ეგ შუშა ეგებ მიბოძოთ. შემენევა, რათა ამოვხსნა ნიზამის სიკვდილის საიდუმლოება. დაე, ჩემი გარჯა უსარგებლოდ და უნაყოფოდ გეჩვენოთ, მაგრამ ხომ არა გაქვთ საბაზი, რომ უნდობლობით გული მატკინოთ?

სულტანმა თვალეში ჩაჰხედა ომარს, თითქოსდა ლამობდა სულის სიღრმეში ჩასწვდომოდა და მერე მხრები აიჩიჩა.

– შენ მიიღებ შუშას, ომარ ხაიამ.

ღამეული მდუმარების წიაღში ჭილოფზე მწოლარე ომარს გაეღვიძა. გული უფანცქალებდა იდუმალი აღფრთოვანებით, როცა გაახსენდა სამყარო, რომელიც ისინი იყო იხილა საკუთარ სულში – სამყარო მომაჯადოებელი სილამაზისა, სადაც იყო მოციმციმე ვარსკვლავნი და ზაფხულის ნაზი ნიავი; წარმოუდგენელი სიმწვანე აბრეშუმით რბილი ბალახისა; დიდებული შირაზული ღვინო, რომელიც წყლის მსგავსად მოედინებოდა ხავსმოდებულ კლდეთა ჩრდილში. და იყვნენ თვალწარმტაცი ჰურიები, სალუქნი, ხელშესახებნი, ხორცშესხმულნი და არა – სიზმარში მოლანდებულნი; მის ხელს ჯერ კიდევ ჩხვლეტდა სიამე, ქალის სხეულის ალერსს რომ ახლავს. და მყისვე ნიაღვარივით მოანყდა ტკივილი, წარმოქმნილი დაკარგულისა გამო. შებორკა გარდუვალმა სურვილმა – დაბრუნებულიყო იქ, სადაც სულ ახლახან იმყოფებოდა.

– ალი! – ნაიჩურჩულა და მერე უფრო ხმამაღლა წარმოთქვა:

- ალი!
- მოპირდაპირე კედლიდან მოესმა თავისი თანაშემწის, ალგებრაისტის, დაძაბული სუნთქვა და იქით გაფოფხდა.

– ალი! – ახლა ხმამალა დაუძახა. ალი შეინძრა და წა-
მოინია. – ბუშტულა მომეცით. ვიცი, ვიცი, მე თვითონ და-
გავალეთ, არ მომცეთ-მეთქი, მაგრამ რა ვქნა, ვერა ვძლებ
უნამლოდ.

– არა, მოძღვარო! არავითარ შემთხვევაში არ მოგ-
ცემთ! – იყვირა დამფრთხალმა ალიმ და თითებით მოსინ-
ჯა ტყავის ჩანთა, წელზე რომ ეკიდა. – თქვენ მაიძულეთ,
ალაპი დამეფიცა, მეტს აღარაფერს მოგცემთ-მეთქი.

– მომეცით! მომეცით! – დამცირებით ევედრებოდა
ომარი და როცა უარი სტკიცეს, გაიჭრა ჩანთისკენ. ლა-
მობდა, ხარბი თითებით ჩასჭიდებოდა.

მაგრამ ალი, თავისი საკმაოდ დიდი წონისა და შთამ-
ბეჭდავი ძალ-ღონის გამოისობით, გაუსხლტა ხელთაგან
ომარს, მივარდა ფანჯარას, წელში გასწორდა, მარდად ჩა-
მოიშორა ომარი და სანამ იატაკზე წაქცეული გონს მოვი-
დოდა, წამლის შუშა ამოიღო ჩანთიდან, სათოფურის ქვებს
მიანარცხა და ფხვნილი გადაისროლა სადღაც, პირდაპირ
მთვარიანი ლამის ხახაში.

მოგვიანებით, როცა ყურადღებით ათვალეებოდა თა-
ვის პირისახეს გაპრიანებული ბრინჯაოს ოვალში, კოპწია
ფარნის შუქქვეშ, ომარს გულამოსკვნილი კვნესა აღმოხ-
და:

– ალი, თქვენ მოიქეცით, როგორც ჭეშმარიტად ერ-
თული მეგობარი, – ჩაილაპარაკა მან. – საზარელ აღსას-
რულს გადამარჩინეთ. და თქვენი მეოხებით ერთი რაღაც
შევიტყვე.

მეორე დღეს საფოსტო მტრედმა ჩრდილოეთიდან მოი-
ტანა მაზანდარანის ამირას პასუხი ომარის უსტარზე.

„მივესალმები ომარ ხაიამს!

რაჰიმ საიდი იმყოფება ალამუთში და უკვე ერთი წე-
ლია, იქიდან არსად წასულა. ის ფრიად ხანდაზმულია
და თავის რჯულს ახლა ნერგავს გულუხვი გასამრჯე-
ლოთი მოხიბლულ მსახურთა მეოხებით. მისი ძალაუფ-
ლება ყოველ ქვეშევრდომზე ამჟამად ისევე უსაზ-
ღვროა, როგორც უნინ და იგი დაუღალავად ასაზრდო-
ებს მითქმა-მოთქმას თავის ძლიერებასა და მზაკვრო-
ბაზე. ძნელი სათქმელია, სასწორის რომელი პინა გა-
დასწონის: ადამიანთა შიში რაჰიმ საიდის სახელის გა-
გონებისას თუ მათი ლტოლვა თავიანთი ამირას სამარ-
თლიანი სამსჯავროსაკენ. უღმერთონი და კაცის-
მკვლელები – მზარდი და ყველგანმყოფი საფრთხეა.
დაე, ალაჰმა დასაჯოს ისინი!“

მესამე დღით, როდესაც განთიადის გამოკრთომა მი-
ელამუნა ზეცას, ომარი, ალგებრაისტ ალისთან ერთად,
გამოჩნდა სასაფლაოს ბილიკებზე, საფლავის ფილებსა და
ტანწერნეტა კვიპაროსებს შორის.

რამდენიმე საათის მანძილზე დაიარებოდნენ, იშვია-
თად და სიტყვაძინნად თუ გამოელაპარაკებოდნენ ერ-
თმანეთს, ვიდრე არ მიალწინეს ახალგათხრილ სამარეს,
სევდიანი ტირიფის ხშირი ფოთლეულით რომ მიმალული-
ყო თვალთაგან, თითქოს დახშული და უხილავი. ომარი შე-
ჩერდა, გრძელი სახელოთი მოიწმინდა ოფლი შუბლიდან
და ფიქრში წასულმა გაჰხედა მზეს, თითქმის შუბისტარზე
რომ ასულიყო.

– შუადღის ორ საათზე უკვე გამზადებული პასუხით
სასახლეში უნდა ვიყო. ხოჯა ალი, დრო გვეყოფა?

– ნიშაბური არ დარჩება უვარსკვლავთმრიცხველოდ,
ისევე როგორც მე არ დავრჩები უსამსახუროდ, – სალი გო-
ნების კარნახით შენიშნა ალიმ.

ზუსტად ორ საათზე სულტნის ტახტის პირდაპირ გა-
მართული ფიცარნაგიდან ომარმა დაიწყო თავისი სიტყვა:

– ო, მბრძანებლო, თავიდანვე ვიცოდი, ვინ მოკლა ნი-
ზამი, – თქვა მან. – ვეზირმა გადაშლილი დატოვა ჩემი
თხზულებების ნიგნი და მოასწრო, ღვინის ლაქით აღენიშ-
ნა ერთი რობაი. ამგვარად შევიტყვე სახელი მკვლელისა.
სამაგიეროდ ჩრდილში დამირჩა უფრო რთული საკითხი:
თუ როგორ მოხდა მკვლელობა.

მოყურიადე სულტნის თვალები სიმკაცრეს ამჟღავნებ-
და. ყვრიმალს მიბჯენილი თითი თითქოს მზად იყო, რომ
შესაფერ ნუთში ბრალდების მახვილად გადაქცეულიყო.
სულტანსა და ომარს გარდა, მოზაიკის იატაკზე განლაგე-
ბულიყვინენ მემკვიდრე უფლისწულნი, აგრეთვე კარის-
კაცნი და მხლებელნი, იყო იქ ზულაიხოც და შავი ბოლმით
აბრიალებული თვალებით მიშტერებოდა ომარს.

მასხარა ჯაფარაკი ფიცარნაგის საფეხურზე იჯდა,
ძვალ-ტყავა მუხლები მკერდს მიეზვინა და ვეებერთელა,
თავზარდამცემ გუგად გადაქცეულიყო.

გულხელდაკრეფილი ჰასან იზნ საბაჰი იდგა მოლებს
შორის და თვალებით ჭამდა ომარის სახეებას.

ცოტა მოშორებით, სეფე-დარბაზის მრუშე ბინდბუნ-
დში შავად მოჩანდა დერვიშთა სამოსელი. ნიზამ ალ-მულ-
ქის დაკრძალვის შემდეგ ისინი დააკავეს სამეფო კარზე.

– რაო, რომელი რობაი არის? რაზეა? – იკითხა სულ-
ტანმა.

ომარმა დინჯად წარმოთქვა რობაის ოთხივე სტრიქო-
ნი.

– და აქ აღნიშნულია მკვლელები? – გაღიზიანებული კი-
ლოთი ჩაეკითხა მალიქ-შაჰი.

– რა თქმა უნდა:

**იყო იქ კარი, კლიტე არ ჰქონდა,
და სქელი ფარჩა ფარდად ეკიდა...**

პირველი ბეითი არცთუ მჭევრმეტყველია, უბრალოდ
მიანიშნებს ნიზამის ჩავარდნას გასაჭირში – ჩაკეტილი კა-
რის მიუხედავად. მაშასადამე, კლიტემ ვერ უშველა ნი-
ზამს. ხოლო ფარდა, რომელშიც არაფერი არა ჩანს – ესაა
გულისთქმა და ჩანაფიქრი მკვლელისა; თუმცა არა მგო-
ნია, რომ იმ ნუთებში ნიზამს ემსჯელა საკმარისი განაფუ-
ლობით. და მაინც მეორე ბეითი მიგვითითებს მკვლელს:

**მე და შენ ცოტა ვიმუსაიფეთ
და ფეხაკრეფით გავედით გარეთ**

ჩვენს ენაში, ხელმწიფეო, „შენობით“ მიგმართავთ ხოლ-
მე საკუთარი ოჯახის წევრებს ანდა ყრმობის მეგობრებს.
სამი დღის წინათ თქვენ ბრძანეთ, რომ ნიზამი ეულია, ჩემ-
სა და ჰასანს გარდა ახლობლები არა ჰყავს. მთელს დუნი-
აზე მხოლოდ ჩვენ მოგვმართავდა „შენობით“, რადგანაც
ერთად ვსწავლობდით სკოლაში. თავის მბრძანებელს ნი-
ზამი ყოველთვის მესამე პირში მიმართავდა. ჩემი თავი გა-
მოვრიცხე და ვიცოდი, რომ ნაშთში დარჩებოდა მისი ბოლო

სტუმარი – იგი, ვისაც გულისხმობდა ნიზამი, როცა მიგვანინშნა რობაი, დარჩებოდა ის კაცი, ვისაც „შენობით“ მიმართავდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰასანი.

დარბაზში აურზაური ატყდა.

ჰასანმა წინ გადმოდგა ნაბიჯი. სახე წამოჭარხლოდა, მძიმედ სუნთქავდა.

– ო, მბრძანებელო, – შეჰლაღადა სულტანს. – მან, ვისაც ოდესღაც მეგობარს ვუნოდებდი, უტიფრად ცილი დამწამა! როდესაც ნიზამი მოკლეს, მე თქვენთან ვიმყოფებოდი – ეს იცის მთელმა სამეფო კარმა! ნება მიბოძე, დაუყოვნებლივ ავაკუნო იგი, რათა ეს ბინძური ცილისწამება აღარასოდეს გავიგონოთ.

ჰასანი სულტანის ნებართვას აღარ დაელოდა, ისე იშიშვლა ხმალი და ადგილიდან დაიძრა. ომარმა თავისი ხელეზი მორჩილად გაიშვირა მისკენ.

– მე უიარალო ვარ, – თქვა მან.

– ჰასან, შეჩერდი! – დაუყვირა სულტანმა. – შენ მართლაც ჩემთან ახლოს იმყოფებოდი, როდესაც ნიზამი გადმოვარდა კოშკიდან. მეც ვერაფრით დავეთანხმები ჩემს ვარსკვლავთმრიცხველს. მაგრამ, დაე ილაპარაკოს. თუკი ვერ შეძლებს თავისი ბრალდების დასაბუთებას, მუცელს გაუფატრავენ და, როგორც ტომარას, ქვიშით დაუტენიან.

– მე წარმოგიდგენთ დასაბუთებას, – თქვა ომარმა. – ნიზამს შიში ჰქონდა რაჰიმ საიდისა, რადგანაც თავის დროზე საიქიოში გაისტუმრა მისი ორი მსტოვარი. ამასთან, ერთი მათგანი საიდის შვილი გახლდათ. და მაშინ საიდმა თავის ერთგულ თანაშემწეს ჰასანს ჩააგონა დანაშაული: იმგვარი ხერხით მოესპო ნიზამ ალ-მულქი, რომ შიშის ზარი საიდის სახელის გაგონებაზე მრავალგზის გაზრდილიყო.

– მე არა ვარ მსტოვარი! – დაიღრინა ჰასანმა.

– დიახაც მსტოვარი ხარ! შენ რაჰიმ საიდის თოჯინა ხარ ისევე, როგორც ყველა მისი მსახური. ისინი მონები არიან სულითა და ხორციით. ისინი აკეთებენ ყველაფერს, რასაც უბრძანებს იგი – ერთადერთი წყარო ჰაშიმისა, ხოლო უჰაშიმოდ მათ არ ძალუძთ სიცოცხლე!

უაღრესად განრისხებული სულტანი ტახტიდან ზეზე წამოიჭრა:

– ხაიამ, შენ გაგაფრთხილეს, ერთხელაც რომ წარმოთქვა ეგ სიტყვა...

– თუკი გავჩუმდები, ხელმწიფეო, ერთიც ვნახოთ და ტახტს გამოგაცლიან.

სულტანმა განცვიფრებისგან პირი დაალო.

– ახლა კი შეხედეთ, და თქვენი მეომრები მოემზადონ თავის დასაცავად! – ომარი გაემართა მაყურებლებისაკენ და ისინი გაინ-გამოინივნენ. – ჯაფარაკი მსტოვარია და სხვებიც შეიძლება ამოიცინოთ. აგერ, ის მოლა; აი, ეს მეომარი... – ომარი თითს იშვერდა მსტოვართა მიმართულეზით.

სულტანმა ნიშანი მისცა თავის პირად მცველებს. ისინი მოქუჩდნენ ტახტის ორივე მხარეს და ხმლები იშიშვლეს.

– ეს როგორ შეიტყვეთ? – კითხულობდა სულტანი.

– თვალეზმა მამცნეს. ვინც წამალს ეტანება, მისი თვალის გუგა მზესუმზირისტოლა ხდება. გუშინ ჩემს თავზე გამოვცადე ჰაშიმი – თითქმის მთელი დღე გუგები გაგანიერებული დამრჩა. მისი მხურვალე წყურვილი განვიცადე. ვხვდებოდი: საკმარისია კიდევ ერთი ულუფა, რათა შემ-

დეგი ულუფის გულისათვის მკვლელობაც კი ჩავიდინო მსგავსად იმისა, როგორც თავიანთი ბატონ-პატრონის ერთ დაძახილზე მკვლელობისათვის მზად არიან ჰასან იბნ საბაჰი და ჯაფარაკი.

– მე არა ვარ მსტოვარი, – კვლავ დაიღრინა ჰასანმა.

– არა ხარ და დაამტკიცე! – წკრიალა ხმით წამოიძახა ომარმა. – დაე, მალიქ-შაჰმა ჩაგამწყვდიოს დიღეგში, რათა იქ უჰაშიმოდ გაატარო თუნდაც ერთი კვირა. მე მეგონი, ბოლოს და ბოლოს ჩამოკაკვლავ მთელ სიმართლეს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ჰასანმა ნელ-ნელა ძირს დახარა მზერა და სახიდან ჩამოუცურდა საბრძოლო სულისკვეთება, სულ ახლახან ზედ რომ ეწერა.

მალიქ-შაჰმა თავი გააქნია, თითქოსდა ჩამოიბერტყა უნდობლობა ომარის მიმართ. ახლა უკვე პატივისცემით ელაპარაკებოდა.

– და როგორღა უნდა მომხდარიყო მკვლელობა შიგნიდან ჩაკეტილ ოთახში?

– მკვლელობა მაშინ არც მომხდარა. ჰასანი ესტუმრა ვეზირს წარმოდგენის დაწყებამდე, რაც უნებურად თვითონვე აღიარა. გახსოვთ მისი სიტყვები თქვენი მისამართით? – „ეგებ კიდევ ერთხელ ვეწვიო ნიზამს“. როდესაც იგი ნიზამთან ერთად ღვინოს მიირთმევდა, მის მიხვრამოხვრასა თუ ნათქვამში რალაცამ მიახვედრა ნიზამს სიმართლე ანდა, შესაძლოა, ღვინოში სანამღლავი იყო შერეული და ნიზამმა ეს იგრძნო. ასეა თუ ისე, ნიზამმა მოახერხა დაეტოვებინა ჩემთვის უწყება და მერეღა მოკლეს ვეზირი და მისი ცხედარი ოთახიდან გამოათრიეს.

– მაშ ვიღა გადმოგადეს კოშკურის სათოფურიდან?

ომარმა ხალათი გაიღელა და ამოაძვრინა ლურჯი მოსასხამი, მთლად ამოსვრილი რომ იყო სისხლსა და ტალახში, და ფიცარნაგზე მოისროლა. ჰასანი შეკრთა და შიშით განზე გახტა.

– მსახური ვეზირისა აკროენოსი, – განაგრძობდა ომარი. – ჰასანის კაცებმა ერთი კვირის წინათ ტყვედ ჩაიგდეს და დაიმონეს, ჰაშიმის ძალაუფლებას დაუმორჩილეს. ასეთ ადამიანს, როცა გაბრლებულია და არაფერი უწყის ამის თაობაზე, ზმანებანი სინამდვილედ მოეჩვენება. და ისინი მართლაც წააგავს სინამდვილეს ო, მბრძანებელო. ჰოდა ასე, აკროენოსის გამტაცებლებმა, ეტყობა, ჩააგონეს, რომ თუკი თავს განწირავდა, საუკუნოდ დარჩებოდა მოხვეჭილ სამოთხეში. და მან დაუჯერა ჰასანის კაცებს.

– მაშასადამე, კოშკიდან აკროენოსი გადმოვარდა?

ომარმა თავი დაუქნია.

– ხომ გახსოვთ, სხეული გასასვლელში აღმოჩნდა, ჩვენი თვალსაწიერის მიღმა. ჯაფარაკ, განა შენ არ გაათრიე აკროენოსის გვამი და მის სანაცვლოდ ადრე მოკლული ნიზამის გვამი დააგდე?

მასხარამ აცახცახებული თავი გააქნია უარის ნიშნად, მაგრამ მისი სახის ყოველი ნაკვთი სანინააღმდეგოს მეტყველებდა.

– როგორ მიხვდი, რომ ეს აკროენოსი იყო? – იკითხა ჰასანმა, მერე შეკრთა და დამფრთხალი მზერა ესროლა ხელმწიფეს.

– ნიზამის მცველები გაიქც-გამოიქცნენ, – ხალისით აუხსნა ომარმა. – შიშით გაიქც-გამოიქცნენ, ვაითუ წამებით სიმართლე გვათქმევინონო. სიმართლე იმაზე კი არა, თუ ვინ დატოვა ვეზირის ოთახი მოჩვენებითი მკვლელო-

ბის შემდეგ, არამედ იმაზე, რომ ოთახი არავის დაუტოვე-
ბია. სამაგიეროდ მათ დაინახეს, თუ ვინ შევიდა იქ ცოტა
ხნით ადრე, მერე კი იქიდან გამოათრია ნიზამის გვაში და
ისიც დაინახეს, მოგვიანებით ვინ შევიდა ოთახში, რათა ვი-
თომდა ვეზირი სარკმლიდან გადამხტარიყო. მე მივხვდი,
რომ ეს შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მონა რაჰიმ საიდი-
სა, რომელმაც თვითმკვლელობა გაბედა. და იმასაც მივ-
ხვდი, რომ ისინი იძულებულნი იქნებოდნენ დაემაღლათ ეს
გვაში. ხოჯა ალი და მე გავეშურეთ ახალგაზრდული და,
ამასთან, უსახელო საფლავის საპოვნელად; მივაგენით მას
შორს დარგული ტირიფის ქვეშ და ვიპოვეთ გვაში – აკრო-
ნოსის გვაში. აი, სულ ეს არის ჩემო მბრძანებელი, რაც
უნდა მეთქვა. – ომარმა მდაბლად დაუკრა თავი სულტანს.
– შეიძლება რომ დაგტოვოთ, მბრძანებელი? ახალი კა-
ლენდრის შედგენა კიდევ დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

მალიქ-შაჰმა ოდნავ დაუქინა თავი და ნალვლიანი ღი-
მილი მოეკიდა ტუჩებზე.

– გასწი, ომარ ხაიამ, და გვარვიდეს ჩემი ლოცვა-კურ-
თხევა.

ომარი ჩავიდა დარბაზში და ჯგრომ გზა მისცა. დერვი-
შებს რომ ჩაუარა, შეჩერდა, სულტანს გაჰხედა და დაინა-

ხა, რომ ვარსკვლავთმისანი ზულაიხო რალაცას ჩასჩურ-
ჩულებდა ყურში.

– და კიდევ ერთი წვრილმანი, ხელმწიფო, – წარმოთ-
ქვა ომარმა. – მე თვალს ვადევნებდი ამ დერვიშთა წარ-
მოდგენას. ვერავითარი ქება ვერ შესწევდა მათ ხელოვ-
ნებას. ხოლო შეიხმა წარმოდგენა ცაში აიყვანა, პირდაპირ
ვარსკვლავებამდე, და ბრძანა, რომ ეს მოძრაობანი გამო-
ხატავს ციურ მნათობთა სვლას. ამგვარმა განსჯამ შეიძ-
ლება მოატყუოს ვარსკვლავთმისანი ანდა ნებისმიერი
სხვა უმეცარი, რომელსაც მეცნიერებისა არაფერი გაეგე-
ბა. ვაგლახ, ყურადღებით თუ შეისწავლით ამ მოძრაო-
ბებს, აღმოაჩნით გასაოცარ მსგავსებას სპარსულ ასოთა
მოხაზულობასთან. და ამ ნიშანთა ფარული აზრი გასაგე-
ბი იყო ვიღაც-ვიღაცეებისათვის, ამ დარბაზში რომ იმყო-
ფებოდნენ. დერვიშებიც რაჰიმ საიდს ემსახურებიან და
ისინიც იმსახურებენ თქვენს საგანგებო ყურადღებას, ღი-
დებულთა ხელმწიფე.

ესა თქვა ომარ ხაიამმა და დარბაზი დატოვა.

აღმოსავლური ლეგენდა
მოგვითხრობს, რომ თურქ-
სელჩუკთა სახელმწიფოს სა-
ხელგანთქმული ვეზირი ნი-
ზამ ალ-მულქი (ავტორი პო-
ლიტიკური ტრაქტატისა „სიასეთ-ნამე“), ასასინთა ორდენის
პირველი წინამძღოლი ჰასან იბნ საბაჰი და გამოჩენილი
სპარსელი პოეტი და მეცნიერი ომარ ხაიამი სიყმანვილეში
ერთად სწავლობდნენ. მათ ერთმანეთს შეჰფიცეს, თუკი რომე-
ლიმე ჩვენგანი აღზევდება, თავისი ყრმობის მეგობრები არ
დაივიწყოს და მფარველობის კალთა გადააფაროსო.

გამოხდა ხანი. ომარ ხაიამი მათემატიკამ და ასტრონომი-
ამ გაიტაცა. სერიოზულ წარმატებებსაც მიაღწია ამ სფეროში.
დროდადრო ლექსებსაც წერდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავისი
პოეზიით უფრო მოიხვეჭა პოპულარობა. დასავლეთში
სპარსელ პოეტთაგან ყველაზე მეტად სწორედ ხაიამი იციან
და უყვართ.

რაც შეეხება ჰასან იბნ საბაჰსა და ნიზამ ალ-მულქს, მათ
პოლიტიკური ასპარეზი ამჯობინეს და თურქ-სელჩუკთა სა-
მეფო კარზე დანიშნაურდნენ. ორივე პირველობას ელტვოდა
და, რასაკვირველია, ორი ხმალი ერთ ქარქაშში ვერ ჩაეგებო-
და. ჰასან იბნ საბაჰს გადაავიწყდა ყრმობისდროინდელი ფიცი
და ფარული ბრძოლა გააჩაღა ნიზამ ალ-მულქის წინააღმდეგ.
ეს ბრძოლა მისი მარცხითა და სულტნის სასახლიდან გაძევე-
ბით დამთავრდა.

სახელმწიფო საქმეთაგან ჩამოშორებული ჰასან იბნ საბა-
ჰი აფუძნებს და სათავეში ჩაუდგება ასასინთა ორდენს, რომ-
ლის უპირველესი მიზანი იყო თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს
დამხობა, ხოლო ბრძოლის უმთავრესი მეთოდი – ტერორის-
ტული აქტები.

ასასინები XI საუკუნის დამლევინიდან XIII საუკუნის შუა
წლებამდე თავზარს სცემდნენ როგორც აღმოსავლეთს, ასევე
დასავლეთს. მათ ტერორს, ძირითადად, მოსახლეობის ზედა
ფენების წარმომადგენელნი ენიჭებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ასასინთა პირველი მსხვერპლი სწო-
რედ ნიზამ ალ-მულქი იყო. ჰასან იბნ საბაჰმა შური იძია თავი-
სი ყრმობის მეგობარზე.

ზემოხსენებული ლეგენდა, შეფერილი აღმოსავლური კო-
ლორიტით, ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება. ლეგენ-

მთარგმნელისაგან

დის გმირები, დიახაც, ერთსა
და იმავე XI საუკუნეში ცხოვ-
რობდნენ, მაგრამ ისინი თანა-
ტოლები არ ყოფილან და ერ-
თადაც ვერ ისწავლიდნენ. ნი-
ზამ ალ-მულქი ოცდაათი წლით იყო უფროსი ომარ ხაიამზე.
ჰასან იბნ საბაჰის დაბადების წელი უცნობია, სამაგიეროდ
ცნობილია გარდაცვალების წელი – 1125 და ისიც ვერ იქნებო-
და თანატოლი 1017 წელს დაბადებული ნიზამ ალ-მულქისა.
შესაძლოა, სიმართლის რალაც მარცვალი მოიპოვებოდეს
თურქ-სელჩუკთა სახელგანთქმული ვეზირისა და ასასინთა
მომავალი მბრძანებლის დაპირისპირებაში სამეფო კარზე,
რაც ზოგიერთ საისტორიო წყაროშიც არის მინიშნებული.

რაც შეეხება ჰაშიმს, სწორედ ამ ნარკოტიკის გამოისობით
შეერქვათ მათ „ასასინები“ (არაბ. ჰაშიმინ), მაგრამ ზუსტად
არ არის გარკვეული, მართლაც ჰაშიმით გაბრუნებული იყ-
ვნენ ისინი, გასაოცარ ტერორისტულ აქტებს რომ ახორციე-
ლებდნენ თუ მითქმა-მოთქმა ასასინთა უჩვეულო გამბედაო-
ბასა და ფანატიკურ თავგანწირვას ხსნიდა იმდროინდელ აღ-
მოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ნარკოტიკის ზემოქ-
მედებით.

ამერიკელი მწერლის ფრიად ორიგინალური დეტექტიური
მოთხრობა ეყრდნობა აღნიშნულ ლეგენდებს. თეოდორ მეთი-
სონი თავისი შემოქმედებითი ფანტაზიით ხორცს ასხამს ის-
ტორიულ პერსონაჟებს. ამასთან, იგი არ ერიდება, მხატვრუ-
ლი სინამდვილის ინტერესებისათვის, ისტორიული სინამდვი-
ლის გადასხვაფერებას. ასე მაგალითად, ალაშუთის მბრძანებ-
ლად იჯდა ჰასან იბნ საბაჰი და არა – რაჰიმ საიდი, რომელსაც
ასასინთა ისტორია საერთოდ არ იცნობს.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ დეტექტი-
ვის როლში, თავისდაუნებურად, აღმოჩნდება სპარსული პოე-
ზიის მშვენიერება – ომარ ხაიამი, რომელიც სწორედ თავისი ერ-
თი რობაის წყალობით გამოიცნობს ნიზამ ალ-მულქის მკვლე-
ლის ვინაობას.

ომარ ხაიამი – გამოჩენილი პოეტი და მეცნიერი, ამერიკე-
ლი მწერლის კალამქვეშ, დეტექტივად გადაიქცევა და ამ სარ-
ბიელზეც წარმატებას აღწევს. იგი, როგორც მოყვარული, უერ-
ოდება სახელოვან პროფესიონალთა კოჰორტას, სადაც ბრწყინ-
ნავენ შერლოკ ჰოლმსი, ერკიულ პუარო, კომისარი მეგრე...

გრიგოლ აბაშიძე

ანი, ბანი, ბანი...

ლეო ქიაჩელი (შენგებლია)



„ტარიელ გოლუა“ მისი ყველაზე პოპულარული მოთხრობა იყო და იგი სასკოლო სახელმძღვანელოებში შექმნიდა. მოთხრობა ძალიან მკაცრად არის დაწერილი, თითქმის კონსპექტურად. საერთოდ, ლეო ქიაჩელი პროსპერ მერიმეს დიდი თავყვანისმცემელი იყო და სტილის სიმკაცრე, ძუნწიყვაობა მას მწერლის უდიდეს ღირსებად მიაჩნდა (მან თავისი ეს შეხედულება კარგად გადმოსცა აკაკის „ბაში-აჩუკისადმი“ მიძღვნილ წერილში).

ლეო ქიაჩელი – ავტორი შესანიშნავი ნოველებისა („ალ-მასგირ კიბულან“, „ჰაკი აძბა“, „თავადის ქალი მია“ და სხვ.) ცხოვრებაშიც საინტერესო ადამიანი იყო, ზრდილი და განათლებული, ტეხილმოუბარი და მომხიბლავი. თავისი მშობლიური კუთხის „ლაკადის“ დიდი სიყვარული ჰქონდა და გატაცებით ჰყვებოდა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრების „დიდი“ და „პატარა“ ნიკო დადიანების თავგადასავალს, მსმენელსაც ხიბლავდა და თავადაც სიამოვნებას ლეზულობდა.

ახალგაზრდობაში სოციალიზმის იდეების აყოლამ იგი ჯერ ციხეში მოახვედრა, ხოლო შემდეგ შვეიცარიაში. იქ მას თითქოს უმაღლესი განათლება უნდა მიეღო, მაგრამ მსგავსად მისებრ გადახვენილი სხვა რევოლუციონერებისა, ისიც უფრო მარქსიზმის შესწავლასა და არალეგალურ მუშაობას ანდომებდა დროს. შემდგომში, თავისმა რევოლუციურმა საქმიანობამ არაერთი ნაწარმოები დაანერგინა და მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მთავარი ადგილი წარსულის იმ ამბების გაცოცხლებამ დაიკავა, რომლის მონაწილე თავად იყო („ტარიელ გოლუა“, „სისხლი“ და სხვ.).

ადრე დაქვრივებულ ლეოს ქალებთან კეკლუცობა უყვარდა, მაგრამ თავის ორ შვილს ზრუნვას არ აკლებდა. მას მეგობრების განსაზღვრული წრე ჰყავდა, რომლებთანაც დროსტარებას იშვიათად მოცდებოდა. მისი „დროსტარება“ კი სუფრის გარდა, ბანქოს, ნარდისა და ჭადრაკის თამაში იყო.

ჭადრაკს შედარებით სუსტად თამაშობდა, მაგრამ თუ დაინწყებდა, თავდავინწყებამდე იცოდა თამაში. თავისზე ძლიერ მოჭადრაკეებთან პაექრობას გაურბოდა, თავისი დონის, ან უფრო სუსტი მოთამაშის არჩევა უყვარდა და ნამდვილ ტკობას განიცდიდა, როცა მოწინააღმდეგეს ამარცხებდა. ვერ იტანდა ვინმეს ჩარევას, სვლების კარნახს და ამ ნიადაგზე ბევრჯერ დაუმთავრებლად მიუტოვებია პარტია, ხოლო მოკარნახეს, რომელსაც კეთილი სურვილი ჰქონდა დახმარებოდა, ხშირად სერიოზულად შემონყრომია.

დიდებული პოეტის, პროზაიკოსის, მთარგმნელის გრიგოლ აბაშიძის გარდაცვალების შემდეგ (1994 წლის 29 ივლისი) აღმოჩნდა მისი საწერი მავიდის უჯრაში ქართული ანბანის რიგზე განწყობილი დიდი ზომის რვეული, რომელსაც თავფურცელზე აწერია „ანი, ბანი, განი...“ რვეული წარმოადგენს მოგონებათა წიგნს, რომლის დასრულებაც ავტორს, სამწუხაროდ, არ დასცალდა. თუ რატომ იყო რვეული ანბანის რიგზე განწყობილი და რა ხასიათის წიგნს სთავაზობდა მკითხველს მწერალი, ამის შესახებ რვეულის პირველივე გვერდზე ვკითხულობთ:

„ეს წიგნი მარტო მემუარულ ხასიათს როდი ატარებს. ჩემი ცხოვრების გრძელ გზაზე მრავალ გამოჩენილ ადამიანთან მქონდა ურთიერთობა, როგორც ჩვენში, ისე ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. ერთთავად სულ ცხოვრების შუაგულში ვტრიალებდი და ჩვენი ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების მონაწილე ვიყავი.“

გაბმულ თხრობას ვარჩიე მოვლენებისა თუ პიროვნებების შესახებ ცალ-ცალკე მეამბნა, ეპიზოდურად და საამისოდ ქართული ანბანის რიგი მომეშველიებინა.

ანბანზე განწყობილ თხრობას ერთი სიკეთეც აღმოაჩნდა: ანბანის რიგი ისეთ რამესაც გაგახსენებს, ჩვეულებრივ, გაბმულ თხრობაში რომ არ მოგაგონდებოდა.

ჩემი ჰობი ენათმეცნიერული დაკვირვებებიც იყო და, ალაგ-ალაგ, ამ დაკვირვებების ფიქსაციასაც ვურთავ-სახალისო ენათმეცნიერებას.

მას, მივყვით ჩვენს საყვარელ ანბანს, ჩვენს ულამაზეს მრავალსაუკუნოვანსა და მარად უბერებელ ქართულ ანბანს, რომელსაც თავისი საპატიო ადგილი ღირსეულად უჭირავს იმ თოთხმეტ ანბანს შორის, რომელიც დღესდღეობით გააჩნია მსოფლიოს“.

ავტობიოგრაფიული თანამიმდევრული თხრობა გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს წყდება. ძნელი სათქმელია აპირებდა თუ არა მწერალი მის გაგრძელებას ამ სახითვე, თუ მისი შემდგომი ბიოგრაფია მის თანამედროვე პიროვნებათა და მოვლენების მოგონებებში უნდა გაბნეულიყო.

სამწუხაროა, რომ დაუმთავრებელი დარჩა გრიგოლ აბაშიძის მოგონებანი – უსათუოდ ერთი საუკეთესო ნიმუში რომ იქნებოდა ქართულ მემუარისტკაში, ისევე, როგორც საუკეთესო ქმნილებებად შემოგვრჩა მისი ლირიკული ციკლი, დაგვირგვინებული კიდევ ერთი შედევრით – „არყოფნისაკენ!“, პოემა „გიორგი მეექვსე“, რომანი „ლაშარელა“, ნოველა „ეგარსლან ბაკურციხელი“... და კიდევ – მისი პეტეფი, მისი როსნარი...

ასეა თუ ისე, რაც ჩვენს ხელთაა იმ განზრახვიდან, მრავალმხრივად საგულისხმო და მკითხველი თვითონვე დარწმუნდება, როდესაც ამ მემუარული ჩანაწერების ცალკეულ ფრაგმენტებს დროდადრო გაეცნობა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ცოტა ენაბრგვილი იყო. ტრიბუნაზე დგომას დარბაზში ჯდომა და იქიდან რეპლიკის წარმოთქმა ერჩია. სიტყვაზე ბევრს მუშაობდა და ამ მხრივ ნამდვილი პროფესიონალი იყო. და მაინც სტილი მისი მძიმე იყო, მის თხრობას სილალე და ბუნებრიობა აკლდა. ამას თავადაც გრძნობდა და მეგობრების წრეში არაერთხელ უთქვამს ნახევრად ხუმრობით: მე ისე ნელა ვმუშაობ და ისე მიჭირს წერა, სხვაზე მეტი ჰონორარი მეკუთვინისო. ალბათ ამ გულახდილი ხუმრობით სიმართლეს ამბობდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მწერლობაში ეს გარემოება ხელს არ უშლიდა კარგი ნიგნები დაენერა და ნაყოფიერიც ყოფილიყო.

ახალგაზრდობაში სტალინს ცნობია, მაგრამ ამაზე საუბარს რატომღაც თავს არიდებდა. ჩვენ იგი მაინც სტალინის იდეების ერთგული გვეგონა და ამის საფუძველს „გვადი ბიგვა“ და, ბოლოს, კავკასიის დაცვის თემაზე შექმნილი „მთის კაცი“ გვაძლევდა. პირველი სასიამოვნო ჰუმორით იყო შეზავებული და დიდი წარმატებაც ჰქონდა კინოსა და თეატრში, მეორე – გაცილებით სუსტი იყო და ეტყობა დიდად არც თავად მოსწონდა.

ძალიან უყვარდა ვაჟიშვილი ოთარი, რომელიც ფრონტზე დაიღუპა. შვილის დაკარგვამ სულიერად გატეხა და თუმცა არ იმჩნევდა, ძველებურზე მეტად გულდამძიმებულ იყო.

სტალინის კულტის დაგმობისადმი მიძღვნილ ქართველ მწერალთა კრებაზე უჩვეულოდ მღელვარე სიტყვით გამოვიდა, აღშფოთებით გამოთქვა თავისი გულისნადები და პირველად მთელი გულწრფელობით გადმოვიცხადე სტალინის პიროვნებისა და მოღვაწეობისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება, რაც თურმე დიდხანს უტარებია ფარულად და სხვებისთვის გაუმჟღავნებლად.

ბატონ ლეოს ბევრი ადამიანური ღირსება ჰქონდა, იგი ნამდვილი ინტელიგენტი იყო ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. მას დაკვირვებული თვალი ჰქონდა და ბევრს ისეთ რამეს ამჩნევდა, რაც მხოლოდ ჭეშმარიტ პროზაიკოსს შეეძლო დაეინახა.

ლიტერატურული განხილვა

პლატონ ქიქოძე

ქიქოძეების გვარმა რამდენიმე გამოჩენილი მოღვაწე მისცა სამშობლოს, რომელთაგან აღსანიშნავი არიან გაბრიელ ეპისკოპოსი, მწერალი გერონტი ქიქოძე და მხატვარი შალვა ქიქოძე.

გერონტი ქიქოძე ძალიან მიყვარდა, იგი გამორჩეული იყო მწერლობაშიც და ცხოვრებაშიც, მასთან ახლო ურთიერთობა მქონდა და საგანგებო წერილიც მივუძღვენი თავის დროზე.

იყო კიდევ ერთი ქიქოძე, პლატონი, რაპელი, ნამდვილი განგსტერი ლიტერატურაში, კაცი დაუნდობელი და გაუტანელი, ბუნებით ხულიგანი.

მან სახელი გაითქვა ჩვენი კლასიკოსებისადმი მართლაც ხულიგნური დამოკიდებულებით, მათი ლანძღვითა და გინებით.

როცა მე ის გავიცანი, იგი ახლად დანიშნული იყო გაზეთ „სიტყვა და საქმის“ რედაქტორად. ეს გაზეთი ქუთაისში გამოდიოდა. პლატონ ქიქოძე მასალებს თბილისში აგროვებდა, გაზეთს ქუთაისში ბეჭდავდა.

ჰონორარი, ეტყობოდა, ჩვეულებრივზე მეტი ჰქონდა ავტორებისათვის, ფული ხელის პატარა ჩემოდნით დაჰქონდა და ავანსებს ხელგაშლილი არიგებდა.

მე მაშინ ოცი წლისაც არ ვიყავი, მწერლობაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი.

პლატონ ქიქოძემ მთხოვა ლექსი მიმეცა „სიტყვა და საქმისათვის“, მეც არ დავუგვიანე და მოზრდილი ლექსი („როტ ფრონტ“-ის სათაურით) ვაახლე. ლექსი ანტიფაშისტური, ანტიდიქტატორული შინაარსისა იყო. მსოფლიო რევოლუციის ტროცკისტული იდეით გატაცებულ რედაქტორს ლექსი იმდენად მოეწონა, რომ პირველ გვერდზე დაბეჭდა და იქვე თავისი წერილიც მიაყოლა, რომელშიაც ჩემს ამ ლექსს მიესალმა და თავისი აქტუალობით სანიმუშოდ გამოაცხადა.

ამის შემდეგ, კაი ხნის განმავლობაში, ხშირად ვხვდებოდი პლატონ ქიქოძეს მწერალთა სახლში, ზოგჯერ სუფრაზედაც. პლატონ ქიქოძესთან იდეურად დაახლოებული მწერალთა ჯგუფი (ფ. ნაროუშვილი, დ. ბენაშვილი, შ. შავგულიძე) მე და გიორგი შატბერაშვილსაც არ გვივინწყებდნენ თავიანთ სერობებზე და არაერთხელ მოვხვდით მათ სუფრაზე.

სუფრას თვითონ პლატონ ქიქოძე მეთაურობდა ხოლმე, ფულს ან თავად იხდიდა ან ფ. ნაროუშვილი, რომელსაც სამისოდ ყოველთვის ჰქონდა საჭირო თანხა.

ამ სუფრებზე პლატონ ქიქოძე ტროცკისტულ იდეებს გვიქადაგებდა, ამკარად და შეუფარავად. პლატონ ქიქოძეს ჩემსა და გიორგი შატბერაშვილის მიმართ რაღაც გაურკვეველი დამოკიდებულება ჰქონდა: თითქოს სიმპათიით გვეპყრობოდა, მაგრამ ამავე დროს ბოლომდე არ გვენდობოდა და ეჭვის თვალთ გვიცქერდა, განსაკუთრებით გიორგი შატბერაშვილს, ზოგჯერ გადაკრულად კულაკობის მწერლად იხსენიებდა მას, ვითომ ხუმრობით. აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ გიორგი შატბერაშვილს კულაკობასთან არაფერი აკავშირებდა, მისი მამა სოფლის მასწავლებელი, პატიოსანი კაცი იყო და თავის სოფელში ხილის პატარა ბაღი ჰქონდა, რომელსაც თვითონ ამუშავებდა. ასე რომ გ. შატბერაშვილს საერთო არაფერი ჰქონდა კულაკობასთან, რომელსაც პლატონ ქიქოძე ებრძოდა.

პლატონ ქიქოძის ნდობა და უნდობლობა ჩვენს მიმართ მალე გამომჟღავნდა: ფილიპე მახარაძის ნაქეზებითა თუ დავალებით (მასთან ახლო იყო პლატონ ქიქოძე) დაინერა კოლექტიური წერილი. მე და გიორგი შატბერაშვილს შემოგვთავაზეს, ჩვენც მოგვეწერა ხელი ამ წერილზე. „წერილი“ სავსე იყო ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების ლანძღვა-გინებით.

ჩვენ ამ წერილს ხელი არ მოვანერეთ, იგი დაიბეჭდა და იმ დღიდან პლატონ ქიქოძემ მოგვიკვეთა, ჩვენთან ურთიერთობა შეწყვიტა და სადაც წაგვეწოდა „გვამუშავებდა“ (ასე ეძახდნენ მაშინ კაცის დაგმობას, პოლიტიკურად არასაიმედოდ გამოცხადებას).

ეს იყო პერიოდი კიროვის მკვლელობის შემდეგ სამინერლი ტერორის გამეფებისა, მასობრივი დაპატიმრებებისა და ჩვენი ინტელიგენციის განუკითხავად განადგურებისა.

საკმაო იყო ვინმეს რეპრესირებულთაგანს დაესახელებინე ან კრებაზე ვინმე გამოსულიყო და ეჭვი შეეტანა შენს მოღვაწეობაში, მეორე დღეს შენ „იქ“ აღმოჩნდებოდი; ხოლო თუ სადმე შენს წინააღმდეგ „მამხილებელი“ წერილი დაიბეჭდებოდა, ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ, უეჭველად, იმ წერილს შენი დაპატიმრება მოჰყვებოდა.

იყვნენ ადამიანები, რომელთაც თავიანთ ყოველდღიურ ვალდებულებად ასეთი წერილების დაწერა ან ცილისმნამებლური გამოსვლა გაიხადეს. ვისაც ისინი ხელს დაადებდნენ, განწირულად ითვლებოდნენ და მათი „სიგნალების“ შედეგად „გამომჟღავნებულები“ დაუყოვნებლად „ქრებოდნენ“.

ამ უაღრესად დაძაბულ დღეებში „ლიტერატურულმა საქართველომ“ (რომლის რედაქტორიც პლატონ ქიქოძე იყო), დაბეჭდა კრიტიკოს კარლო მელაძის „მამხილებელი“ წერილი.

კარლო მელაძე არჩევდა ჩემი და გიორგი შატბერაშვილის ლექსებს, პოლიტიკურად მიუღებლად და ანტისაბჭოთა, მტრული იდეოლოგიის გამოვლინებად აცხადებდა მათ.

გიორგი შატბერაშვილის ლექსი (მგონი „ახალგაზრდობისადმი“) საუკეთესო იყო ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში. კრიტიკოსმა ამ ლექსში „მოძებნა“ დღევანდელი დღით უკმაყოფილება, „მტრული“ იდეები.

ლექსს ჰქონდა მისამართი-მიძღვნა „თ.ჩ.-სადმი“. გიორგის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილი თამარი (შინაურობაში „ციცნა“) უყვარდა და ლექსი მას ეძღვნებოდა. კრიტიკოსმა ფრჩხილები არ გახსნა, მაგრამ ხალხში სწრაფად გავრცელდა ხმა, რომ ლექსი „ქართველი ხალხის მტრის“ – ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი იყო მიძღვნილი.

ჩემი ლექსი „ახალი წელი დაკარგული შაბათებით“ თითქმის არავითარ საბუთს არ აძლევდა კრიტიკოსს ჩემზე თავდასხმისათვის, მაგრამ საბუთს ვინ დაგიდევდა?! დაბეზღებამ თავის მიზანს მიაღწია – ყველა ელოდა, რომ დღეს თუ ხვალ ჩვენც „ნაგვიყვანდნენ“, ზოგი სახეს გვარიდებდა და ზოგიც ჩვენთან შეხვედრას გაურბოდა. კარლო მელაძის წერილის გამოქვეყნებიდან, ორი თუ სამი დღის შემდეგ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაგვიბარეს ცკ-ის მდივანთან – გიორგი ყურულაშვილთან.

გიორგი ყურულაშვილს ცენტრალურ კომიტეტში იდეოლოგია „ეზარა“, შეთავსებით იგი „მნათობს“ რედაქტორიც იყო.

დაინყეს ჩვენი შემოქმედების განქიქება. განსაკუთრებით აქტიურობდნენ პლატონ ქიქოძე და კარლო ორაგველიძე (იგი მაშინ პარტიის ცკ-ს კულტურის განყოფილებას განაგებდა).

პლატონ ქიქოძე დაუნდობლად გვესხმოდა თავს. მას კარლო ორაგველიძეც მხარს უბამდა. ორივე უკიდურესად ამწვავებდა არარსებულ „პრობლემებს“ – ჩვენს ლექსებს კონტრრევოლუციურად, ანტისაბჭოთა იდეოლოგიად აცხადებდნენ.

გიორგი ყურულაშვილი ზომიერების დაცვას ცდილობდა, მამაშვილური ტონით მოგვმართავდა, სტიპენდია ხომ გაქვთ უნივერსიტეტში, საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილების რა საფუძველი გაქვთო.

ჩვენ მაშინ ძალიან ახალგაზრდები და გამოუცდელეები ვიყავით. მე – ოცისა გავხდი იმ წელს, ხოლო გოგი – 23-სა ხდებოდა.

როგორც შეგვეძლო თავს ვიცავდით.

გიორგი შატბერაშვილმა გაცხარება ვერ დაიოკა და პლატონ ქიქოძეს ტროცკისტი უწოდა.

იმ დღეებში გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა ვინმე ი. კიკნაძის წერილი გიორგი შატბერაშვილზე, რომელშიაც იგი მკაცრად აკრიტიკებდა პოეტს. როგორც გამოირკვა, წერილის ავტორი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში იმ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, რომელიც შემოქმედებით ინტელიგენციაზე „მუშაობდა“. გიორგიმ ეს არ იცოდა და გაბრაზებულმა საჩივარი მისწერა პარტიის ცკ-ის მეორე მდივანს პ. აღნიაშვილს, სადაც ი. კიკნაძეს „პრო-

ფანს“ უწოდებდა. როგორც ჩანს ამ საჩივარმაც გაამწვავა მდგომარეობა და სულ მალე დააპატიმრეს პლ. ქიქოძე, ფრ. ნაროუშვილი, გ. შატბერაშვილი და შ. შავგულიძე.*

გალაკტიონი

გალაკტიონ ტაბიძესთან დაახლოება და, მით უფრო დამეგობრება ადვილი არ იყო. იგი, როგორც თვითონაც აღიარებდა, არაკომუნიკაბელური პიროვნება იყო და მასთან სიახლოვეს მხოლოდ სუფრისმიერი მწერლები ახერხებდნენ (გ. ქუჩიშვილი, გ. მეზუჯე და სხვ.). მე თავად მსმელი არ ვიყავი და ჩემთვის ეს მისადგომიც გამოირიცხული იყო.

მე გალაკტიონისათვის სადღეგრძელო არ მითქვამს, მაგრამ მისდამი დიდ პატივისცემას ყოველთვის გამოვხატავდი, მის შემოქმედებაზე არაერთხელ გამომითქვამს ჩემი აზრი საჯაროდ და არაერთი წერილიც გამომიქვეყნებია. მის 80 წლისთავზე ფილარმონიის დიდ დარბაზში მთავარი მომხსენებელი მე ვიყავი და ადრეც მის საღამოებში მიმიღია ხოლმე მონაწილეობა. 1943 წელს გამოქვეყნდა ჩემი ლექსი „დროშები“, რომლის გამოც ბევრი კომპლიმენტი მივიღე. იმ დღეებში გალაკტიონი მწერალთა კავშირთან შემხვედა, მისთვის დამახასიათებელი ღიმილით მომმართა: „კაი ლექსი დაგინერია ძამიკო და შენ იცი, თუ არ გაამაყდები და არ დაგკვარავ“.

ომის დროს „სახელგამში“ გ. ტაბიძის თხზულებები გამოდიოდა რამდენიმე ტომად. ერთ-ერთი ტომის რედაქტორობა მე დამაკისრეს. ტომის რედაქცია რომ დავასრულე, ჩემი შენიშვნები ავტორს მოვასხენე, ზოგი რამ შევეუთახნე და წიგნი სტამბაში გაგზავნეს.

სულ მალე ტომი დაიბეჭდა და გამომცემლობის დირექტორმა ნ. კიკნაძემ დამირეკა, სასიგნალო ეგზემპლარები მივიღეთ და ხელი უნდა მოაწერო გასაფრცხვლებლადო. მე მაშინვე მივედი. წიგნი კი მზად იყო, მაგრამ ავტორის პორტრეტი, რომელიც ტომს უძღოდა, ძალზე ცუდად იყო დაბეჭდილი, წიგნის პირველ გვერდზევე ლექსის სათაურშივე დაშვებული იყო კორექტურული შეცდომა, საკმაოდ უხეში.

* შემთხვევითი არ არის, გიორგი შატბერაშვილის სახელი უღირს ადამიანთა გვერდით რომ მოხვედრილა ამ სიაში. 30-იანი წლების შუახანებში იმითაა ნიშანდობლივი საბჭოთა ტერორის ისტორიაში, რომ ერთნაირი უღმობელობით გაუმსოფრდა ღირსეულ, პატრიოტ პიროვნებებსაც და კომუნისტური პარტიის ერთგულთაც, რომელთაც არაერთი ცოდვა და დანაშაული ჩაედინათ სწორედ ბოლშევიკური ძალით ზურგგამაგრებულთ.

გიორგი შატბერაშვილს დაპატიმრების საბაბად გაუხდა ერთი ლექსის ქარაგმული მიძღვნა: თ.ჩ.-ს, რაც გაუშიფრეს როგორც თავადი ქაქუცა ჩოლოყაშვილი... ეს რომ ჰეროიკული ლექსია და არა სატრფიალო უკვე საბოლოოდაა გამოკვეთილი ჩვენს ლიტერატურაში. იგულისხმება ოთარ ჩხეიძის სტატია „დასაწყისი განთიადისა“ („მამული“, 1990, №7).

საკონცენტრაციო ბანაკიდან მისი გამოხსნა და სამშობლოში დაბრუნება მოხერხდა იმის წყალობით, რომ მისმა ახლობლებმა ხმა მიაწვდინეს სტალინს და საბჭოთა იმპერატორმა უშუალოდ გადაწყვიტა გიორგი შატბერაშვილის ბედი, თუმც თბილისში ცხოვრება აეკრძალა. ეს მწარე ხვედრი ძალიან შეუმსუბუქა გრიგოლ აბაშიძემ – ვინც ათი წლის მანძილზე ხშირად ააკითხავდა ხოლმე მეგობარს მის მშობლიურ სოფელ თვალადაში და აპქონდა თბილისური ამბები, ყურნალ-გაზეთები, წიგნები... (რედაქციის შენიშვნა)

გამომცემლობის დირექტორსაც არ ესია მოვანა ნიგნის ეს ხარვეზები, მაგრამ მოხოვა, წაიღე, გადახედე და თუ მიუტევებელი რამე არ არის, ხელი მოაწერე გასავრცელებლად, რადგანაც ანგარიშზე ფული არა გვაქვს და თუ ეს ტომი არ ჩავაბარე „საქნიგნს“, ავტორებს ჰონორარს ვერ მივცემო.

მე ნიგნი წამოვიღე და შეწუხებული წამოვედი. მეორე დღეს ისევ ჩავედი გამომცემლობაში. სადარბაზოს კართან სწორედ გალაკტიონი შემხვდა, მომესალმა და ხელი მაგრად ჩამომართვა. ჩემი დღღონების მიზეზი რომ ვუთხარი, სახე ღიმილით გაეხადრა: „ეგ ნუ განუხებს ძამიკო, მას ნულარ ვსტირით, რაც დაკარგულა, შენ ეგ ნიგნი ახლავე გამივრცელე და ხვალვე შეეუდგეთ შემდეგ ტომზე მუშაობას!“

ჩემს თავგამოდებას პოეტის ამ, ცოტა არ იყოს, ცინიკურმა უზრუნველობამ ცივი წყალი გადაასხა. გალაკტიონმა ხელი ჩამკიდა, დირექტორთან ამიყვანა და ნიგნის გავრცელებაზე დასტური მიმაცემინა.

ომის პირველი წლები იყო. ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის მდივანი ნიკა აგიაშვილი ჯარში გაიწვიეს და ჟურნალის რედაქტორის თხოვნით, მის ადგილზე მე დავინიყე რედაქციის მდივნად მუშაობა. გალაკტიონი მაშინ დიდ პოემას წერდა მშვიდობისა და ომის თემაზე და „მნათობში“ მოჰქონდა დასაბუქდად ნაწყვეტები. პოემის ეს ნაწყვეტები, სამწუხაროდ, სუსტი იყო. პოეტი მაშინ სისტემატურად სვამდა და, როგორც ჩანს, თვითკონტროლის უნარი მოდუნებული ჰქონდა. იგი მარჯანიშვილის ქუჩაზე, სწორედ ჩვენი რედაქციის პირდაპირ ცხოვრობდა და თითქმის ყოველდღე შემოდოდა რედაქციაში.

გალაკტიონს მოტანილ მასალას ვინ და როგორ დაუწუნებდა, პოემის მოზრდილი ნაწილიდან, შედარებით საუკეთესოს სტამბაში ვაგზავნიდით. ნომერი რომ გამოვიდოდა, რედაქციაში შემოსული გალაკტიონი, გადაათვალიერებდა, რა თქმა უნდა მიხვდებოდა, რომ მისი პოემის ნაწყვეტი მნიშვნელოვანი შემოკლებით იყო დაბეჭდილი, მაგრამ ამას არ შეიმჩნევდა, „ფლურები თუა გამონერილიო“ იკითხავდა და ბუხჰალტერიისკენ გასწევდა.

მეორე დღეს პოემის „ახალ“ ნაწყვეტს მოიტანდა, რომელშიც რედაქტორის მიერ ერთხელ ამოყრილი პოემის სტროფები ხელახლა ჰქონდა შეტანილი. ისევ ხდებოდა შემოკლება და ასე გრძელდებოდა რედაქტორისა და მისი უსიტყვო დიალოგი. რედაქტორი ისევ ამოკლებდა, პოეტი ერთხელ უარყოფილ სტროფებს ახალი ნომრისათვის დაუქინებთ გვთავაზობდა და, ბოლოსდაბოლოს, თავისი გაჰქონდა, დაუბეჭდავი აღარაფერი რჩებოდა იმ ნაწყვეტებიდან.

ერთხელ ახალი ლექსები მოიტანა, რედაქტორი თბილისში არ იყო, მე წავიკითხე და პირდაპირ გავგზავნე სტამბაში ასაწყობად.

ნომერი რომ დაიბეჭდა და სასიგნალო ეგზემპლარები მივიღეთ, მოულოდნელად სკანდალი მოხდა: რედაქტორმა შეამჩნია, რომ ავტორს გვარი ტაბიძე არ ჰქონდა მოწერილი და მხოლოდ სახელი „გალაკტიონი“ მოუძლოდა დაბეჭდილ ნაწარმოებს.

ალიო მირცხულავა გაბრაზდა, ქვა აავდო და თავი შეუშვირა, ნომერს არ გავუშვებ არაფრის გულისთვის, ეს როგორ მოხდა, რომ აკაკისავით მარტო სახელი მოუწერიაო. მომხდარი ინციდენტი რედაქტორმა მის წინააღმდეგ ჩადენილ ვერსიად ჩათვალა, „მნათობის“ სასიგნალო ნომერს ხელი

დაავლო და ცენტრალურ კომიტეტში გაიქცა, ც.კ.-ს მაშინდელ მდივანთან ილია თავაძესთან.

ალიო უკვე ც.კ.-ში იქნებოდა, რედაქციაში რომ შემოვიდა გალაკტიონი. ახალი ნომერი ვაჩვენე და მწუხარება გავუზიარე მომხდარი ფაქტის გამო. გალაკტიონმა ნომერი გადაათვალიერა, თავისი ნაწარმოების პირველ გვერდს დააცქერდა, სიცილი აუტყდა და იქ მყოფთ მოგვმართა: „როგორ მე მირცხულავასთვის უნდა მეკითხა, რა მოვანერო ჩემს ლექსს? მე თუ მინდა „ფარსადანს“ მოვანერო ჩემს ნაწარმოებს ძამიკო, ეს არც ალიოს ეხება და არც ილიას (გულისხმობდა ილია თავაძეს).“

როგორც ჩანს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მომხდარ ინციდენტს არ მისცეს მნიშვნელობა, რედაქტორის აღშფოთებას მხარი არ დაუჭირეს, ჟურნალის გავრცელება არ შეაჩერეს და, ბოლოსდაბოლოს, ალიოც დაცხრა, არც რედაქციის მუშაკები დაგვსაჯა და არც გალაკტიონისთვის უთქვამს საყვედური, როცა მან რედაქციას პოემის ახალი ნაწყვეტი მარტოდენ სახელის „გალაკტიონის“ ხელმოწერით აახლა.

ასე გაიტანა პოეტმა თავისი და იმ დღიდან მის ყველა პუბლიკაციას მხოლოდ მისი სახელი ამშვენებს, როგორც აკაკი წერეთლის გამოცემებს.

გალაკტიონის შემოქმედებისადმი არაერთხელ მიმიძღვნია წერილი და ამიტომ აქ არ ვაპირებ ჩემი თავის განმეორებას.

შეგჩერდები მხოლოდ მისი პიროვნებისა და შემოქმედების ერთ მხარეზე, რომელიც საზოგადოებისათვის თითქმის უცნობია. ეს გახლავთ გალაკტიონის ჰუმორი.

ჰუმორი იშვიათად, მაგრამ მაინც გაეღვებასავით გაანათებს ხოლმე სევდით დამძიმებულ გალაკტიონის წიგნებს, იგი ზოგჯერ ნახევრად ხუმრობად გეჩვენება („სვინტრი“), ხან დამცინავ სარკაზმად („ძველი“) და ხანაც უწყინარ ენამახვილობად („ფედია ჩუდეცკი“).

ზოგი მათგანი, თითქოს დროის მოსაკლავად, მოცალეობის ჟამს შექმნილა:

არც დვალეთში, არც ქიზიყში, არც ჰერეთში, არც დღეის დღეს, არც ხვალეთში, არც მერეთში, არც ბოხოხში, არც ცილინდრში, არც ბერეტში, სვინტრი იგი ხარობს თურმე იმერეთში.

უნდა მუბლით ფიქრთა ნისლი გამერეკა, მსურდა სწრაფად მსოფლიოსთვის დამერეკა, რომ აღმოჩნდა, რომ აღმოჩნდა ამერიკა და რომ სვინტრი ბალახია იმერეთში.

მე გალაკტიონის არქივში არ ჩამიხედა. ამბობენ მისი უბის წიგნაკები სავსეა მწარე ჩანაწერებით, დაუნდობელი ეპიგრამებით, გამკილავ-გამკენწლავი შენიშვნებით. ერთი ასეთი ეპიგრამა პოეტის რჩეულშიც შეაქვთ:

ქველი

როდესაც პოეტი ყალბი პოეტია, ამაოდ ფიქრობენ, რომ ის გოეთეა... ვაიმარს გავზავნონ ავიოკალათით, ვირზე ჩამობრუნდეს სახვით და სალათით.

**როდესაც პოეტი მავნე პოეტია,
ენაჭარტალაა, მიეთ-მოეთია –
წინ ჩოთქი უდევს და ნაბოძი ხალათი,
პოეტი კი არა – ეს არის ჯალათი.**

ლექსი შემპარავად, იდილიურად ხატავს „ყალბი პოეტის“ პორტრეტს, მაგრამ ეპიგრამის მეორე ნახევარი „მავნე პოეტს“ რომ წარმოადგენს ულმობელი და დაუნდობელია ანგარიშით მომქმედ („წინ ჩოთქი უდევს“) კარის პოეტის მიმართ („ნაბოძი ხალათი“), რომელიც იქამდეა გამეტებული, რომ ახდილად უწოდებს „ეს არის ჯალათი“.

ეს ლექსი რომ დაიწერა და გამოქვეყნდა, ადრესატის დაუსახელებლად ყველა მიხვდა, ვინც იყო ნილაძეჩამოხსნილი და ბევრი მითქმა-მოთქმაც გამოიწვია.

საერთოდ გალაკტიონის სარკაზმი, ულმობელი გაკილეა ცნობილი იყო. მან ოდნავ გასაგონი ჩაქირქილებით იცოდა კაცის გაბიაბრუება. ამიტომ და ალბათ იმიტომაც რომ დიდი პოეტის დაცინვა სწრაფად ვრცელდებოდა და ფართო რეზონანსიც ჰქონდა, ერიდებოდნენ მის გამოწვევას, მისი მახვილი სიტყვის „მსხვერპლად“ ჩავარდნას.

უწყინარი ხუმრობაც რომ არ იყო უცხო გალაკტიონისათვის, ესეც ცნობილია. ერთ დროს მწერალთა შორის მომრავლდა ეპიგრამები მწერლებზევე. ერთი მათგანი გალაკტიონს ეკუთვნოდა და ალიო მირცხულავასა და ილო მოსამვილს ეძღვნებოდა:

**ალიომ უთხრა ილოს,
ვაჰ თუ ბზე გამაილოს!..
ილომ თქვა, ჩემანლაო,
ბზეს მირჩევნია ჩალაო.**

ვერ ვიტყვი, რომ ეს ეპიგრამა მთლად უწყინარია, მასში ხომ ორივე პოეტი ჩალისმჭამელ ცხოველად არის გამოყვანილი და თანაც „ჩემანლაო“ ერთერთი მათგანის წარმომშვებ კუთხესაც გვახსენებს, რომელიც სწორედ „ჩალისმჭამელთა“ სიმრავლითაა განთქმული.

ერთხანს გალაკტიონი მწერალთა კავშირის პოეტების სექციის თავმჯდომარედ დადგა. საქმეს უჩვეულო მუსყაი-

თობით შეუდგა, საკუთარი კარადა და მაგიდა დაიდგა, განსაზღვრულ საათებში გაუცდენლად იქ იჯდა და ელოდა საკონსულტაციოდ მისულ ახალგაზრდა პოეტებს.

ახალგაზრდები იმდენად არ ანუხებდნენ და არ ვიცი, როგორ კონსულტაციას უწევდა მათ (არა და კია საინტერესო, როგორ უტარებდა იგი დებიუტანტებს კონსულტაციას). ეს კი მახსოვს, რომ მის ოთახში ხშირად იყრიდნენ თავს პოეტები.

ერთხელ მახსოვს მის კაბინეტში, მისივე მონაწილეობით შეიქმნა პატარა, კოლექტიური ლექსი-ხუმრობა, რომელიც კარგად ასახავდა მწერალთა კავშირში იმ დროს დამკვიდრებულ იერარქიულ წესს, თუ ვინ, ვის მერე უნდა ყოფილიყო დასახელებული ოფიციალურ მოხსენებებში.

**ჩვენში ასეთი წესია,
სერგო შეადგენს ჯერ სიას**

წამოვიწყე მე და მგონი რევავ მარგიანმა მიაყოლა მეორე სტრიქონი:

ვინ ვისზე უკეთესია...

აქ მანამდე ჩუმად მჯდარი გალაკტიონი წამოდგა და სტრიქონი ჩაურთო:

**სიტყვას მიცემენ ბესიას*
ისე გახსნიან სესიას.**

დააბოლოვა კარლო კალაძემ.

გალაკტიონმა 1959 წლის ადრიან გაზაფხულზე ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე. ამ თავზარდამცემი ამბის შემდეგაც კარგა ხანს მიჭირდა იმის გაფიქრებაც კი, რომ სადმე მწერალთა სახლში, რედაქციაში ან ქუჩაში ვეღარასოდეს შევხვდებოდი გალაკტიონს.

* სერგო და ბესია – სერგო ჭილაია და ბესო ჟღენტი – მაშინდელი კავშირის მდივნები იყვნენ

თვა შურღაია

37 + 17

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ პირველ ნომერში რუბრიკით „უცხოელის თვალით“ დაიბეჭდა გიორგი ლობჯანიძის წერილი ემოციური სათაურით „როცა ზაჰრა ტირის“, რომელსაც მომდევნო ნომერში ჟურნალის მთავარი რედაქტორის რეპლიკაც მოჰყვა. ამ თემაზე საუბრის გაგრძელება იქნებ საჭირო აღარც ყოფილიყო, მაგრამ, ვფიქრობ, მკითხველი ფათენე ჰაჯ სეიდ ჯავადის (ფარვინ) რომან „ნაბახუსევის განთიადთან“ დაკავშირებული საინტერესო ისტორიის სხვა დეტალებსაც უნდა გაეცნოს. ინფორმაციის ნაწილი

ახლახან შემთხვევით მოვიპოვე ინტერნეტიდან, ნაწილი კი – რამდენიმე წლის წინანდელია.

თვითონ ფაქტი ერთი რომანის „პასუხის“, ერთგვარი „ანტირომანის“, დაწერისა ალბათ ლიტერატურაში იშვიათია და, ამდენად, მეტად საყურადღებო. ბუნებრივია, ამ ფაქტს დიდი მითქმა-მოთქმა და სჯა-ბაასი მოჰყვა ირანის საზოგადოებაში.

რომანისა და „ანტირომანის“ ავტორი ორივე ქალია. არც ერთ მათგანს მანამდე არაფერი დაუწერია. ორივე ერთი ამბის სხვადასხვა სახით გადმოცემის წყალობით გახდა პოპულარული. როგორც ფათანე ჰაჯ სეიდ ჯავადიზე ამბობენ, „ერთმა ყველასათვის უცნობმა მწერალმა ერთ ლაქში ასი წლის სავალი გაიარა და სახელი და დიდება მოიხვეჭა“.

„ნაბახუსევის განთიადი“ პირველი პუბლიკაციიდან (1998 წ.) დღემდე 37-ჯერ გამოიცა! არაერთი გამოკითხვის მიხედვით, ეს წიგნი დღესაც საუკეთესოთა შორის სახელდება; ირანელ მწერალ ქალთა მიერ შექმნილ ბესტსელერთა უცვლელი ლიდერია. მის პოპულარობას ვერ ჩრდილავს,

თუმცა ყველაზე ახლოს მისდევს თანამედროვე ირანელი მწერლის ზოია ფირზადის რომანი „შუქს მე ჩავაქრობ“, რომელიც 2001 წლის საუკეთესო ნაწარმოებად აღიარეს ირანში. ფ. ჰაჯ სეიდ ჯავადიმ მოთხრობების კრებულიც გამოსცა სათაურით „სიზმრისეულ სიხალვათეში“, თუმცა მას განსაკუთრებული პოპულარობა არ მოუპოვებია და, ცხადია, ვერ გადაფარა „ნაბახუსევის განთიადის“ არცთუ „მოკრძალებული ხიბლი“.

როდესაც 2000 წლის დამდეგს თეირანში „ნაბახუსევის განთიადის“ მეთექვსმეტე გამოცემა შევიძინე, ეს რომანი თბილისში უკვე წაკითხული მქონდა. გამომართლა და იმავე მაღაზიაში ნაჰიდ ა. ფეჟვაქის „მირაჟის ლამეც“ აღმოაჩინდა. ეს „ანტირომანის“ მესამე გამოცემა იყო. მასხოვს, „მირაჟის ლამეც“, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანა, თუმცა უფრო დამაჯერებელი მეჩვენა, ვიდრე „ნაბახუსევის განთიადი“.

ირანში ერთგვარ ტრადიციად იქცა წიგნების ვინმესათვის მიძღვნა. „ნაბახუსევის განთიადი“ ავტორის მეუღლეს ეძღვნება. ნაჰიდ ა. ფეჟვაქმა კი თავისი „პასუხი“ ფ. ჰაჯ სეიდ ჯავადის მიუძღვა, თანაც წიგნს ასეთი მინაწერიც დაურთო: „რაჰიმსაც აქვს თავისი სათქმელი, მაჰბუბი მოსამართლესთან მარტო იყო მისული“.

მივბაძევი გიორგი ლობჯანიძეს და რომანის შინაარსის გადმოცემისგან თავს შევიკავებ, თუმცა მკითხველისთვის მოკლე განმარტებას ვერ გავუქცევ:

„ნაბახუსევის განთიადის“ მთავარი გმირია დიდგვაროვანი, შეძლებულ ოჯახში გაზრდილი მაჰბუბი, რომელიც, ოჯახის სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ცოლად ღურგალ რაჰიმს გაჰყვება. „მირაჟის ლამეც“ რაჰიმის მიერ მოთხრობილი იგივე ისტორიაა, სადაც სიმაართე სხვაგვარად არის წარმოდგენილი. ირანელებს ერთი ანდაზა აქვთ: „მოსამართლესთან მარტოდ მისული შინ კმაყოფილი ბრუნდებოდაო“ (მდრ. ქართ.: ცალ-ცალკე მომჩივანი ბატონს მართალი ეგონაო). „ანტირომანის“ ავტორმა ჩათვალა, რომ დაბალი სოციალური წრიდან გამოსულ რაჰიმს ქომაგი და დამცველი სჭირდებოდა და ეს მისია იკისრა.

წელს 576 გვერდიანი რომანი „მირაჟის ლამეც“ უკვე მეჩვიდმეტედ გამოიცა.

აქვე „ანტირომანის“ სათაურის ამბავიც უნდა მოგიხსნათ, მით უფრო, რომ მწარედ მაგონდება, რადგან ერთ ირანელთან ამის გამო სანაძლეოც კი წავაგე:

ნ. ფეჟვაქის რომანს ხელნაწერში სხვა სათაური ჰქონდა: „შაბ-ე შარაბ“ – სიტყვასიტყვით „ღვინის ლამეც“ ანუ „თრობის ლამეც“, რაც სრულიად ლოგიკური იყო, რადგან ფ. ჰაჯ სეიდ ჯავადიც სათაურს ამ ბეითს დაესესხა: „თრობის ლამეც არა ღირს ნაბახუსევის განთიადად“. ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ „პასუხს“ სწორედ ასეთი სათაური უნდა ჰქონოდა, მაგრამ..... კილიდან „ღვინო“ ისლამის თვალთახედვით მიუღებელია, კულტურისა და ისლამური დამოძღვრის სამინისტრომ (რომელიც წიგნების გამოცემის ნებართვას გაცემს) ავტორს სათაური შეაცვლევინა. ნ. ფეჟვაქმა მხოლოდ ერთი ასო შეცვალა (სამი ნერტილი მოაშორა ასო „შ“-ს) და „ანტირომანს“ „შაბ-ე შარაბ“ – „მირაჟის ლამეც“ დაერქვა. ამით რომანის ავტორის პრობლემები არ ამოწურულა...

ნაჰიდ ა. ფეჟვაქმა „პასუხზე“ მუშაობა რომ დაასრულა, მშობლიურ ქალაქ რაშთში გამომცემლობა „ჰედაიათს“ მიუტანა. იქ მას ურჩიეს, რომანი გაეგზავნა „ელბორზისათვის“,

რომელმაც „ნაბახუსევის განთიადი“ გამოსცა. „ელბორზმა“ ავტორს ხელნაწერი დაუბრუნა მინაწერით: „ჩვენ „ნაბახუსევის განთიადს“ ერთხელ ვებეჭადეთ“.

იმ წელს გამომცემლობა „ჰედაიათმა“ ეს ნაწარმოები ოთხჯერ გამოსცა. ამის შემდეგ რომანი ამერიკაში მოხვდა და ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა. „ელბორზი“ „მირაჟის ლამის“ ტირაჟის ნაწილის შესყიდვით დაინტერესდა, ხოლო ფ. ჰაჯ სეიდ ჯავადის ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი რომანს ლიტერატურულ პლაგიატად მიიჩნევდა. ნ. ფეჟვაქი სასამართლოში დაიბარეს. ამ სასამართლოზე მან თავისი მატერიალური უფლებები ფ. ჰაჯ სეიდ ჯავადის სრულად გადასცა.

„ნაბახუსევის განთიადის“ ავტორის დაჟინებით, „მირაჟის ლამეც“ „ელბორზმა“ გამოსცა. წიგნს ბოლოში ფ. ჰაჯ სეიდ ჯავადის ასეთი შენიშვნაც ახლდა: „ამ წიგნიდან მიღებული მთელი მატერიალური შემოსავალი ჩვენი ქვეყნის უპატრონო ჩვილთა თავშესაფრებს მოხმარდება“...

„ნაბახუსევის განთიადის“ მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ირანელ მწერლებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს. მათგან ბევრმა ვერ გაბედა ამ რომანის საჯაროდ მოწონება. ეს მხოლოდ ორმა-სამმა კაცმა შეძლო, რომელთა ავტორიტეტის შერყევაც არც ისე იოლი საქმე გახლდათ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი ცნობილი მწერალი „ნაბახუსევის განთიადის“ მიმართ გამოჩენილი სიმპათიის გამო ისეთი წნეხის ქვეშ აღმოჩენილა, რომ გულის შეტევით საავადმყოფოში ამოუყვია თავი.

ცნობილ ირანელ პროზაიკოსს ჰუმანგ გოლშირის არ მოსწონდა ამ რომანის არც ფორმა და არც შინაარსი. თავის მართებულ წერილში მინასთან გაასწორა ავტორი, რომანი და მისი გმირები, შეეცადა მწერლის ტექნიკურ სისუსტეებზე გაემახვილებინა ყურადღება. გოლშირის სწორედ ის არ მოსწონდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი „ნაბახუსევის განთიადის“ პოპულარობას – სადა, სასაუბრო სპარსული, მსუბუქი და სასიამოვნო თხრობა. იგი იმანაც გააღიზიანა, რომ რომანის გმირი ქალის ოჯახი და ყოფა ამკარა კეთილგანწყობით არის დახატული. როგორც ამბობენ, გოლშირის გაცხარება იქამდეც მისულა, რომ უთქვამს, ასეთ ოჯახში ცხოვრებას მე ღურგალ რაჰიმის სახლში ცემის ატანას ვარჩევდიო. ჰ. გოლშირი მრავალშვილიან ღარიბ ოჯახში, გაჭირვებაში გაიზარდა და, როგორც ჩანს, ამანაც თავისი როლი ითამაშა „ნაბახუსევის განთიადის“ სუბიექტურ აღქმაში. თუმცა ცნობილმა მწერალმა ერთი დადებითი მაინც დაინახა: მისი თქმით, „ნაბახუსევის განთიადმა“ ხალხი წიგნის კითხვას მიაჩვია.

გოლშირის დაუცხრომელმა აღშფოთებამ ახალ ჭორებს გაუხსნა გზა: გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ „მირაჟის ლამეც“ სწორედ გოლშირის დაწერა და ნაჰიდ ა. ფეჟვაქის სახელს ამოეფარა. თუმცა სასამართლოში საქმის განხილვამ ეს ეჭვები გააქარწყალა, თანაც „მირაჟის ლამის“ ავტორის ხელწერა სულ არ ჰგავდა ჰუმანგ გოლშირისას.

„ნაბახუსევის განთიადის“ ისტორია ჩვენში ცოტა ხნის წინათ „ალისა და ნინოს“ პოპულარობასთან დაკავშირებულ ვნებათაღელვას მაგონებს.

არ ვიცი, ქართველი მკითხველი ოდესმე შეძლებს თუ არა გაცნოს ამ რომანებს, მაგრამ მათთან დაკავშირებული საინტერესო ამბის მოსმენის საშუალება კი ნამდვილად უნდა ჰქონოდა.

მაკა ჯოხაძე

გენიალური სიჯანსაღე

„სამყარო იმისთვისაა, რომ ყოველთვის გაიოცო“

ესმა ონიანი

„ვინც კარგავს სულიერ სანყისს, სიმაღლეს, ის კარგავს აქაური სამშობლოს განცდასაც. დიახ, სამშობლოს განცდა არსებობს; ვისშიაც მწვავეა პირველი „ამოშანთვის“ ტკბილი სიყვარული, ის სხვაშიაც იგივეს გულისხმობს და პატივს სცემს და უფროთხილდება სხვის პატრიოტულ გრძნობასაც. ამიტომაც სულიერება, პატრიოტიზმი და ზოგადადამიანური ჰუმანურობა თანხვედრა ერთმანეთს, თანხვედრა და ისე, რომ მათი გაყოფაც არ შეიძლება“.

მხატვრის ეს სიტყვები იწერება 1991 წლის საქართველოში, როცა უკვე დაწყებულია ე.წ. ინტელექტუალთა ზათი და გნიასი, როცა განხეთქილების ვაშლივით შემოაგდებენ ფორმულა-შეკითხვას – ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას თუ სამშობლო, როცა მოდამი შემოდის საკუთარი ხალხის ბრბოდ მოხსენიების ტენდენცია...

სწორედ ამიტომ და დროის ამ კონტექსტში მსგავსი აზრების გამოხატვას ასმაგი ფასი ედება და განსაკუთრებულად ძვირფასი ხდება. და ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ მაშინ, როდესაც ღვთისა და სამშობლოს სიყვარულზე, როგორც ჯვრის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების გადაკვეთასა და განუყოფლობაზე ვწერდი, ექსტრემალურ სიტუაციაში სწორედ ქალი ამოიღებს ხმას საქართველოში. სწორედ ქალი ცდილობს დააცხროს შურისა და მძულვარების ხანძრები და მძლავრი გონებით გაანათოს იმდროინდელი საქართველოს საბედისწერო პროცესები და მოვლენები.

ეს ქალი დიდებული მხატვარი და პოეტი, იშვიათი მოაზროვნე და შემოქმედი ესმა ონიანია.

ჩვენ ხშირად გულმტკივნეულად, არა მხოლოდ სევდით, ერთგვარი შინაგანი ჯანყითაც დავვისვამს შეკითხვები – რატომ ვერ გაუგო ბიძამ დისშვილს, ანუ ყოვლისშემძლე „მეფისტოლა“ გრიგოლ ორბელიანმა – ტატო ბარათაშვილს და თუ გაუგო, რა უნდოდა ამ გენიოსს ლუკმა-პურისათვის ჩინოვნიკად წასულს ციებიან განჯაში. რატომ ცხოვრობდა მეორე გენიოსი ნიკო ფიროსმანი კიბის ქვეშ, ლუკმა-პურისათვის რატომ უხატავდა აბრეზად წოდებულ გენიალურ პეიზაჟებსა და ნატურმორტებს ვილაც მდებარეობს და თითქმის სულ ახლახან ასე სამარცხვინოდ როგორ დაიკარგა მისი საფლავი?

პრეტენზიები, თუ უბრალოდ სამართლიანი, ბავშვურად გულუბრყვილო შეკითხვები უსასრულოდ შეიძლება განვაგრძოთ რჩეულთა მიმართ როგორც დროის სიღრმეში, ისე ქრონოლოგიური თვალსაზრისით ქართული კულტურული სივრცის უახლოეს მონაკვეთებშიც... და დღეს, როდესაც ჩვენს წინ დევს ესმა ონიანის ლექსების, ესეებისა და წერილების კრებული, დღეს, როცა მისი არა მხოლოდ სისხლისა და ხორცისმიერი, არამედ პირველ რიგში სულისმიერი მარადიული მეგობრის ირინე ონიანის თავგანწირული უშურველო-

ბით ჩვენს წინაშეა ფანტასტიურად გამოცემული დიდი ხელოვანის ალბომი, როცა ირინესავე ძალისხმევით მხატვრის გარდაცვალებიდან 7 წლის განმავლობაში სხვადასხვა გალერეებში ყოველწლიურად ეწყობა პერსონალური გამოფენები, რომელსაც ეცნობიან ახალ-ახალი თაობები, ფერწერის დამფასებლები, უცხოელი სტუმრები, ხელოვნების ექსპერტები და თავიანთ ალტაცებას გამოხატავენ, ძალაუვნებურად იბადება შეკითხვა, სად იყვნენ ამდენხანს ხელოვნებათმცოდნეები, მწერლები, პოეტები... მხოლოდ თითოთროლა, უახლოესმა ადამიანებმა რატომ იცოდნენ ამ იშვიათი მხატვრისა და პოეტის არსებობა და მის სიცოცხლეშივე რატომ არ საუბრობდნენ ამაზე ხმამაღლა, გადამდებად, ხელოვნების დამფასებელთა გასაგონად და გასახარებლად?..

ამ კითხვებს შესანიშნავად გასცა პასუხი გალაკტიონზე დაწერილი პირველი დიდებული ნიგნის ავტორმა რეზი თვარაძემ:

„ესმა ონიანის ლექსები გამოქვეყნდა 1968 წლის იანვარში. ეს გახლდათ სენსაციაც, შოკიც და ერთგვარი თავზარდაცემაც გარკვეული წრეებისათვის. მოჰყვა კიდევ მას მძაფრი რეაქცია. თუ საზოგადოების რჩეულ ნაწილს ალტაცებისაგან, ამ ლექსების მომხიბვლელობისაგან თავბრუ დაეხვა, ნაწილი საზოგადოებისა მტრულად განეწყო. მტრულად განეწყო იმიტომ, რომ ესმას მოსვლამ დაადასტურა ერთი უეჭველი ჭეშმარიტება, რომელზეც ჩვენ არ ვსაუბრობთ ხოლმე, რომელზეც საუბარს გადაგვარჩია კომუნისტურმა კომპარამ. სახელდობრ იმან, რომ შემოქმედი-პოეტი, მხატვარი, მუსიკოსი, ეს არის უწინარეს ყოვლისა, სულის გაცხადება. მას თავისი შემოქმედებით მოაქვს ზეციური სამყაროს, ზესთასოფლის გამოცდილება ამქვეყნად და გვაზიარებს ღვთაებრივ სიმაღლეს და მშვენიერებას. ეს ძნელი მოსანელებელი იყო იმ შემოქმედთათვის, ვისთვისაც მხატვრობაც, მუსიკაც, ლიტერატურაც მხოლოდ სინამდვილის, ემპირიული სინამდვილის, ხილული სინამდვილის ასახვა იყო და მეტი არაფერი“.

ესმა ონიანი ჭეშმარიტ ინტელექტუალთა შორისაც გამორჩეულია იმით, რომ მისი ძლიერი გონება არასოდეს იყო შემანუხებელი. არასოდეს გთრგუნავდა სნობებისათვის ეგზომო საჭირო ციტატებით და მიუხედავად ამისა, მისი აზრებისა და ფიქრების კითხვისას ამჩნევ, როგორ შინაურულად, თავისიანად გრძნობს თავს მსოფლიო ხელოვნების უსაზღვრო და უსამანო სივრცეებში.

გენიალური სიჯანსაღე – ძალიან მოკლედ ალბათ ამ ორ სიტყვაში შეიძლება ჩაეტოს ფენომენი, რომელსაც ესმა ონიანი ჰქვია. ალბათ მისი, როგორც XX საუკუნის დიდი ხელოვანის უპირატესობა უღმერთო საუკუნეშიც სწორედ ისაა, რომ იგი გადაურჩა თავისი ეპოქის მოღურ ტენდენციებს, – ყოფილიყო უღმერთო, მაგრამ გენიალურად ავადმყოფური და საინტერესო, დესტრუქციული, მაგიური, მისტიური, დემონიური...

პირიქით, სრულიად სანინაღმდეგოდ, ესმას ფერწერის, პოეზიისა თუ ესეისტიკის ნამკითხველსა და შემხედვარეს, პირველივე სიტყვა ან განცდა რაც გეუფლება, ესაა ღვთაებრივი. მიუხედავად იმისა, რომ იგი არც წმინდანებს ხატავს და არც ანგელოზებს, არც ქერუბიმებსა და არც სერაფიმებს. გურამიშვილისეული ღრმა რელიგიურობის ფონზე იკვეთება ესმა ონიანის შემოქმედებაში ყველა სახე და ყველა მეტაფორა, ყველა ხატი თუ ყველა ხილვა.

ერთ სიტყვაში რომ შეიძლებოდეს მთელი მისი მხატვრობის ფერის გაცხადება, ვიტყვოდი, რომ ესაა ენდროსფერი, სააღდგომო კვერცხის სინითლის ვარიაციები, ვიბრაციები, რომლის ნიაღშიც ცოცხლობენ და სუნთქავენ ნაცნობ-უცნობთა სახეები, სილუეტები, ქუჩები, ჩიხები, ხეები, სარ-

კმლები, ნაცნობი ინტერიერები. ამ სურათების ყურებისას ბავშვობის დაუძლეველი სურვილი მახსენდება, მიუხედავად დედის არაერთგზისი გაფრთხილებისა – სხვის ფანჯრებში ყურება უზრდელობააო, სეირნობისას ვგიჟდებოდი და ისე მინდოდა მშვიდად განათებული სარკმლების მიღმა ჩამთბარ ოთახებში შეღწევა, ერთი სული მქონდა დამელანდა ნივთები, საგნები, ავეჯი, მათი განლაგება, ძველ სავარძლებში თუ ვენურ სკამებზე ჩამომსხდარი ადამიანები, მეგრძნო მათი სურნელი, გამეგონა ხმის ტემბრი, გამერჩია სიტყვები და მივმხვდარიყავი მყუდრო აბაჟურის ქვეშ შეყუჟულები, რაზე საუბრობდნენ.

ფარდის გამჭვირვალეებიდან გამოღწეული ყოველი ლანდი გულს მიჩქროლებდა, ანდამატივით მიზიდავდნენ სრულიად უცხო და მაინც უცნაურად ჩემიანი ადამიანები, ოჯახს, სარკმელ-სარკმელ რომ ანათებდნენ თბილად, საყვარლად, როგორც ღამეული სოფლის იდუმალელებაში მოულოდნელად გამოჩენილი ციციანთელების ქარავანი.

ესმა ონიანის პოეზიაში მზე, ვარდის სურნელი და სიყვარული (ერთად შეზავებული ეს მარადიული საკმეველი) ჯაბნის ყველა წვრილმან ვნებას, ყველა შეცდომასა და შეცოდებას. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მისი, როგორც ადამიანისა და როგორც ოსტატის ყველაზე დიდი მასწავლებელი სწორედ უპირველეს მნათობია; სწორედ მზისგან ისწავლა მან შუქრდილების ხელოვნება; სწორედ მზიური ენერგიით მოახერხა შეციებული სულების მიღება, გაგება, ნუგეისცემა და გათბობა.

მართალია ესმა ონიანი ზოგადსაკაცობრიო მასშტაბებით აზროვნებს და საუბრობს, მაგრამ ამავე დროს მის ფერწერასა თუ პოეზიაში უჩვეულო სიცხადით ამოიზრდება დედულეთის – იმერეთის აბაშიძეებისა და მამულეთის – სვანეთის ონიანების ლბილი და მკაცრი სანახები.

აბჯარასხმულ სვანურ გვარებს შორის ყველაზე ნაზი და რბილი გვარი მხვდა წილადო... ამას მხოლოდ პოეტი იტყვის, მადლობასავით იტყვის. მადლიერების გრძნობა კი ერთ-ერთი აღმაფრთოვანებელი და წარმმართველი გრძნობაა ესმა ონიანის შემოქმედებაში. მადლიერია მშობლების გამო, მისი ერთგული დაიკოს გამო, მადლიერია მეგობრების გამო, ხილვების, სიყვარულისა და სევდის გამო, მადლიერია განსაცდელებისა თუ გამარჯვებების გამო და ერთი ნუთითაც კი არ ეპარება ეჭვი, რომ ეს ყოველივე უფალმა გამოუგზავნა საჩუქრად.

მე დავიბადე ადამიანად, არაფრიდან გამოვმზიანდი, რა უბრალოა, უღალატო, როცა იტყვი – მე ვარ დიადი! მინახავს ბებუის მზემომდგარი სახე, ნაოჭებით, უფსკრულ-ღარულად; გაზაფხულზე იმოსება თეთრად შესეულ ყვავილებით, ფშუის ხე მზეში, იმგვლივ თეთრად, ყვავილთა პენტით გორაკის ფერდი გადაფარულა. საქორიასთან თქვენი საფლავი მზის და შუქის ფერფლია, ქრიან

პეპლები, ხან იქ, ხან აქ ელავენ, ანდა გადაშლილ გადასახედთან ფრთებმიტყუპებით ქარში ღელავენ

მადლიერების ცრემლით ვიცხები, ბებია და სვიმონ ბაბუა, თქვენი სხივები მაგ სიმალლიდან მაინც ჩემთან ჩამოპარულა, მიყვარხართ ვენახებო, მთვრალო რამინა, მაველიანი ბუჩქების სუნო,

„ძლოკვის“ სხლტომავ, შიგნით ფაჩუნო დატკეპნილო ბილიკებო, მზიან-კაკუნა, ნეხვო, ჭიებო, თბილი, გამხმარი პალახის ჩხვლეტავ, დამპალო ვაშლო, ჭის სახელურის სადღაც ჭრიალო, მე თქვენ მიყვარხართ, მე თქვენ მიყვარხართ...

... გაღვიძებულ ნიავე-შრიალში, – კაკლების ქვეშ თეთრად ავარდა, სუფრა იშლება ტყეცილ-დაჯვარულ დანაკეცებით, ლურჯი არშიით; მარელისის სკამებია ასკილისფერ ფეხისგულებით. როგორ არ გვშია?! ყველანი აქ ვართ, ყვავილებიან კაბებით და ნანწავ წნულებით. მე იქ მინახავს სახეებზე საღამოს მზე სისხლოვან ფერთ,

ყრუ სიძლიერე ჩამავალ სხივთა, მე იქ მინახავს ჩუმად გამოვლილს, ყვავილ-ვარსკვლავთა ლურჯი ეკლები ვენახის პირთან.

(„რა უბრალოა, უღალატო“)

ეს არის ოდა, სიხარული ადამიანად ყოფნისა. რადგან ეს სურნელოვანი მუსიკალური მეგრძნებები, ამ განცდების, განგაშებისა თუ აღტაცებების სიტყვაში მოხელთების უნარი მხოლოდ ადამიანს გააჩნია, უფრო ზუსტად – პოეზიის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს და ამიტომაცაა, რომ ესმა ონიანის მთელი შემოქმედება ღვთისადმი მადლიერების გრძნობითაა გასხივოსნებული. ამიტომაც მთავრდება ვრცელი და ფერადოვნებით სავსე ლექსი იმ ფარული მადლიერებით, რის გამოც პოეტს შეუძლია თქვას:

ასე მოჰვალობს ჩემი გული უცოდველი და უშურნელი.

ესმა ონიანი ძირითადად ე.წ. „თეთრი ლექსით“ წერს და უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი უჩვეულო, არაორდინარული (ყოველ შემთხვევაში ქართულ კრიტიკასა და ლექსმცოდნეობაში) ასეთი შემოქმედებითად ზუსტი განმარტება „თავისუფალი ლექსისა“ მე არ შემხვედრია.

„თავისუფალი ლექსი უნდა იყოს: ყოველ-ერთ-ჯერობაზე განუმეორებელი. მხოლოდ მოცემული ლექსისათვის დამახასიათებელ შიდა რიტმს დამორჩილებული, განუმეორებელი კომპოზიციის მქონე, მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაში არსებული გარეგნული-რიტმი-მელოდიით, სასაუბროდ მიუშვებელი („პროზისდამავარობამ“ ზომიერების, ფრაზის მოკვეთის გრძნობა არ უნდა დაგვიკარგოს), შიდა და უნახავი მკაცრი კანონზომიერებით მოსხეპილი და შეკრულ-ნაძერწი სხეული. თავისუფალ ლექსს უნდა ჰქონდეს ბედისწერული-რიცხვ-საზომიანობა. თავისუფალი ლექსი უნდა იყოს მაჩვენებელი ვირტუოზული საშემსრულებლო თავისუფლებისა; ის იმიტომ იწოდება „თავისუფლად“ დღევანდელ დონეზე, რომ მასში უნდა იგრძნობოდეს პოეტური ხელოვნების ყველანაირ, ყველა დროში არსებულ ხარისხთა, ყველა მხარე-ნახნაგთა შეფარული პოტენციალი. „თავისუფალ“ ლექსში არაფერი არ უნდა იყოს ქცეული დოგმად, თვით მისი თავისუფლებაც!“

ესმა ონიანის უცნაურ ლექსში „შურით ავადმყოფის სიმღერა“, მთელი დატვირთვითა და სიმძიმითაა გადმოცემული ეს საშინელი გრძნობა – ავადმყოფობა, მისგან გამოწვეული შიში და დაღლილობა. ყოვლისმომცველი და ყოვლისშთან-მთქმელი პროცესები, როცა თვალთ დანახული და გონებაში აღძრული შურის მეტასტაზები, თანდათან, ნელ-ნელა ედება მთელს სხეულს, გულს, სულს, სისხლის ყველა უჯრედს.

ვინც ესპანელი მწერლის მიგელ დე უნამუნოს ცხოვრებასა და შემოქმედებას კარგად იცნობს, მას ალბათ ემახსოვრება გახმაურებული ესეის „ესპანური შურის“ ბრწყინვალე ხორცშესხმა რომანში „აბელ სანჩესი“, რომლის პერსონაჟთა არქეტიპებად დედამიწაზე სწორედ პირველი შურით გამოწვეული ტრაგედიის გმირები, ძმები – აბელი და კაენი მოიაზრებიან.

ერთხელ თურმე, როდესაც უნამუნომ თავის მცხოვრებ კოლეგას დიდი პატივისცემა გამოუცხადა და გამოთქვა აღფრთოვანება, რომ მისთვის არასოდეს არავისადმი არ შეუტყვია შურის ნატამალიც კი, უფროს კოლეგას უპასუხია:

დღედაღამ ისე ვარ საქმეში, წერა-კითხვაში ჩაფლული, შურისთვის სადა მცალიაო.

შესანიშნავი პასუხია! უნამუნომ კი თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით დაამტკიცა, რომ „შურს ზერელე აზროვნება და შინაგანი ცხოვრების სიმწირე ბადებს“.

დიდი ესპანელი მწერლისა არ იყოს, ესმა ონიანამაც იმდენად ინტენსიური შინაგანი ცხოვრებით იცხოვრა და ისეთი სიღრმეები გაიაზრა, ბუნებრივად დაცული იქნებოდა ამ ადამიანური სენისაგან. პირიქით, შემოქმედებით მემკვიდრეობას რომ თავი დავანებოთ, მთელი მისი ჩანაწერები, სამაგიდო რეკულები, დღიურები, უბის ნიგნაკები, დაკვირვებები ადამიანებზე, მისი ცხოვრების სტილი, სხვისი ნიჭით აღფრთოვანების უნარი და ამის უშურველად გამოსატყა დასტურია იმისა, რომ არა მხოლოდ როგორც ხელოვანი, არამედ როგორც პიროვნება ესმა ონიანი ბედნიერი ადამიანი იყო. სხვათა შორის, ბედნიერების ეს განცდა გადამდებია და მისი პოეზია სწორედ ამ განცდას აზიარებს მკითხველს.

მიწიურ სიამეთა სრული შეტკობა, არგადახდილი თუ გადახდილი თავგადასავლების ფიზიკური განცდა, გარდასული დღეების, ბავშვობის და მშობელთა ახალგაზრდობის „ანაოროტქლით“ ყრუანტელდავლილი სხეულით თრობა...

იმდენად დიდია ყოველივე ამის სიყვარული და ერთგულება, რომ ესმას არ სჭირდება საგანგებო რიტუალური მზადება ე.წ. სიტუაციების შესაქმნელად. არც წარსულის ფსიქოლოგიური გაფილტვრა ყოფითი, წვრილმანი მინარევებისაგან, რათა უმთავრესი დაიჭიროს და გამოაჩინოს...

ეს ყველაფერი უაღრესად ხელოვნური და დეკორატიული იქნებოდა მისი შეუბოჭავი, ყოვლისმხედი შეგრძნებებისათვის.

ეს არც მარსელ პრუსტისეული „დაკარგული დროის ძიება“ მით უფრო, არც ამ დროის გამოტირება.

არქეოლოგიური მზადება და გარჯა მისთვის უცხოა.

აქ უფრო ნეტარებაა მედიუმისა, ეთერის ლივლივში ღვთის საჩუქრები რომ გამოატარა. ამიტომ სხვათა ჩვეულებრივი, ადამიანური ხსოვნისათვის სამარადუაზრად გამაქრალი და დაფერფლილი, ესმასთან მოულოდნელად ამოანათებს, ამოყვინთავს ყოფიერების ზედაპირზე, ისევე ბუნებრივად და მიზეზ-შედეგობრივად, ისეთივე კანონზომიერი წესრიგითა და უშუალოდ, როგორც „სამკაპა ტოტებში იასამნის დიდი თუთები“, როგორც ფარდის ხაოში ვაცრილი მზისა და მოვარაყებული ლამბაქის შეერთება...

ეს შეუღლება მუდმივია, მოუღლეელია, რადგან თავად მზის სხივია მარადიული, რომელიც საგნებს, სახეებს, სურა-

თებს, ქუჩებსა და მოგონებებს უბრალოდ კი არ ეცემა, არამედ იღუმალება შემოაქვს მათში და აკეთილშობილებს.

ჩემს ოთახში, როცა მზე ჩადის, იატაკზე აბრიალდება ერთი ბილიკი

და ბოლოს ლუის, მზე მიდის შინა, არგადამხდარის გახსენებით სინანული მოაქვს მუსიკას, დაუძინებელ, უსაფუძვლო განგაშთა ფშვინვა.

ის აქ არის, მუსიკის სვრელში, აღარ მახსოვს როგორ მანიშნებს

მთლიანი დროის დამაბრმავებელ აუტანლობას მშობლის ბურუსი შეუმჭვირვალი, მშობლის ორთქლის გამოტანება.

(„მოკლე ფიქრები 3 კონკრეტული გადახვევით“)

მთელს ლექსს, შუადღის ხვატში შედებული ჰაერივით უძრავსა და გარინდებულს, ფუტკრის ბზუილივით რეფრენად გასდევს ხილვა: „დედა გვაპურებს ტკბილი ჩაით, ღია ფანჯრებში ნარინჯისფერი მოატივტივეებს გორგორა თავებს ეკლესიათა...“

დღეს, XXI ს-ის გარიჟრაჟზე, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებში გაისმის ერთგვარი ფორმულა: „გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესები“, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო ახალი წესრიგის არქიტექტორებს კაცობრიობის ერთ თარგზე ასაჭრელად უკვე განაჩენი გამოტანილი აქვთ. ამ თვალსაზრისით მეოცე საუკუნე ოცდამეერთე საუკუნისათვის ხანგრძლივი უვერტიურა იყო.

ცივილიზაციის, სრული ტექნიზაციის სამყაროში ჩართულ ადამიანს შეგრძნებები გაურქოვანდა, სისხლი გათხელდა, საკუთარი ბიორიტმი ვერცხლისწყალივით დაეკარგა; ათასმაგად დანანევრებულს და დაშლილს უკვე ფრაგმენტების, დეტალების აღქმაც კი აღარ ძალუძს სრულყოფილად, არამცთუ ფერხითი გართხმული, თვალწინ გადაშლილი „უთვალავი ფერით“ აღსავსე სამყაროს დანახვა.

მას ეჩვენება, რომ ეს უბინო ფერადოვნება რახანია მითად იქცა, სადღაც შორეულ წარსულში, არქაულ შრეებში ჩარჩა...

და ეს ხდება იმიტომ, რომ საკუთარი სულიერი დაბერება სამყაროს დაბერებად ეჩვენება.

იმდენად შთანთქმულია კომპიუტერის ქიმიური სპექტრით, მანქანების ჯოგით, საყვირების ჭყვიტინით, ქუჩების გუგუნით და იარაღის სიმძიმით, იმდენად გასრესილი და გადაღლილი ნეგატიური ინფორმაციით, ეკოლოგიური კატასტროფებით, მინისძვრებით, მასობრივი ტერორიზმით, ძალადობითა თუ სავალუტო კურსის დამდგენი საბირჟო ფონდების ციებცხელებით, რომ ვეღარც კი წარმოუდგენია... ყოველივე ამის პარალელურად ისევე ძველებურად რომ ღამდება და თენდება, გაზაფხულს ისევე მოსდევს ზაფხული, ზაფხულს შემოდგომა, შემოდგომას ზამთარი და ასე უსასრულოდ, მარადიული, ჩვეული და უღალატო რიტმით სუნთქავს ბუნება თვიდან თვემდე, დროდან დრომდე, წლიდან წლამდე... რომ ეს სუნთქვა, სიცოცხლის ეს უანგარო ძღვენი ისევე მოთმინებით ელოდება ჭკვიან აღმომჩენს, თუმიცა აღარც ისეთი იოლი აღმოსაჩენია, რადგან მის შესატკბობად და შესარგებად მარ-



ესმა ონიანი

ტო თვალი, ყური და გონება აღარ ყოფნის ადამიანს თუ სულიერი ძალა არ აღმოაჩნდა, თუ სული წრფელი არ განიხილა (სული წრფელი განიხილეს გვაძისა ჩემსა...“ – წმ. დავით წინასწარმეტყველი.)...

ესმა ონიანის შემოქმედება ამ წრფელი სულით ნაფიქრი, ნახატი და ნამღერია. იგი იმდენად თამამი იყო, რომ სიცოცხლეშივე მიღმიური სამყაროდან გამოუხედავს. ამის უფლება უპირველეს ყოვლისა თავისი ცხოვრების წესით ჰქონდა მოპოვებული, აღარას ვამბობ უზარმაზარ ტალანტზე, რადგან სწორედ ასეთ ტალანტებს ებრძვიან ყველაზე ხშირად დემონები.

დააკვირდით, რა ყოვლისმხედი სიმშვიდით არიგებს წლების შემდეგ უდროოდ დაღუპული ვაჟი სამზეოზე დარჩენილ ქალს:

**რა მოხდა მერე? ვის არ მოსვლია,
უსიყვარულოდ ვერ გაძლებდი,
თბილ მინაზე რადგან განჩნდი,
სიყვარულით ამით დატყვევდი;
ეჭვის სიბნელე, მანდ რომ ვიყო, მაშინ მომკლავდა,
აქედან ყველა შენს სიყვარულს ასე ვხედავ –
შემოგსხდომია
ჩემდამი შენი სიყვარულის წვრილი ბარტყები!**
(„გურამის მაგიერ თქმული ლექსებიდან“.)

„რასაც შევეხები უნდა დაინყოს კიდეც და გამოვიდეს ბურუსიდან...“ ამბობს ერთგან ესმა ონიანი.

ეს დაწყება ორმხრივი ბედნიერების მომტანია მის შემოქმედებაში, რადგან ხელოვანის შეხებით ხელახლა ნაშობი სამყარო ისე გამოდის წყვილიაიდან, როგორც მთვარე შავი ღრუბლებიდან. დაინყების სიცივით შედეგული ბურუსები ურულოვას იწყებენ, სამყაროს გაფითრებულ ჰორიზონტებს სისხლივით ეღვრება მენამული ფერი... თბება, ღღვება და მორცხვად წითლდება ირგვლივ ყველაფერი.

და აი ამ წუთიდან იწყება მინიურ სიამეთა სრული შესრუტვა. ასეთი სიხარული გურამიშვილის „ქაცვია მწყემსსა“ და გოგლას პოეზიაში თუ გვახსოვს. სამყაროს სქესად დაყოფის ყოველნამიერი გამოვლინება, თავისი საოცარი შედეგებით შემოქმედებით წარმოსახვას უტოლდება, ზედმიწევნით გაფაქიზებული რომ ახარისხებს ხედვის, სმენის, ყნოსვის, გემოსა და შეხების ადამიანურ-ცხოველურ შეგრძნებებს და მათი წყალობით სამყაროს მინიური ხატები სხვა რეგისტრში, გაცილებით მაღალ განზომილებაში, ხელოვნების რანგში გადაჰყავს:

**... ამოიბნევა ალაგ-ალაგ მტევნების პეშვი,
თეთრი ციმციმით ეშვება სადღაც,
იქ ალბათ თბილი ბათქაშის სუნით ხარობს
გმინვა-ლულუნით;
აგურის ნითელ ცეცხლის უკუნი ბუდობს ორ
კიპაროსის შავ
ზურგებს უკან –
ბნელ ტვერში, მესერსა და ყრუ კედლებს შუა, რაღაც
ბალახი...
ჩამთბარ ტანსაცმლის, მიმოზების, სამხედროების
ტყავის ქამრების სუნი აქვს ნიავს.
ხის გვირგვინში, სახლ-კედლებს შორის მცირე ჩიხებში
მზე მუქდება
ჩაისფერი მძიმე სინათლით.**

ესმა ონიანის ბურუსებიდან გამონათებული სახეები რალაცით უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი პორტრეტები. ნაკვეთით გამოხატული ხასიათები თუ სულიერი განწყობილებები რალაც უფრო მეტს გვიმხევენ და გვეუბნებიან. კინემატოგრაფში ფედერიკო ფელინის ნისლის შემოტანას წააგავს ესმა ონიანის მჭვირვალე ბლონდებში გახვეული ადამიანების უეცარი შემოხედვა.

რწმენის ნაკლებობა, ეჭვი, ფილოსოფოსობა, ხშირად ხელს გვიშლის არა მხოლოდ კოსმიური სამყაროს დანახვაში, არამედ ჩვენს თვალწინ არსებული რეალობის აღქმაშიც. ესმა ონიანი პირველყოფილი უცოდველობით აღიქვამს ირგვლივთს. მისი პოეზიის კითხვისას იქმნება ძლიერი შთაბეჭდილება, რომ მისთვის ორთავ სოფლის კარი ღიაა და მისანვდომია. ამიტომ მისტიკასაც ვერ დაარქმევ პოეტის ხილვებს, იმდენად დამაჯერებლად გადმოსცემს თუნდაც გარდაცვლილი მვილის სულისა და ლარსის ქუჩაზე მიმავალი დედის სხეულის მოულოდნელ, ფიზიკურ შეჯახებას:

**შებარბაცდა, გული ტკბილად გადაუქანდა,
და მოკუმშა წამსვე უფრო მწარე ტკივილით –
მოგონების სხივად მიმილო.**

რა უცნაური განცდაა, მართლაცდა მხოლოდ სხეულისაგან განთავისუფლებულ სულს შეუძლია ასე ახსნას ეს ყველაფერი:

**აქ ამოდის საკმევლის, ვარდის, თაფლიანი ნანდილის
სუნი
– უფრო საგრძნობლად ნიავქართა აქაურ წესში
ამოსული სიყვარულის მოგვბერს მარაო –
ამსუბუქებს, ქროლვას ჩვენსას აჩქარებს;
რა გუნდი ჩანს ახალგაზრდობის?
მათგან წამოსულ ძლიერ სვეტზე
როგორც ჭავლზე ისე ვნანაობ.**

(„გურამის მაგიერ თქმული ლექსებიდან“)

გამოგნებელი, ცხადზე უცხადესი, მართალი, იმდენად მართალი და ბუნებრივია სინამდვილესთან მიღმიური დროისა და სივრცის ეს კავშირი, რომ გვერა ენერგეტიკული ველი-სა, რომლის მატარებელიცაა მომავალი თაობა, ახალგაზრდობა. ეს ენერგეტიკა, ეს უბინო და გაუნელებელი ტკობა სიცოცხლით იმდენად ძლიერია, რომ მის ტალღებზე, როგორც ჭავლზე ისე ნანაობს ჩვენგან უდროოდ წასული ჭაბუკის სული.

ესმას აქვს ერთი საოცარი ლექსი (ლექსი თუ პოემა, არც კი ვიცი რა დავარქვა) „გარდუვალი სიყვარული ქალების წყევლით“, რომლის ბადალი ალბათ იშვიათია არა მხოლოდ ქართულ პოეზიაში. წყევლად დამდგარი პირქუში ქალები ქვის უდაბნოში თითქოს თავადაც ქვებად ქცეულნი მუხლებზე დაცემულან და წარმართული გახელებით შესთხოვენ ქვის სულებს მოლაღაბე ქმრების დასჯას, მათი მომჯადოებელი სატრფოს დანაცვრას...

ვწერ ამ სტრიქონებს და ვაცნობიერებ უსუსურ მცდელობას როგორმე გადმოვცე ამ ლექსის შემადრწუნებელი ტრაგედია. ამაო მცდელობაა, რადგან სიუჟეტთან ერთად ეს ლექსი თავისთავში ერთდროულად იკრებს და იტევს ყველა შეყვარებული და მიტოვებული ქალის ენერგიას კოსმოსში განფენილს. საშიში და ავბედითია ეს შეკრება, როგორც მედეას სისხლიანი გაგიჟება. მთელი პოემის მანძილზე წყევლა გადმოსჩქევს უფსკრულებიდან შავ ჩანჩქერებად, შავი მარგა-

ლიტი თოვს ამოღამებული თვალებიდან და გაშლილი თმის ძაძათა ფონზე დემონებთან შეკრული ავბედითი შურისძიების მწარე შხუილები მოისმის.

დიდხანს ვუვლიდი ამ ლექსს გარშემო როგორც ციხე-სიმაგრეს. ყოველი მომდევნო წაკითხვის მერე ერთდროულად იხსნებოდა და იკეტებოდა მძიმე ურდულებით ამ შავ-კოშკის ასობით კარი...

ბოლოს ისევ ესმას ჩანანერმა მიშველა:

„ოქვენ მე ვერ მიპოვით ბზარს (როდესაც მე დარწმუნებული ვაკონტროლებ სათქმელს), ვერსაიდან შემომეღვრებით, ისეა აგებული ჩემი სათქმელის რაობა, ვერ მიენებებით, მიემატებით, ვერ შეიჭრებით, ვერ პოულობთ ნაწიბურს, რომელიც მისი გადახსნის საშუალებას მოგცემდათ; მთლიან-სხლტომადია, ორგანულობით შერწყმული ობიექტურობასთან. იგი არავითარი (აღამიანური) მიზნით არ არის ნათქვამი,

გარდა იმისა, რომ ემსახურება თავის თავს, თავის გარდაუვალ ობიექტურ ქეშმარიტებას (არა, ისე თქმა ყველაფრის შეგიძლიათ, წარმოსახვითი დაფუნა, მაგრამ, გასაგებია, ეს სინამდვილის შესაბამისი არ იქნება)“.

ყველაზე ობიექტური და ზუსტი შეფასება საკუთარი პოეზიისა ალბათ მასვე ეკუთვნის ამ საოცარ შემოქმედსა და უმშვენიერეს ქალბატონს.

„ნამდვილ ნიჭიერებას არ ეშინია იყოს ისეთი, როგორც არის და არაფრით არ შეიცვლება იმის მიხედვით, თუ ვინ რას იფიქრებს მასზე“. ამ სიტყვებით თავად ესმა ონიანის დახასიათება შეიძლება უპირველესყოვლისა.

მე კი ისლა დამრჩენია კიდევ ერთხელ გამოვხატო აღფრთოვანება ამ დიდი ხელოვანის მისამართით, რომელმაც იცხოვრა იმიტომ, რომ ვყვარებოდი და ნავიდა იმიტომ, რომ აღმოგვეჩინა.

უცხოური ნოველა

ოქტავიო პასი

ჩემი ცხოვრება ტალასთან



ზღვიდან რომ ვბრუნდებოდი, ერთი ტალა სხვეს გამოეყო. მაღალი იყო და მსუბუქი. მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენები მოტივტივე კაბაზე ებლაუჭებოდნენ და მის შეჩერებას ცდილობდნენ, მკლაფზე ჩამომეკიდა და ხტუნვა-ხტუნვით გამოიმყვა. ველარაფერი ვუთხარი, არ მინდოდა მეგობრების წინაშე შემერცხვინა. თანაც, უფროსების მკაცრმა გამოხედვამ შემაშინა.

როცა სოფელში მივედი, ვუთხარი, რომ ქალაქში ცხოვრება ის არ იყო, ზღვაში გაზრდილ უცოდველ ტალას რომ ეგონა. სერიოზულად გამომხედა, გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა და უკან დაბრუნებას არ აპირებდა. მისი დაყოლიება ვცადე, ჯერ ტკბილად, შემდეგ მკაცრად, ირონიით. ის ტიროდა, ყვიროდა, მეფერებოდა, მემუქრებოდა. ბოდიშის მოხდა დამჭირდა. ჩემი ტანჯვა მეორე დღიდანვე დაიწყო. „როგორ ავიდეთ მატარებელში ისე, რომ კონდუქტორმა, მგზავრებმა და პოლიციამ ვერ დაგვინახონ?“ მართალია, კანონმდებლობა არაფერს ამბობდა ტალაების ტრანსპორტირების შესახებ, მაგრამ სწორედ ეს მაფიქრებინებდა, რომ მკაცრად დავისჯებოდი.

ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ სადგურზე მივედი და ჩემი ადგილი დაიკავე. როცა არავინ მიყურებდა, მგზავრებისათვის განკუთვნილი წყლის ავზი დავცალე და ფრთხილად გადავასხი მასში ჩემი მეგობარი.

პირველი ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ჩვენთან ერთად ვაგონში მყოფმა ბავშვებმა გამოაცხადეს – საშინე-

ლად გვწყურიაო. სასწრაფოდ ლიმონათები და წვენები შევთავაზე. ის-ის იყო დავითანხმე, რომ კიდევ ერთი მოწყურებული გამოჩნდა. დავპატიჟებდი, მაგრამ მისმა თანმხლებმა შემაჩერა. ქალბატონმა ქალაღდის ჭიქა აიღო, წყლის ავზს მიუახლოვდა და ონკანი გახსნა. ჭიქის გავსება რომ დაიწყო, ერთი ნახტომით მასსა და ჩემს მეგობარს შორის გაეჩნდი. ქალი გაოცებული შემომცქეროდა. სანამ მე ბოდიშებს ვიხდიდი, ერთ-ერთი ბავშვი ავზს მიუახლოვდა და გახსნა სცადა. ონკანი მყისვე გადავკეტე.

ქალმა ჭიქა ტურქებთან მიიტანა, წყალი მოსვა და დაიძახა: „წყალი მარილიანია!“ ამას ბავშვების გამოძახილი მოჰყვა. ვილაცხები ფეხზე წამოდგნენ. ქმარმა კონდუქტორს დაუძახა: „ამ კაცმა წყალში მარილი ჩაყარა!“ კონდუქტორმა ინსპექტორი მოიყვანა: „რატომ ჩაყარეთ ექსტრაქტი წყალში?“ ინსპექტორმა თავის მხრივ პოლიცია გამოიძახა: „რატომ ჩაყარეთ სანამლავი წყალში?“ პოლიციამ კაპიტანს ამცნო: „რატომ წამლავთ ხალხს?“ კაპიტანმა სამი აგენტი იხმო და მგზავრების მზერისა და ჩურჩულის თანხლებით ცალკე ვაგონში გამიყვანეს. პირველსავე სადგურზე ჩამომავდეს და კინისკვრით წამიყვანეს ციხეში. დღეები ისე გადიოდა, ხმას არ ვიღებდი, მხოლოდ დაკითხვებზე ვლაპარაკობდი. ჩემი არავის სჯეროდა, ციხის ზედამხედველიც კი თავს აქნევდა და ამბობდა: „მძიმე შემთხვევაა, ბავშვების მონამვლა გინდოდათ, არა?“ ერთ საღამოს პროკურორთან მიმიყვანეს. „ეს ძალიან ჩახლართული საქმეა, ამიტომ მოსამართლე პენალს უნდა გადავცე“. ასე გავიდა ერთი წელი. ბოლოს, როგორც იქნა, გამასამართლეს. მონქეების არარსებობის გამო მსუბუქი სასჯელი მომისაჯეს და ცოტა ხანში ჩემი თავისუფლების დღეც დადგა. ციხის უფროსმა თავისთან დამიბარა და მითხრა: „თავისუფალი ხარ, შენი ბედი, რომ რამე უბედურება არ მოხდა, მაგრამ

იცოდე, შემდეგში ასე იოლად ველარ გამოძვრები – და ისეთივე სერიოზული სახით შემომხედა, როგორც დანარჩენები მიყურებდნენ.

იმავე საღამოს მატარებელში ჩავჯექი და რამდენიმესათიანი უსიამოვნო მგზავრობის შემდეგ უკვე მექსიკაში ვიყავი. მკერდში ისეთი ტკივილი ვიგრძენი, თითქოს გაცივების ტალღა მთელი ძალით მეხეთქებოდა გულზე: ჩემი მეგობარი იქ იყო, იცინოდა და მღეროდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. „აქ როგორ გაჩნდი?“ – შევეკითხე. „ძალიან მარტივად, მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ მარილიანი წყალი ვარ მხოლოდ, ლოკომოტივში გადამასხეს. ძალიან შფოთიანი მგზავრობა გამოვიდა: ხან ორთქლმავლის თეთრი კვამლი ვიყავი, ხანაც წვრილ წვიმად ვეცემოდი მანქანებს, სულ ჩამოვდნი, უამრავი წვეთი დავკარგე. მისმა იქ ყოფნამ ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ბნელ და დამტვერილ სახლში მოულოდნელად ჰაერი და მზე შემოიჭრა, ყველაფერი სიხარულით, ჩურჩულით, მწვანე და ცისფერი ლანდებით, ათასფერი ანარეკლითა და ექოებით გაივსო.

გასაოცარია ტალღის შესაძლებლობები. უამრავი პატარა ტალღა ზღვის სანაპიროს, კლდეებს, წყალგამყოფებს, მკერდს და შუბლს თეთრი ქაფის გვირგვინით ამკობს. ყველაზე მიუწვდომელ მტვირინ კუთხეებს და ნანგრევებსაც კი წვდება მისი მსუბუქი ხელები. ირგვლივ ღიმილი იღვრებოდა და აქა-იქ ქათქათა თეთრი კბილები ბრწყინავდნენ. მზე სიხარულით შემოდოდა და საათობით რჩებოდა ძველისძველ ოთახებში, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხნის წინათ დაეტოვებინა სხვა სახლები, უბნები, ქალაქები, ქვეყნები. განცვიფრებული ვარსკვლავები ხედავდნენ, როგორ ტოვებდა მზე მალულად ჩვენს სახლს ღამლამობით. სიყვარული თამაში იყო, ყოველწამიერი შემოქმედება. პლიაჟის, ქვიშისა და საბნების ნაზი სურნელების გარდა თითქოს აღარაფერი არსებობდა ჩვენს ირგვლივ. მე მას ვეხვეოდი, ის კი წარმოუდგენლად ტანადი სხეულით ისე აღიმართებოდა ხოლმე, როგორც ჭადრის თხევადი სვეტი.

დროდადრო ეს სინატიფე თეთრ ბუმბულთა ყვავილებს ისხამდა, სიცილის ჩანჩქერად მეღვრებოდა თავსა და მხრებზე და სითეთრეში მძირავდა. ხანაც იგი უსასრულო ჰორიზონტად იჭიმებოდა ჩემს თვალწინ. ამ დროს მეც უსასრულო მდუმარება ვხდებოდი და, სავსე და მოლივლივე, მის მუსიკასა და უზარმაზარ ბაგეებში ვეფლობოდი. მასთან ყოფნა ალერსის, ჩურჩულისა და კოცნის მუდმივი მიმოქცევა იყო. შევდიოდი მის წყლებში, სანახევროდ ვიძირებოდი, თვალებს ვუხედავდი და უცნაურად დაკიდებული უცებ თავბრუდამხვევ სიმაღლეზე აღმოვჩნდებოდი ხოლმე, საიდანაც დასანარცხებლად განწირული, ბუმბულივით


მსუბუქად ვემვებოდი დაბლა. ვერაფერი შეედრება მოლივლივე წყალზე ჩაძინებას, როცა სიხარულის უამრავი მსუბუქი დარტყმა გავლიძებს და შემდეგ სწრაფად გშორდება კისკისით.

მაგრამ ვერაფრით ჩავწვდი მის არსს, ვერ შევძელი მის სასიცოცხლო კვანძს შევხებოდი. იქნებ ტალღას არც აქვს ის სუსტი წერტილი, რაც ქალს უბრალო მოკვდავად აქცევს. არ აქვს ის პატარა ელექტროლილაკი, სადაც ყველაფერი თავს იყრის, იხლართება და იძაბება, რათა შემდეგ ერთბაშად დაიცალოს. ისიც, როგორც ქალი, თავის გრძობებს რხევებით გადმოსცემს, მაგრამ ეს რხევები შიგნით კი არ არიან მიმართულნი, არამედ გარეთ. ისინი ყველა ჯერზე სულ უფრო შორს აღწევდნენ და საბოლოოდ სხვა ასეტრალებს ეხებოდნენ. მისი სიყვარული მიღმურთან შეხება იყო, იმ ვარსკვლავებთან ერთად ციმციმი, რომელთა არსებობა არც კი გვჯეროდა. მისი ცენტრი კი... არა, მას ცენტრი არ გააჩნდა, ეს უზარმაზარი სიცარიელე იყო, რომელიც ქარბორბალასავით ნელნელა მითრევდა და მახრჩობდა.

ერთმანეთისკენ ვისწრაფოდით, ნდობას, ჩურჩულსა და სიცილს ვუზიარებდით ერთმანეთს. ის ოვალურ ფორმას მიიღებდა ხოლმე, გულზე მეცემოდა და ათასგვარ ხმაურად იტოტებოდა. ყურთან ზღვის ნიჟარის სიმღერა ჩამესმოდა.

როცა მორჩილი და გამჭვირვალე ხდებოდა, ჩემს ფხვებთან მოთავსებული პატარა ცხოველსა ჰგავდა. ისეთი სუფთა იყო, ყველა მისი აზრის ნაკითხვა შემეძლო. ხანდახან, სიბნელეში, კანი ფოსფორით ეფარებოდა და მისი შეხება ისეთივე სახიფათო იყო, როგორც ცეცხლის სვირინგი ღამის ნაგლეჯზე. ამ დროს შავი და მწარე ხდებოდა, მოულოდნელად ღმუილს იწყებდა, ოხრავდა, იკრუნჩხებოდა. მისი კვნესა მეზობლებს აღვიძებდა. ამ ხმის გაგონებაზე ზღვის ქარი სახლის კარებს კანრავდა და ხმამალალი გმინავით აწყდებოდა სახურავს. ღრუბლიან დღეებს წყობიდან გამოჰყავდა: ამტვრევდა ავეჯს, უხეშობდა, ლანძღვდა მონაცხრისფრო-მომწვანო ქაფით მფარავდა. იფურთხებოდა, ტიროდა, იფიცებოდა, იწყევლებოდა. შემდეგ კი მთვარე, ვარსკვლავები და სხვა სამყაროებიდან არეკლილი შუქი მთლიანად უცვლიდა ხასიათსა და იერს, და ეს ცვლილება ისეთივე ფანტასტიკური მეჩვენებოდა, როგორც ზღვის მიმოქცევა.

მარტოსულობაზე ჩიოდა. სახლი ნიჟარებითა და აფრიანი გემებით ავავსე, რომელთაც დაუნდობლად ძირავდა აბობოქრების ჟამს, იმ გემებთან ერთად, ოცნებებით დატვირთულნი, ყოველ ღამე რომ გამოდიოდნენ ჩემი შუბლიდან და მის ავბედით, ხანაც კი მოხდენილ მორევებში ინთქმეოდნენ. რამდენი პატარა საგანძური დაიკარგა ამ



მხატვარი მამუკა ცეცხლაძე

დროს! მაგრამ მას არც ჩემი გემები ყოფნიდა და არც ნიჟარათა ჩუმი სიმღერა. უნდა ვაღიარო, ვერაფრით ვეგუებოდი, როცა ისინი ჩემს მეგობარში დაცურავდნენ, ეალერსებოდნენ მის მკერდს, მის ფეხებს შორის იძინებდნენ და თმას ათასფერი ელვარებით ურთავდნენ.

მათ შორის იყვნენ განსაკუთრებით ბოროტი და საძაგელი თევზებიც, ნამდვილი აკვარიუმის ვეფხვები. დიდი, მოშტერებული თვალებით და სისხლისმსმელი პირით. ვერაფრით გამიგია, ჩემს მეგობარს მათთან თამაში ასე რატომ სიამოვნებდა. მოურიდებლად მაგრძობინებდა მათ უპირატესობას, ამის მიზეზის დასახელებას კი შეგნებულად ვკერიდები. დღეებს ამ საშინელ არსებებთან ჩაკეტილი ატარებდა.

ერთ დღესაც ველარ მოვითმინე, კარი შევამტვრიე და თავს დავესხი. მოუხელთებელი, უსხეულო არსებები ხელიდან მისხლტებოდნენ, ის კი ამ დროს ხარხარებდა და გამეტებით მირტყამდა ნაქცევამდე. ვიგრძენი, რომ ვიხრჩობოდი. ლამის სიკვდილის პირას ვიყავი, როცა ერთიანად გალურჯებული ნაპირზე გამომრია და კოცნა დამიწყო. სიამოვნებისგან თვალები დამეხუჭა, მისი ტკბილი ხმა კი დამხრჩვალთა მშვენიერ სიკვდილზე მიაბობდა.

გონს რომ მოვეგე, შევშინდი და შევიძულე. გავისხენე ჩემი უყურადღებოდ მიგდებული ცხოვრება. მეგობრებთან სიარულს მოვუხშირე და ძველი ურთიერთობები აღვადგინე. ახალგაზრდობისდროინდელ მეგობარ ქალს შევხვდი, დავაფიცე, რომ არ გამთქვამდა და ჩემი ტალღასთან ცხოვრების ამბავი მოვუყვიე. ქალზე ხომ ისე არაფერი მოქმედებს, როგორც კაცის გადარჩენის შესაძლებლობა.

ჩემმა მხსნელმა მთელი თავისი ხელოვნება გამოიყენა, მაგრამ რა შეეძლო უბრალო ქალს, განსაზღვრული რაოდენობის სხეულისა და სულის პატრონს იმ არსებასთან შედარებით, რომელიც გამუდმებით იცვლებოდა და თანაც ყოველთვის ერთგული რჩებოდა თავის უწყვეტი მეთამორფოზისა. ამასობაში ზამთარი დადგა. ცა განაცრის-

ფრდა. ქალაქს ათოვდა. გაყინული წვიმა მოდიოდა. ჩემი მეგობარი ყოველ ღამე ყვიროდა, დღე კი გარიყული იყო, ავბედით სიჩუმეს მოეცვა მისი არსება. ერთსა და იგივე მარცვალს ცრიდა კბილებში, როგორც კუთხეში მიმჯდარი დედაბერი. გაცივდა. მასთან ძილი დროის კარგვა იყო – იმის შეგრძნება თუ როგორ თანდათან იყინება სისხლი, ძვლები, ფიქრები. სულ უფრო და უფრო შეუვალი და გულჩათხრობილი ხდებოდა. ხშირად და ხანგრძლივი დროით დავინწყე სახლიდან გასვლა. ის გამუდმებით ღმუოდა თავის კუთხეში. რკინის კბილებითა და შხამიანი ენით ღრღნიდა და ფშვნიდა კედლებს. ღამეებს ჩემს ბრალდებებში ათენებდა. გრძელი ღამეებისა შავ ღრუბლებში დაცურავდა, ძილში კომპარებს ხედავდა და მზესა და დიდ ყინულის მთებს ესაუბრებოდა. მეჩხუბებოდა, მლანძღავდა და იცინოდა. სახლს ხარხართა და ფანტომებით ავსებდა. სიღრმეებიდან ბრმა და სასტიკ ურჩხულებს უხმობდა, ელექტრობით დამუხტული ყველაფერს ფერფლავდა. მისი ტკბილი მკლავები ჩემს დასახრჩობ თოკებად იქცნენ. მისი სხეული მოქნილი მომწვანო მათრახი იყო, რომელიც შეუჩერებლად მირტყამდა...

გავექეცი. ბოროტი თევზები ავბედითად იცინოდნენ. მთაში, მაღალ ნაძვებსა და ხეებს შორის თავისუფლების ცივი და სუფთა ჰაერი ჩავისუნთქე. ერთი თვის შემდეგ უკან დავბრუნდი. ჩემი გადანყვეტილება ურყევი იყო. ისე ციოდა, რომ ბუხრის მარმარილოსთან ჩამქრალი ცეცხლი და ყინულის ქანდაკება დამხვდა. მის სილამაზეს ჩემზე არ უმოქმედა. დიდ ბრუნვის ტომარაში ჩავავადე, გარეთ გავედი და ერთ-ერთ გარეუბნის რესტორანში ჩემს ნაცნობ მეზუფეტეს მივყიდე. მან იგი მყისვე დატეხა პატარ-პატარა ნაჭრებად და ფრთხილად ჩაალაგა კუბებში, რომლებსაც ბოთლების ჩასაცვივებლად იყენებენ.

ესპანურიდან თარგმნა ქეთი ჯიშიაშვილი

ოქტავიო პასი დაიბადა მექსიკაში 1914 წელს. მამამისი წარმოშობით ესპანელი

იყო, დედა კი – მექსიკელი ინდიელის სისხლით. ამბობდა, რომ ყოველთვის გრძნობდა საკუთარ თავში განსხვავებულ კულტურებს. 1937 წელს გადაწყვიტა თავი ლიტერატურისთვის მიეძღვნა და ლიტერატურული ჟურნალი დააარსა, ერთი წლის შემდეგ გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული „ველური მთვარე“.

1937 წელს ესპანეთში მიემგზავრება რესპუბლიკური მთავრობის მხარდასაჭერად და ანტიფაშისტ მწერლებს უერთდება. სამშობლოში დაბრუნებული ორ ლიტერატურულ ჟურნალს აარსებს.

ორმოცდაათიან წლებში აქვეყნებს ოთხ ფუნდამენტურ ნივთს: „მარტოობის ლაბირინთები“ – სადაც ასახულია მექსიკის საზოგადოების ავტორისეული ხედვა; „ლირის რკალი“ პოეტიკის შემუშავების ყველაზე გულმოდგინე მცდელობა; „არნივი და მზე“ – პროზა, სიურეალისტური გავლენით; „მზის ქვა“ კი თანამედროვე ლათინოამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია.

1962 წლამდე მოგზაურობს იაპონიასა და ინდოეთში, ამავე წელს ნიშნავენ მექსიკის ელჩად ინდოეთში.

1963 წელს ლებულობს პოეზიის საერთაშორისო პრემიას.

მთარგმნელისაგან

1968 უარს ამბობს ელჩის თანამდებობაზე, რითაც გამოხატავს პროტესტს მთავრობის მიერ ახალგაზრდების დახოცვის გამო.

1980 მას ჰარვარდის საპატიო პროფესორად ირჩევენ.

1981 წელს ლებულობს სერვანტესის პრემიას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდოა ესპანურენოვან ლიტერატურულ სამყაროში.

1990 წელს ხდება ნობელის პრემიის ლაურეატი.

ოქტავიო პასი პოეტი და ესეისტიკა. მას დაწერილი აქვს ნიგნები ხელოვნების, ლიტერატურის, პოეტიკის, ასევე მექსიკური ისტორიის, პოლიტიკისა და კულტურის შესახებ.

მისი პოეზია განმსჭვალულია რწმენით, რომ „პოეზია თანამედროვეობის საიდუმლო რელიგიაა“. ელიოტ ვაინბერგერი მასთან დაკავშირებით წერს: „მსოფლიო რევოლუცია სიტყვის რევოლუციაა, და არც ერთი არ იარსებებდა, რომ არა სხეულის რევოლუცია: ცხოვრებაც, ხელოვნების მსგავსად, ფიქრისა და სხეულის, ადამიანისა და ბუნების, „მე“-სა და „სხვის“ დაკარგულ მითიურ ერთიანობასთან დაბრუნებაა“. მისი პოეზია შექმნილია ყოველდღიური დაძაბულობის განუწყვეტელი ვიბრაციის ფონზე. გარდა ამისა, მას დაწერილი აქვს ნიგნები ხელოვნების, ლიტერატურის, პოეტიკის, ასევე მექსიკური ისტორიის, პოლიტიკისა და კულტურის შესახებ.

* * *

კატონ უფროსის დაჟინება ჰანიბალის ფიცის მსგავსად შემორჩებოდა მსოფლიო მეტაფორისტიკას.

ისე, თუ რაიმე უპირისპირდებოდა ერთმანეთს, ეს ფიცი და ეს დაჟინება.

ჰანიბალს აღეთქვა სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე მამისათვის, თვითონაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე რომ იბრძოლებდა რომის სამხედრო ექსპანსიის წინააღმდეგ, რათა კართაგენს ერთხელ და სამუდამოდ მოესვენა მძვინვარე მტრისაგან.

კატონ უფროსი კი სენატში გაუთავებლად გაიმეორებდა: კართაგენი უნდა დაინგრესო. მისი ეს ფრაზა ხან სხვა ვერსიითაც მოჰყავთ: კართაგენი არ უნდა არსებობდესო.

ეს ორი სწრაფვა შესჭიდებოდა ერთმანეთს და ბოლოს მაინც რომის იმპერია იძვალავრებდა და კართაგენს ამოშლიდა საკაცობრიო ცხოვრებიდან, მხოლოდ ისტორიულ ქრონიკებში დაუტოვებდა ადგილს, იმასაც შეკვეცილს.

კატონის უღმობელ დაჟინებასაც გამოელო თავისი ნაყოფი და მისი ეს ფრაზა, უფრო იმ სახით: კართაგენი უნდა დაინგრესო, – ხშირად განმეორდებოდა რუსეთის იმპერიის რღვევის გარიჟრაჟზე. ახლოვდებოდა გამოხსნის ჟამი და პათეტიკურ წამოძახილებში კატონ უფროსის დაჟინებაც გამოისმოდა.

„კართაგენში“ რუსეთის იმპერიას გულისხმობდნენ და... გაუგებარი ჩანდა ასეთი გაიგივება. ისტორიული პარალელის მონაცვლეობა სულ სხვაგვარად წარმოსახავდა კართაგენ-რომის დაპირისპირების გადმოტანას ახალ დროებაში. რომს რუსეთის იმპერია შეესატყვისებოდა, კართაგენს – საქართველო, როგორც იმპერიული ხუნდებისაგან თავდახსნის მოსურნე.

და რა გამოდიოდა:

წამოძახილთა ავტორების სურვილის საწინააღმდეგოდ, სიბრტყეები უნუგემოდ არეულიყო და მოთხოვნა უნებლიეთ საქართველოს დანგრევას იგულისხმებდა.

ამიტომაც სხვაგვარად უნდა თქმულიყო ჩვენს რეალობაში:

კართაგენი არ უნდა დაინგრეს.

ანდა მისი ვარაუდული სახესხვაობა:

კართაგენმა უნდა იარსებოს.

კატონი იმპერიის ძლიერებას იცავდა, ჩვენ თავისუფლებისაკენ სწრაფვა უნდა დაგვეცვა.

დაახლოებით ისე გამოდიოდა, ვაჟა-ფშაველას ნოველის სათაური – „ამოდის, ნათდება!“ იმჟამად სწორედ თავისუფლებისაკენ სწრაფვას რომ გაუიგივდა და მეორდებოდა და მეორდებოდა, როგორც წყვდიადის გაფანტვის მეტაფორა, როგორც დამოუკიდებლობის ჰიმნის სახელწოდება. და ვერაფრისდიდებით ვერ აეხსნა არჩილ სულა-

კაურს: რა ხდება, ასე როგორ დაინწყებიათ ვაჟას ნოველის შინაარსი ანდა ხელახლა გადაკითხვა რატომ დაზარებიათო. პუბლიცისტურ სტატიასაც გამოაქვეყნებდა: ეს გამოთქმა ნოველის ფინალში სულ სხვას გულისხმობს, იმედიანს კი არა, თავზარდაცემულ შეძახილს – მგლებს, ის-ისაა თავიანთი მეთაური რომ შესანსლეს, აძრწუნებთ მზის სხივების გამოჩენა და უკანმოუხედავად გარბიან, რათა უზენაეს მნათობს დაემალონო.

ასე რომ:

„ამოდის, ნათდება!“ მაშინ კი არა, მას შემდეგ უნდა თქმულიყო, როდესაც თანამომენი ჩარლზ პარნელივით ნაწილ-ნაწილ დაგლეჯდნენ ზვიად გამსახურდიას... და გამოთოვებ ქარს შეერეოდა მისი ამო ვედრება: ნუ ჩამაგდებთ რუსი მგლების ხელშიო...

არა, კართაგენი არ უნდა დანგრეულიყო. და თუმც ნანგრევებში მოგვაცოლებდნენ, არსებობის შეწყვეტას ეს ჯერ მაინც არ ნიშნავს და ეს ნანგრევები სამუზეუმო ექსპონატებად კი არ შემორჩება ისტორიას, არამედ სახელმწიფოებრიობის ხელახალი აღდგენის დასაწყისად.

... ისე, თუ მაინცდამაინც კატონ უფროსის გახსენება მოგვედომებია, რაღა ამ ერთ ფრაზას ჩაეჭიდებივართ და მისი შინაარსი ვერც გავგვიგია, იქნებ სხვა ხატოვანი თქმანიც გავგვესწებებინა პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიებიდან“.

ვთქვათ:

„მოქალაქენო, ძნელია ელაპარაკო კუჭს, რადგანაც ყურები არ ასხია“.

ან, თანამემამულეთა გაკიცხვა, თანამდებობებზე ერთსა და იმავე პირებს რომ ირჩევდნენ:

„თქვენი აზრით, ეს თანამდებობები ან ვერაფერი დიდი ღირსებაა, ან არცთუ ბევრი ვინმეა მათი ღირსი“.

ანდა:

„შეყვარებული კაცის სული სხვის სხეულში ბინადრობს“.

ან კიდევ:

„შენთან ბრძოლა არ ძალმიძს, რადგანაც ლანძღვა-გინებას ადვილად ისმენ და თვითონაც თავქარიანად ილანძღები; მე კი არც ვინმეს გალანძღვა მგერის სიამეს და არც მის მოსმენას ვარ ჩვეული“.

ფრაგმენტები სხვაც ამოიკრიბება, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმართო მისი გონების სიმახვილისა და პოეტურობის (შეყვარებული კაცის სულის ადგილს ასე ზუსტად, აბა, რანაირად განსაზღვრავდა!) დასტურად. ჩვენ კი: კართაგენი უნდა დაინგრესო. არა, კართაგენი არ უნდა დაინგრეს.

... ნუ ჩამაგდებთ რუსი მგლების ხელშიო, – ივედრებოდა ზვიად გამსახურდია.



* * *

კარლო ფაჩულიას სულ ჰგონია, რომ ერთი სვლა აკლდება, თორემ პარტიას აუცილებლად მომიგებდა.

ერთი სვლა, ერთადერთი.

და გაოგნებულია, რომ ყოველთვის იმ ერთი სვლით ვასწრებ. მაინც სად აღმომაჩნდება ხოლმე!..

– ვიგებდი, – სულ ამას ჩივის, – ვიგებდი და!..

ერთხელ ალექსანდრე ალიოხინი არგენტინაში ერთდროული თამაშის სეანსს მართავდა. უეცრად ერთ-ერთი მეტოქე აღტაცებული წამოიძახებს:

– მასტრო, სამ სვლაში შამათი გაქვთ!

– გილოცავთ, სენიორ, – მიუგებს ალიოხინი, – ოლონდ ღმერთმანი ძალიანაც ნუ აღელდებით: ჯერ მე გაშამათებთ ორ სვლაში.



შარჟები
კარლო ფაჩულიასი

ვინ იცის, ის ფიქრი და ოცნება სჯობდა.

– ერთი, ერთადერთი სვლა მაკლდება, – ძალიან განიცდის კარლო.

როგორ გინდოდა დაგერწმუნებინა ჭადრაკის ის უსახელო მოყვარული, რომ მსოფლიო ჩემპიონს ის სვლა შემთხვევით არ აღმოაჩნდა.

ალბათ როგორ განიცდიდა და გაუთავებლად დაიჩივლებდა ახლობლებში: ერთი სვლა დამაკლდა, ერთადერთიო...

ოლონდ ეს ამიხსენით, კარლოსა და ჩემმა თამაშმა ალიოხინი რატომ უნდა გამახსენოს.

იქნებ იმიტომაც, რომ როგორც ყველა ბავშვს, მეც ოდესღაც ეჭვი არ მეპარებოდა, მსოფლიო ჩემპიონი გავხდები-მეთქი.

* * *

ნოდარ ალანია იკვლევდა ქართულ პოემასა თუ აკაკი წერეთლის იუბილის, როგორც უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოვლენის, გარემოებებს, იკვლევდა 1832 წლის შეთქმულებასა და მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრის სოლომონ რაზმაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას... მაგრამ ისე მოხდება, რომ მისი სახელი ყველას უპირველესად მაინც მოაგონებს იმ უჩვეულო კოლექციას, ვირების გამოსახულებებს რომ აგროვებდა დიდი მონდომებით და უამრავ ექსპონატსაც მოუყრიდა თავს, ერთიერთმანეთზე შთამბეჭდავს, მთელი კოლექცია კი იუმორითა და სიხალისითაც სუნთქავდა და დრამატული ელფერიც გადაჰკრავდა.

საიდუმლოს, თუ რამ წამოაწყებინა ეს ორიგინალური კოლექცია, სამარეში ჩაიტანდა.

ამჯერად მისი ცხოვრების ის დღეები გავიხსენოთ, აგვისტოს მცხუნვარებად რომ იწოდებოდა და მისაღები გამოცდებით ამღელვარებულიყო.

ნაცნობ-მეგობრები მისი გულისხმიერების იმედად იყვნენ და ისიც დაუზარლად შველოდა მათ შვილებს, უადვილებდა გამოცდებს და ის უხაროდა, ისეთ ოჯახებში

არიან გაზრდილები, წიგნისა და ხელოვნების სიყვარული ბავშვობიდანვე ჩაენერგათ და ოჯახური გარემო ადრე თუ გვიან სასიკეთოდ იჩენს თავსო.

ოჯახიშვილობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რევაზ მარგინისა არ იყო, ვინც თუ ვინმეზე იტყოდა: ოჯახშია გაზრდილიო, – მისთვის ეს უმაღლეს შეფასებას ნიშნავდა.

უადვილებდა გამოცდებსო...

ყმანვილები კი შინ რომ ბრუნდებოდნენ და მშობლებს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ, თან საყვედურსაც ჰკადრებდნენ: რა იყო, რატომ შეწუხდით საგნის „ჩასაწყობად“, საპროტექტორო რა გვჭირდა, ყველა კითხვას უშეცდომოდ ვუპასუხეთო.

ეს ხმები ნოდარ ალანიამდეც რომ მიღწევდა, სიცოცხლე ვერ შეიკავებდა და ანეკდოტით გაიმეორებდა:

– უპასუხებდნენ, აბა, რა იქნება, როდესაც ეკითხები: რისი ტყაოსანი დაწერა შოთა რუსთაველმა? ანდა: რა ჰქვია აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ მთავარ გმირს?

ჩვენ რა „ჩანყოზა“ გვინდოდაო, – წყრებოდნენ აბიტურიენტები.



ნიკოს კაზანძაკისის „აღსარება ბრეკოსთან“

ნიკოს კაზანძაკისის მხატვრულ-დოკუმენტური ქმნილება „აღსარება გრეკოსთან“ ის მოვლენაა ქართულ სალიტერატურო ცხოვრებაში, რომლის მიყრუებაც უპატივებელი იქნებოდა ჩვენი კრიტიკოსთათვის. ჩვენი მხრივ საჯარო განხილვით გამოვცხადებთ, რომელიც მოკლე, ტევადი შესავალი სიტყვით გახსნა **მაია ჯალიაშვილმა** და მწერალზე უფრო სრული წარმოდგენის შესაქმნელად ჯერ მთარგმნელს – **თამარ მესხს** – დაუთმო ასპარეზი:

„ვინც ამ ნიგნს გაეცნობა, ძალიან ბევრ რამეს გაიგებს მისი ბავშვობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ამ ნაწარმოებს ბიოგრაფიულ რომანს ვერ დავარქმევთ; ამის შესახებ ავტორიც წერს შესავალში. თვითონ მან რომანი უწოდა ამ თხზულებას, მაგრამ რომანის ჟანრშიც ვერ თავსდება. შეიძლება ითქვას, ეს ყოველი ჩვენგანის ბიოგრაფიაა... იმიტომ, რომ, როცა ამ ნიგნს გავეცანი, ძალიან იმოქმედა ჩემზე და ისეთი განცდა მაქვს, რომ მე კი არ ვთარგმნი, არამედ სულაც მე დავწერე...“

ის ბევრი ეპიზოდი თუ კითხვები, რომლებიც ავტორს ებადება და პასუხის გაცემას ცდილობს (ზოგჯერ არც გააჩნია პასუხი ამ კითხვებზე!), იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შენეული გგონია.

ეს ადამიანი გაიზარდა მართლმადიდებლურ ოჯახში, და, რაც უფრო ღრმა იყო მისი ქრისტიანული სულისკვეთება, მით უფრო არ ეთმობოდა ის დიდებული წარსული საბერძნეთისა. და თითქოს ეს პიროვნება მერყეობს ამ ორ სამყაროს, წარმართულსა და ქრისტიანულს შორის – ისიც მისია, ესეც მისია – და ბოლოსდაბოლოს ორივე მისი სულიერების საკუთრებაა, ორივეს გამორჩეულ პატივს მიაგებს.

იგი აღწერს სათნო დედას, მამას, საკმაოდ მკაცრს, რომელმაც ჩამოაყალიბა მასში ეს შეუდრეკელი სული, თუმცა კი ერთგან წერს, რომ მამისადმი განსაკუთრებული სიყვარული მას შემდეგ გაუჩნდა, როცა მამა ამქვეყნად აღარ იყო, მანამდე კი – თითქოს დიდი მუხის ჩრდილქვეშ ვიყავი და ეს არ მამალევედა საშუალებას ტანი ამეყარაო; ანუ სულიერად შებოჭილად გრძნობდა თავს.

განათლება მიიღო კრეტაზე, წავიდა ათენში, დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი, შემდეგ მოხვდა პარიზში, იქ უსმენდა ბერგსონის ლექციებს, დიდი გავლენა მოახდინა მასზე ნიცშემ, იქ გაეცნო მის მოძღვრებას, იმოგზაურა ძალიან ბევრი, ძალზე ახალგაზრდამ შეირთო ცნობილი მწერალი ელია ალექსიუ – კრეტელი ქალბატონი, რომელიც ლამის ბავშვობის ასაკიდან უყვარდა... შემდეგ დაშორდნენ. არის გამოცემული წერილების ნიგნი ამ პირველი ცოლისადმი... ისინი ერთმანეთს ძალიან აფასებდნენ და ერთ-ერთი კრიტიკოსი წერს: მათი დაშორება იმიტომ მოხდა, რომ ორი თავი ერთ ქულში ვერ დაეტევაო. მართლაც, ელია ალექსიუც გახლდათ ძალიან თავისებური მწერალი, ძალიან განათლებული, შეუპოვარი ქალი და ძლიერი ფიგურა.

მეორე ცოლი იყო ელენე სამიუ, ოცდაათი წლით მასზე უმცროსი, რომელმაც უერთგულა სიცოცხლის ბოლომდე. სხვათა შორის, შარშან გარდაიცვალა 101 წლის ასაკში.

როგორც ჩანს, ამ ქალს დახვეწილი გემოვნება ჰქონდა და რასაც წერდა კაზანძაკისი, ყველაფერს მას აკითხებდა, მაგრამ როცა გავიცანი, მითხრა: კი მაკითხებდა, ჩემი აზრიც აინტერესებდა, მაგრამ არც ერთხელ არ გაუზიარებია ჩემი შენიშვნები, მაინც თავისას ტოვებდაო.

ბედნიერი ვარ, რომ საბერძნეთში პირველივე ჩასვლისას, ეს იყო 1991 წელს, საშუალება მომეცა მეგობრების დახმარებით შევხვედროდი ამ ქალბატონს, ამ დროს უკვე ხანშიშესულსა და ავარიის შემდეგ დაინვალიდებულს.

ჩემს ერთ ნიგნში აღწერილი მაქვს კიდევ ეს შეხვედრა. იგი ნამყოფი იყო საქართველოში. 1928 წელს, მაშინ ჯერ ცოლი არ იყო, კაზანძაკისი და ქ-ნი ელენე ჩამოვიდნენ საქართველოში, ერთად მოიარეს თბილისი, ახალი ათონი, გაგრა...“

საჩუქრად მივართვი ქართული სიმღერების ფირფიტა და ქართული ღვინო... მითხრა: ახლა დავლევ ღვინოს, მოვუსმენ ქართულ სიმღერებს და 1928 წელში აღმოვჩნდები და ნიკოსიც ჩემს გვერდით იქნებაო...“

ძალიან ბევრმა ქალმა შესარულა გარკვეული როლი მის ცხოვრებაში, იგი სიყვარულით მოიხსენიებს ყველას, და ალბათ ისიც საინტერესოა, რომ შარშანდღამდე ცოცხალი იყო ერთი ებრაელი ქალი, რომელიც გაუცნია ბერლინში, სრულიად ყმაწვილი – 16 წლისა, დამეგობრდნენ და მიმოწერაც ჰქონდათ.

კაზანძაკისი ერთ-ერთ ნაწარმოებში აქვს აღწერილი, როგორც გაიცნო ეს გოგონა – ეცვა ფორთოხლისფერი ჯემპრი და ამ ფერის დანახვაზე ყოველთვის რახილი მახსენდებაო.

ქალბატონი რახილი ცხოვრობს ისრაელში, თავისი სამუშაო ოთახი შეღებილი აქვს ფორთოხლისფრად, სადაც ზის და ბერძნულიდან თარგმნა თითქმის ყველა ნაწარმოები კაზანძაკისისა.

ამ ურთიერთობებს, ამ მიმოწერებს, ამ ამბებს, როგორც ყოველი ქალისთვის, ელენ სამიუსთვისაც ტკივილი მოჰქონდა, მაგრამ თავის მოგონებებში იგი წერს: კაზანძაკისი იმდენად სუფთა გულით განენწყობოდა ხოლმე ყოველი მათგანისადმი, რომ მე არ შემეძლო რაიმე ბოღმა მქონოდა ამ ქალები-სადმი და მეც არ მყვარებოდა ისევე, როგორც მას უყვარდაო...“

აი, ასეთია მოკლე შტრიხები მწერლის ცხოვრებისა. მისი თხზულებები უაღრესად საინტერესოა და ერთ-ერთზე ბატონი როსტომიც ისაუბრებს, ზოგი გაგონილი გექნებათ, თუნდაც „ბერძენი ზორბა“ – ფილმიც არის გადაღებული. ცნობილი ენტონი ქუინი თამაშობს, რამდენჯერმე აჩვენა კიდევ გიორგი გვახარიათ თავის გადაცემაში, სწორედ კაზანძაკისის ნაწარმოების მიხედვითაა შექმნილი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ფილმი მიახლოებითაც ვერ ასახავს ამ მწერლის სათქმელის სიღრმეს... მთავარი მასთან არის დიალოგი, ისეთი დატვირთულია ეს დიალოგები, რომ ამის ეკრანიზაცია შეუძლებელია.

ასევე რამდენიმე სერიადაა გადაღებული კაზანძაკისის „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“ – არაჩვეულებრივი თხზულება. და კიდევ ერთი, რომელმაც დიდი სკანდალი გამოიწვია: „უკანასკნელი ცდუნება“ – ეხება ქრისტეს ორბუნებოვნებას. ვფიქრობ, ეს თხზულება არასწორად გაიგეს, და ის რომის პაპმა აკრძალა, მაგრამ აკრძალა, ალბათ, ფილმის მიხედვით და ფილმი კი ნამდვილად არ შეესაბამება თხზულებას. ნამდვილად ყოფილა რალაც დაპირისპირება მწერალსა და ეკლესიას შორის, „ასკეზაც“ რომ გამოვიდა, მაშინაც...“

მაგრამ პატრიარქ ათანაგორას საეკლესიო წიგნების გვერდით მას კაზანძაკისის წიგნებიც ედო და ერთგან წერს, რომ მას არ ესმის იმ სამღვდლო პირებისა, ვინც მწერალს ბრძოლა გამოუცხადა.

გთავაზობთ ორიოდ ფრაგმენტს **როსტომ ჩხეიძის** ვრცელი გამოსვლიდან:

„თავისი ცხოვრების წიგნს ნიკოს კაზანძაკისი ასე რომ დაასათაურებდა: „პატაკი გრეკოსთან“, თამარ მესხი ამ საუკეთესო ბიოგრაფიული რომანის ქართულად ამეტიყველებისას „პატაკს“ შეანაცვლებდა „აღსარებით“ და ამ ცვლილების მიზეზს ასე განმარტავდა: ავტორისათვის პატაკი აღსარებაა, ხოლო აღსარება – პატაკი, და თუ მაინც „აღსარება“ ავირჩიეთ სათაურად, ეს ამ ნაწარმოების არსმა განსაზღვრა და თვითონ კაზანძაკისის სიტყვებმა:

„მოგზაურობა და აღსარება (შემოქმედება კი უმაღლესი და ყველაზე სარწმუნო სახეა აღსარებისა) არის ჩემი ცხოვრების ორი უდიდესი სიხარული“.

ელ გრეკო კი იმიტომ გამოერჩია, რომ რაც უფრო მეტად გადიოდა დრო, მითუფრო შეიგრძნობდა მას თავის სულიერ წინაპრად.

ჟანრობრივად ეს ბიოგრაფიული ქმნილება სწორედაც აღსარების ყაიდისაა, სულიერი სწრაფვის, ჭიდილის, აქეთიქით მიმოწყდომის შეუფერადებელი სურათი, დაუოკებელი ლტოლვა პიროვნებისა, ვინც ვერ კმარობს მზამზარეულად ბოძებულ რწმენას ღვთისა, ვერ ეგუება ზედაპირულად შეთვისებულ ღმერთს და არსებობის მიზნად დაუსახავს ღვთისმაძიებლობა... დაე მტანჯველი იყოს ეს არჩევანი, დაე მუდმივად ემოქრებოდეს გზიდან გადაცდენის, გადაჩეხვის საფრთხე, დაე მცდარი ბილიკები ერთიერთმანეთს მიეწყოს...

სამაგიეროდ, ეს მისი ბედისწერაა, მის გულისგულში გამოვლილი და ყოველი მიგნებაც მითუფრო ძვირფასი – პირადად მისთვისაც და საკაცობრიო ცხოვრებისთვისაც, რადგანაც ღმერთსმოკლებულ სინამდვილეში ღვთისმაძიებლობა ქმნის საყრდენს იმ ჟამის დასაბრუნებლად, როდესაც მოისმოდა ასე მკაფიოდ უფლის სიტყვა დედამიწაზე.

მაშინ შევიგრძნობთ, რომ ყოველ ჩვენგანს ჰქონია თავთავისი სინა...

კაზანძაკისის „აღსარება გრეკოსთან“ ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანს“ შეტოქებია, და თუმც მისთვის მიუღწეველია ის სიმაღლე შინაგანი ექსპრესიითაც და სტილური არტისტიზმითაც, თავისთავად შეტოქებაც ბევრს ნიშნავს, მის გვერდით არა ქრება, უსარგებლოდ არ იქცევა და თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს მხატვრული ძალითაც, თორემ ჯერ მარტო იმ სიხლის თვალსაზრისითაც საგულისხმო იქნებოდა, ღმერთსმოკლებულ სინამდვილეში ადამიანის მიუსაფრობასა და სიცარიელის ანაბარად დარჩენას რომ წარმოსახავს, და თუ თვითონ ვერ იდებს თავს ახალი ჟამის წინასწარმეტყველის სამოსელის მოსხმას, სამაგიეროდ, იერს გამოკვეთს იმ წინასწარმეტყველისა, სისხლითა და ხორციით აღვისილ იერს...

კაზანძაკისი თავის სულიერ წინაპართან ხიდს რომ გასდებდა, მასთან სიახლოვეს იმ მხრივაც იგრძნობდა, რომ ორივე ეპოქა – მისიც და წინაპრისაც – ერთნაირად შფოთიანი აღმოჩნდებოდა, როგორც გარდამავალი დროები. ხელოვანის სულიერი ჭიდილი ასეთ ჟამს გამორჩეული სიძლიერით



თამარ მესხი

იკვეთებოდა და ეს საესებით კმაროდა, რათა ასეთი პიროვნებანი... გიჟებად შეერაცხათ: „რადგან გიჟად ითვლება ის, ვინც სხვაზე ოცდაოთხი საათით ადრე ხედავს“...

ულმერთობის ჟამი უნდა დასრულებულიყო და ამიტომაც ჭიანჭურდებოდა დიდი შემობრუნების მოახლოება, იმ სულიერი სინამდვილის ხელახლა მოპოვება, უფლის ხმა რომ მოისმოდა დედამიწაზე და მოსე შიშით შეჰყურებდა აალებულ მაყვლის ბუჩქს... იესო ქრისტეს გამოჩენით მოთავებულიყო ის დრო, ანტიკური ღმერთები ადამიანთა გვერდიგვერდ რომ დააბიჯებდნენ მიწაზე. ეს ყოველივე ფანტაზიებსა და წარმოსახვებში დანამცეც-

დებოდა და დაიფანტებოდა, განიმქრეოდა იმ ჰაერში, ოდესმე კვლავ რომ უნდა მოეტანა ღმერთის სუნთქვა; და რაც უფრო ახლოს იყო ის ეპოქა, მითუფრო დაუნდობელი და სასტიკი აღმოჩნდებოდა წინარე ხანა – როგორი დასათმობია დემონისათვის მიღწეული, და ისევე მცდელობა დათმობილის დასაბრუნებლად.

კაზანძაკისისათვის სინა უპირველესად ღვთის ნაბიჯების წყალობით ბრწყინავდა და აქაც, ათონზეც, იერუსალიმშიც ამ ნაბიჯებს მიჰყვებოდა, არა გარდასულს, არამედ – თვალწინ მბრუნავსა და მისსავე არსებაში შენვოილს. აღაფრთოვანებდა, რომ ქრისტე დასასრული კი არა, დასაწყისია... და სხვა გზას არ გიტოვებს მისაახლოებლად, გარდა ერთისა: რომ იბრძოლო ქრისტეს სისხლიან ნაკვალევს მიყოლილმა, გარდასახო შენში არსებული ადამიანი და აქციო იგი სულად, რათა შეერწყა ღმერთს...

ფილოლოგიური განათლება არა კმაროდა, „აღსარება გრეკოსთან“ ქართული მწერლობის განუყოფელ ნაწილად რომ ქცეულიყო – რელიგიური და ფილოსოფიური განათლება არანაკლებ სჭირდებოდა თამარ მესხს, უამრავი ცნებისა თუ ფაქიზი ნიუანსობრივი დეტალებისათვის ზუსტი შესატყვისები რომ დაძებნილიყო.

თუმც ვრცელი არ არის მაძიებელი კაცის თვალთ დანახული ბუდიზმი და მის ზოგიერთ თავისებურებაზე მსჯელობა, კიდევ უფრო მოკლეა ისლამთან შეხვედრის სურათები, მაგრამ გრძნობ, ძირისძირობამდე რომ გარკვეულა მწერალი ამ რელიგიურ მიმდინარეობებში და მთარგმნელის მოვალეობა ამ ღრმა წვდომის შენარჩუნება გახლდათ. ვინც ჩახედულია ამ რელიგიურ აღმსარებლობებში, და მათთან ერთად ნიცშეანიზმზეც აქვს წარმოდგენა, დედანთან შედარების გარეშეც მიხვდება, რომ შეუძლებელია აქ რაიმე გამოტოვებული, შეცვლილი ან გაბუნდოვანებული იყოს...“

გიორგი ლოზჟანიძე:

„ყოველი შეხვედრა, რომელიც ამ კედლებში გამართულა, თავისებური და საინტერესო იყო, მაგრამ დღევანდელი ჩემთვის არის სრულიად განსაკუთრებული, იმიტომ, რომ ეძლევა ჩემთვის უსაყვარლეს მწერალს.

ნიკოს კაზანძაკისი არ არის მარტივი მწერალი, ადვილად არავის გაეხსნება და კონტაქტის დამყარება, როგორც მკითხველს, გამიჭირდა. ალბათ იმ თავისებურებების, იმ არტისტიზმის გამო, რაც ამ მწერალში დაახლოებით იმ დოზით არის, რასაც ჩვენს გრიგოლ რობაქიძესთან ვხვდებით. და რის გამოც, გულწრფელად ვამბობ, გრიგოლ რობაქიძე ჩემი საყვარელი მწერალი არ არის.

მაგრამ კაზანდაკის იმით არის სხვებისაგან განსხვავებული, რომ მასში პოეზია ჭარბობს პათეტიკას და ეს ძალიან კარგად დაგვანახა მთარგმნელმა. მისი ერთ-ერთი ღირსება სწორედ ესეც არის – პოეტური პასაჟების ხელშესახებად, ფაქიზად გადმოტანა, რისთვისაც მადლობელი ვარ ქალბატონი თამარისა. მან უდიდესი სამყარო გამიხსნა მწერლისა და კიდევ ერთხელ დამარწმუნა ერთ რამეში – მშობლიურ ენაზე ნაკითხული ნებისმიერი ნიგნი გაცილებით დიდ მნიშვნელობას იძენს ამ ენის მატარებლისათვის, ვიდრე უცხო ენაზე – თუნდაც ძალიან კარგად იცოდეს ეს ენა.

შეიძლება უხერხულია ჩემგან ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მთარგმნელთან თანაშემოქმედებითი განცდით ნაკიკითხე ნიგნი. ძირითადად დავეთანხმე და ეს არის ტონალობის განსაზღვრა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და შესანიშნავად მიაგნო ამ ტონალობას მთარგმნელმა. აქ არის არაერთი პლასტი, რომელიც ერთმანეთს ისე ერწყმის, რომ ფოიერვერკი გეგონებათ სიტყვის და სტილური აზროვნებისა, და არის გარკვეული პლასტები, რომელიც უკეთესად სჯობდა გადმოღებულიყო, ყოველ შემთხვევაში, ნიგნიც რომ ძალიან დიდია და მისი თარგმნითაც დიდი საქმე გაკეთდა – უკამათოა და სრულიად უდავო.

ვისურვებდი, რომ „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“ – ჩემი უსაყვარლესი ნიგნი, რომელიც მე სპარსულად ნაკიკითხე, გეთარგმნათ, მიუხედავად მისი სკანდულურობისა, რადგან სკანდალურობა თავისთავად ახლავს ასეთი ტიპის შემოქმედს, ყველას არ შეუძლია ფეხი აუწყო და სულიერად ჩანვდეს მწერლის ძიებებს – ასე რომ, სჯობს ქართულად არსებობდეს ეს ნიგნი და მე ველოდები მას“.

როსტომ ჩხეიძე:

„ისეთი გულით გთხოვთ გიორგიმ, ქ-ნო თამარ, რომ არ გეთარგმნოთ, არ შეიძლება“.

თამარ მესხი:

„გიორგის ვეთანხმები, რაღაც ადგილები შეიძლება არც იკითხებოდეს ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ ვინც „გველი და შროშანის“ თარგმანი ნაკიკითხა, შეამჩნევდა, როგორ დინამიკურად მიდის დედანი და მე მგონი, თარგმანიც (ორ დღე-ღამეში ვთარგმნე). ასევე „გრეკოშიც“ რაღაც თავები ლექსივით იკითხება, მაგრამ არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ ამ ნაწარმოებს მწერალი წერდა სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვული. მისი ბოლო თხზულებაა, რომელიც, როგორც მისი ქვრივი წერს, ველარც გადაიკითხა, თორემ ბევრ რამეს შეცვლიდა და ბევრ რამეს გაალამაზებდა. ვეცადე გადმომეტანა ისე, რაც დატოვა, ხომ არ შეველამაზებდი. ძალიან მიყვარს კაზანდაკისის მთელი შემოქმედება, მაგრამ ეს ნიგნი მირჩევნია ყველას. ამ ნიგნით შეიძლება გაიცნო იგი და შემდეგ დაგაინტერესოს მისი ცხოვრების სხვა ეტაპებმაც.

მინდა ის კიდევ ერთხელ გამოვცე. მინდა აგრეთვე გამოვცე მონოგრაფია მასზე. თუნდაც პირადი წერილები აქვს მას ისეთი საინტერესო, რომ მინდა ყველაფერს თავი მოვუყარო მონოგრაფიაში.

1999 წელს, როცა ეს ნიგნი გამოვიდა, რაღაც უფერულად, უღიმღამოდ ჩაიარა.

საჯაროდ ასეთი აღიარება, დღეს, პირველად ხდება და ძალიან მიხარია. თუმცა კი, კაზანდაკისი ინტელექტუალური მკითხველისთვისაა გამიზნული და „ჰარი პოტერივით“ ის ვერ გავრცელდება, ცხადია.

მწერალი ისეთ ღრმა საკითხებს უტრიალებს, რომ ბევრი გულს ვერ დაუდებს, მაგრამ ვინც დაუდებს, ძალიან ბევრს შეიძენს“.

ჯულიეტა შოშიაშვილი:

„დიდი მადლობა ქ-ნ თამარს ამ შესანიშნავი თარგმანისათვის, ნამდვილად კარგი საჩუქარია ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის. მეორე დიდი მადლობა თქვენ გეკუთვნით, ბ-ნო როსტომ, მშვენიერი მოხსენებისათვის, იმისთვის, რომ თქვენთვის ჩვეული ოსტატობით, სიღრმით მოგვატარეთ კაზანდაკისის სივრცეები და ყველაზე ამაღლებელი იყო დაწყვილება კვიპაროსისა და ნუშის. მე ალვიქვი კაზანდაკისის ნუში და ექვთიმე ათონელის კვიპაროსი, როგორც ბერძნულისა და ქართულის ერთიანობა, როგორც მართა და მარიამი, რომელთაც ტოლმეგობრობას ჭეშმარიტებამდე მივყავართ“.

თამარ მესხი:

„სხვათა შორის, ჩემს მონოგრაფიას ჰქვია „გზა აყვავებულ ნუშისკენ“...“

რუსუდან ცანავა:

„ეს ის შემთხვევა იყო, როცა ადამიანი, შეიძლება ითქვას, მუშაობისას სრულიად გამოკაზანდაკისდა...“

როსტომ ჩხეიძე:

„უფრო სწორი ხომ არ იქნებოდა გვეთქვა: აკაზანდაკისდა?“

რუსუდან ცანავა:

„იმდენად იყო კაზანდაკისის სამყაროში ჩაფლული, უკვე აბოლებდა... და ჩვენც გადმოგვლო ეს განცდა, მისი ფრაზებით, ნიუანსებით ვცოცხლობდით... შეიძლება დაერეკა ლამის ნებისმიერ დროს და გვიკითხავდა ტელეფონში მთელ პასაჟებს. მეც თავს უფლებას ვაძლევდი (რადგან ერთ-ერთი პირველი მკითხველი ვიყავი ამ მწერლისა), დამერეკა და ჩემი აღფრთოვანება გამომეხატა. დიდხანს გვქონდა ასეთი გადაძახილები. დღეს ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ამ, მართლაც, დიდმა მწერალმა, ასე ლამაზად აჟღერებულმა ქართულად, უკვე ამდენი მკითხველი მოიპოვა... იგი მართლაც ინტელექტუალურ მკითხველს საჭიროებს, ყველა კაზანდაკისს ვერ გაიგებს და თქვენ რომ სთხოვთ კიდევ თარგმნეო, მას ეს ცოტა ემძიმება, ეტყობა, იმის ემინია იგივე ტრანსში არ ჩავარდეს, რადგან კაზანდაკისი ავადმყოფობაა, სერიოზული ავადმყოფობა. ალბათ, კარგ ნიგნს სწორედ ასეთი მთარგმნელი სჭირდება.“

გმადლობთ, ბატონო როსტომ, ასე ლამაზად რომ წარმოგიდგინეთ ეს ავტორი და ჩემთვის განსაკუთრებით გულში მოსახვედრი იყო ვაჟასთან ის საოცარი პარალელი, რადგან მართლაც მიმაჩნია, რომ თუკი ვინმე ახლოს დგას ანტიკურ აზროვნებასთან, სწორედ ვაჟა-ფშაველა და ჩემი კონცეფციაც მაქვს ამის შესახებ. მიმაჩნია, რომ ვაჟას პოემები ანტიკური დრამებია“.

თემურ ნადარეიშვილი:

„ქ-ნო თამარ, თქვენ ბრძანეთ, რომ კი არ ვთარგმნე, თითქოს მე დავწერეო. ეს ხომ კლასიკოსისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ილუზიაა, დიდი მწერალი ჩვენს დაფარულ აზრებს ამბობს, რადგან ის ზოგადსაკაცობრიოა, ძალიან კარგია, როცა ადამიანს ეს ილუზია აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან გამორჩეული მთარგმნელი ხართ და მწერალიც კარგი მასალაა“.

როსტომ ჩხეიძე:

„ყველაზე არ უჩნდება ეგ ილუზია ქ-ნ თამარს, მარტო კაზანდაკისზე...“

თემურ ნადარეიშვილი:

„ძალიან საინტერესო იყო თქვენი შენიშვნა მწერლის გარეგანზე ანუ წარმართობისა და ქრისტიანობის მიმართ დამოკიდებულება. მომეწონა აგრეთვე ფრაზა: ერთ ქულში ორი თავი არ თავსდებაო. ბ-ნო როსტომ, ელ გრეკოზე რომ ბრძანეთ – გიჟად იმიტომ აღიქმებოდა, რომ დროს გაუსწროო...“

როსტომ ჩხეიძე:

„ეს კაზანძაკისის ფრაზაა...“

თემურ ნადარეიშვილი:

„აქაც მინდა მაგალითი მოვიყვანო კვანტური ფიზიკიდან – გიჟობა ფიზიკაში უბრალოდ აუცილებელია. ნილს ბო-

რის შესანიშნავი ფრაზისა არ იყოს: გიჟი თუ არა ხარ, ვერაფრისდიდებით ვერ ჩანვდები ატომურ მანძილთა საიდუმლოებას.

ჩვეულებრივი გონებით ამას ვერ ახსნი და აინშტაინი 40 წელი ებრძოდა ბორს, არ ესმოდა ეს კვანტური ფიზიკა. უნდოდა კლასიკურით აეხსნა და დამარცხდა. ამხელა თავიცი კი, როგორიც აინშტაინი იყო, დამარცხდა, იმიტომ, რომ საკმარისად გიჟი ვერ იყო“.

შეხვედრის დასასრულს მთარგმნელმა უპასუხა არაერთ შეკითხვას და ეს დიალოგი აუდიტორიასთან ისეთი საინტერესო გამოდგა, რომ შესამოკლებლად შეგვეცოდა და ოდესმე ცალკე შემოგთავაზებთ.

მონაცე

ახლა დასავლეთიდან ამოდის

ოციოდე წლის წინათ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გადმოსხდა ამერიკელ კინემატოგრაფისტთა „დეუსანტი“.

საქმიან შეხვედრებსა და დისკუსიებს, რასაკვირველია, მხარს უმშვენივრად შეხვედრები სუფრასთან. თუკი ვენდობით ამერიკელ ჟურნალისტს ჯეიმზ ლარდნერს, რომელიც მოგვითხრობს ამერიკელთა ვოიაჟზე მოსკოვსა და თბილისში, ქართველებს დისკუსიებშიც გამოუჩენიათ თავი და ლხინშიც.

ჯერ კიდევ მოსკოვში ქართველ რეჟისორს ლეო ბაქრაძეს ამერიკელთა დელეგაცია სადილად დაუპატიჟია. ამერიკელი ჟურნალისტი ალტაცეზით აღწერს მასპინძლის ბინას და აღნიშნავს, რომ სუფრასთან ოცამდე კაცს მოუყრია თავი, მაგრამ საჭმელ-სასმელი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სტუმრები მოეროდნენო: ხიზილალა, ხორციული და არაყი, ღვინო, ლუდი, კონიაკი – უხვადო. ლარდნერის სიტყვით, ბაქრაძე ოსტატურად ხელმძღვანელობდა სუფრას, წარმოთქვამდა გრძელ სადღეგრძელოებს, ტრადიციული ქართული ჩვეულების მიხედვით, ხოტბას რომ ასხამდნენ დამსწრე ქალბატონებს, სტუმრებსა და ყოველი მათგანის მშობლებს.

თბილისში ჩამოსულმა ამერიკელებმა ჯერ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერეს, მერე კი კვლავ სუფრასთან ამოყვეს თავი – ვახშამზე, რომელიც გაიმართა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავკაცის ელდარ შენგელაიას დაბადებიდან 55 წლისთავის აღსანიშნავად.

ლარდნერი წერს, რომ ეს იყო განსაცვიფრებელი ლხინი – აურაცხელი ოდენობა არყისა, ქართული ღვინისა და ხორაგისა, სადაც გამოირჩეოდა მწვადი, აგებული ისეთ შამფურებ-

ზე, რითაც ეროლ ფლინს არ შერცხვებოდა ორთაბრძოლა ბეზილ რეტბოუნთან (ეროლ ფლინი გაგვიგია, ბეზილ რეტბოუნი – არა).

მეორე დღეს, არცთუ ადრიაანად, ჩატარებულა შეხვედრა კინემატოგრაფისტთა კავშირში.

„ქართული ფილმის“ დირექტორს, კინორეჟისორ რეზო ჩხეიძეს უთქვამს: „ჩვენ გვყავს საინტერესო რეჟისორები, მსახიობები, ოპერატორები, მხატვრები და ყველანი ისინი თქვენს სამსახურად არიან. ჩვენში არის მთები. ჩვენ მოგვეპოვება უნიკალური არქიტექტურა. ჩვენ შეგვიძლია გადავი-

ლოთ მიუზიკლები, მელოდრამები, ისტორიული სურათები. ჩვენ მდიდარი ისტორია გვაქვს. მე შემიძლია დაგისახელოთ ათასი სხვა თემა ერთობლივი წარმოებისათვის“.

მერე სიტყვით გამოსულა ცნობილი ამერიკელი პროდიუსერი დევიდ პატნემი:

„პირველი გონივრული მოთხოვნა, რომელსაც წამოვიყენებთ დასავლელი თანაპროდიუსერი – ეს არის მაღალ ტექნიკურ დონეზე გაკეთებული ინგლისური ფონოგრამა, ვინაიდან დასავლეთში შეუძლებელია გაყიდოთ სუბტიტრებიანი ფილმი“.

პატნემის აზრით,

ქართველებმა უნდა გადაიღონ ფილმი ინგლისურ ენაზე, როგორც ამას აკეთებენ ახალგაზრდა ფრანგი კინემატოგრაფისტები; ანდა იპოვონ დასავლეთში გამოცდილი რეჟისორები, სპეციალისტები დიალოგისა და გადაიღონ ფილმი ორ ენაზე; ანდა დახარჯონ ფულიც და დროც საიმისოდ, რომ დასძლიონ დუბლიაჟის რთული პროცესი, როგორც ამას აკეთებს ბერნარდო ბერტოლუჩი. პატნემის სიტყვით, მისი ფილმის „მეოცე საუკუნე“ ინგლისურენოვანი ასლი ისე ბრწყინვალედ იყო გაკეთებული, რომ ვერავინ იფიქრებდა, ეს დუბლიაჟი არისო.



კადრი ფილმიდან „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“. ლევან აბაშიძე (ნიკუშა ჩაჩანიძე) და გია ფერაძე (ლეო თათაშელი)

პატენი მოუწოდებს ქართველ კინემატოგრაფისტებს, რომ მოემზადონ კომპრომიზებისა და წვალებისათვის. იმონ-მებს პოპულარულ ამერიკულ გამოთქმას: „უფასო საუზმე არ არსებობს, ყოველთვის ვინმე იხდის ფულს“.

პატენის გამოსვლას ერთგვარად გაუღიზიანებია კინო-რეჟისორი გიორგი შენგელაია. მას უთქვამს: „რაც გვითხრა დევიდმა, ძალზე საინტერესოა. მაგრამ ყველაფერი ეს ჩვენც მშვენივრად ვიცით. ამიტომ მე კიდევ ერთხელ გეკითხებით: მაინც რა არის თქვენი ვიზიტის მიზანი – ერთმანეთის გაცნობა თუ პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა?“

პატენი კი თავისას მიერეკება და ქართველებს შეახსენებს, ინგლისურენოვან კინემატოგრაფში სრულ ფიასკოს განიცდიოთ. იგი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართულ ფილმებს, თუნდაც კარგ ფილმებს, ფესტივალებზე ერთი მუჭა მაყურებელი ნახულობს, მერე კი ნიუ-იორკისა თუ სან-ფრანცისკოს პატარა კინოთეატრებში აჩვენებენო.

ამერიკელ პროდიუსერს გამოაქვს უღმობელი განაჩენი: „თქვენ ჰგავხართ ადამიანებს, რომლებიც შეიკრიბნენ პატარა ოთახში და თავის თავს ელაპარაკებიან“.

იგი დასძენს, ჩვენ გვინდა ბოლო მოვუღოთ იმ ვითარებას, როდესაც რუსულ და ქართულ ფილმებს ამერიკული ტელევიზიით დილის სამ საათზე აჩვენებენო.

პატენის მენტორულმა ტონმა, გულშემატკივრის პოზიციასთან რომ იყო შერწყმული, ეტყობა, მოთმინებიდან გამოიყვანა რეზო ჩხეიძე და მან ასე მიმართა ამერიკელ სტუმრებს:

„თქვენს ადგილას მე უარს ვიტყოდი მთელ ამ მიღებებსა და ბანკეტებზე იმის გულისათვის, რომ დავჯდე დარბაზში და ვნახო ხუთი თუ ექვსი ქართული სურათი. თქვენ ხომ სრულიად არ იცნობთ ქართულ კინოს. ჩვენ მოგამარაგებთ ბუტერბრედებით, შავი ყავითა და ყველაფრით, რაც საჭიროა“.

ესა თქვა და დატოვა სცენა, მერე კი – დარბაზიც.

შეშფოთებულმა პატენმა თვალი გააყოლა რეზო ჩხეიძეს და თავის მართლებას შეუდგა:

„ჩვენ იმისათვის კი არ მოვფრინავდით თქვენს ქვეყანაში მთელი ოცდარვა საათი, რომ ვინმე გავანანყენოთ... კინო საბჭოთა კავშირში, უწინარეს ყოვლისა, ეს არის ხელოვნება. ჩვენ ეს გვესმის. ალტაცებულნი ვართ ამით, გვშურს თქვენი. მაგრამ დასავლეთში კინო – ესაა ბიზნესი. ჩვენი მიზანია შევუ-

თავსოთ ერთმანეთს ჩვენი, ე.ი. დასავლური, საქმიანი მიდგომა კინოსადმი და თქვენი – სუფთად შემოქმედებითი. ვიდრე ამას არ მივალწევთ, თქვენი ფილმები, სიმართლეს თვალი რომ გავუსწოროთ, დასავლეთში უჩინმაჩინებლად დარჩებიან. „მონანიებაც“ კი ამერიკაში ნახა სულ რაღაც 100 ათასმა მაყურებელმა. მე კი ვთვლი, რომ ნელინადმი ერთი „მონანიების“ ნაცვლად უნდა აჩვენოთ ხუთი სურათი და ყოველი მათგანი უნდა ნახოს არა 100 ათასმა, არამედ 10 მილიონმა ამერიკელმა“.

სალამოს, როცა ამერიკელთა უმეტესობა წავიდა ხალხური ცეკვის კონცერტზე, დევიდ პატენი და რამდენიმე მისი თანამგზავრი, გიორგი შენგელაიასთან ერთად, ისხდნენ „ქართული ფილმის“ კინოდარბაზში. მათ ნახეს გიორგი შენგელაიას ფილმი „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ (შექმნილი ოთარ ჩხეიძის რომანის „ბორიასის“ მიხედვით).

ჯეიმზ ლარდენერის შეფასებით, ეს არის პირქუში და პესიმისტური სურათი, რომელიც წააგავს მის დამდგმელ რეჟისორს. ზოგიერთი ამერიკელი, თურმე, ებრძოდა ძილს და ერთ მათგანს, ამ ბრძოლით დაღლილს, მაინც ჩასძინებია, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი რეჟისორი რამდენიმე სავარძლის იქით მჯდარა (აი, ასეთი შედეგი მოსდევს უზომო სტუმართომოყვარობას).

მაგრამ დევიდ პატენმმა დიდი ინტერესით უყურა ბოლომდე. დაძაბულს ლამის ცხვირი ჰქონდა მიბჯენილი ეკრანზე.

„ეს არის პოეზია, – უთხრა მან გიორგი შენგელაიას და ალტაცებით გაშალა ხელები, – იცით თქვენ, რისთვის ვაფასებ საბჭოთა, უნგრულ და ჩეხურ ფილმებს? მეტაფორას რომ იყენებენ, იმისთვის. ძალზე სანყენი იქნება, თუკი საჯაროობა გამოინვევს იმას, რომ საბჭოთა კინო ამ იშვიათ თვისებას დაკარგავს და ყველაფერი ღია ტექსტით ითქმება“.

თბილისური შეხვედრების თავისებურ რეზიუმედ გამოდგება ერთი ახალგაზრდა რუსი კინორეჟისორის ხუმრობა, რომელმაც ასე გამოხატა ქართველ კინემატოგრაფისტთა რეაქცია ცნობილი ამერიკელი პროდიუსერის რჩევა-დარიგებებზე:

„ჯერ რუსები გვასწავლიდნენ, როგორ უნდა გადავიღოთ ფილმი. ახლა ჩამოდიან ამერიკელები და ესენიც გვასწავლიან, როგორ უნდა გადავიღოთ ფილმი“.

ეს მწარე ხუმრობა ჟარგონზე რომ ვთარგმნოთ: ჯერ რუსები გვხმარობდნენ და ახლა – ამერიკელებიო.

თავგადასავალი საშუა კონტრაქტოვისა

ამ კაცის თავგადასავალი მართლაც რომ დაუჯერებელია. მაგრამ რას იზამ, უნდა დაიჯეროთ, ვინაიდან საშუა კონტრაქტოვის თავგადასავალს მოგვითხრობს ისრაელის სოლიდური რუსულენოვანი გაზეთი.

იგი დაბადებულა ქალაქ კოველში (უკრაინა, ვოლინის ოლქი). მის მშობლებს ჰყოლიათ შვიდი ვაჟი და სამი ასული. მეორე მსოფლიო ომის წლებში მთელი ოჯახი შიტლერელებს გაუჟღელტით. მხოლოდ საშუა გადარჩენილა. და იცით, ვის უნდა უზადლოდეს? ვისა და ხრუშჩოვს!

ომის დანყებამდე მომხდარა ასეთი ამბავი:

ქალაქ კოველში ელოდნენ პარტიულ ხელმძღვანელებს. საშუა კონტრაქტოვი, რომელიც სპორტს მისდევდა (განსაკუთრებით იტაცებდა ცურვას და ფეხბურთი), საჩვენებელი გამოსვლებისათვის შეარჩიეს. სპორტსმენები უკვე ემზადებოდნენ აუზში გადასახტობად, როცა საშუა შეამჩნია, რომ ლითონის მძიმე ფლაგმტოკი სახიფათოდ დახრილიყო და სა-

ცაა დაეცემოდა საპატიო სტუმართა ტრიბუნას.

დაუფიქრებლად გადახტა წყალში, სწრაფად გასცურა იმ ტრიბუნისაკენ, ახტა ზემოთ, ხელი სტაცა ფლაგმტოკს და წყალში გადააგდო.

სტუმართა შორის კი იყვნენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი და სსრკ ვაზათა ნარკომი ლაზარ კავანოვიჩი.

ხრუშჩოვმა მეორე დღესვე დაიბარა გაბედული ახალგაზრდა, გადაეხვია და ჰკითხა: „აბა, მითხარი, რა გავაკეთო შენთვის?“

საშუას პასუხმა თვით ხრუშჩოვიც კი გააკვირვა.

„ენკავედემი მინდა ვიმსახურო“.

ხრუშჩოვს გასცინებია და უთქვამს: კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ჯერ უნდა ისწავლო.

საშუა დაუყოვნებლივ ჩარიცხეს სათანადო სასწავლებელში. კარგად უნდა დაუფლებოდა იარაღის ხმარებისა და ენაზე კბილის დაჭერის ხელოვნებას.

მონიკა

შინ რომ დაბრუნდა, ყველაფერი უამბო მამას. მან კი უბრძანა: „არასოდეს გაბედო გამოჩენა ჩემს სახლში ენკავედეს ფორმით“ (საშას მამა რაბინი ყოფილა).

1942 წელს საშა თან ახლდა ხრუშჩოვის სტალინგრადში. მერე მიძიმედ დაჭრილა. ხრუშჩოვი გაემგზავრა მის სანახავად ურალის ერთ-ერთ ჰოსპიტალში. ექიმებმა მოასხენეს, ამ ახალგაზრდას ნახევარი წელიწადი მოუნევს ნოლითი რეჟიმით.

ხრუშჩოვი ეკითხება თავის პროტეჟეს: „ახლა რას ისურვებდი?“ საშა სთხოვს: „გადავიციტ ამხანაგ სტალინს, რომ ჰოსპიტალის გალავანთან აღმართულ კოშკურაზე მდგომ გუმაგს შევცვლიდი, რათა იგი ფრონტზე გაეშუროს საომრად“.

ამგვარი პატრიოტული სულისკვეთებით აღფრთოვანებულ ხრუშჩოვს სტალინისათვის მოუხსენებია „ამ ებრაელის“ ამბავი: „რვა უცხო ენა იცის, ძალზე ერთგულია და ნდობას იმსახურებს. მზად არის, რომ სამშობლოსათვის თავი გასწიროს“.

სტალინმა ბრძანა, აქ მომიყვანეთო.

გულახდილი საუბარი გაჩაღებულა.

„ამხანაგო სტალინ, – მიმართავს საშა, – მამაჩემი რაბინი გახლავთ, მე კი თითქმის სამი წელი სასულიერო სასწავლებელში დავდიოდი“.

სტალინს გასცინებია: ეგ არაფერი, მეც სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდიო.

საშა ჩაურთავს სტალინის პირად დაცვაში. სულ ცხრა-მეტი ყოფილან.


სტალინს უბრძანებია, ყელზე ჯვარი ჩამოიკიდე, რომ შენი ეროვნება დაჰფაროო. რაც შეეხება გვარს, იქ არავინ იცოდა, ვინ რა გვარისა იყო. ახალგაომცხვარი მცველი კოლეგებს წარუდგინეს როგორც „საშა“. მორჩა და გაათავდა.

ისინი ყოველმხრივ იცავდნენ სტალინის სიცოცხლეს და, სხვათა შორის, სტალინისათვის გამზადებული კერძების დეგუსტაციაც ევალებოდათ, მონამლული ხომ არ არისო.

საშა, როგორც ებრაელი, სტალინს გაუთავისუფლებია ღორის ხორცის დაჭაშნიკებისგან; თვითონ კი ძალიან უყვარდაო.

კონტრაქტოვის ბიოგრაფიას ამშვენებს ასეთი ეპიზოდიც:

როგორც ცნობილია, 1939 წლის შემოდგომაზე გერმანელებმა და რუსებმა გაიყვეს პოლონეთის ტერიტორია. მრავალმა პოლონელმა საბჭოთა კავშირში გაქცევით უშველა თავს ჰიტლერელთაგან. მაგრამ ვაის გაეყარნენ და უის შეეყარნენ ანუ ციმბირის სუსხი იგემეს.



საშა კონტრაქტოვი

პოლონეთის არმიამ ებრაელს მხოლოდ რიგით ჯარისკაცად გაამწესებდნენ.

საშამ გამოიძახა მენაჰიმ ბეგინი (მომავალი პრემიერ-მინისტრი ისრაელისა) და დაულრიალა: „შენ, მენაჰიმ ბეგინ, სმენა! როგორც ეკადრება პოლონელ ოფიცერს, როცა მას საბჭოთა ოფიცერი ელაპარაკება“. მერე დანარჩენი სამიცი ამოუყენა მხარში. ისინი გაუგზავნიათ ჯერ აშხაბადში, იქიდან კი – თეირანში და ჩაუბარებიათ ბრიტანეთის საელჩოსათვის.

ომის დამთავრების შემდეგ სტალინმა საშა კონტრაქტოვი ნიურნბერგის პროცესზე საბჭოთა სამხედრო პროკურორის თანაშემწედ დანიშნა. მაგრამ საშას, თურმე, სულ სხვა რამ ედო გულში. მას სტალინის მაგიდიდან მოუპარავს საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა საბჭოთა კავშირის გეგმებს იაპონიის ოკუპაციასთან დაკავშირებით და საბჭოეთიდან გაქცეულა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასულს ეს მასალა თავისებურ „ვიზად“ გამოადგებოდა.

24 წლის საშა კონტრაქტოვმა იდუმალების ზღვაში ჩაყვინთა. ქიმნენდის პუნქტი გახსნა და უფროსი ლეიტენანტი საშა კონტრაქტოვი გადაიქცა ბიზნესმენ ალექსანდრ კონტრაქტად. იგი ამერიკელებს შეუთანხმდა, რომ ოცდახუთი წლის განმავლობაში კრინტს არ დასძრავდა.

1954 წელს ისრაელში ჩასულა და მოუნახულებია მენაჰიმ ბეგინი, რომელსაც გულუხვად დაუსაჩუქრებია თავისი ოდინდელი მხსნელი.

ალბათ, საინტერესო იქნებოდა საშა კონტრაქტოვის მე-მუარების ნაკითხვა. რამდენი რამ ექნება მოსაგონარი!

ქრონიკა

7 მარტს „კავკასიურ სახლში“ შედგა მორიგი შეხვედრა „კულტურის კალენდრის“ პროგრამის ფარგლებში. ამჯერად შეიკრიბა რელიგიის საკითხებით დაინტერესებული საზოგადოება.

რელიგიის მკვლევარმა ზელიმხან უძილაურმა ისაუბრა ცნობილი გერმანელი რელიგიათმცოდნის, რუდოლფ ოტოსა და მისი ფუნდამენტური ნაშრომის შესახებ, რომელსაც ეწოდება „Das Heitige“ („წმინდა“) და 1917 წელს გამოქვეყნდა. წიგნი მრავალი აზრით საგულისხმო და კვლევის ახალი გზის გამკაფავიც კი აღმოჩნდა. მოხსენების ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი იყო: ერთუთობისაგან უნდა გაიმიჯნოს თეოლოგია და რელიგიათმცოდნეობა, რელიგიური აზროვნება და რელიგიის კვლევა, – რაც ჩვენი საზოგადოებისათვის ჯერაც შესაგუებელი დებულებაა.

მოხსენების დასასრულს ძალზე საინტერესო დისკუსია გაიმართა. მონაწილეობდნენ ლიტერატურის მკვლევარი გია კანკავა, ფილოსოფოსი გიგა ზედანია, მწერალი ნაირა გელაშვილი...

ქრონიკა

7 მარტს ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საერთაშორისო ასოციაციის – „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ – მიერ გამოცემული ქართული ხალხური საბავშვო პოეზიის კრებულის „ჩიტი ლობეზე შემოჯდა“ პრეზენტაცია.